ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ44
1959/4

ცისფერი

7

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7768

7

1959

ივლისი

სახელმწიფო
გამომცემლობა

„საბჭოთა
საქართველო“

შინაარსი

ო. ჭილაძე — კაცის ხელები 3
ბ. შატბერაშვილი — მკვდრის მზე (მოთხრობა) 13
შ. ნიშნიანიძე — ლექსები 86
ო. ჩეჩელაშვილი — ფოლადის ფრთებზე (დასასრული) 90
იტალიელი პოეტები — ლექსები (თარგმნა მ. ქვლივიძემ) 104
ე. ყიფიანი — ღია ბარათი 107
ბ. ხუხაშვილი — ლურჯი ფანჯრები (პოემა. დასასრული) 113

ჩვენი ადამიანები

ზ. ჯამასპიშვილი, ვ. შავგულიძე — შვიდწლედის ნაბიჯები 120

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზ. ჭუმბურიძე — იდეური ზრდისა და მხატვრული დოსტატებისათვის 127
ნ. ჯანგებრიძე — თბილისის ხუროთმოძღვრება 133
ო. ჯინორია — ახალგაზრდა თომას მანი—ბურჟუაზიული ესთეტიზმის კრიტიკოსი 140

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. კალანდაძე — ივანე ვაზოვის უცნობი ავტოგრაფის გამო 148

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ქ. ფერეთელი — მაია წუნეთელი 151

ყოველი მზრიდან

ქრონიკა 155

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი **ვახტანგ ჭელიძე**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

ო. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), **კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 408. უე 03934. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭიღაძე

...

ვუძღვნი ინფინრებს, რომლებმაც
შექმნეს დედამიწის თანამგზავრი

*
* *

ისინი გვანან
მარადმწვანე და მაღალ ხეებს,
რომლებიც მზეში გვიჩრდილებენ და გვასვენებენ.

ისინი გვანან მდინარეებს,
რომლებსაც ჩვენთან
მოაქვთ სინათლე,
მოაქვთ სითბო
და სილამაზე.

ისინი გვანან მეხამრიდებს და ქარსაცავებს.

*
* *

მე გავიზარდე,
როგორც სივრცე მზიან ამინდში
და შევიცვალე,
როგორც მიწა მიწისძვრის შემდეგ.

გავხდი ძლიერი,
დამებერა სისხლით ძარღვები,
გავხდი თამამი
და თვალები ამევსო შუქით.

ქვეყანა იყო უკაცური და უდაბური,
მაგრამ ლამაზი
და მდიდარი ყველა სიკეთით
მე მქონდა გული —
იმედებით და რწმენით სავსე
და ორი ხელი —
მგრძნობიარე და ღონიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი უხმოდ ასრულებდნენ
ჩემს ყველა სურვილს.
უხმოდ და ზუსტად
ასრულებდნენ ჩემს ყველა სურვილს.

ქვეყანა იყო უკაცური
და ცხელ კლდეებზე
ირეკლებოდა უზარმაზარ მხეცთა ლანდები.

მაშინ პირველად გაიმარჯვეს ჩემმა ხელებმა,
მაშინ პირველად გამამართლეს
და ალბათ მაშინ
გაჩნდა სურვილიც მარადიულ გამარჯვებათა.

მათ ასდიოდათ ახალ ხორცის და სისხლის სუნი.

მე მოვათრევდი მოკლულ ბიზონს
და მაღალ ტყეებს
გადმოეფინა თეთრი მთვარე,
თეთრი და თბილი.

*
* *

ახლაც ღამეა,
წყნარი ღამე...
და სიბნელეში
ჩრდილის სიფრთხილით
დაეძებენ ხელები ხელებს.

მათ აიშენეს ერთი ჭერი,
ერთი საწოლი
და ერთმანეთში გადავიდნენ მარადისობად.

ახლაც ღამეა,
წყნარი ღამე
და სიბნელეში
უკანასკნელი ტრამვაები მიიჩქარიან...

*
* *

მე დამეკარგა შიშის გრძნობა,
ტკივილის გრძნობა
და შენი ნიშნის მოლოდინში ვეკიდე ანძებს,
ვეკიდე კლდეებს და ყინულებს,
ცას და ვარსკვლავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა ირწეოდა...
ხარხარებდა კლდეებში ქარი
და ყინულები მიცინოდნენ ცივი თვალებით...

მაგრამ მე მაინც გავამართლე შენი იმედი
და მაინც ყველგან, ყველაფერზე დავტოვე კვალი
ჩემი ხელების,
შენით სავსე ჩემი ხელების..

*
* *

და მათ დაიწყეს ხიდების და გზების შენება
და ქალაქებით
დაამძიმეს მიწის სხეული
და უამრავი ჩუქურთმებით მორთეს კედლები,
რომ მათ სინაზეს
მოეხიბლე და მოეყვანე.
მერე აღმართეს უმაღლესი სამრეკლოები
და ზარის ხმებით გააბრუეს მთელი ქვეყანა.

*
* *

ის ახლა იწყებს... და მისი ჩრდილი
გადარბის ხიდზე,
აწყდება სვეტებს
და უკვე გაქრა, დასრულდა ძილი,
სადაც ყველაფერს სიზმრები წყვეტენ.

ის ახლა იწყებს... და ღამის ქუჩებს
მოყვება მთვრალი მთვარით და გრძნობით.
აჰა!
აფეთქდა ერთხმად და უცებ,
რაც სულში ჩუმად დაგროვდა წლობით.

*
* *

მე მჯერა მისი.
მე მას ვიცნობ და მჯერა მისი —
ის ამ მიწაზე დაიბადა და გაიზარდა.
და როგორც ყველა ჩვენთაგანი,
ისიც სავსეა
თავბრუდამხვევი სურვილებით
და მძაფრი ლტოლვით.

მას შეუძლია უსასრულოდ უცქიროს ქუჩებს
და სიამოვნებს,
როცა სარკმელს ეხლება ქარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შეუძლია უსასრულოდ უსმინოს წვიმას
და სიამოვნებს
სველი რკინის და ქვების სუნი.

*
* *

ის გრძნობს სხეულზე უამრავ თვალებს,
ცნობისმოყვარე თვალებს და იცის,
რომ ჩვენც მოგვწვდება, და ალბათ მალე,
ცეცხლი, რომლითაც ის ახლა იწვის.

და მეტეორის მხურვალე შიშინს
ღრუბლებში რჩება ნათელი ზოლი
და გავს მიწაზე დაშვების ნიშანს
მშფოთვარე სიზმრით შემკრთალი ცოლი.

მაგრამ ხელები იწევენ მაღლა
და ბრუვდებიან ვარსკვლავთა შხეფით
და ღამის ბინდში გატრუნულ სახლებს
აფხიზლებს ახალ ქარიშხლის ხმები.

*
* *

მან ნახა:
როგორ მოეფარა მზე მაღალ სახლებს,
როგორ გაბაცდნენ მავთულები
და გაჭრნენ ცაში...
და ისევ ფიქრებს დაუბრუნდა,
ისევ ოცნებებს,
როგორც ლოდინით გაფითრებულ იალქნებს ქარი.

*
* *

არის ხელები:
კეთილი და პატიოსანი.
არის ხელები:
ბოროტებით და შურით სავსე.
მე მათი ჩრდილი დავინახე
თქვენს წყნარ თვალებში.
მე მათი ჩრდილი დავინახე
თქვენს სხეულებზე
და თქვენს ფიქრებში...
მათი ჩრდილი, უშნო და მძიმე.

მატარებლები იტვირთება რკინით და ხორცით
და იგზავნება გაურკვეველ მიმართულებით.

ცარიელდება საწოლები
და თეთრ კედელზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩება სურათი
გულუბრყვილოდ მომღიმარ კაცის.

ღამე ივსება:
მოლოდინით,
დარდით
და შიშით —
სიცოცხლის მომტან ალერსის ნაცვლად.

და იარაღის ხმარებას სწავლობს
ხელი, რომელიც ხატავდა გუშინ.

და მკვდარ მეგობარს სამარეს უთხრის
ხელი, რომელიც პურს მკიდა გუშინ.

სისხლის გუბეში
ფართხალებს და ქვებს ეჭიდება
ხელი,
რომელმაც სიყვარული გაიგო გუშინ.

*
* *

ისიც აქ არის
და მის მიზნებს ესვრიან ტყვიას.
ისიც აქ არის
და ნესტიან სანგრის ფსკერიდან,
გამოფიტული და დაღლილი,
უცქერს ვარსკვლავებს.

*
* *

მე მივატოვე ჩემი ჭერი და ჩემი კეკლ̇ი.
მე მივატოვე ჩემი სატრფო, ნაზი და ჩვილი.

ჩვენც გვქონდა ნება
და სურვილი ერთად ცხოვრების.

მე ის დავტოვე ზღვის ნაპირას,
როგორც კოცონი,
როგორც იმედი
მეზღვაურთა და მოგზაურთა.

მე თქვენს ხელებში გადმოველი
მღელვარე სისხლად,
რათა ქვეყანა გამხდარიყო უფრო ნათელი.

ყველაფრის შემძლე გამხდარიყვნენ თქვენი
ხელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

მე კვლავ ავიტან ჩემს ტკივილებს,
როგორც ვიტანდი,
ოღონდ თქვენ შესძლოთ:
მშვიდად ფიქრი,
შრომა და ძილი
და გამრავლება,
ვით თევზებმა და ფრინველებმა.

*
* *

განდევნეთ ნისლი და დენთის ბოლი
და ნაუცბათევ საფლავებზე მთვლემარე ყვავი.
დაუმთავრებელ წიგნის ფურცლებს დავდო
მტვერი...
დაუმთავრებელ სურათებზე გაჩნდა ლაქები...

და როგორც ჩიტი,
ბალიაში გამომწყდეული,
წრიალებს ფიქრი
სიცოცხლეზე და სიყვარულზე.

გაუღეთ კარი!

ის გაგიზრდით სივრცეს და სუნთქვას
და გაგიწმინდავთ სულს და გონებას,
როგორც დერეფნებს ორპირი ქარი.

*
* *

ბრჭყვიალებს რკინა, ცივი და ბასრი,
ირხევა ხიდი და ჩრდილებს იქნევს
და როგორც დენთით გატენილ კასრებს,
სძინავთ სურვილებს, ენებს და ფიქრებს.

მაგრამ ხელები იწევენ მაღლა
და ოთახებში ტოვებენ იმედს
და მათთვის აღარ არსებობს ახლა:
შეუძლებელი,
დამღლელი,
მძიმე.

ოთახში ბრუნავს თუთუნის ბოლი
და ვარსკვლავები კაწრავენ თვალებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქრება სიტყვა: „ალბათ“ და „მგონი“,
და რჩება მხოლოდ: „მართლა“ და „მალე“.

*
* *

ის იყო ყველგან:
ზღვებზე, მთებზე და ვარსკვლავებზე...
და როგორც ყველა ჩვენთაგანი,
ისიც ეძებდა,
ისიც ცდილობდა
და ღამეებს ათევდა თეთრად.

და დილით ცოლი ნახულობდა
სკამზე მძინარეს,
ფერმკრთალს და დაღლილს
და გაჟღენთილს თუთუნის სუნით.

დღეები დღეებს მიყვებოდნენ
და იზრდებოდნენ...
დღეები დღეებს მიყვებოდნენ
და უფრო ახლოს
ჩანდა მიზანი:
დიდებული და საკვირველი.

*
* *

მას გაეღვიძა. მოწყურდა ძილში
და გაეღვიძა. ბნელოდა გარეთ.
შეხედა საათს და ქარის შიშით
გარინდულ კედლებს, ფანჯრებს და კარებს.

მას გაეღვიძა და მასთან ერთად
სურვილებს, მიზნებს,
ვნებებს და ფიქრებს
და ახლა, როგორც დაღლილი ღმერთი,
ბნელში გონებას და ძალას იკრებს.

ჯერ კიდევ დიდხანს ეყოფათ წყალი
სულის სიღრმეში გატოტვილ ფესვებს,
და გულიც ისევ სავსეა ძალით
და ყველაფრისთვის მზადაა დღესვე.

*
* *

და აი, მისი ოცნებებიც...
ისინი ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლადის ჯაგშნით
დედამიწას უვლიან ირგვლივ.

*
* *

საათი რეკავს!
და მთვარის სხივი
ანათებს ქუჩის დარაჯის ხელებს,
რომლებიც თუთუნს ახვევენ ფრთხილად.

საათი რეკავს!
და მთვარის სხივი
ეალერსება მფრინავის ხელებს,
რომლებსაც მაგრად უჭირავთ საჭე.

საათი რეკავს!
და მთვარის სხივში
ხელები ხელებს ეძებენ თრთოლვით,
რათა სიცოცხლე გაგრძელდეს ქვეყნად.

*
* *

შენ მიუძღოდი ჩემს ხელებს ყველგან,
შენ აარიდე ყველა ხიფათი...

და რაც მათ შესძლეს —
შენ გეკუთვნის,
შენი ბრალია.

შენ გქვია ქალი,
გქვია დედა,
სატრფო და ცოლი...

შენ ხარ მშვიდობა,
დასვენება
და მოსავალი...

ჩემი ხელები შენ გხედავდნენ
და გგრძნობდნენ ყველგან
და გაწონებდნენ თავს ახალი გამარჯვებებით.

*
* *

შენ უფრო იცი მათი ფასი
და უფრო გესმის...
შენ ამ ხელებმა გაგანათეს და გაგამდიდრეს,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და ყოველ დილით
იზრდებოდი, როგორც მდინარე
და როგორც ვაზი,
ივსებოდი მათრობელ წვენით, —
სანამ ისინი შენთან იყვნენ,
შენ გეკუთვნოდნენ.

ისინი ახლაც შენ გეკუთვნიან,
შენ გნატრულობენ,
შენ დაგეძებენ —
როგორც გემები ნავსადგურებს,
ჩიტები ბუდეს
და მიწისქვეშა წყაროები გზებს მიწისაკენ,

რათა აგწიონ
მთებზე მაღლა,
ღრუბლებზე მაღლა
და მთელ ქვეყანას
მოეფინოს შენი სინათლე.

11 — 17. VI. 59.

„მკვდრის მზე“.

ნახატი დ. ერისთავისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შაგბერაშვილი

ეკვლის ეზე

ამგავი წუთისოფლის დიდი დღისა

საკილოვი ქვა

სოფელ შუბათს რომ გასცდებით, საურმე ორღობიდან მარცხნივ ერთი ვიწრო, აღმართიანი გზა უხვევს. ამ აღმართს გზა არცკი ეთქმის, უფრო განიერი ბილიკია; ძლევის ქედის სასაფლაოსაკენ მიდის და „გიორგის გზას“ ეძახიან.

გიორგის გზას თუ აივაკებს კაცი, პირველივე საფლავის თავთან ერთ მოზრდილ ლოდს დაინახავს. ეს ლურჯი ლოდი ერთი შეხედვით ძველისძველი, კუთხეებგადალესილი და დამრგვალებული საფლავის ქვა გეგონებათ, მაგრამ თუ გამოიკითხავთ, ან კარგად დაკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს ასე არ არის. ლოდს თავისი თავგადასავალი აქვს და სხვა მხრივ არის დაკავშირებული ამ საფლავთან.

ამ ლოდისთვის ხალხს „თენგოს ლოდი“ დაურქმევია.

ზოგიერთი ძველი შუბათელი ლურჯი ლოდის მივიწყებულ სახელსაც იხსენებს და ამ ლოდს „ხიზამბარელის ქვას“ ეძახის.

გიორგის გზა...

თენგოს ლოდი...

ხიზამბარელი...

გიორგი და თენგო მამაშვილი ყოფილან. ამ სოფელში უცხოვრიათ, ჩვენს დროში. არცერთს არ დაუხუჭავს თვალი ჩვეულებრივი სიკვდილით, საკუთარ ტახტზე. ორივე ამ სასაფლაოზე თითქმის ერთ ადგილას გარდაცვლილა და ახლა, აქვე, ერთმანეთის გვერდით წვანან. შვილი — ადრე, სიკაბუკეშივე დაღუპულა, მამა — გვიან, ღრმა სიბერეში.

თენგოს ლოდს მოლურჯო-მომწვანო ფერიმეპაველა თუ ხავსის მინაგვარი ხაო მოსდებია და ოდესღაც გულდაგულ გამოყვანილი წარწერა დაუფარავს. ასოები ალაგ-ალაგ ჩანს, მათი უმრავლესობა ამოცვეთილი და გადალესილია, ზოგი დროის, ზოგი კაცის ხელით. მხოლოდ ერთგან დაკვირვებული თვალი ძლივს ამოიკითხავს ორ ერთმანეთზე მიჯრილ სიტყვას: — „სიკვდილითა სიკვდილისა“...

ვინ იცის, ოდესღაც ვისი სამარის ტაგრუცი იყო ეს ტყვიასავით მძიმე ლოდი. იქნებ აქვე მდგარი ძველი, ჯვარწამტვრეული საყდრის ამშენებლის სულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავედრებელი ქვაც არის, დროთა ბრუნვაში კედლიდან ძირს ჩამოვარდნილა.

როგორც ჩანს, ეს წარწერიანი ქვა ყამთასვლაში ღონის საცდელ სავაჟკაცო იარაღად ქცეულა.

მძიმე ქვის აწევის სპორტი ძველ საქართველოში ძალზე გავრცელებული ყოფილა. ასაწევად სხვადასხვა მოყვანილობის და სიმძიმის ლოდებს იყენებდნენ, უმთავრესად მრგვლად „გამოკვერცხილ“ ქვებს და მათ საჯილდაო ან საფალავნო ქვებს ეძახდნენ.

ჩვენ დრამდე მოღწეულ საჯილდაო ქვებს წარწერები არა აქვთ. თუ ოდესმე ექნებოდათ, წარწერაც შესაფერისი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით ისეთი ნოყლე და სხარტი, როგორიც ძველად თუნგიან ყანწებს ამშვენებდა: „ვინც დამცლის, ამისი ვარ“... საფალავნო ლოდზეც ორიოდე სიტყვა უთუოდ იქნებოდა: „ვინც ამწევს“... ან „ვინც ასწევს... მიიღოს ჯილდოთა“... და სხვა.

ჭმნდა თუ არა საჯილდაო ქვებს ასეთი წარწერები, ამას ჩვენი მოთხრობისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ეს წილადობილა გვაიძულა ძლევის ქედის ლურჯი ლოდის ერთ გვერდზე შერჩენილი ძველი წარწერის უცნაურმა ნაწყვეტმა: „სიკვდილითა სიკვდილისა“...

ასეთი წარწერა საჯილდაო ქვას არ შეეფერება და სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს ლოდი, სანამ მას საფალავნო ქვად გამოიყენებდნენ, სხვა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო.

მაგრამ დავეხსნათ ამ წარწერას... ჩვენი ამბავი ამ წარწერიანი ლოდის გარშემო ტრიალებს და ალბათ მკითხველი ისედაც შესძლებს სტრიქონთა შუა მის ამოკითხვას.

ძლევის ქედის საჯილდაო ქვა თავისი სიდიდითა და სიმძიმით განსაკუთრებულია. მას შეიძლება ეწოდოს „დედა ლოდი“ საქართველოს სხვა ადგილებში შერჩენილი საჯილდაო ქვებისა.

სოფელ შუბათში, მის ახლომახლო სოფლებსა და საერთოდ ქართლში, ასახელებენ მხოლოდ ორ კაცს, ვისაც ამ ქვასთან შეჯიდებით სახელი მოუპოვებია.

ერთი ყოფილა ნოსტელი კალატოზი, გვარად ხიზამბარელი. სახელი მისი აღარავის ახსოვს. მას ამ ასი წლის წინათ უსახელებია თავი.

დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ამ სავაჟკაცო ქვის აწევის დროს დაღუპულა შუბათელი ჭაბუკი თენგო კობაიძე.

თენგო კობაიძის სიკვდილმა ხიზამბარელი ხელახლა გააცოცხლა; ჩვენი დროის ჭაბუკმა ხელი გაუწოდა დავიწყებულ გოლიათს და ფეხზე წამოაყენა...

ლურჯი ლოდი თენგო კობაიძის საფლავთან ძეგლივით არის აყუდებული. გიორგის გზაც ამ ლოდთან წყდება...

ახლა, როცა შუბათში გიორგის და თენგოს გაიხსენებენ, ხიზამბარელის ამბავსაც მოჰყვებიან ხოლმე. მე კი ხიზამბარელის ამბავით დავიწყებ.

ᲮᲘᲖᲐᲛᲑᲐᲠᲔᲚᲘ

ასი წლის წინათ, როცა შუბათის დანგრეული საყდრის შეკეთება დაუმთავრებიათ, თავად თარხნიშვილს თავი გამოუდვია და აღდგენილი ეკლესიის ეზოში დიდი წვეულება გაუმართავს. თითქმის მთელი ქართლის თავად-აზნაურობა და რჩეული გლეხკაცობა დასწრებია ამ უჩვეულო დღესასწაულს.

ნაპურმარილევი ახალგაზრდობა ლხინისა და ჭიდაობის გუნებაზე დამდგარა. სანამ საჭიდაო წრე შეიკვროდა, ახალგაზრდობა საჯილდაო ქვეს მისწვდა ღონის საცდელად და მოედანზე გამოშლილი დიდკაცობისა თუ ქალიშვილებისათვის თავის მოსაწონებლად.

თვითონ თარხნიშვილს უკისრია მსაჯულთა უფროსობაც და გამარჯვებულთა დაჯილდოებაც.

დათქმული პირობის თანახმად, ვინც ლოდს ოდნავ მაინც ააცილებდა მიწას, ან როგორც შუბათელი ბერიკაცები იტყვიან — „ქარს გაუტარებდა“, ხუთი ვერცხლით უნდა დაჯილდოებულიყო.

ვინც ლოდს მუხლებამდე ასწევდა, ერთ მუჭა ვერცხლს უბოძებდნენ, ხოლო ვინც მკერდამდე აიტანდა, ვერცხლით ქუდის ავსებას ჰპირდებოდნენ.

საჯილდაო ქვის თავზეკით აწევაზე ან აღკაზმული ცხენის უნაგირზეკით გადაგდებაზე ხომ არც არავინ ფიქრობდა. მსაჯულთა აზრით საქართველოში ასეთი ფალავნები უკვე აღარ იყვნენ, ისინი დიდიხანია შუბათის ეკლესიის გალავანში ძველთაძველ ქვებქვეშ იწვნენ და მათ ვერავინ გაეჯიბრებოდა.

მსაჯულნი ამას ამბობდნენ, მაგრამ სეირობისა და მასპინძლობის მოყვარულმა, უკვე კარგად შეზარხოშებულმა თარხნიშვილმა დაიკონა, თეთრი ცხენი შეაკაზმინა და მოედანზე გამოაყვანინა.

— არ იცით, მადა ჭამაში მოდის, — ღიმილით თქვა მან, — თუ ისეთი ვაჟკაციც გამონჩდება, ვინც საფალავნო ლოდს უნაგირზე გადაადგებს, ცხენიც ამისთვის მიჩუქებია და უნაგირიც!

ძველმა შუბათელებმა ეშმაკურად ჩაიღიმეს, თავადი ნასვამია და მასხარად გვიგდებსო, მაგრამ სიტყვა სიტყვა იყო და თვალიც კარგად ხედავდა: კოხტად აღკაზმული ქურანი ცხენი ორ ჭაბუკს სადავით ეჭირა; ბიჭებს ნაბდის ქუდები მოეხადათ და ცხენისთვის თვალებზე დაეფარებინათ, რომ არ დამფრთხალიყო და ხალხი არ გაექელა.

ლურჯი ლოდის მახლობლად ერთი მომცრო, მრგვლად გამოკვერცხილი საჯილდაო ქვაც ეგდო. თავისი მუშტარი ამ ქვასაც ჰყავდა. წვრილფეხა ახალგაზრდობა მთავარი შეჯიბრების დაწყებამდე ამ მცირე ლოდს მისეოდა და ღონეს სცდიდა.

შეჯიბრის მონაწილენი თანდათან ეშხში შედიოდნენ. მოედანზე თანდათან ტანსრული და დაღვინებული ჭაბუკები გამოდიოდნენ, რომლებსაც თვალი და ბული ლურჯი ლოდისკენ გაურბოდათ, ერთიორმა ბეღიც სცადა, მაგრამ ჯერჯერობით ლოდქვეშ „ქარის გამტარებელიც“ კი არსად ჩანდა. ამაოდ ჩალიჩობდნენ ჭაბუკები...

გალავანზე შემჯდარმა ხუმარა ქონდრისკაცმა წვრილი ხმით დაიძახა: ბიჭებო, ტყუილად წელს ნუ მოიწყვეტთ, მაგ ლოდის ამწეველი ბიჭი აკვანში დავტოვეო...

ნოსტელი ხიზამბარელი შორიახლო მდგარა, მჭიდროდ შეკრული წრის უკან. ამ ხუმრობაზე მასაც ღიმილი მოსულია და წინ წამოწეულა.

ოდნავ შეზარხოშებულს ჯერ სამუშაო ფეშტამალი არცკი გაეძრო. ეგ არი ქაფჩა არ ეჭირა ხელში, თორემ საყდრის ხარაჩოდან ახლადჩამოსულს ჰგავდა. კოშკის გოდოლივით ტანჩადგმული და ბეჭგანიერი მშვიდად დაჰყურებდა ლოდთან შეჭიდებულ ჭაბუკებს. იცოდა, მალე აქ ჭიდაობა გაიმართებოდა და საყურებლად მოსულიყო. სამი თვის მუშაობით და ხარაჩოზე დგომით მოქაცულს ფიქრადაც არ მოსულია ან ამ ლოდს შებმოდა, ან ჭიდაობაში ეცადა ბედი.

ყველაზე მეტად ერთი გაღმამხრელი ვაჟკაცი ჩალიჩობდა. ტანმორჩილი, დაბრგე ოყო, ღონიერი მკერდი და მკლავები ჰქონდა... ლოდს აღარ ეშვებოდა ერთხელ, ჰა და ჰა, კოჭებს აიცილა კიდეც, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო.

გაღმამხრელს ქომაგად თავადი ამილახვარი ჰყავდა, აქეზებდა და აგულიანებდა... მაგრამ გაღმამხრელმა ლოდისთვის „ქარის გატარება“ იკმარა. ალბათ მეტი არც შეეძლო და არც მეტოქის გამოჩენის შიში ჰქონდა.

თავადი თარხნიშვილი თავის ყმებთან მივიდა და შეუტია:

— ჰაი, თქვე ქონდრისკაცებო, ერთმანეთს რას ეფარებით, ჯილდო გაღმამხრელ კაცს როგორ უნდა გაატანთო!

უცებ მან წრის უკან თვალი მოჰკრა ხიზამბარელის გაფშეკილ ქოჩორს და შემღვრეულ თვალებს და ხელი დაუქნია.

— სიკვდილსაც დავიწყებიხარ, ხიზამბარელო!

ხიზამბარელმა ხალხი მისწი-მოსწია და წინ წამოდგა. ხალხმა ახოვანი ვაჟკაცის დანახვაზე უკან დაიხია. ხიზამბარელი დარცხვენილი იდგა, თითქოს დანაშაულზე დაიჭიროსო. ვერ ბედავდა, ყოყმანობდა, ხან ლოდს გადახედავდა, ხან იქვე მსხდარ ღონენაცად ახალგაზრდებს გადაავლებდა თვალს, თითქოს მათ გულმკერდსა და მკლავებს ზომავდა.

თარხნიშვილმა იმედიანად შეავლო თვალი თავისი კალატოზის მხარბეჭს. „ხიზამბარელო, აგავსებ თუ შერცხვენისაგან დამიხსნიო“ — მიაძახა და ხალხს გადახედა. ყველა განაბულიყო სეირის საყურებლად, ყველას ცნობისმოყვარეობით დაბრეცოდა სახე. წელზევით გაშიშვლებულ, ტანაწითლებულ გაღმამხრელ ბიჭს წრის ნაპირას ცალ მუხლზე ჩაეჩოქა, ავად და გამომწვევად გასცქეროდა ანაზდეულ მეტოქეს.

კალატოზი ლოდს მიუახლოვდა, კირით მოთხვრილ ფეშტამალზე დიდრონი კალოს საქცევი ფიწლისოდენა ხელები ჩამოისვა, მერე თარხნიშვილს შეხედა, ჩაიცინა და დაიხარა. განდაგან შემოხვია მკლავები, მაშინვე დასძრა, მაგრამ ვერ აიტანა, უხეშ, დაკორძებულ ხელებშუა გაუსხლტა ლოდი.

— დონდლო ყოფილა ხიზამბარელი, ვერ ასწევს!

— მუშტა ქვა ნუ ეგონება კალატოზსა!

— კინაღამ ფეხზე დაეცა!...

— ვერ ასწევს!

თარხნიშვილი გარს უვლიდა ლოდთან შეჭიდებულ ვაჟკაცს, მათრახს ატკაცუნებდა და თავს დასჭყიოდა, ამხნევებდა.

ახლა მეორე მხრით მიუდგა ხიზამბარელი ლოდს, ხვნეშით გადაადგრუნა და თავბოლოს გაუწვდინა უშველებელი მკლავები. ასწია და კვნესაც ამოხდა. მუხლისთავებს მისწვდა ლოდის მარჯვენა თავი... შებარბაცდა ლოდი, ცოცხალივით შეტორტმანდა, ისევ მიწას დაენარცხა. ხიზამბარელიც შებარბაცდა და ლოდთან დაღლილი ხარივით ჩაიჩოქა. ჩაიჩოქა და თავი დარცხვენით ჩაქინდრა.

— ასწია, ასწია!

— აჯობა გაღმამხრელსა, აჯობა!

— ვერა, ვერ შეიმაგრა, ვერ აჯობა!

ხალხი გუგუნებდა, ერთმანეთს ედავებოდა, ზოგი ხიზამბარელს ეშჩროობდა, ზოგი გაღმამხრელს.

— გაღმამხრელმა ნაკლებზე ასწია, მაგრამ სუფთათ ასწია! — დაიძახა ვიღაცამ.

არავინ იცოდა რას ფიქრობდა ლოდთან დაჩოქილი ვაჟკაცი. იქნებ მართლაც მეტი ღონე აღარ შესწევდა და თავის დანებებასაც აპირებდა, მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი ამბავი, რამაც თავი ააწევინა და გამოაფხიზლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ძახილით გამხნევებული გაღმამხრელი ლოდთან მიიკრა და გაოგნებულ კალატოზს შიგ ყურში დაცინვით ჩასძახა:

— ქაფჩით ასწიე, კალატოზო, შენი ქაფჩითა!

თარხნიშვილმა გაღმამხრელი ბიჭი მაორახით იფრინა, მერე ხიზამბარელს წამოდგომა უბრძანა: წელი არ მოიწყვიტო, გეყოფა, ამ ავყია გაღმამხრელს ნომ აჯობეო... მაგრამ კალატოზს ზემოთ არც კი აუხედავს; არც არაფერი უთქვამს. თითქოს თავადის ხმა არც გაეგონოს, მუხლებზე დავარდნილი ჩუმი ხვნეშით იბრუნებდა სულს.

ხალხი ხმაჩავარდნილი დაჰყურებდა ლოდის წინ დაჩოქილ ვაჟკაცს. აღარც თარხნიშვილი იღებდა ხმას. ყველა რაღაცას ელოდა...

ხიზამბარელი უცებ შეიძრა, ეგრევე დაჩოქილი, სულ ახლოს მიუჩოჩდა ლოდს, მუხლისთავები ლოდის ძირს მიაბჯინა, მკლავები ახლა ზემოდან გადაავლო, მუხლებზე გადმოიწვინა და დიდი ვაივაგლახით, ლოდიანად წამოდგა. წამოდგა და წელში გაიმართა. რამდენიმე წამს მუხლებზემოთ ეჭირა ლოდი და ისევ თავჩაქინდრული, შიშითა თუ გაოცებით დაჰყურებდა.

— შეგრჩეს მარჯვენა, ხიზამბარელო! — წამოიძახა გახარებულმა თარხნიშვილმა.

ყველას ეგონა, ამ სიტყვების შემდეგ, გამარჯვებული ვაჟკაცი ლოდს მიწაზე დაადგებსო, მაგრამ ხიზამბარელი არ ჩქარობდა, თარხნიშვილს თვალით რაღაცას ანიშნებდა, ჯიშიანი კბილები ერთმანეთზე ისე მაგრად დაებჯინა, თითქოს ლოდი კბილით უჭირავს და ხმის ამოღებისა ეშინიაო.

— ცხენი!.. — წამოიძახა უცებ თარხნიშვილმა. — ცხენი მოიყვათ!

ხალხს გაოცების ამოძახილი აღმოხდა.

ბიჭებმა აღკაზმული ცხენი ნაბიჯით შემოიყვანეს მოედანზე და ხიზამბარელის წინ დაიყენეს.

თარხნიშვილმა ხელი ასწია. ხალხს ანიშნა. ხალხი გაინაბა, ყველამ სუნთქვა შეიკრა. ჩამოვარდა სიჩუმე. მხოლოდ ხიზამბარელის ქშენა ისმოდა. ეს უცნაური სიჩუმე და იქვე ყურის მახლობლად ატეხილი მძლავრი ქშენა თვალებდაბრმავებულ ცხენს აკრთობდა და აძაგძაგებდა, იდუმალ შიშსა ჰგვრიდა. გაკაკვებული თავის გაქნევას ცდილობდა, წინა ფეხს მიწას სცემდა და წყენით ფრუტუნებდა, თითქოს გრძნობდა, ჩემს თავს რაღაც უცნაური ხდებაო.

ხიზამბარელმა ოდნავ დაიწია, დადაბლდა, ლოდს ქვემოდან შეუდგა, მხარიც მიაშველა, ასწია, ცხენის ზურგს ააცილა, უკანასკნელი ღონით ამოიქშანა და ლოდი ცხენზეკით გადაადგო. ცხენმა დაუნაგრებელი წელი უნებურად დაბლა დასწია, თითქოს ქარის მოძრაობით იგრძნო, რომ ზურგზე რაღაც მძიმე გადაეკარ.

მიწა შეზანზარდა, ხალხმა თავისუფლად ამოიგმინა და ახმაურდა. ცხენმა დაიჭიხვინა, ისკუპა, ხალხი გაარღვია და ბიჭები მოედნდნენ გაიტაცა.

თარხნიშვილი პირველი მივიდა გაოგნებულ ხიზამბარელთან და მიაძახა:

— ფრთხილად, ვეფო, ზარალი მაკმარე, ამ ახლად აშენებული საყდრის თაღები არ ჩამოიქცეო!

გაფითრებული ხიზამბარელი სიხმარში წასულივით იდგა და უცნაურად იღიმებოდა.

ხალხი ამილახვარმა გამოარღვია, გამარჯვებულს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ხიზამბარელო, მართლაც ვაჟკაცი ყოფილხარ, მარჯვენა გიკურთხოს ღმერთმა... რაც გინდა მთხოვე!

7718

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი თხოვნა ის იქნება, საჭიდაო დააკვრეგინოთ და თქვენი ყმა გამოგიგზავნოთ, წელან ჩემი ქაფჩა აუგად რო ახსენა... — პირქუშად თქვა ხიზამბარელმა და იქვე მდგარ მეზურნეებს დადაელო გასისხლიანებული თვალები.

ამ სიტყვებზე ამილახვარს წყენის ალმუმმა გადაუარა. მაგრამ არ შეიმჩნია, თავი დაუქნია და განზე გადგა.

გაისმა ზურნის გამაყრუებელი ჭყვიტინი და დოლის ბრაგუნი. ისევ შეიკრა დაშლილი წრე. გაღმამხრელს დიდი თხოვნა არ დასჭირებია, თავმოყვარე ბიჭი გამოდგა. უმალ გადაიცვა საჭიდაო ჩოხა და წრეში ღიმილით გამოვიდა.

თვალები კი უღიმოდა, მაგრამ ლოყები თოვლივით გასთეთრებოდა. ვინ იცის რას ფიქრობდა. იქნებ იმედიც ჰქონდა, დაღლილ ხიზამბარელს ახლა მაინც ვაჯობებო. ალბათ მიუხვდნენ კიდეც, ერთმა წამოიძახა:

— ხალხო, ხიზამბარელი დაღლილია, ნუ აჭიდავებთ!

— დავასვენოთ, დავასვენოთ!..

მაგრამ მოჭიდავეები უკვე ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. კიდეც ვიღაცამ დაიძახა ხალხიდან:

— საჯიდაო ქვის აწევა ვაკმაროთ, არ გაგვილახოს მაგ ყიმაყრალმა!

თარხნიშვილი ყოყმანობდა, დაქანცული ხიზამბარელიც ებრალებოდა, თავისი თავიც: სეირისათვის სული მისდიოდა.

მაგრამ მის თვალწინ ერთ ამოსუნთქვაში საოცარი ამბავი დატრიალდა... ხიზამბარელმა ხელის ჩამორთმევისთანავე ღონივრად ჩაბღუჯა თავისი მეტოქე. მარცხენა ხელით იღლია გაუკავა, მარჯვენათი ასწია, ფეხები მაღლა უქნა და ასე თავდაყირა ატატებული მაღლა ასწია. გაღმამხრელი ფეხებს იქნევდა, თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. გავეშებული კალატოზი დათვივით ბუხუნებდა; გაღმამხრელი ბიჭი მძიმე ლოდის მერე ბურბუშელასავით მსუბუქი ეჩვენებოდა. ცალი თვალით დაბლა იყურებოდა, თითქოს დასანარცხებელ ადგილს არჩევსო.

თარხნიშვილს მაღლა აწეული მათრახი ხელში გაუშეშდა, თვალს არ დაუჯერა..

ხიზამბარელმა თავისი მსხვერპლი ჰაერში უცებ შეატრიალა, ფეხზე დააყენა და ხელი შეუშვა.

ხალხი ხან ხიზამბარელს შეხედავდა, ხან თავბრუდახვეულ გაღმამხრელს, რომელსაც ჭირის ოფლი სდიოდა... ყველა მიხვდა, კეთილმა კალატოზმა სამუდამოდ თავმოსაჭრელად ვერ გაიმეტა ისედაც შერცხვენილი მეტოქე.

მაგრამ ხიზამბარელს თითქოს სხვა რაღაც აწუხებსო, წრიდან არ გადიოდა, შერცხვენილ ბიჭს უცნაური ღიმილით თვალიერებდა. ბოლოს ხმადაბლა უთხრა:

— ბიჭო, შენ რომ არ გაგემწარებინე, ამ ლოდს რა ამაწევინებდა?

უთხრა და ლუარჯ ლოდს გაოცებით დახედა. ხალხიც ლოდს დააშტერდა. თითქოს ახლაღა დაინახეს პირველად...

უძრავი და ცივი ლოდი მყარად ჩამჯდარიყო მიწაში. მძიმედ და პირქუშად იდო მოედნის პირას. თითქოს არც არავის დაეძრა დღეს. ალბათ, კიდევ ას წელს უნდა გაეცლო, რომ მისი ამწევი გამოჩენილიყო.

ან იქნებ, იმ ხუმარა ქონდრისკაცის თქმისა არ იყოს, იმქამად ის გოლიათი ბართლაც აკვანში იწვა და თოთო ხელებით აკვნის კამარაზე ჩამოკიდებულ ღინჯილებს ეთამაშებოდა.

დაღუმებული ხალხი გრძნობდა, რომ დღეს მის თვალწინ რაღაც უჩვეულო და უცნაური მოხდა და ამის მიზეზი მარტო გამარჯვებული ხიზამბარელი არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

თარხნიშვილმა კაკლის ქვეშ გაშლილი სუფრა გააახლებინა და სპასტიო სტუმრები მიიწვია. ორი-სამი წუთის შემდეგ ხიზამბარელსაც მიუვიდა მოპატიჟე: ქუდი მოხადა და უთხრა, თავადი გბარებსო.

კალატოზი უწადინოდ შეიშმუშნა, ქუდს თვალი გააყოლა, ნაბიჯი გაუბედავად გადადგა. შეჩერდა... ისე შემოესმა, თითქოს ვიღაცამ დაუძახა. მიიხედ-მოიხედა, არავინ ეძახდა. ისე, თავისთვის საუბრობდნენ გლეხები.

— ქუდი ჩამოართვეს ვერცხლისთვისა...

— ვითომ ცხენსაც გაიმეტებს?..

ხიზამბარელს ეს სიტყვები არ ესმოდა, ჩაფიქრებული იდგა. არ იცოდა რაზე ფიქრობდა, სად მიდიოდა, ვინ მიიპატიჟა, ქუდი რად მოხადეს. გაოგნებული იდგა. გახურებული გული დამცხრალიყო, კუნთები მოშვებოდა.

— რა ფეხს ითრევს, — ამბობდნენ გაოცებული გლეხები. — ეძახიან, მივიდეს და მოილხინოს...

— გაშტერებულივით დგას. რაღაც უგუნებოდ შეიქნა.

— გუნება რაღამ გაუფუჭა, რაც უნდოდა, შეისრულა... ვერცხლი არა ჰქონდა და იშოვა. ცხენი არა ჰყავდა და ჰყავს. მაგის სახელი ქაფჩაზე დაეტეოდა და... მოიხვეჭა. მეტი რაღა უნდა კაცის გუნებასა, ნატვრა შეისრულა...

— ნატვრაშესრულებულ კაცზე უბედური ქვეყანაზე არავინ არი. ცხოვრება ნატვრაა... შესრულების შერე რაღა უნდა აკეთოს, სანატრელი რაღა უნდა ჰქონდეს?.. იჯდეს და ჭამოს?!.

ღობის გადაღმა სოფლის ბიჭები ისხდნენ და მალულად უთვალთვალებდნენ მდინარეზე მობანავე მოხუცს. გუშინ მათ გვალვისგან თითქმის დამშრალი ხეგისწყალი შეაგუბეს, რომ დილაადრიან თბილისიდან ჩამოსულ სტუმართან ერთად ებანაეთ, მაგრამ მოტყუვდნენ, მათზე ადრე ამ მყუდრო ადგილს სხვა დაპატრონებოდა.

თბილისელ სტუმარს ტოლები „ნინოს ბიჭს“ ეძახდნენ, რაც იმას ნიშნავ-და, რომ ამ ყმაწვილს მამა არ უნდა ჰყოლოდა. დედის სახელით შუბათურებ-მხოლოდ ქვრივის შვილებს იხსენიებენ.

სხვებთან ერთად ნინოს ბიჭიც მოუთმენლად ელოდა ბერიკაცის წასვლას.

ბერიკაცი კი არ ჩქარობდა, მორევს ზემოთ ჩქერალზე გალაჯულიყო და წელზევით გაშიშვლებული გრილაობდა. სიამეს ჰგვრიდა უმძრახი წყლის შხეფები. მზემოკიდებულ ყელყურს და სახეს ტლანქი, დახეთქილი ხელისგულებით შეუბრალებლად ისრესდა, წყალს პეშვით იჩქაფუნებდა გაჟაღარავებულ მკერდსა და დაძარღვულ მკლავებზე, ოფლისაგან გამომწვარ იღლიებში. წყალს პირში იგუბებდა, ყელში ივლებდა. არ ეშვებოდა, წელში მოხრილი დასიცხული ხარივით ქშინავდა.

ჯერ ისევ სუსხიანი დილა იყო, ხევზე გადმოხრილი ძლევის ქედიდან მზეს არ გადმოეხედა, მაგრამ ბერიკაცს გამოცდილი ჰქონდა: დილით ბანაობის შემდეგ მთელ დღეს მხნედ იყო და კარგად მუშაობდა. ეს დღე კი მისთვის გადამწყვეტი იყო.

— არ ეშინია, დილის წყალმა რომ დასცადოს და გაცივდეს? — იკითხა ერთმა ბიჭმა.

— მაგას რა გააციებს, ლორივით არი გამოყვანილი...

— ეგეც არ იყოს, მაგას გაციებისა კი არა, სიკვდილისაც აღარ ეშინია, საიქიოშია ნამყოფი!

ღობის იქით შეკავებული სიცილი და გოიცების წამოძახილი გაისმა.

— ჩუ... არ გაგიგონიათ?.. ეგ ბერიკაცი ერთხელ უკვე მომკვდარა.

— როდის?

— როგორ თუ მომკვდარა?!

— ჩვეულებრივად... გულზე ხელები დაუწყვია, გაუჭიმავს ფეხი და მომკვდარა. მერე ღიადდარჩენილი თვალებიც დაუხუჭავთ და...

— ყველაფერი შენმა კვიმატმა ენამ უნდა თქვას. შუბათში გავიზარდე და ეგ არ გამიგონია. კარგი ერთი, თუ ძმა ხარ!

— თუ ჩემი არა გჯერა, წადი და შავდათუას ჰკითხე.

— შავდათუა ვიღაა? — იკითხა ნინოს ბიჭმა.

— მაშ მე დამიჯერე, თვითონ შავდათუასაგან გამიგონია...

— შავდათუა ამ ბერიკაცის ძმაკაცი იყო, შარშანწინ დამარხეს.

— კარგი მოწმე გყოლია.

ღობის იქით ისევ გაისმა სიცილი.

— არა გჯერათ — არ გიამბობთ, რა მრჯის, ვიჯდები ჩემთვის.

სიჩუმის შემდეგ ისევ ნინოს ბიჭმა იკითხა:

— დაუმარხავთ კიდეც?

— აი ეს გამიჩუმე და წვრილად გიამბობ...

ღობის იქით სიჩუმე ჩამოვარდა, ერთხანს ხმელი ბალახის ფაჩუნიც არ ისმოდა. მერე ისევ გაისმა იდუმალი ხმა:

— ეს ამბავი ადრე მომხდარა, ჩვენ მაშინ მოგონილიც არ ვიქნებოდით... შავდათუა რამდენიმე დღით თბილისში ყოფილა წასული. რომ დაბრუნებულა, გაუგია, გიორგა მოკვდაო. ძალიან სწყენია, მაშინვე შავი სატინის ხალათი ჩაუცვამს და ოჯახში სამძიმრისთვის მისულა. მიცვალებული ოთახის შუაში, გრძელ ტახტზე ყოფილა დასვენებული. თავიდან ფეხებამდე ნაბადი ჰქონია გადაფარებული. შავდათუა შესულა თუ არა, ატირებულა. ტირილით გული რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯერებია, ნაბადი გადაუხდია და სახეზე დაუხედავს, დაუხედავს და თვალი ველარ მოუწყვეტია...

— უყურე! შეუტყვია?

— ჰო... შეუტყვია და კაცებისთვის ჩუმად უთქვამს, გიორგას სიკვდილი არ მეჯერა და არც არი მკვდარია... კაცებს სიცილი წასკდომიათ...

— რაზე შეუტყვია, ნეტავ?

— თვალი ჰქონია შავდათუას ისეთი, ისეთი, რომ... აი, კატასავით თვალი ჰქონია. დარში და ნათელში ღიაფერის, ავდარში და ბნელში მუქი და კუნაპეტი... უცნაური თვალი ჰქონია. ერთი სიტყვით, შეუტყვია. მერე შავდათუას მიცვალებულის ცოლი ხახატო და აცრემლებული თენგო ბიჭი თავის სახლში გადაუყვანია და მეზობლებისთვის სამი ურემი რიყის გრილი ქვაშა მიუზიდინებია. მიცვალებული მიწურ იატაკზე დაუწვენიათ. გაუხდიათ და ეგრეევე შიშველი გულალმა დაუწვენიათ. მერე ის სველი ქვაშა სულ ზედ მიუყრიათ, მხოლოდ ცხვირპირი დაუტოვებიათ ჰაერზე... გრილ იატაკსა და სველ ქვიშას თავისი უქნია და გიორგას იმავ საღამოს უუყეტია თვალები.

— ალბათ საღათას ძილით ეძინა...

— არავინ იცის. ეს კია, იმ დღეს კუბოში უნდა ჩაეწვინათ და მერე, ჰაიდა!

ბიჭები ისევ გაჩუმდნენ. ყველა ამ უცნაურ ამბავზე ფიქრობდა. მერე ნინოს ბიჭმა ჩურჩულით თქვა:

— მაგ ბერიკაცს ორი სიცოცხლე ჰქონია გამოვლილი.

— სიკვდილი რად გავიწყდება?.. ერთი სიკვდილი და ორი სიცოცხლე!

— ჯერ მეორე სიცოცხლე არ დამთავრებულა... როცა დამთავრდება, სიცოცხლეც დაუწყვილდება და სიკვდილიც.

— მაგისმა თენგომ კი ერთი სიცოცხლეც ვერ მოასწრო...

— ბიჭებო, თენგოს ამბავს როდისღა მიამბობთ? — იკითხა ნინოს ბიჭმა.

— თენგოს ამბავი მაგ უბედური ბერიკაცის ამბავიც არი... ბანაობის შემდეგ ძლევის ქედის სასაფლაოზე ავიდეთ, ამბავსაც გეტყვი და თენგოს ლოდსაც გაჩვენებ.

ნინოს ბიჭი წამოდგა, ბიჭებს გაშორდა და ღობეს გადაეყუდა.

— საკვირველია, — თქვა ერთმა ბიჭმა ხმადაბლა, — ნინო ხომ აქაურია და რატომ აქამდე არ უთქვამს თავისი შვილისთვის თენგოს ამბავი?

— არ იცი, რომ დაუმალავდა?!. ნინო თენგოს საცოლე ყოფილა, მერე კი...

მოლაპარაკე გაჩუმდა და სხვებსაც ანიშნა. ნინოს ბიჭი ღობეს მოსცილდა და მთკენ წამოვიდა.

ბერიკაცმა ფეხებიც დაიბანა, ღაზლის წინდები ჩაიცვა, რეზინის ძირებიან წუღებში გაჰყო და წამოდგა... მაგრამ წასვლას მაინც არ აპირებდა, წელზე ქამარს იკრავდა, თან ამომავალ მზეს გაჰყურებდა, თვალები მოეუტა. იქნებ მზეს არც გასცქეროდა, იქნებ მის ამოსვლას ვერც ამჩნევდა თავის ფიქრში წასული. ბდღვრიალა მზე სახეზე მისდგომოდა და ჭადარა თმა-წვერს უბეჭყვრიალებდა.

სასიამოვნო იყო დილის ცივი წყლით გაგრილების შემდეგ ამ თბილ ბურუსში გარინდება და დავიწყება. დავიწყება თუ გახსენება...

— ახი არ არი, ერთი მაგრა დავეჭყიეოოთ და გამოვაღვიძოთ! — წამოსცდა ვიღაცას ღობის იქით.

მზეში გარინდულ ბერიკაცს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს მართლა ეძინა, თვალები მოეხუჭნა და ცხენივით ფეხზე მდგომს ეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღობის იქით ვიღაცამ ცხვირი რამდენჯერმე განგებ დააცემინა.

ბერიკაცმა თვალი უცებ გაახილა და შემკრთალმა მიმოიხედა. მერე დაიკუზა, იქვე მიგდებული ბარი აიღო და მხარზე გაიდო.

— ახლა კი პირდაპირ სასაფლაოსკენ გასწევს!

— სასაფლაოზე რაღა უნდა?

— გზა გაჰყავს...

— გზა?...

— მადლობა ღმერთს... გვეშველა.

— ფუჭ, მაგის ფეხის ნაბანში არ შეისვლება!.. სხვა რომ არა იყოს რა, მორევი სულ თეთრი ბალნით იქნება სავსე...

— ზევით ჭალაში ავიდეთ, იქაც ვიცი კარგი საბანაო ადგილი.

— მეც ვიცი, წავიდეთ!

ბიჭები სათითაოდ გადმოხტნენ ღობეზე და ყიჟინით აჰყვნენ ხეობას. ნინოს ბიჭმაც გადმოალაჯა ღობეს... დაფიქრებული მდიოდა ჭალაში, ხმამაღლა უსტვენდა და უცნაურ ბერიკაცს შორიდან უთვალთვალებდა.

*
* *

ყოველთვის, როცა გაზაფხული დადგებოდა და გიორგი ამ ჭალაში გაივლიდა, უდროოდ დაღუპული შვილი ახსენდებოდა.

ბუნება ზანტად, ზმორებით იღვიძებდა, მიწა ფუვდებოდა, ჰაერში ოხშივარავარდნილი მიწის სუნი ტრიალებდა. შეუმჩნევლად მწვანდებოდა ბალახი, იკვირტებოდნენ შიშველი ხეები. ისმოდა ჩიტების ხალისიანი ჟივილ-ხივილი.

განსაკუთრებით ამ დროს გრძნობდა თავის უბედურებას ბერიკაცი, ამოოხრებდა და გაიფიქრებდა:

„რა იქნებოდა მასაც ეცოცხლა, ესვა ამ მიწის წვენი, ეჭამა ამ მიწის პური“.

„ახლა ოცდაშვიდის იქნებოდა..“

„ახლა ოცდაცხრაში გადადგებოდა..“

„ახლა ოცდაცამეტის..“

„ახლა?..“

თითებზე ითვლიდა წლებს. თითები აღარ ჰყოფნიდა. დრო უკანმოუხედავად მიჰქროდა. ზოგჯერ საათვალავი ერეოდა, თავს იმტვრევდა...

ამ გაზაფხულზე კი ბიჭს უკვე ორმოცდაშვიდი წელი უსრულდებოდა. წლები მიჰქროდა, ბიჭის ტოლები ხანში შედიოდნენ, ჭაღარავდებოდნენ. მაგრამ ადრე დაღუპული შვილი მამისთვის ისევ სიცოცხლით სავსე ჭაბუკი იყო. ისეთივე, როგორიც ამ ქვეყნიდან წავიდა.

გიორგიმ ჭალაში მომავალი უცხო ბიჭი დაინახა... ჭაბუკს ცალი ხელით მხარზე გადაგდებული თეთრი საზაფხულო პიჯაკის საყელო ეჭირა, ცალით მოზრდილი წკეპლა. წკეპლას მზეთლით იქნევდა და უსტვენდა. ხალვათად მოდიოდა, მსუბუქად ადგამდა ნაბიჯს. ქუდი არ ეხურა. მის ჯიუტ, მზემოკიდებულ შუბლზე ჩამოღვრილ ქოჩორს ქუდი არც მოუხდებოდა. თეთრი პერანგის საყელო ჩახსნოდა და მაღალი, შეწითლებული მკერდი მოუჩანდა.

ჭაბუკის შეხვედრა გიორგის ყოველთვის შვილს ახსენებდა და გულს სევდით უვსებდა... ახლა კი უეცრად მუნჯები აუკანკალდა, თვალთ დაუბნელდა ამ უცნობი ყმაწვილის დანახვაზე და მისი სტვენის გაგონებაზე.

ბარი მხრიდან ჩამოიღო და შეჩერდა.

ბოლო დროს უცნაური ზმანებები აწუხებდა. შვილზე ფიქრის დროს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინდდებოდა, გაყუჩდებოდა, თავის ფიქრს თვალს გაუშტერებდა და უცებ წინ თენგო დაუდგებოდა... შვილი საყვედურით უღიმოდა.

ზმანება გაქრებოდა და გიორგი დდდხანს, თითქოს მთელი დღის შრომით მოქანცული გაოგნებით ქშინავდა.

ახლაც ასე დაემართა. ჭალაში მომავალი ჭაბუკი ანაზდად გამოცხადებულ ზმანებად ჩათვალა და თვალი დაკონებით გაუშტერა.

ასე იცოდა სიარული თენგომ. მუდამ თავაწეული დადიოდა. ცას შესცქეროდა, თვალები უბრწყინავდა და უსტვენდა.

ვინ ასწავლა ამ ბიჭს ეს კილო. ეს ხომ თენგოს სიმღერაა. ასეთი სტვენა ამ სოფელში არც მანამდე გაუგონია და არც მისი სიკვდილის შემდეგ.

ეს სახეც...

„ღმერთო დიდებულო“ — გაიფიქრა გიორგიმ.

უცნობი ჭაბუკი თავის საღიღინოს გატაცებით უსტვენდა და მხრების ქანაობით მოდიოდა. ბარსდაყრდნობილ ბერიკაცს ჩაუარა თუ არა, ფეხი ააჩქარა.

მცირე მანძილის გავლის შემდეგ მოიხედა, მაგრამ მოხუცის დაკონებულმა მზერამ შეაკრთო, უხერხულად შეიშმუშნა, თვალი მოარიდა და გზა განაგრძო.

სტვენა შეწყდა...

გიორგიმ ბარი მხარზე გაიდო და გზას დაადგა.

„ვინ არის ეს ბიჭი, ვისია, რატომ აქამდე არ მინახავს შუბათში?.. ალბათ ქაური არ არი..“ — ფიქრობდა გიორგი და მიაბიჯებდა.

სოფლის გზაზე ძეხორციელი არ ეჯანგბდა. არც ეზოებში ჩანდა ვინმე...

დიდი, წუთისოფლივით გრძელი და ცხელი დღე იწყებოდა და ხალხი ადრევე გაკრფილიყო სამუშაოდ მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში.

*

* *

გიორგის სახლი სოფლის განაპირას იდგა შემაღლებულ ადგილზე. სახლის გასწვრივ, ოღონდ უფრო ზემოთ, მოჩანდა თარხნიანთ საგვარეულო საყდარი და სოფლის სასაფლაო.

ეზოებსა და სასაფლაოს შორის საზღვარი წაშლილიყო. სოფელი იზრდებოდა და სასაფლაოსკენ მიიწევდა. სასაფლაოც თანდათან იზრდებოდა და სოფლისკენ მოიწევდა. ახალი საფლავის ქვები უკვე ფერდობს აქეთ გაშენებულ ვენახებსა და ხილნარებშიც ჩნდებოდა. ამას მხოლოდ მოხუცები ამჩნევდნენ. ბავშვებისთვის ეს შეუმჩნეველი იყო, მათ სოფელი ამგვარად დაარსებული დახვდათ. არ აწუხებდათ სიცოცხლისა და სიკვდილის საოცარი სიახლოვე, საფლავის ქვიდან პირდაპირ ღობეზე ხტებოდნენ, იწევდნენ არახილისა თუ ჭანჭურის დახუწნულ ტოტებს, საფლავის ქვებზე ისხდნენ და კენჭაობდნენ. ისინი ვერც კი გრძნობდნენ, როგორ ცვდებოდა მათ მტკრიან ფეხისგულებსა და შიშველ საჯდომებს ქვეშ ამოკრილი გულხელდაკრეფილი კაცები, ტლანქი არშიები და შენდობის მაევრებელი წარწერები...

გიორგი სახლს მიუახლოვდა, ჭიშკარი შეაღო და მცირე აღმართს შეუდგა. ამ აღმართს ქვის კიბე ასდევდა. კიბე აბალახებულიყო, ერთმანეთში ჩახლართულ მატიტელას და თაგვიყანას დაეფარა. სიპი ქვის საფეხურები ოდნავღა მოჩანდა შედედებულ ბალახში. თაგვიყანას მწოლიარე მატიტელა დაეჩაგრა, თავზე მოჰქცეოდა, მუხლი ეყარა და დათავთავებულიყო... ეტყობოდა, ამ კიბეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმსვლელ-მომსვლელისა და სტუმრის ფეხი კი არა, პატრონისაც ფეხი ჩვდებოდა.

წინათ, დიდიხნის წინათ, გიორგის ეზოში ამ უჯიშო ბალახს თვალსაც ვერ მოჰკრავდით.

„ვაქაცის ეზოში თაგვმა სამკალი ვერ უნდა გამართოსო“, — იტყოდა ხოლმე გიორგი და სანამ თაგვიყანა დათავთავებდა და თესლს მიწაში ჩაჰყრიდა, შეუბრალებლად სპობდა.

თენგო რომ წამოიჩიტა, უფრო დიდი მტერი გაუჩნდა თაგვიყანას. ტოლ-ბიეებს დაუძახებდა და ეზოში ერთი ერიამული იდგა. ხელით დაგლეჯილ თაგვიყანას ბიეები ძნებად კრავდნენ და „კალოობას“ თამაშობდნენ.

ახლა კი თაგვიყანა ღობისძირებსა და ეზოს ყრუ ადგილებს კი არა, ქვის კიბესაც მოსდებოდა და დაეფარა.

გიორგი დაფიქრებული ადიოდა აბალახებულ კიბეზე... რაც ეს გაზაფხული დადგა, შინ მხოლოდ დასაძინებლად შედიოდა, შეღამებისას. კარგახანია სასაფლაო იყო მისი საცხოვრისი, სახლი კი სასაფლაოსავით ცივი და უკაცრიელი...

მალე გიორგი ისევ ჭიშკართან გამოჩნდა. ხელში ნაქუჩდაცობილი საღვინე ეჭირა. ეს უკანასკნელი ღვინო იყო. მეტი აღარ ჰქონდა. თავისი გუმანით მეტი აღარც დასჭირდებოდა. გუშინ ქოცდან დურდოც ამოიღო და საარყე ჭაჭას დაასხა. მერე ქვევრი მაწაწურით ამოწშინდა.

ჭიშკარი მიხურა თუ არა, გზაზე მომავალი შავკაბიანი გამხდარი ქალი დაინახა. გიორგიმ ხელი მოიჩრდილა, მაგრამ ეს მაღალი ქალაქელი ქალი ვერავის ამსგავსა...

ქალი მიუახლოვდა, მშვიდობის დილა უსურვა და უხერხულად შეჩერდა.

— ვერ მიცანით, ძია გიორგი?

გიორგი დააკვირდა და ეკვით შეეკითხა:

— ნინო ხომ არა ხარ, ქალო?

— ჰო, — ყრუ ხმით უპასუხა ქალმა. — ნინო ვარ...

— კარგა ხანია, აღარ გაჰკარებიხარ შუბათსა...

შავკაბიანი ქალი მიწას ჩაჰყურებდა, სდუმდა, მერე დაბალი, ჩაწყვეტილი ხმით თქვა:

— ბიეი მოვიყვანე, ძია გიორგი...

— ბიეი?!.. — გოცებით წამოიყვირა გიორგიმ და თავი უნებურად უკან მიიბრუნა, თითქოს მის გვერდით ეს-ეს არის ჩაეკლოს იმ უცხო ბაბუკს, წელან ბალაში რომ დაინახა.

— ვისი... ვისი ბიეი?..

ქალს სახეზე ჩრდილი გადაუარა, სიტყვა ვეღარ ამოთქვა, ხელი მკერდთან მიიტანა, თითქოს აჩქროლებული გულის ცემა უნდა შეიჩეროსო.

— მაშ ის ბიეი შენია?

— ჩემია... რა ვიცი, ალბათ ჩემ ბიეზე მეკითხები?

— ჰო, ის იქნება... წელან ბალაში შემხვდა, სტვენით მიდიოდა...

— უსტვენდა?..—სევდიანი ღიმილით იკითხა ნინომ. — ჰო, იცის... უყვარს ხანდახან...

„აი ვის უსწავლებია თენგოს საღიღინო იმ ბიეისთვის... ალბათ თენგოსაც ამან ასწავლა“... — ელვასავით გაურბინა ფიქრმა გიორგის.

— ის იქნება, ის... — გაიმეორა ქალმა და ხმის კანკალით დაუმატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძია გიორგი, საღამოხანს არ გეცლებათ? თქვენთან საქმე მაქვს... ბიბლიოთეკა უნდა გაგაცნოთ!

გიორგიმ რამდენჯერმე უაზროდ მოიქექა თავი, სუნთქვა შეეკრა და მეტი ვეღარაფერი მოახერხა... რაღაც გაუგებარი, ბუნდოვანი და მძიმე გუმანი მოაწვა გულზე, ენა დაუბა, ძლივს ამომარცვლა:

— საღამოხანს?.. ჰო... კარგი, იქ ვიქნები. — და მოწყვეტილი ხელი გაპირ-ველებით ასწია, რომ ძლევის ქედის სასაფლაოსკენ გაეშვირა.

აფორიაქებული გიორგი თავის გზას დაადგა. მცირე მანძილი რომ გაიარა, უკან მოიხედა. შავკაბიანი ქალი მხრებში მოხრილი მიდიოდა.

გიორგი თავის გუმანს ეჭვით და მორიდებით უკლიდა გარს, არ უნდოდა იმ ბიჭზე ეფიქრა, წეღან ჭალაში რომ შემოხვდა... არ სჯეროდა, ძნელი იყო დაჯერება, რომ ამ შავკაბიანმა ქალმა ამდენ ხანს ატარა გულით დიდი საიდუმ-ლო.

ამ საიდუმლოს, თუ მართლა არსებობდა, ბერიკაცისთვის ბედნიერება უნ-და მოეტანა. ეს კი წარმოუდგენელი იყო... ბედნიერებაზე ფიქრს მან დიდიხანია თავი ანება.

არ უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ფიქრი თავისთავად მოდიოდა, ხან „ის ბიჭი“ დაუდგებოდა თვალწინ, ხან მხრებში მოხრილი ქალის ნატანჯი სახე.

„გატეხილა, ჭაღარა გარევია თმაში...

ეეჰ, გატეხილაო?.. იდარდა, ივაგლახა...

იდარდა, ივაგლახა და მაინც გათხოვდა?

ვინ იცის, გათხოვდა?

თუ არ გათხოვდა, ეს ბიჭი საიდანღა ჰყავს, ჰა?

თენგოს რომ ეცოცხლა, ნინო ჩემი რძალი იქნებოდა, და ეხლა ჩემს გამო-ხურულ კარს შეაღებდა, არც უკვალძიროდ დადავეგებოდი... შვილიშვილი შე-ყოლებოდა.

ის ბიჭი?..

ჰო, ჰო, შვილიშვილიც მეყოლებოდა და აღარც მე წავიდოდი ამ გზით“...

* *

სოფელს რომ გასცდა, ორღობიდან მარცხნივ აუხვია და სასაფლაოს გზას აჰყვა. გზა ახლად გაკეთებული იყო, ტახტივით სწორი. თითქოს მიწისთვის რან-დი გაეკრათ. ზედმეტი კენჭიც კი არ ეგდო არსად. ბერიკაცს ჯიუტ ხელს უს-წორ-მასწორო ბილიკი გაეკაკებინა და გაეფართოებინა. აღმართი საგრძნობი აღარ იყო. გზა ფერდობს სარტყელივით უკლიდა, თანდათან იწევდა მაღლა, სასაფლაოსკენ.

სულ ათიოდე წუთის სავალი არც კი იყო ეს აღმართი, მაგრამ პირდაპირ საიქიოს კართან მიჰყავდა მგზავრი. ამას ექით წუთისოფელი თავდებოდა და საუკუნო სოფელი იწყებოდა.

ბერიკაცი დინჯად ადიოდა აღმართზე. დაკვირვებით ათვალიერებდა გუ-შინდელ ნამუშევარს. თავისი ვარაუდით დღეს უკანასკნელად ამოდიოდა აქ...

ზედ ბილიკის თავზე, საიდანაც მოედანი იწყებოდა, ლურჯი ლოდი იდო. ეს მძიმე ლოდი თენგოს მკვლელი იყო... გიორგი მის გვერდით ისე ვერ გაივლი-და, რომ ტანზე ბალანი არ აშლოდა და ჭრაჟოლა არ მოსდებოდა ძარღვებს. დღეს ამ ლოდს ბილიკიდან ხევში გადააგორებდა და ამდენი ხნის ჯაფა დამთავ-რებული იქნებოდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სანამ ლოდთან მივიდოდა, გზას გვერდელად გაავლო თვალი და არ მოეწონა: ერთგან ფერდობის ქიმი წინ წამოშვერილი ეჩვენა.

„ეს ქიმი უნდა მოვანგრიო, რომ ხალხმა თავისუფლად გაიაროს“, — გაიფიქრა და ბარი ქიმთან მიაგდო. მერე გზის პირას, შავრცხილის ბუჩქთან ჩაცუცქდა და საღვინე ჩრდილში შედგა. ღრმად შედგა, რომ მზე არ მისდგომოდა. აქვე შეინახა გუშინ მზის ჩასვლისას მძიმე რკინის კეტი, რითაც მთელი თვის განმავლობაში ებრძოდა ქვიან ფერდობს.

ლურჯ ლოდს გვერდით ისე გაუარა, ზედაც არ დაუხედავს. აქედან უკვე ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲧᲣᲤᲝᲑᲝᲓᲐ. ამ ᲕᲐᲙᲔᲖᲔᲒᲘᲪ, მცირე მოედნის ირგვლივ, სასაფლაო იყო. უფრო იქით საყდარი. სანამ მუშაობას შეუდგებოდა, შვილის საფლავთან მივიდა... ამ ადგილას ფეხს რომ დგამდა, ბებერ მუხლს ძალა ემატებოდა.

თენგოს საფლავზე ყვავილები ეყარა, რადაც უსახელო, ნაცრისფერი ყვავილები.

„რა ვქნა, ვარდფენობა ხომ არ არის დღესა?“ — გაიფიქრა და მიმოიხედა. არც ერთ საფლავზე არ ჩანდა ყვავილები...

სხვა დროსაც უნახავს ბიჭის საფლავზე ყვავილები, მაგრამ არ გაჰკვირვებია, არც უკითხავს ვისი მოტანილი იყო...

უკვე ხანშესული ტოლ-მეგობრები და სოფლის ახალგაზრდები არ ივიწყებენ, ვარდფენობას ვარდყვავილი მოაქვთ მის საფლავზე, სულთაობას პურ-ღვინო და უდროოდ დაღუპულის მოსაგონარს ამბობენ... ახლა კი გულმა რეჩხი უყო გიორგის.

„ეს ყვავილები ნინოს მოტანილია... აქ ყოფილა, აქვე დაუკრეფია და თენგოს საფლავზე დაუყრია... აქედან მოდიოდა თვალებმღვრეული... მე კი არაფერი მითხრა. მაინც ქალია. მაინც იგონებს, მაინც გულზე აბია...

ის ბიჭი?..

ბიჭი რატომ არ ამოიყვანა?.. მარტო რად ამოვიდა, თუ?..“

გიორგიმ ხელი ჩაიქნია, ყვავილი აიღო და უნებურად ცხვირთან მიიტანა.

ურწყავზე გაზრდილ ყვავილს ველური პიტნის მძაფრი სუნი ჰქონდა.

„ყველას საფლავზე არ მიაქვთ ყვავილები“.

გიორგიმ შვილის საფლავის იქით გამწკრივებულ ბორცვებს გაადევნა თვალი... ბეღურები დახვეოდნენ საფლავის ქვებს და ფოსოებში ჩარჩენილ წვიმის წყალში ნისკარტებს ისველებდნენ, სვამდნენ, ციცინებდნენ. გიორგის მათი ᲫᲘᲕᲘᲫᲘᲐ არ ესმოდა. არც ჩიტები დამფრთხალან მის გამოჩენაზე. შეჩვეული იყვნენ ამ უცნაური კაცის აქ ყოფნას. სადილისა თუ სამხრობის შემდეგ პურის ნამუსრევს ჩიტებისთვის სტოვებდა ხოლმე ამ საფლავის ქვებზე. ქვებ ქვეშ მისი ახლობლები იწვნენ... სულ იქით, სიძველისგან გამწვანებულ და წარწერებგადაცვეთილ ქვებ ქვეშ, კობაიძიანთ ძველი შკვდრები იყვნენ დამარხული. მერე თედო იწვა, გიორგის მამა. თედოს აქეთ — დარო, გიორგის დედა.

დაროს საფლავს აქეთ თენგოს საფლავამდე ადგილი იყო დატოვებული. იქ გიორგი უნდა დამარხულიყო... გიორგის მეუღლე ხახატო შვილს მარცხნიდან უწვა. ეს ყველაზე განაპირა საფლავი იყო. მას აქეთ არც ადგილი იყო საფლავისთვის და აღარც სხვა ვინმე ჰყავდა კობაიძიანთ ოჯახს დასამარხი.

* * *

სოფელში ბევრს ეგონა, გიორგის ახლადგარდაცვლილი მეუღლის მეტი სადარდებელი არა აქვს რაო. ასეთებს ვარაუდით სიკბატუკეში დაღუპული ბიჭის ნაღველი მას აქამდე უნდა გამონელებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, მესმის მეუღლის სიკვდილი!

სიბერის წლებში უღლის გამწევი რომ გიღალატებს, გამოგეცლება და მოუსავლეთში გასწევს, თანაც თუ ამ ქვეყანაზე გულით დამტერებელი სხვა აღარავინ შეგრჩენია, შენც გულხელი უნდა დაიკრიბო და...

შარშანწინ დამარხა ბერიკაცმა ხახატო.

დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. დათოვლილ აღმართში კუბოსთავი გაჭირვებით აათრიეს ბიჭებმა, ბექობზე, თოვლში ჩამოსხდნენ და ლოდინი დაუწყეს უკან ჩამორჩენილ კუბოს. სასაფლაოს ვიწრო, ოღროჩოღრო აღმართი მოლიპული იყო. სოფლის ღონიერ ჭაბუკებს საფლავის ქვასავით მძიმე ეჩვენებოდათ ბურბუშელასავით მსუბუქი კუბო, რომელშიც გამხდარი და დალეული ხახატო გულხელდაკრეფილი იწვა.

გიორგისაც გულხელი დაეკრიფა და ისე მიჰყვებოდა კუბოს. ჭაბუკებს თოვლზე ფეხი უსხლტებოდათ, კუბო ქანაობდა. გიორგიმ ერთი-ორჯერ ხელის შეშველებაც კი დააპირა, მაგრამ არ დაანებეს. მას ისედაც მძიმე ტვირთი მიჰქონდა. ვინ იცის ამ აღმართზე ეს უკვე მერამდენედ ადიოდა ასე გულხელდაკრეფილი.

უცებ ერთ ჭაბუკს, რომელსაც კუბოს სახელური ეჭირა, ფეხი მოუსხლტა, შეტორტმანდა და უნებურად წამოიყვირა. გიორგიმ თავი ჩაქინდრა: არ უნდოდა თავისი თვალით დაენახა გადმობრუნებული კუბო. წინმიმავალთა ფეხებსღა ხედავდა. ჭაბუკმა ფეხი მოიმაგრა, წელში გასწორდა, მხარი ისევ კუბოს მიაშველა და შვებით ამოიქშინა. შვებით ამოისუნთქა გიორგიმაც. ახლაღა ახედა კუბოს.

უკან ვიღაც ყიამყრალი შეუბრალებლად ოხუნჯობდა:

— დაინახეთ, როგორ გადმოიხედა ხახატომ, თითქოს გადმოხტომა უნდაო?

— თავის გიორგას გადმოხედა, მაგ უბედურ დღეს გაჩენილმა, აბა, უკან მომდევს თუ არაო!

— რატომ ენა არ გაგიხმებათ... — ჩაიჩურჩულეს შაოსანმა ქალებმა.

თუმცა გვიან, მაგრამ ხომ შეუსრულდა ნატვრა ხახატოს: უბედური დედა შვილის გვერდით დაასაფლავეს.

გიორგი თავის სიცოცხლეში მეორედ ტიროდა. პირველად დედას რომ ასაფლავებდა, მაშინ წასკდა ცრემლი. მაშინ თავის დაღუპულ სიყვარულს ტიროდა... მამის სიკვდილი არ ახსოვდა და, ალბათ, არც უტირია. შვილის სიკვდილი კი იმდენად თავზარდამცემი და ანაზდეული იყო, რომ ცრემლი გაუშრა.

ახლა კი, როცა მის ერთგულ მეუღლეს სამარეში უშვებდნენ, შვილის საფლავის თავით იდგა და უხმოდ ქვითინებდა. წლობით დაგუბებული ცრემლი დაიძრა. ეს ცრემლი თითქოს ხახატოს ეკუთვნოდა, მაგრამ თენგოს საფლავზე ცვივოდა.

ხალხი დიდიხანია დაშალა. მხოლოდ რამდენიმე ბერიკაცი იდგა იქვე ბილიკის თავში და გიორგის დაძვრას ელოდებოდა.

გიორგიმ ამოიოხრა, ქუდი დაიხურა და როცა წვალებით დაეშვა მოლიპულ, ოღრო-ჩოღრო ბილიკზე, ერთხელ კიდევ გახედა სასაფლაოს აღმართს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ სწორედ ამ წუთებში უთხრა გულმა ამ ძველი ნაგზაურის ბედკითხვა და გაგანიერება?

ადრე თუ გვიან ისიც ხომ ამ გზას უნდა დასდგომოდა.

ვინ გამოჰყვება მის კუბოს, ვინ მიადევნებს თვალს. იქნებ მაშინაც მოლიპული ყინული ეკრას ამ ფერდობს. იქნებ მის კუბოს ამწეესაც დაუცდეს ფეხი... ან დაიცდინოს. ჰო, განგებ აისხლიტოს ფეხი!

დაუჯერებელი არ არის, ვინმემ, რომელიმე უკუღმართმა, საგანგებოდ დაისხლიტოს ფეხი პირქუში კაცის კუბოს გადმოსაპირქვავებლად.

*

* *

სოფელში არ უყვარდათ ეს უჯიათი კაცი. აუგი სიტყვა და კვიმატი თვალი აქვსო, ამბობდნენ. იმასაც ამბობდნენ, გოროზი გული დედისა გამოჰყვაო. ზურგს უკან მეტსახელად ავგიორგის ეძახდნენ.

მის სიტყვას ხვნასა თუ მკაში, ტირილსა თუ ლხინში ბევრჯერ გამოუწვევია შიხტალი და მითქმა-მოთქმა, განსაკუთრებით სუფრაზე, სადაც სიტყვას მეტი მოზომვა უნდა.

თვითონ გიორგის ღვინო უყვარდა, სამხარსა და ვახშამზე აუცილებლად სვამდა, მაგრამ მთვრალი არავის უნახავს. სასმელს, როგორც მთის ცივ წყაროს, სულისა და გულის მოსარწყავად ეწაფებოდა და როგორც თვითონ იტყოდა, ძარღვების დაჟიეება არ უყვარდა. სუფრიდან სწორედ მაშინ წამოდგებოდა, როცა სხვები ეშზნი შედიოდნენ და დიდ ჭიქებს, ხანდახან მამაპაპურ ყანწებსაც მისწედებოდნენ.

ჰო, სწორედ მაშინ წამოდგებოდა, ჭიქას ასწევდა, ოჯახს სამადლობელს ეტყოდა და ასე დაილოცებოდა:

— აგაშენთ, გაგამრავლათ... ღმერთმა თქვენს ოჯახში ნურც ცოცხალი გამოლიოს, ნურც მკვდარიო...

დაიხურავდა თავის ნაბდის ქუდს და შინ გასწევდა.

— რაო, ვითომ დაგვლოცა, მაგ შეჩვენებულმა?

— ეს რა იყო, წყევლა-კრულვა თუ სადღეგრძელო?

— ღმერთმა შეარცხვინოს ასეთი სადღეგრძელოცა და მისი მთქმელმომგონიცა!

— ოჯახში მიცვალებული ნუ გამოგილიოთო, გაიგონეთ. რა თქვა მაგ პირმოქლეშილმა!

— ფუჰ, ფუჰ, ჯვარი აქაობას!

მიდიოდა და თან ეს აურზაური მისდევდა. ახლნას ხომ არ დაუწყებდა. გულში კი ასე იტყოდა:

„არ იციან უგუნურებმა, წუთისოფელი სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილია... სადაც სიკვდილი არ შეაბოტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა. აბა სიკვდილმა ვის უნდა მოუქნიოს თავისი ცელი?

სიკვდილი მხოლოდ ამოწყვეტილ ოჯახში არ შედის... ან რა ესაქმება იქა? ამოწყვეტილი ოჯახი სიცოცხლესაც მოსძულებია და სიკვდილსაც. საკუბოვეზე იმ ეზოში იზრდება, სადაც აკვნები ირწევა.

ეს კია, დრო უნდა იცოდეს იმ დაწყევლილმა, დრო... ოჯახიდან თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე გატანილ კუბოს წინ შუქი მიუძღვის. ნაადრევს კი ბნელი და ვარამი მახ-
დევს უკან...

ეეჰ, ერთი მომცა ღმერთმა...

ნეტამც მეტი მოეცა, დამხვევოდნენ თავსა, თავის დროზე მეტი დამტირე-
ბელი მეყოლებოდა. ახლა, ერთი ღერი კაცი ვარ, ვინღა დამიტირებს? ან საკვ-
ნე ვინა მრჩება ან საკუბოვე...

ბედნიერია ის ოჯახი, საიდანაც თავის დროზე მეტი კუბო გაუტანიათ. იქ
მეტი სიცოცხლე ყოფილა და მეტი აკვნებიც დარჩენილა".

*
* *

ამბობენ, როცა გიორგის დედა დარო დაქვრივდა, თალხის მაგივრად ქმრის
ფარაჯა ჩაიცვა, წელზე მისივე ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და მეზობლების
გასაგონად თქვა: დღეის ამას იქით ჩემს ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციც, და-
როც მე ვარ და თედოცაო.

ეს ალბათ ხუმრობა ან ფხიანი ქართული იყო: პატარა ბიჭს დედის წელზე
ქამარ-ხანჯალი არ უნახავს. ეს კია, მეუღლის სიკვდილის შემდეგ დაროს სახლს
თავზე არ გამოსცლია, პირიქით, ჭერმა თითქოს უფრო მაღლა აიწია, ფანჯრები-
დან მეტი შუქი შემოვიდა... ყველაფერს — სახლს, ეზოს, ვენახს თუ სახნავ-სა-
თესს, მარჯვე დიაცის ხელი დაეტყო.

მალე გამრჯე დარომ მოჯამაგირედ სოფლის დაღლარა, აყლაყუდა ბიჭი
შავდათუა დაიყენა. სოფელში ეს ამბავი ყველას გაუკვირდა, ამ უქნარამ ოჯახს
რა უნდა გაუკეთოსო. მაგრამ მალე დაინახეს, რომ ქვრივი უფრო შორსმჭვრე-
ტელი იყო.

გოროზი ქვრივის ხელში უქნარა ბიჭი საუღლე მოზვერივით გამოიქნა და
ღონიერი ქედი ხალისიანად მიუშვირა მძიმე უღელს. ამ უღლის მეორე მხარეს
ქვრივის ბიჭი გიორგი იყო თავგაყოფილი. გიორგი და შავდათუა ტოლები იყვ-
ნენ და ერთი ძალით ეწეოდნენ უღელს. კოფოზე ახალგაზრდა ქვრივი იჯდა და
დაუზოგავად მიერეკებოდა მოზვრებს. ბიჭებს ერთმანეთში არ არჩევდა, ორი-
ვეს მკაცრად ექცეოდა, ორივეს შვილად და მოჯამაგირედ ზრდიდა.

მალე შავდათუა დაქორწინდა. იქვე მეზობლად, ქვრივის ნაჩუქარ მიწაზე
დასახლდა და დაროს ოჯახს მეზობლობას და შემწე ხელს არ აკლებდა.

ქვრივი ჩქარობდა შვილის დაქორწინებას, მზითვიანი სარძლოც შერჩეული
ჰყავდა, რამდენჯერმე სიტყვაც გაუკრა, მაგრამ გიორგიმ შორს დაიჭირა. ქვრივ-
მა ახლა ერთგული მესაიდუმლე შავდათუა მიუჩინა გაჯიუტებულ ბიჭს.

— რა იყო, შავო დათვო, — გაიღიმა გიორგიმ, — ახლა მაჭანკლობაც
დაიწყე?

— ჰო, უნდა გაქორწილო და მეჯვარედაც გამოგყვე...

— კარგი ყოფილა ცოლი? კარგი ყოფილა და გაიხარე, მე რაღას მაქეზებ.
უცოლოდ დაბერებას არც მე ვაპირებ, მაგრამ...

გიორგი გაჩუმდა. შავდათუამ ხან აქედან მოუარა, ხან იქიდან, ბევრი ყნოსა
და მეგობრის საიდუმლოსაც მალე მიაგნო:

გიორგის ერთი ოჯახდაქცეული მეზობლის გოგო ჩავარდნოდა გულში.

დარომ ამის გაგონებაზე თავში ხელი შემოიკრა და დაიჭექა: იმ უნიფხოს
ჩემს ოჯახში არ შემოვუშვებო...

გიორგიც თავისი დედის შვილი იყო და მის საგულეშიც გორიოზი გული ფეთქავდა. ამ გორიოზ გულს სიყვარულის ცეცხლი წაკიდებოდა და მოსუნეწებას არ აძლევდა.

აქეთ ქვრივი იდგა, იქით ქვრივის ბიჭი, მათ შუა შავდათუა იგრიხებოდა, ხან ერთს ეევდრებოდა დათმობას, ხან მეორეს... არცერთი არ ნებდებოდა. გიორგის დედის უჩუმრად ნიშანი მზად ჰქონდა და ნიშნობის დღეც ახლოვდებოდა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი. სოფელში ჩხუბი ატყდა. ჩხუბი შავდათუას აუტეხეს. უდანაშაულო შავდათუას გიორგი მიეშველა, რასაც რამდენიმე კაცის ცხვირპირისა და ნეკნების ჩამტვრევა მოჰყვა. შავდათუა და გიორგი დააპატიმრეს.

გადიოდა დღეები. პატიმრებს არც ათავისუფლებდნენ და არც არაფერს ეკითხებოდნენ. გავიდა სანიშნობოდ დათქმული დროც. გიორგი სიმწრისგან თითებს იკბამდა, ლომივით ბრდღვინავდა და თავში ხელს იცემდა, გული აეს უქადდა, მაგრამ რას, გუმანი ვერ მიეტანა. შავდათუაც ნაკლებ არ იყო შეშფოთებული. თავჩაქნდრული იჯდა და ერთთავად ოხრავდა. პირველ დღეებში თუ მხნედ იყო და გიორგის ამშვიდებდა, ახლა თვითონ გახდა სანუგეშო. რაღაც ნამალვები დარდი აწუხებდა, თვალს ვეღარ უსწორებდა გიორგის.

გიორგის ეჭვი ულრღნიდა გულს. მათი დანაშაული დიდი არ იყო... მაშ რას უნდა შეეწუხებინა ასე ძლიერ უდარდელი შავდათუა?

გავიდა ორი კვირაც. პატიმრებს კარი გაუღეს და გაათავისუფლეს.

შავდათუამ სადალაქოში შეუხვია და წვერი გაიპარსა. გიორგი სადალაქოს კართან ელოდა. პირის გაპარსვის გუნებაზე არ იყო. გული ეწურებოდა. უბრად დაადგნენ სოფლისკენ მიმავალ გზას.

უკვე ბინდი იყო, სოფელს რომ მიაღწიეს. გიორგიმ თავის სახლს ქურდულად ჩაუარა და გზა განაგრძო. შავდათუა ერთხანს გაშტერებული გასცქეროდა, მერე უწადინოდ გადადგა ნაბიჯი და სიბნელეში გიორგის ზურგს აედევნა. გიორგიმ გზიდან გადაუხვია და ერთ ჭიშკართან შეჩერდა. მერე დაუსტვინა.

ეზოში ძაღლის ყეფა გაისმა, შემდეგ ბიჭის შეძახილი: „გაჩუმდი, შე სამგლეო“, და ჭიშკარი გაიღო, ჭიშკრიდან პატარა ბიჭმა გამოყო თავი.

— ელოს დაუძახე... — ყრუ ხმით უთხრა გიორგიმ ბიჭს.

— ელოს... — დაიბნა ბიჭი. — ელოს ვერ დავუძახებ.

— რატომა, ბიჭო?

ბიჭი კარში იდგა, გაოგნებული იდგა და ზურგს უკან, მიუხედავად სცემდა წიხლს კანჭებზე შემოტორღიალებულ ძაღლს... არა, ძაღლზე სრულებითაც არ ფიქრობდა ამ წუთას პატარა ბიჭი. მის წინ წვერმოშვებული, გამხდარი და სახეგაფითრებული სასიძო იდგა, რომელიც უფროს ძმაზე ნაკლებ არ უყვარდა.

— რატომა-მეთქი, ბიჭო? — ხმის კანკალით იკითხა გიორგიმ.

— წაიყვანეს... — ამოიოხრა ბიჭმა.

— წაიყვანეს?! — წამოიყვირა გიორგიმ და უცებ შესცივდა, ჟრჟოლამ დაუარა, თითქოს ძარღვებში გამდნარი ყინული ჩაასხეს... ენაზე მოადგა — „სად წაიყვანესო“, მაგრამ მიხვდა, მიხვდა... ამის კითხვა ზედმეტი სისულელე იყო. იცოდა, როდის ამბობენ ამ სიტყვას — „წაიყვანეს“... წაიყვანეს, ცხადია, გათხოვდა, გაათხოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოოოჰ... — ამოიგმინა და ხმადაბლა, სულ ჩუმად შეეკითხა: — ძალიან ნებითა თუ ნებითა?

ბიჭიც კანკალებდა, უფრო გამეტებით სცემდა წიხლს სიბნელეში აყეფებულ ძაღლს, გარეთ გამოსვლის ნებას არ აძლევდა...

— ვის გაჰყვა?

— იორდანეს ბიჭს გაჰყვა... თავისი ნებითა... — ამოიძახა ბიჭმა და ცრემლი ვეღარ შეიკავა.

გიორგი ელდანაკრავივით გამობრუნდა და სიბნელეში შავდათუას შეეჯახა. ერთხანს ასე იდგნენ, პირისპირ, მერე გიორგიმ ხელისკვრით ჩამოიშორა მეგობარი და ჩქარი, გაფრენილი ნაბიჯით შინისკენ გაიქცა.

დედა შინ არ დახვედა, მეზობლებთან გადასულიყო... ლამპა აანთო, კედელთან მივიდა, ხანჯალი ჩამოხსნა და ფარაჯის ქვეშ ჩამოიკიდა. მხოლოდ ახლოლა შენიშნა, შავდათუა შემოჰყოლოდა და კართან ატუზულიყო.

— რას აპირებ? — ხმის კანკალით შეეკითხა შავდათუა.

გიორგი განიერად გალაჯული იდგა შუა ოთახში და თავი ჩაექინღრა.

— უნდა მოვკლა...

— გაჩუმდი, არავინ გაიგონოს... — ტუჩებზე ხელი ააფარა შავდათუამ.

— უნდა მოვკლა... თუ ნებით გაჰყვა. ორიოდ კვირას ვეღარ მომიცადა იმ ძუკნამ, იმან!

— რა იცი, მართლა ნებით გაჰყვა?

— ჰოდა, თუ ძალით არი წაყვანილი, მაგასაც გავიგებ... მაშინ ამ ხანჯლის ანაწერა ის იქნება, ვინც დაადალა!

შავდათუას ყბა გვერდზე მოექცა. უკან დაიხია და კედელს ბეჭებით მიეხალა.

— გამომყეები?

შავდათუა ენაჩავარდნილი იდგა.

— თუ არ გამომყეები, არც მინდიხარ...

— კარგი, გავიდეთ... — ამოიხვნეშა შავდათუამ და უკან გაჰყვა გიორგის.

კარგა ხანს უხმოდ იარეს ჩაბნელებულ გზაზე. ჭანარი ამინდი იყო, ქინქლავდა და გზას ატალახებდა. პირდაპირ მიტოპავდნენ ლაფში.

ერთ ბნელ მოსახვევთან შავდათუამ ხელი მოჰკიდა გიორგის, გზიდან ბუჩქნარში გადაიყვანა. სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ გიორგის რაღაც ავად შემოჰკვენესა გულმა.

— შორს ნუღარ წავალთ... სჯობია, იცოდე, რომ უბრალო სისხლი არ დაღვაროს.

გიორგი გაქვავებული იდგა, ყურს არ უჯერებდა.

შავდათუამ გულმკერდი გადაიღეღა, მიუშვირა და ჩაწყვეტილი ხმით უთხრა:

— აპა, მომკალი!..

— რაო, — ამოიძახა გიორგიმ, — ხომ არ გაგიჟდი?

— არა, სრულ გონზე ვლაპარაკობ... დამნაშავე მე ვარ. ყველაფერი ჩემი მოწყობილია... ის ჩხუბიც, ჩვენი დაჭერაც, ელოს გათხოვებაც.

გიორგის თითქოს თავში რაღაც დაჰკრეს და გამოაფხიზლეს. ჩაბნელებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალზე თითქოს ლიბრი გადააცალეს. უცებ შავდათუას უშველებელი მხარი ბეჭის უკან თავისი დედის გოროზი თვალები დაინახა და გაცოფებით წამოიძახა:

— შენი თუ... შენი თუ დედაჩემის?!

— ორივესი... — დუმილის მერე თქვა შავდათუამ.

— მაინც ყველაფერი იმისი ბრალია, იმისი... ვაი, შე უბედურო დედაჩემო!

გიორგიმ თავში შემოიკრა. ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე უკან, შინისკენ გაბრუნდა.

შავდათუა მალე წამოეწია და ხელი წაატანა.

— სად მიხვალ, ბიჭო, ცუდი კი არაფერი გაიკლო...

— ხელი!.., — შეუტია გიორგიმ და ხელი ღონივრად ჰკრა გულში. შავდათუა შეტორტმანდა, წაიფორხილა, ფეხი მოუსხლტა და ტალახში გულაღმა გადავარდა.

სოფლის თავში ისევ წამოეწია შავდათუა გიორგის, წინ დაუდგა, მერე დაუჩოქა და მუხლებზე შემოხვია მკლავები.

— დედაა, ბიჭო... მაინც დედაა...

გიორგის მუხლები აუკანკალდა.

— კარგი... ამაღამ შენთან გავათენებ.

ის ღამეც, მეორეც და მთელი კვირაც გიორგიმ ბოდვაში გაატარა. შავდათუას განიერ ტახტზე იწვა, სიცხე ჰქონდა, იწვოდა.

დარო არ გამოჩენილა და არც გიორგის უკითხავს მისი ასავალდასავალი. სიცხე რომ დაუცხრა და ლოგიწზე წამოჯდომა შესძლო, მასპინძელი თავისთან მიიხმო და საიდუმლოდ გაანდო:

— დედაჩემთან გადადი და უთხარი გამეყაროს... დღესვე... ხვალეე გამეყაროს. შუაკაცი შენ უნდა იყო და სულ ჩაკენჭვით და ზუზვით გაგვიყო ყველაფერი. ზედმეტი არაფერი მინდა... უთხარი, იმ ჩემ დამღუპავს, ჩემი სახელი ალარ ახსენოს და ალარც შემოხედვა გამიბედოს. თვალი დაიბრმავოს... ჰო, დაიბრმავოს!..

— მერე ეგ შეიძლება? — გაუბედა შავდათუამ.

— ის კი შეიძლებოდა?! ის კი შეიძლებოდა?!.. — გაცოფდა გიორგი.

— შევცდი, შენი სიყარულით გავაკეთეთ... — ლუღლუღებდა შავდათუა.

— დამაცადე, შენთვისაც მოვიცლი. მანამდის კი მონა იყავ ჩემი და რაც გითხრა, შეასრულე!

— ვარ მონა... ვაარ... მოვტყუვდი, — აცრემლდა შავდათუა. — დიაცის ჭკუამ დამღუპა... თქვენი გამყავრებული ოჯახიც იმან დააქცია.

— არა, არ დაქცეულა... ამ მოკლე დროში ისეთ ქალს მივიყვან, რომ ქვეყანა ქვას და გუნდას ესროდეს დედაჩემს, ეს რა უქენი შენ თავსაო! ამ საქმეშიც შენ უნდა მიწინამძღვრო...

— მაინც რას აპირებ?

გიორგის თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. ამ ცრემლის გადაყლაპვას ცდილობდა, მაგრამ ვერ შესძლო, ვერ დაუმალა პირჩამოშავებულ მასპინძელს და გულამოსკვნით თქვა:

— ამ სოფლის ყველაზე ღარიბი, გონჯი ქალი უნდა ამიჩინო და გამირიგო... თანაც, რაც შეიძლება, მალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავდათუა გაოცებული შეჰყურებდა. გიორგი კი თავში ხელს იცემდა, ...ურჩულოთ იმორბედა:

— ვაი, რა დავკარგე... ვაი, რა დავკარგე... ვაი...

ახლა შავდათუას მოადგა თვალზე ცრემლი, დაჭრილი დათვივით ადუდღუნდა, აბღავლდა, უბედურებასავით შეიცხადა ნთქვამი.

— ჰო, გაიგე და გააკეთე!.. ყველაზე უსახური და კოთხუნჯი! გაიგე?.. უნდა უყურებდეს დედაჩემი და იწვოდეს!

ორსართულიანი სახლი შუაზე გაიყვეს. სახლის განაყოფის ჩამოდაღმა ეზოსაც ფიცრის მაღალი მესერი ჩამოაყოლეს და გაიყარნენ. გიორგი დედას არ დანახვებია, ყველფერს მისი შუაკაცი აკეთებდა.

გაყრისა და საპატარძლოს შერჩევის საქმეშ შავდათუა ჩაითრია და გაართო. გვიან ღამით თუ შემოაღებდა სახლის კარს. ამ კარს უკან მუდამ აღელვებული და ახალი ამბის გულისფრიალით მომლოდინე გიორგი იდგა, წვერმოშვებული და გამხდარი. თავისი განაზრახით აგზნებული და გატაცებული.

— საპატარძლო უკვე ნაშოვნია. — თქვა ერთ საღამოს ღიმილით შავდათუამ.

— როგორიც გითხარი, ხომ ისეთია?

— სწორედ ზედგამოჭრილია... ღარიბი, უსახური და თანაც ყრუჩუნა.

გიორგის თავზარი დაეცა, გულზე ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ არ შეიმჩნია. მუშტისოდენა ნერწყვი გაჭირებით გადაყლაპა.

— ვინ არი?..

— ტიკინეს გოგო, ხახატო...

გიორგი შორიდან იცნობდა ტიკინეს გოგოს, რომელსაც მეტსახელად ხახატოს ეძახდნენ. ამასწინათ ტყის ბილიკზე მოჰკრა თვალი, ნალოს მოათრევდა... მისთვის ადრე მოწყალებას თუ გაიმეტებდა, ახლა კი ამ უსახური გოგოსთვის სამუდამოდ უნდა მიეცა ამაყი გული და თავის მაღალ ჰერქვეშ შემოეყვანა.

ნახევრად გონებადამთხვეული ტიკინე სოფლის ნაბოლარა და ანარჩევა ქონდრისაკაი იყო. მიწურ ქოხში დაიბადა და მამისეულისთვის ერთი წკირიც არ მიუმატებია...

— ხომ არ გასინჯავ? — შეეკითხა შავდათუა.

— შეგაჩვენა ღმერთმა, ლამაზს ხომ არ ვეძებ, მახინჯსა და ყრუს გასინჯვა რაღად უნდა?

— ეგ არი, ჯერჯერობით ცოტა არ იყოს უარზე არიან.

— ვინა? ტიკინე? — მწარედ გაეცინა გიორგის.

— არა, სულელი ტიკინე გახარებულია, სულ „ბიწოს, ბიწოს“ გაიძახის. ეს რა ბედმა გამიღიმა, გიორგასთანა სიძეს სად ვიშოვიო... გოგომ კი მითხრა, თუ დამცინის, დაცინვას შეჩვეული ვარ, თუ მართალს ამბობს, მაინც რაღაც უბედურებაა ჩემს თავსაო... იტირა.

— ჭკუა და გული ჰქონია. — წამოიძახა გიორგიმ და უეცრად საოცარი სიბრალული იგრძნო უბედური საცოლისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ხახატო კარგი მეუღლე გამოდგა. მისი მარჯვეე, შრომასშეჩვეული ხელი მალე დაეტყო ახალგახაყარ ოჯახს. დღედაღამ ჩაუმუხლავად შრომობდა, თან თვალწარმტაცი შეჰყურებდა ქმარს.

სამ უბედურებათაგან (სიღარიბე, სიმახინჯე, სიყრუე), რითაც ტიკინეს გოგომ შავდათუას ყურადღება და გიორგის ცოლობა დაიმსახურა, ჭორწილის შემდეგ პირველი, ცხადია, აღარ არსებობდა... მეორეც თანდათან ქრებოდა: სახენაყვავილარმა, მაგრამ თვალებბდღვრიალა, ათქვირებულმა გოგონამ სხვისი ტრფობისათვის მოღვერებულ გიორგის ვაქაცის თავდაუკრავი ძუძუმკერდი გადაუხსნა და ნამდვილი თრობა აგრძნობინა.

რაც შეეხება მესამე უბედურებას თუ ნაკლს, ეს გიორგის სულაც არ აწუხებდა. ჯერ ერთი, ხახატოს სმენა არც თუ ისე ძალიან აკლდა. გიორგი უთქმელი კაცი იყო და სიტყვას მხოლოდ მაშინ იტყოდა, თუ საჭირო იყო... და როცა საჭირო იყო, ისეთი რიხიანი ხმა ჰქონდა, სათქმელს ეზოში მოფუსფუსე ცოლს კი არა, სოფლის ბოლოში მცხოვრებ ტიკინესაც მიუწვდენდა.

გიორგი ზოგჯერ გულწრფელად გახარებულიც კი იყო ავი ბედის თამაშით... თქმით ამას არავის ეტყოდა. ან ვინ დაუჯერებდა?

ხანდახან დედის გასაგონად თუ გასძახებდა ცოლს:

— ხახატო... ხახო, გო... მოდი აქ, გენაცვალე!

ისიც პირველ დღეებში...

დედა იქით იტანჯებოდა, შვილი აქეთ. არა ნაკლებ ეწვალებოდა რძალიც. მან კარგად იცოდა თავისი გაბედნიერების მიზეზი და დედამთილის ცოდვით იწვოდა. დედამთილს თუ ახსენებდა, კარგად ახსენებდა, რაზეც ქმარი შეუბღვერდა და ეტყოდა: ტიკინეს ქოხი ხომ არ მოგენატრაო.

წლის თავზე ხახატოს ვაჟი შეეძინა. ძეობა გადაიხადეს და ბიჭს თენგიზი დაარქვეს.

შავდათუას ეგონა, დედაშვილს თენგო ბიჭი მაინც შეარიგებსო, მაგრამ გიორგის აღთქმის გატეხა არ უყვარდა. მის გულში ჯერ არც პირველი სიყვარულის ცეცხლი გამქრალიყო და არც იმ ჭრილობის კვალი, რაც დედამ მიაყენა.

ტანადი და ამაყი დარო მოტყდა და დაჩიავდა. მან იცოდა, შვილი მისკენ არასოდეს მიიხედავდა.

„ჩემი გული გამოჰყვა, ზედ ვაქაცის ძალა დაეწურა და იმით მაჯობა...“ — ფიქრობდა დარო.

მათ ეზოში შავდათუას ხელით გავლებული მესერი ყინულის ციე კედლად იქცა. ამ კედლის გაღმა-გამოღმა ორი მიზანდაკარგული ადამიანი სევდიანად დაფარფატებდა, თან ერთმანეთს შორიდან, წარბქვეშ გაჰყურებდა.

როცა შემთხვევით, ან წყაროზე, ან ქალების თავშესაყარ ადგილას მჯდარი დარო შორიდან მოჰკრავდა თვალს, ან ვინმე გადაუჩურჩულებდა, — გიორგი აქეთ მოდისო, დარო შავი თავშლის ყურს სახეზე აიფარებდა, თვალებს დახუჭავდა და გულმილეული ელოდა შვილის ჩავლას, კვნესით ითვლიდა მისი ნაბიჯის ხმას.

და ისე გავიდა წლები, გიორგის დედისთვის არ შეუხედავს.

მხოლოდ ერთხელ, ახლოს, ძალიან ახლოს მივიდა მასთან და სახეზე დახედა. დახედა და ცრემლი წასკდა. დაროს თვალები დახუჭული ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფრო მაღლა აიწია მზემ და უფრო მეტად ჩამოცხა.

ალმური ასდიოდა გამოგვალულ, ხრიოკ ფერდობს. წუხანდელ შხაპუნა წვიმას მხოლოდ პირი მოებანა მიწისთვის. ფოსოებში წვიმის წყალი უკვე ამოეშრო შუადღის გავარვარებულ მზეს და საფლავის ქვებზე ბეღურები აღარ ჟივჟივებდნენ.

შორს გაწოლილი ვრცელი მინდვრები ბუღში გახვეულიყო. სპილენძისფრად ალანძულ ცასა და ცისქვეშეთს შუა საზღვარი წაშლილიყო და ეს უკიდეგანო სივრცე თვალისმომჭრელად ცახცახებდა, მზისქვეშ გარინდულ ოკეანეს ჰგავდა.

იქით, უფრო შორს ნაცრისფერი ბურანი იდგა. ამ შორეულ ბურანსა თუ ჯანღქვეშ ამ დილით მოკარკაცებული კავკასიონი ჩანდა, ახლა კი შავი ვეშაპივით გაწოლილი ღრუბელი ბოლავდა.

გიორგიმ დასავლეთით გაიხედა.

„საჩვენოზე მოწმენდილია, არ იავდრებს“. — გაიფიქრა და საავდროს თვალი მოაშორა.

ფერდობის ქიმი ნახევრად უკვე მონგრეული იყო. დაიღალა და მოშივდა. მტვერსა და ოფლში მოთხვრილი ხელები ერთმანეთს შემოჰკრა, მოიფშვნიტა და სასაუზმოდ ჩამოჯდა.

კბილები ისევ მაგარი ჰქონდა, არ უშირდა მზეზე გახუხული ფაშარი პურის ჭამა. ესიამოვნებოდა კიდეც, პური კაკანტელასავით იფშვნებოდა კბილებში. ზედ ღვინოს აყოლებდა. საღვინეს მოიყუდებდა და ღვინო ლიკლიკით ჩადიოდა გამომშრალ ყელში. მირეცხავდა გამხმარ ნამცეცებს, ეღრეებოდა ნიკაპზე, წამოზრდილ წვერში იკარგებოდა, საყელოში სასიამოვნოდ წვეთავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვევით, გზაზე ლაპარაკის ხმა გაისმა. მოლაპარაკეებს გიორგი ვერ ხედავდა, და, ბუჩქნარი ეფარებოდათ...

— ჰოდა, მას შემდეგ ეგ ბერიკაცი ცოტა არ იყოს...

„ცოტა არ იყოს... — გაიმეორა გიორგიმ გულში, — რა? რა ცოტა არ იყოს?..“

ალბათ ამ „ცოტა არ იყოს“ რომ ამბობდა, მოლაპარაკემ ხელი ღიმილით ჯერ შუბლთან მიიტანა, მერე გააქან-გამოაქანა: „ცოტა არ იყოს, ჭკუაზე აფრაკდ არისო“.

გიორგიმ მწარედ გაიღიმა, ერთხელ კიდევ მიიტანა საღვინე ტუჩებთან, კარგახანს არ მოუშორებია, ხარბად, სულმოუთქმელად სვამდა. მერე წამოდგა, დარჩენილი პურის ყუა ჯიბეში ჩაიდო, საღვინეს ნაქუჩი დაუცო და ისევ ბუჩქში შედგა.

ახლა სხვა ხმა მისწვდა მის ყურს:

— აი, ავიდეთ, გამოვკითხოთ...

ღვინომ თანდათან იძალა. გიორგის გუნება აემღვრა, აუდუღდა.

„ახლა დაკითხვას დამიწყებენ, რათაო, რისთვისაო...“

ქვემოდან მომავალთ ზურგი შეაქცია, ჯიუტად დაჰკრა ბარი მიწას.

„ვინ აძლევს ერთ კაცს მეორის გულში ჩახედვის ნებას, ვინ აძლევს მისი დაკითხვისა თუ გამოკითხვის უფლებას?.. ჩემი ფიქრი ჩემია, შენ რად მეკითხები — რად გამყავს ეს გზა, რა ვიფიქრე გუშინ, რას ვფიქრობ, რას?.. ჰო, რას ვფიქრობ?!..“

მაგრამ მისთვის დაკითხვა არავის დაუწყია...

ალმართში შუბათელი ბიჭები ამოდიოდნენ.

მათ შორის გიორგიმ „ის ბიჭი“ დაინახა და ისევ თვალთ დაუბნელდა, კარგახანს გაშტერებული იდგა...

— ძია გიორგი... — შემოესმა ბურანში წასული ბერიკაცს.

— ჰა?! — ამოიძახა მან და თვალები უცნაურად დაახამხამა. ისევ ის ბიჭი იდგა მის წინ და რატომღაც მორცხვად იღიმებოდა.

— ეს ბიჭი... ნინოს ბიჭია... შეიძლება? — გაუბედავად დაასრულა შუბათელმა ბიჭმა.

„ნინოსი თუ ჩემი... თუ ჩემი ბიჭის ბიჭი?“ — დაიძახა ვიღაცამ ბერიკაცის გულში. ამ ხმამ კინაღამ წააქცია, ბარის ტარს ჩაეჭიდა. მერე უნებურად ხელი გაუწოდა უცნობს.

— ჰო, ვიცი... დილასაც ვნახე...

ჭაბუკმა ხელი ჩამოართვა. გიორგის ისევ დაეხვა თავბრუ... ასეთი ღონიერი ხელი და მაგარი მაჯა ჰქონდა თენგოს... თვალებში შეხედა...

„ღმერთო, დიდებულო, გამოცხადებული თენგოა“...

— მეც დაგინახეთ... — ხმა ამოიღო ბიჭმა.

— გუშინ ჩამოვიდა თბილისიდან...— ისევ შემოესმა გაოგნებულ ბერიკაცს იმ შუბათელი ბიჭის ხმა, ვინც ნინოს ბიჭს ალმართში მოუძღოდა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა... შემოესმა და ისევ აკვიატებული იმედით აუფართხალდა გული.

„ალბათ იმ უბედურმა ქალმა ვეღარ გაბედა მოსვლა და ტოლებს გამოაყოლა, რომ...“

— თქვენი თენგოს ამბავი არ სცოდნია და ვუამბეთ... ახლა გვინდა თენგოს საფლავი და ის ლოდი ვაჩვენოთ... შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჩვენეთ, შვილო... — ამოთქვა გაკვირვებით გიორგიმ და ლოდისკენ პირქუშად გაიხედა.

ბიჭები მაღლობზე ავიდნენ და ლოდის წინ შეჩერდნენ.

„ამ ქალაქელ ბიჭს თენგოს ამბავი არა სცოდნია, არა... არ გასჭრა შენმა გუმანმა, გიორგავ... ნინოს არ გამოუგზავნია. იყო ჭალაში, გაიგო ძველი ამბავი და ამოიარა ამ... ამ დაწყევლილი ლოდის სანახავად. მორჩა და გათავდა!.. შენ კი რა ვარსკვლავებს არ გაეთამაშე, სად არ გაგიქანდა გული!..

ასეა... იმედი ნუღარა გაქვს ნურაფრისა. რაკი ერთხელ გაგიბურთავა წუთისოფელმა, უკან აღარ მოგახედებს“.

გიორგიმ ისევ ჯიუტად დაჭკრა ბარი მიწას და ისევ პირქუშად გაიხედა ლოდისკენ.

ნინოს ბიჭი კარგახანს დაფიქრებული იდგა თენგოს საფლავთან, მერე ლურჯ ლოდთან მივიდა, დაიხარა, თითქოს უნდა ხელებით დასწვდესო, მაგრამ ბერიკაცის მზერას წააწყდა, უხერხულად შეიშმუშნა და წელში გაიმართა.

ბიჭებმა უსიტყვოდ ჩაიარეს. ნინოს ბიჭი უკან მოდიოდა. ის შეჩერდა და თითქოს ბერიკაცის გასამხნევებლად თქვა:

— ძაან გიმუშავნია, ძია კაცო... კლდოვანი ფერდობი მოგინგრევია, გაგიფხვიერებია!

— ჰო, ვებრძვით მიწასა, ვაფხვიერებთ... მერე ის გაგვაფხვიერებს.

ამ სიტყვებზე ჭაბუკს გაეღიმა, მერე შეეკითხა:

— ცოტა ვიწრო ხომ არ მოგსვლია ეს გზა, ბიძაჩემო?

გიორგი ჩაფიქრდა. ბარის წვერით აწვალებდა მიწას.

— სასაფლაოს გზას ასაქცევი რად უნდა. მიცვალებულნი მუდამ იქით მიდიან... ამ გზაზე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან.

ნინოს ბიჭს აღარაფერი უთქვამს... თვალი უეცრად მოსწყვიტა ბერიკაცის შეკრულ შუბლს, მის დაკვირვებულ მზერას და ქვევით, სოფლის გზისკენ დაშვა. იქ შუბათელი ტოლები ელოდნენ.

გიორგიმ თვალი გაადევნა ჭაბუკს და ღრმად, ძალიან ღრმად ამოიხვნეშა.

*

* *

შეუსვენებლივ მუშაობდა. ოფლს თუ მოიწმენდდა ხანდახან, დროის ვარაუდისთვის თვალს ქირმიშად აპარებდა გაავებულ მზისკენ, უკვე სამზეოში ეგულებოდა, ამიტომ თვალის გასწორებას ვერ უბედავდა, იცოდა, თვალთ დაუბნელდებოდა და ყვითელი ცეცხლის რგოლები დაიწყებდნენ რიალს.

ფერდობის ქიმს მიწა და ღორღი ჩამოწმენდა. დიდრონი ქვით ნაშენი ძველებური კედელი გამოჩნდა. კედელს მცირე თახჩა ჰქონდა დატანებული, თახჩა ოთხი კოტტად გამოთლილი ქვით იყო შეკრული. თახჩაში პატარა ყურიანი საღვინე იდგა. იქვე ერთი მუჭა ვერცხლის ფული ეყარა. საღვინე ჩაშავებული იყო, ფული დაჟანგებული.

„აქ ვიღაცას უცხოვრია, ეს მისი ნასახლარია“, — გაიფიქრა გიორგიმ და თახჩიდან საღვინე გადმოიღო, გადაატრიალ-გადმოატრიალა. მოეწონა. გაჯავრებული ბატის კისერივით გაუშვირა ყელი საღვინეს... უნებურად დასუნა საღვინის პირი. ნესტისა, ობისა თუ შიგ ჩარჩენილი დროის სუნი ეცა, უმალვე მოიშორა.

„იქნებ ნამარნალია?

თუ ნამარნალია, ეს ფულები რაღად შეუყრია თახჩაში?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ ასლა ფულები გადმოხვეტა თახჩიდან.

„ალბათ მუშტარს ამ საღვინით უწყავდა ღვინოს და ფულს აქვე, ამ თახჩაში ყრიდა... არა, ქართველი კაცი ამ საღვინეს სავაჭრო საწყაოდ არ გამოიყენებდა“.

მიწას და მწვანე ყანგს გამოეხრა ძველი ფული.

„ძველ, ძალიან ძველ კაცს უცხოვრია აქ. შუბათში არავის ახსოვს, არც გიორგის გაუგონია, აქ ოდესმე კაცის საცხოვრისი ყოფილიყოს... ნამდვილად კი უცხოვრია. ჰქონია ვენახი, ჰქონია ეს საღვინე, უსვამს ღვინო. აჰა, ფულიც ჰქონია! მომკვდარა და აღარავის ახსოვს...“

რაღაც გაახსენდა, შავრცხილის ბუჩქისკენ გაიხედა.

„მეცა ვცხოვრობ, მაქვს ჩემი საღვინე, იმ ბუჩქში შედგმული, შიგ თავკვერის ღვინო მაქვს ჩასხმული“...

ამ ფიქრმა და ღვინომ ლაპარაკის გუნებაზე დააყენა. საუბარი მოუნდა ვინმესთან, თუნდაც თავის ჩრდილთან. გზას გადაბიჯა. იქვე, ერთ საფლავთან მიეიდა და ხმამაღალა ჩასძახა:

— შავდათუავ, შე ჩემო დამღუპველო, შენც იყავი და აღარა ხარ... უკუღმართი იყავი, მიღალატე, იმ უბედურ დედაჩემს ამოუდექი და გზაკვალი ამირე, მაგრამ განა ის კი არ მახსოვს, საიქიოდან რომ მომაბრუნე ამ ტკბილ-მწარე წუთისოფელშია!.. მაინც მიყვარხარ, ეს ქვა ხომ მე დაგადე გულზე. აჰა, შენდობაც მითქვამს ამ ძველი საღვინითა! მეც მალე მოვალ...

მტერ-მოყვარე მეგობართან ლაპარაკს რომ მორჩა, საღვინე საფლავის ქვაზე დადგა, ფულები გვერდით დაუყარა და გამობრუნდა. ბევრი ჰქონდა საკითხავიც და სალაპარაკოც, რაზეც მხოლოდ თვითონ უნდა ეპასუხნა. შავდათუა მას ველარფერს ეტყოდა.

გზაზე რომ გადმოვიდა, უნებურად თენგოს ლოდს წააწყდა. მაშინვე ზედ ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა და ხმამაღლა თქვა:

— შენ რომ ავი სიტყვა არ გყვარებოდა, ის ბიჭი ხომ ახლა გვერდით მეყოლებოდა? ისიც ცოცხალი იქნებოდა და მეცა...

გიორგიმ თავი ასწია და გაიხედა. მის წინ, მეორე მომცრო ლოდზე თავჩაქინდრული კაცი იჯდა. გიორგის ჰგავდა. ჰგავდა კი არა პირწავარდნილი გიორგი იყო. მისი ხატი და მსგავსი. ეგ არი უფრო პირქუში და შუბლშეკრული ჩანდა. ჭაღარა წარბქვეშ თვალები ბოროტად უელავდა...

გიორგის არც შეშინებია, არც გაჰკვირვებია. მაშინვე იცნო, თუმცა პირველად ხედავდა... დიდიხანია ამ კაცთან შეხვედრას და გულგახსნილ ლაპარაკს ნატრობდა... ის ავგიორგი იყო. გიორგის ხმის გაგონებაზე ავგიორგიმ თავი ასწია და ყრუ ხმით იკითხა:

— რა ავ სიტყვაზე ლაპარაკობ?

— მოხვედი? — ჰკითხა გიორგიმ.

— ჰო, მოვედი... ერთი კარგად გამაგებინე, განა სიტყვას კაცის მოკვლა შეუძლია.

— ნუ პეიტრობ... როგორ არ შეუძლია, — ხმას აუწია გიორგიმ, — სიტყვას არამც თუ კაცის მოკვლა, ქვეყნის დაქცევაც შეუძლია. სიტყვა აგორებულ ქვასა ჰგავს, თუ ერთი მოსხლტა და აგორდა, მორჩა, ზავად იქცევა და ქვეყანას წალეკავს... ქვეყანას წალეკავს და კაცის გულს ვერ მოჰკლავს?

— მე ავად არაფერი მითქვამს... — თქვა ავგიორგიმ და ხმა წაერთვა, თავი ისევ ჩაქინდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ახლა რასაც ვამბობ, შენთვის ავი სიტყვაა და იმიტომაც გიკვირს გულსა, იმიტომაც გგვრის ცრემლსა... კაცის გული ავ სიტყვაა როგორ გაცინებს. გული თუ რამე ჰკლავს, ავი სიტყვა ჰკლავს. მუდამი წვეთის ცემასავით ხვრეტს კაცის გულისფიცარს ნამივით მსუბუქი სიტყვა... დაეცემა ერთხელ და, ოდნავ შეათრთოლებს, დაეცემა მეორედ და, უფრო ძალუმად შეატორტმანებს, ჭოსვენებას დაუკარგავს. დაეცემა მესამედ, მეოთხედ...

— კარგი-მეთქი, კარგი! — შებღალა ავგიორგიმ და ფეხზე წამოდგა.

— მოიცა, ადგიე... ჯერ სადა ხარ... დაეცემა და, გაბზარავს გულსა. ან კი რატომ არ დაეცემა: ავი სიტყვა სწორედ იმიტომ არის ავი სიტყვა, რომ კეთილი გული მოჰკლას!

— ოოხ... მე!.. — ამოიგმინა ავგიორგიმ და მოწყვეტით დაეცა.

— შვილის ცოდვა გადევს კისეოზე! — პირქუშად ილაძანა გიორგიმ.

ამ სიტყვამ სახე დაუპრანჭა ავგიორგის. თავი დაუმძიმდა, ხელი აქნევით სცადა აბეზარი ფიქრის მოშორება, მაგრამ ფიქრი არ ეშვებოდა, თავს არ ანებებდა... ახლა ის ალაპარაკდა:

— იქნებ უბედური დაროს ცოდვაც მე დამაკისრო?

— განა არა, მეც სწორედ ახლა გამახსენდა დედაჩემი... არც ის გაგისტუმრებია ადამიანურად. მისი გაუბედურების ნახევარიც შენს ქედს აწევს.

— ჩემი უბედურების ნახევარიც დაროს გოროზ გულს აკისრია. ღმერთმა შეუნდოს და, იმან დამაყენა ფრიალოს წინ. ეგ არი, ხელი არ უკრავს თორემ... იმან დამიღუპა სიყვარული, ჩამიკლა პირველი გულისთქმა და...

— ყველაფერი შენი სიყვარულით მოუვიდა, უბედურო... განა დედის გული შვილისთვის ცუდს მოიწადინებს?

— მეც მუდამ კეთილი მინდოდა თენგოსთვის.

— კარგი და კეთილი კაცისთვის ის არის, რაც თვითონ ეხალისება. რასაც თვითონ მოინდომებს თავისთვის.

— თუ ეჩკენება, კარგი ჭგონია და ავისკენ მიილტვის, მაშინ?.. თუ ვხედავთ და გული გვეწვის, მაშინაც უნდა გავჩუმდეთ?

— უნდა გავჩუმდეთ, რომ ჩვენ არ გავხდეთ მიზეზი ცოდვისა... არ გაჩუმდი და აი, სად მიგიყვანა შენმა სიყვთემ. ცოდვასთან მიგიყვანა!

— აბა ხალხს ჰკითხე, შეეკითხე... შენს მეტი ვინ იტყვის ამას? შვილის და დედის ცოდვას ვინ დამაწოლებს, ვინ გამიბედავს?

— ჰო, ოღონდაც, ნამდვილს ვინ გაგიბედავს?.. ნამდვილს ზურგს უკან იტყვიან, თუ არც იქ იტყვიან, გულში მაინც გაიელბენ. თქმა თუ არ უნდათ, სამარეში ჩაიტანენ და არავის ეტყვიან. ნამდვილი უფრო ხშირად უთქმელია. შენ ეს არ გესწავლება!

— რახანია მოვეშვი ამაზე ფიქრს, თავი მანებე.

— მოეშვი იმიტომ, რომ გიმძიმდა, გტანჯავდა. ადექი და ნაცარფერფლი მიაყარე, დაიეწყე, რომ აღარ ეტანჯე... თორემ იმ ბიჭის დაღუპვა შენი ბრალია, ბა გაიხსენე, როგორ ექცეოდი შვილსა. თუგინდ ის დღე გაიხსენე...

— რომელი დღე?

— განა ერთი... განა ორი... განა...

— მაინც, მაინც რომელი?

— თუნდაც ის დღე, ძღვევის ქედზე რომ აირბინა.

— ჰო, ჰო... თავდაუკუღმა ის დღე!.. იმ დღიდან დაიწყო... — თქვა ავგიორგიმ და ხმა ჩაუწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

მოსაღამოვდა.

გიორგი ღობის ძირას, დიდი კაკლის ქვეშ ჩამოჯდა, ფეხსაცმელები გაიხადა, ერთმანეთს შემოჰკრა. თოხნის დროს ჩაცვენილი წვრილი კენჭები და მტვერი გამობერტყა და ისევ ჩაიცვა. მთელი დღის მუშაობით დაღლილს უცად წამოდგომა და შინ წასვლა დაეზარა და ღობეს მიეყრდნო.

ღობის იქიდან ფეხის ხმა შემოესმა, მერე ლაპარაკიც გაიგონა.

ლაპარაკი ახლოს, სწორედ მის ზურგს უკან, თითქმის მის კეფასთან გაისმოდა. ისე ახლოს, რომ გიორგი უნებურად მიბრუნდა, მაგრამ ცოცხალი ღობე ხშირი და თვალგაუვალი იყო.

გიორგიმ შვილის ხმა იცნო. ერთხანს მხოლოდ თენგო ლაპარაკობდა, შიგადაშიგ მისი მოსაუბრის სიცილ-კისკისი იჭრებოდა. გიორგის ვერ გაერკვია, ვის ელაპარაკებოდა ბიჭი; ქალის ხმა კი იყო, ახალგაზრდა ქალისა.

— თუ გინდა, აი იმ კაკლის კენწეროზე ისე ავალ, ფეხს არ მივიშველიებ... რად იცინი, ვერ ავალ? არა გჯერა? ჰა? აი, მიყურე!

გიორგიმ თავი მაღლა ასწია და კაკლის ხეს ახედა. ხე ღობის იქით, მეზობლის წილში იდგა, მაგრამ მისი ნახევარი გიორგის ვენახს დაჰყურებდა. მეზობელთან ამ კაკლის გამო გაუთავებელი დავა ჰქონდა. გიორგის ვენახის ნაწილს კაკლის ხე უზარმაზარი ჩარდახივით ჩრდილავდა. ამ დგილას მტევანი კარგად ვერ მწიფდებოდა და ვენახი ნაკლებ მოსავალსაც იძლეოდა. მეზობელი დანაკლისს იმით უნაზღაურებდა, რომ ბერტყვის დროს აქეთ ჩამოცვენილი კაკლის მოსავალში წილს უდებდა.

კაკალი მაღალი და ძნელი ასასვლელი იყო. ასვლას გამოცდილი მბერტყავებიც კი უარობდნენ და მეტ გასამრჯელოს თხოულობდნენ.

გიორგიმ უსიამოვნოდ შეათვალიერა კაკლის ხე. რაღაც გაახსენდა.

„დამიხედეთ ამ ჭყინტლსა, მაინც არ ეშვება“.

— მოიცა, მოიცა!... ვიცი, რომ ახვალ, ერთხელ ხომ გიყურე... — გაისმა ქალიშვილის ხმა. მერე სიცილი, გაბმული ალალი სიცილი მოჰყვა ამ სიტყვებს.

— როდისა, გო?..

თენგოს ხმა ჩაუწყდა, მერე დარცხვენით თქვა:

— ბოდიში... კინაღამ გოგო დაგიძახე.

— უჰ, დიდი უბედურება მოხდა!

„აპა, ეს ხომ სიმღერის მასწავლებელია. უყურე, ბოდიშსაც უხდის პუპლიაანთ გერსს! — გაიფიქრა გიორგიმ. — ვინც ქალაქში ერთი-ორჯერ გაიკლის, ყველა ჩვენი მასწავლებელია“.

— ჰო, მითხარი, როდის მიყურე?

— მაშინ პატარა ვიყავ, ზედაც არ მიყურებდი...

— არა, მართლა?

— აი აქ ვიჯექი და...

— ყველაფერი დაინახე?

— დავინახე... ენა ჩაგივარდა, ხმა ვეღარ დასძარი.

— ჰო, რა სასაცილო ვიქნებოდი!

— შემებრალე. ცრემლი წამსკდა.

— სამ-ოთხ საათს მუნჯი ვიყავი... წამოვდექი, რაღაც მინდოდა მეთქვა. ბავაღე პირი, დავაპირე თქმა და, ამმ... უუუ... — გაიცინა თენგომ, — ძაან ონი კი მომიყიდა. ასვლით, შენც დაგინახავს, აკეი, მაგრამ ჩამოსვლისას ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილ ტოტს დავეფდე, ჩამომიტყდა და მარცხენათი დავეკიდე ზემოთა ტოტს. მერმე ის ზემო ტოტიც მომიტყდა და წამოვედი ქვევით... კინაღამ აი ამ მარგილს დავეგე

ღობე შეიძრა. ალბათ თენგომ ხელი მოჰკიდა იმ მარგილს და შეარყია.

— ალბათ იმან გადამარჩინა, ზემო ტოტიდან ქვემოს ვენარცხებოდი. ვებღაუჭებოდი... მიწაზე არც ისე დიდი ძალით დავცემულვარ.

თენგო გაჩუმდა. ქალიშვილიც აღარას ამბობდა. არც სიო იძვროდა. ბალახიც კი არ ჩქამობდა. მხოლოდ ფუტკარი ზუზუნებდა გიორგის ყურთან. ისმოდა გაბმული, დაღლილი, მთელი დღის შრომით დაღლილი ფუტკრის ზუზუნი... იდგა ზაფხულის მზით გამთბარი, ჩახურებული და ჩაორთქლილი ძოწა ბალახის სუნი.

— რა არის ბავშვობა! — თქვა ხმადაბლა ქალიშვილმა. — მე მაშინ დიდი ვეგონე. ულვაში ახლად ამოგდიოდა. ახლაც დიდი მგონიხარ. ალბათ ტანადი რომ ხარ, იმიტომ... მეტად აღარ გიცდია?

— აღარ... აღარ, მაგრამ თუ გინდა ძლევის ქედზე შეუსვენებლივ ავირბენ! — აღგზნებით წამოიძახა თენგომ. — ახლავე... ხომ დაღლილი ვარ, ხომ თორმეტი კილომეტრი გამოვიარე რაიონიდან. მაინც დაუსვენებლივ ავირბენ!

გიორგიმ შვილის შავად ანთებული თვალები დაინახა. ღობე ხშირი და თვალგაუვალი იყო, მაგრამ მაინც დაინახა.

„მოუარეს... ნამდვილად მოუარეს!“ — გაიფიქრა და ფეხზე ფრთხილად წამოდგა. სოფლის ცხვირწინ აყუდებულ ძლევის ქედს გახედა. უტყეო, ბუჩქნარიანი ფერდობი შეათვალიერა, მანძილი მოზომა.

„ვერ ავა... ვერა. შეუსვენებლივ ვერ ავა, გულს გაიხეთქავს“.

— მოიცა, ბიჭო! — გაისმა ქალიშვილის ხმა.

— არა...

— მოიცა-მეთქი!..

გიორგიც შეინძრა, დაძახება დააპირა.

ღობის იქით ფეხის ჩქამი გაისმა, თენგო ადგილს მოსწყდა, შურდულივით გავარდა ვენახიდან.

ძლევის ქედის ფერდობი იქვე, ვენახების ბოლოს, ჭალაკის პირიდან იწყებოდა. ფერდობის დასაწყისს ვენახის ბოლოებში ჩამწკრივებული დაბურული კაკლის ხეები ფარავდა, ამიტომ გიორგიმ შვილი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ფერდობის მეოთხედი ავლილი ჰქონდა.

ბუჩქნარში ხან იელვებდა, ხან დაიმალებოდა თენგოს წითელი მაისურა. ბიჭი პირდაპირ მირბოდა, მაგრამ როცა გაუვალი ბუჩქნარი ხვდებოდა, მხარს უქცევდა, გარს უვლიდა და შეუსვენებლივ, უკანმოუხედავად გარბოდა, სულ ზევით და ზევით.

ღობის იქით ხმა აღარ ისმოდა. ქალიშვილი ალბათ ხმაგამენდილი და გაოცებული მისჩერებოდა ძლევის ქედისკენ გაქცეულ ჭაბუკს. ალბათ სუნთქვითაც კი აღარ სუნთქავდა... იქნებ არც იყო იქ?

გიორგიმ თითისწვერებზე აიწია, აიწია და ფრთხილად გადაიხედა. ქალიშვილი კაკლის ძირს მიყრდნობოდა, თავი უკან გადაეგდო, თვალმოჭუტული გასცქეროდა. გრძელ წამწამებსაც კი არ აფახულებდა. თითქოს სუნთქვითაც კი აღარ სუნთქავდა. ხორბლისფერ ლოყებზე სიწითლე მოსდებოდა, ბაგე ოდნავ გაღებული ჰქონდა, მიჯრილი, თეთრი ნაფოტა კბილები მოუჩანდა. ბაგეზე ღიმილი და იქვე ერთად აღბეჭდილიყო...

გიორგი ფრთხილადვე მოშორდა ღობეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს უკვე ჩრდილი მოჰფენოდა. ბინდი ეპარებოდა ირღოვებულ ტყეებსა და ვაკეზე გაშლილ ბაღ-ვენახებს. მაღლა, ფერდობზე კი ისევ მზე იდგა. ჩაწყურული მზის სიყვითლეში გახვეულიყო შავრცხილის, თეთრრცხილის და ჯაგრცხილის ბუჩქნარით დაფარული ფერდობი. ამ მოყვითალო სიმწვანეში ყაყაჩოსავით მოჩანდა თენგოს მაისურა... ეს წითელი, მოძრავი ლაქა სულ ზევით და ზევით მიიოლტვოდა.

იდგა და ის ღამე სოფელში დამკვიდრებული ბინდიც თანდათან ზევით იწევდა ფერდობის კალთებიდან, თითქოს ცდილობდა მოძრავ ყაყაჩოსფერ ლაქას წამოსწეოდა და შეღამების მწუხრში გაეხვია.

უ_ეს ყაყაჩოსფერი თითქოს ერთ ადგილას გაიყინა, გაჩერდა... ბუჩქს მოეფარა თუ გაჩერდა?

არა, ბუჩქს არ მოჰფარებია. ჯერ ისევ გარკვევით ჩანდა მუქ სიმწვანეში მინაბული უძრავი წითელი ფერი.

„დაიღალა? დაეცა? გული ხომ არ...“

ღობეს ზურგით მიყრდნობილი გიორგი იჯდა, ბრაზით იკვნეტდა ტუჩებს. არც ახსოვდა, როდის დაჯდა, როდის მიენდო ზურგით ღობეს. ისევ წამოიწია, მაგრამ ღობის იქით ფაჩუნი გაისმა. შეშფოთებული ფეხის ხმა... აჩქარდა ეს ფეხის ხმა, გასცდა ღობეს. ახლა თანდათან შორიდანღა ისმოდა. მერე სრულიად მიწყდა. ქალიშვილიც ფერდობისკენ გაიქცა... ალბათ ფერდობისკენ გაიქცა.

იქნებ სოფლისკენ გაიქცა, შესატყობინებლად, ხალხის ასაშლელად: თენგო ძლევის ქედისკენ გარბოდა, გარბოდა, და უცებ გაჩერდა, მიშველეთ, ხომ არაფერია მის თავსაო!

გიორგიმ თავგზა დაჰკარგა.

მაგრამ არა... აი, ახლა თეთრკაბიანი შეუდგა აღმართს. ისიც სწრაფად გარბოდა, ისიც აჩქარებთ უვლიდა გვერდს ერთმანეთში გადახლართულ, შედედებულ ბუჩქნარს... შეღამების ბინდში გვირილასავით იელვებდა და მიჰქროდა ზევით, სულ ზევით.

გიორგი გაოგნებული გასცქეროდა ფერდობს.

ნელ-ნელა მცირდებოდა მანძილი. თეთრკაბიანი ქალიშვილი ახლა უკვე სვენებ-სვენებით ადიოდა. ალბათ დაიღალა.

აი, გვირილისფერი მიუახლოვდა იმ ბუჩქებს, სადაც წეღან თენგო ჩამოჯდა თუ დაეცა. გიორგი ახლა ძლივსღა, ასთან გუმანით თუ ხედავდა ყაყაჩოსფრად კი არა, წაბლისფრად ჩამუქებულ ლაქას. ამ ადგილზე მწუხრის ბინდს უკვე გადაეკლო და ახლა უფრო ზევით მიიწევდა... მზის ბზისფერ სიყვითლეს ფეხდაფეხ მისდევდა საღამოს ჩრდილი, მიერეკებოდა ზევით, ზევით. ახლა მხოლოდ ძლევის ქედზეღა ენთო ჩამავალი მზის მოღლილი შუქი.

გიორგის მოლოდინი უხეთქავდა გულს. ყოველ წუთს ელოდა ქალიშვილის განწირული კივილის გაგონებას. კივილი არ ისმოდა. არ ისმოდა თუ არ ესმოდა, ვერ მიმხვდარიყო... იქნებ იკივლა ან ელდანაცემს ძალაც არ ეყო ამოძახებისა, ხმა ჩაუვარდა, ძალა წაერთვა, ანაზდეულად დამმუნჯა რაღაც საშინელებამ.

გიორგი ადგილს მოსწყდა. ჩქარი ნაბიჯით დაეშვა ვენახის ბოლოსკენ, მაგრამ ფერდობს მიშტერებულმა თვალმა უცებ შენიშნა, შენიშნა, როგორ ამოძრავდა გვირილისფერი და ზევით, მწვერვალისკენ წავიდა.

გიორგი თვალისიერის თუ ჰაერის მოძრაობით გრძნობდა, როგორ მიჰყვებოდა გ_ერდით ზემოთკენ მიმავალ გვირილისფერს მაღალი მუქი ჩრდილი, რომელიც ბინდის დადგომამდე ყაყაჩოსფრად ელავდა ხასხასა სიმწვანეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ თავისუფლად ამოისუნთქა.

არაფერი, არაფერი საშინელი არ მომხდარა, მაგრამ რატომ გაჩერდა წყლებ

შუა გზაზე თენგო... შეისვენა?

არა, ეს შესვენება არ იყო...

რა იყო მაინც?

ჭაბუკური ეშმაკობა? ბავშვური ცუღლუტობა?

ვინ იცის...

ახლა უფრო სწრაფად მიიწევდა ზეკით ბინდში შეცურებული ნათელი დ. მის გვერდით მიმავალი მაღალი ჩრდილი. სწრაფად მდიოდნენ ზეკით, თითქოს უნდოდათ მწვერვალისკენ ასწრაფებული მწუხრისთვის გაესწროთ და ძლევის ქედზე მოელვარე შუქში გახვეულიყვნენ.

მართლაც მალე, მწვერვალზე შერჩენილ მზის ყვითელ ბინდში, ჯერ გვიოლისფერი აისეტა, მერე მის გვერდით გარკვევით გამოიკვეთა მუქი ყაყაჩოსფერი ჩრდილიც. ეს უკვე თვალის ცთუნება აღარ იყო. ეს მუქი ჩრდილი თენგო იყო... გიორგი დამშვიდდა. მერე გული ბრაზით აუდუღდა.

„გიჟია, გიჟი“...

უკან დაბრუნდა, კაკლის ხესთან, სადაც წეღან დიდხანს შემკრთალი და გაოგნებული იჯდა. ისევ ძლევის ქედს გახედა.

ახლა, შავად აყუდებულ ქედზე არც ყაყაჩოსფერი ჩანდა, აღარც გვირილისფერი. მზის, მკვდრის მზის უკანასკნელი შუქიც გაფანტულიყო. ხეობებიდან დაძრული ღამეს წაეშალა. აღარ იყო დაისღამე. სწრაფად ბნელდებოდა. მოდიოდა ნამდვილი ღამე.

*

* *

გიორგიმ თოხი დერეფნის კუთხეში მიაყუდა, ოთახის კარი ფეხისკვრით შეაღო, შეაჯახუნა. ცოლს მოსვლას ამგვარად ან ხმამაღალი ძახილით ატყობინებდა. ახლა ძახილის გუნებაზე არ იყო, ჯავრით კრიჭა ჰქონდა შეკრული.

ხახატომ იცოდა: როცა ქმარი შინ უმძრახად შემოვიდოდა, რაღაცით აღერღილი იყო, ამიტომ მეორე ოთახიდან მაშინვე გამოვიდა, ელექტრონი აანთო, არაფერი უკითხავს. სუფრის გაშლას შეუდგა.

— არაფერი მინდა... თუ გაქვს, მქავე მომიტანე რამე.

ხახატო ისევ უსიტყვოდ გავიდა გარეთ და მცირე ხნის შემდეგ თეფშით ჯონჯოლის მწნილი და პური შემოიტანა.

გიორგი სამი თითით, ხარბად დასწვდა თეფშს, დიდი ბღუჯა ჩაიდო პირში.

— ლუყურტი გემო აქვს, მარილი დაგიკლია...

— რაო? — შეეკითხა ცოლი.

— მარილი, მარილი-მეთქი... დაგიკლია.

— ახლავე... — მიტრიალდა ხახატო.

— მოიცა... მარილი რად მინდა?! მწნილისთვის დაგიკლია-მეთქი!

— ჰოო... ახლახან ჩავდე, ჯერ გამჯდარი არა აქვს.

— ჰოოდა, იმთავით ამთავამდე სულ ასე უმარილო იყავ.

— რა ვქნა, — გაუბედავად გაიღიმა ხახატომ. — რად გემჟაუნება, გუნებაქცევად ხომ არა ხარ?

როცა გიორგი ცუდ გუნებაზე იყო, ვერც მიალერსებას იტანდა, ვერც ალაპარაკებას, მით უფრო ხუმრობას. ლუკმა უგემურად გადაყლაპა, თეფშს წყენით ხელი გაჰკრა და შემკრთალ ცოლს პირქუშად შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭი სადა გყავს?

— ბიჭი? — დაიბნა ხახატო და უნებურად მიმოიხედა. — სად უნდა ყავდეს.

— ჰო, სად არი, სად გაიპარა ამ დილით?

ხახატო კარგა ხანს გაქვავებული იდგა, სუფრაზე გადმობრუნებულ ლამბაქს უაზროდ დაჰყურებდა.

— ვითომ არც იცი?.. როდის აგიწყრიათ ჩემთვის ადგომა, რომ ამ დილით ამასწარით? ვითომ არ გითხრა, სად მიდიოდა?

— რაიონში...

— ყველაფერი ცუდი რაიონიდან მოდის. — ზიზღით წაართვა სიტყვა გიორგიმ და კარს ქეშად გახედა. ხახატომ უნებურად ხელი ყურთან მიიტანა.

— რა მოდის?

— ცუდი-მეთქი!.. ცუდი! ცუდი! ცუდი! გაიგე?! — აყვირდა გიორგი.

— გავიგე, კარგი... — სევდიანად თქვა ქალმა და მაგიდის თავზე ჩამოკიდებულ ელექტრონის ნათურას კრემლმომდგარი თვალებით შეხედა.

— რას იყურები ზევით! ამას ისევ ჩემი ჭრაქი მირჩევნია... ეს იმიტომ ჩამომიკიდეს, რომ ღამე ფანჯრიდან კარგად დამათვალიერონ, აბა, შინ რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ, ხომ არაფერს...

ხახატო მაგიდასთან მივიდა, პურისაყუა გადმოაბრუნა, დაპირქვავებული ლამბაქი აიღო, ჯონჯოლის ნარჩენი ზედ დაყარა, აკანკალებული ხელით სუფრა მოასუფთავა.

— ჰო, ეს შუქი, იმიტომ დამინთეს, რომ გულში ჩამომხედონ, კარგად დამითვალიერონ... მე ჩემი მჭვარტლიანი ჭრაქი მირჩევნია, ჩემი ბოსელი, ჩემი ბოსლის სუნი...

— რაი? — გაოცებით იკითხა ხახატომ.

— სუნი-მეთქი, ბოსლისა... ჩემი ბოსლის სუნი!

— აი გადაგიტანოს და გადაჰყევ! — ხმაუაბლა ჩაიბუზღუნა ხახატომ და კარისკენ წავიდა. თეფში და პურის ნატეხები გაიტანა.

*

* *

გიორგი გაუხდელად, მთვრალივით მიეგდო ტახტზე და ფიქრს მისცა თავი. ისევ თავის სატკივარს ჩაუბრუნდა, ღრმად ჩაჰხედა... გულის ჭრილობა ჯერ ისევ ღრმა ჩანდა, თავშეუკრავი. ქვემოდან ძველ იარას ბალღამი თუ შედედებული სისხლი აწვებოდა და ფეთქავდა, კედლის საათივით მონოტონურად ძიგძიგებდა, ამოხეთქვას ლამობდა.

თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ ტკბილი ქანცვისმომგვრელი რული არსად ჩანდა, იგვიანებდა... თითქოს ქუთუთოები ერთმანეთზე კი არ ეწყო, გახელილი ჰქონდა და თვალნათლივ ხედავდა მიწაზე ჩამოხობილ ვარსკვლავიან ცას, ამ ცისკვეშ გაწოლილ უსასრულო და უკაცრიელ მინდორს.

გახედავდა ამ უკიდეგანო სივრცეს, ჩაუშტერდებოდა. და უცებ უკაცრიელი მინდვრის ბოლოს ვიღაც წამოდგებოდა, ამ სიჩუმეში მისკენ ფრთხილი, უხმაურო ნაბიჯით წამოვიდოდა, თითქოს ფეხშიშველა მოაბიჯებდა მწვანე მოლზე... ენდროსფერი ხალათი ეცვა შორიდან მომავალ ჭაბუკს, თვალები შავი, ოდნავ ცეცხლმოდებული ნაღვერდლებივით უღვიოდა. გიორგის არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს შორიდან მომავალი ჭაბუკი თენგო იყო. ჩაუშტერდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, შიში თუ გაოცება ზარივით დაჰკრავდა მის ყურებში ათას საყოველთაოს აიფარებდა თვალებზე ხელს, მოიფშვნეტდა, გაახელდა...

ოთახშიც სიჩუმე იდგა, შეხუთული სიჩუმე. ელექტრონის ნათურა სჭრიდა თვალს. არც თენგო ჩანდა სადმე, არც ხახატო შემოდიოდა სინათლის, ამ დაწყევლილი სინათლის ჩასაქრობად. კედლის ძველი საათის ისარი ჩჩაკუნობდა, ეხლეპოდა ჯაჭვის ბოლოზე დაკიდებულ ქანგმოდებულ გირვანქიანს და ჩხაკუნობდა.

ისევ დახუჭავდა თვალს, დაიწყებოდა ქუთუთოებით ერთმანეთს, ეგებ გამქრალიყო ის ხრიოკი, მოყვითალო მინდორი, მაგრამ ამაოდ, თვალმოხუჭულიც ხედავდა, როგორ მოამბიჯებდა მინდორზე ენერგოსფერხალათიანი ჭაბუკი...

*

* *

...ირგვლივ ყელგამოჭრილი ცხვრები ეყარა. გიორგი სისხლის გუბეში იდგა, დაკლულ ცხვარს უკანა ფეხებით ხეზე ჰკიდებდა და ატყავებდა. ბღაოდა შეშინებული ცხვრის ფარა, სისხლის სუნი ავებებდა ბაკში გამომწყვდეულ საქონელს, აცოფებდა ბაკის კართან მიყუჟულ ყელჩანგლიან ძაღლებს, სისხლის სუნი აცოფებდა გიორგის... ხელში სისხლიანი ხანჯალი ეჭირა.

ბაკის კართან ჩაჩოქილ შავდათუასაც ხანჯალი ეჭირა, გამოათრევდა აბღავლებულ ცხვარს, გამოსჭრიდა ყელს და გიორგის მიუგდებდა.

ჭრაქის შუქი მკთალად აშუქებდა ცხვრის დრემლით მოფენილ ეზოს. მეტი შუქი არც იყო საჭირო, ესეც საშიშად ეჩვენებოდა გიორგის და ეშვით აჰხედავდა ხოლმე ჭიატად მოციმციმე ჭრაქს. ჭრაქი ხახატოს ეჭირა აკანკალებულ ხელში. ცრემლი დაპაღუპით მოსდიოდა და სისხლის გუბეში ცვივოდა.

ახლა უღელში შეუბმელი წაბლა მოზვერი გამოიყვანა შავდათუამ ბოსლიდან. გამოიყვანა და კარი მაშინვე მიკეტა, ეშინოდა, გაცოფებული საქონელი არ გამოიშალოს და არ დაგვერიოსო. ვეება, დაძარღვული ხელები ჩაევლო რქებში მოზვერისათვის, ძალით მოათრევდა სასაკლაოზე. უკან იწევდა დამფრთხალი მოზვერი, წინწამოშვერილ, დაუნალავ ჩლიქებს სისხლიან მოლზე მოაცურებდა, მთელი ტანით უკან გადახრილიყო.

გიორგი ფერდაკარგული გასცქეროდა მოზვრისა და კაცის ბრძოლას. უცებ ძან ჭრაქით ოდნავ გაშუქებული ეზოს ბოლოსკენ გაიხედა და შეკრთა. მაოკენ ჩუმად, სულ ჩუმად ვიღაც მოდიოდა, ისე მოდიოდა, თითქოს მოლზე ფეხშიშველა მოამბიჯებსო.

გიორგიმ თენგო იცნო და შეკრთა, ხანჯლის გადაგდება უნდოდა, გვიანღა იყო. ბიჭმა ფეხი ააჩქარა და მათთან გაჩნდა.

შავდათუამ უნებურად ხელი უშვა მოზვრის რქებს. მოზვერი უკან გადაქანდა და კუდზე დაჯდა. პირუტყვზე ადრე ადამიანი მოვიდა გონს, მოზვერს კისერში სტაცა ხელი, მძლავრი მკლავები შემოჰხვია, მიწაზე დასცა და თვითონაც ჩაჯდა.

ხახატოს ჭრაქი გაუვარდა ხელიდან.

— ეს რა ამბავია? — იკითხა შეშფოთებულმა თენგომ.

გიორგიმ ხახატოს შეუძახა: „შუქი!“. ქალმა ჭრაქს მოუკიდა, ისევ მაღლა ასწია და შვილს შეხედა. თენგო გაქვავებული იდგა, ტუჩები უკანკალებდა. პასუხს ელოდა.

— რათა ხოცავთ ცხვარსა?.. რას ერჩით ამ მოზვერსა? — ისევ იკითხა თენგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი გონს მოვიდა, ბიჭს შეუყვირა:

— შენ საქმე არ არი, ცხვარი ჩემია, მინდა და ვხოცავ!.. სოფელნ დაბუ-
ერიგებ და საერთო ბაკში არ შევრეკავ... წადი, გაიარე!

გიორგიმ ხანჯალი მოიმარჯვა და აფართხალებული მოზვრისკენ წავიდა. შავდათუმა მოზვერს კისერი გადაუგრიხა.

— მა-მიიიი!!..

გულისგამგმირავად დაიკივლა თენგომ... ნაბიჯი წინ წამოდგა, მაგრამ ქე-ჩოში თითქოს ვიღაცამ ხელი სტაცა და ღონივრად გადასწია, უკან გადავარდა.

კვიცილი ღამის სიჩუმეში ელვასავით დაიკლაკნა, სილასავით გატყლაშუნ-და სიბნელეში. გიორგის ხანჯალი გაუვარდა ხელიდან, შავდათუა ფეხზე წამო-ვარდა, მოზვერი დაფრთხა და სიბნელეს შეერია.

— მა-მიიიი!!. — გაიმეორა სადღაც შორს წყვდიადში გარინდულმა ხეობამ.

*

* *

გიორგიმ თვალი გაახილა. ჯერ ისევ ყურში უტრიალებდა გულაღმა გადა-ვარდნილი შვილის კვიცილი... ოთახში სიბნელე იყო, ხახატო გამოსულიყო, შუქი ჩაექრო. შუა კარის ჭრილიდანღა გამოკრთოდა სინათლე. გიორგიმ არ იცოდა, ღამრუნდა თუ არა თენგო... სიზმარი საშინელი იყო. სიზმარი კი არა, ნამდვი-ლი, რამდენიმე წლის წინათ მომხდარი. მაშინ თენგო პატარა იყო და სკოლაში დადიოდა...

... მეორე დილით კი ადარ წასულა ბიჭი სკოლაში. თავისი წაბლა მოზვერი წინ გაიგდო და ხევს გაღმა, დიდ ბოსელში შეგდო, სადაც გიორგის არ უნდოდა თავისი საქონლის შერეკვა.

შვილის დამრუნებამდე გიორგი დიდხანს ეთათბირა შავდათუას და ხახა-ტოს, მერე სხვენზე ასასვლელს გრძელი კიბე მიადგა და ჩუმად ამვრა...

„იმ ბიჭს რომ რამე წამოსცდეს, დამიჭერენ... არ მაპატიებენ... დამიჭერენ“.

თენგო საღამოს სკოლაში გადავიდა. დღისით კოლმეურნეობაში მუშაობდა. მამის დაკარგვამ ჩაიფიქრა და დაადარდიანა. ხახატო დღეში სამჯერ, შვილის უჩუმრად ადიოდა სხვენზე, საჭმელი და ახალ გზაზე დამდგარი ქვეყნის ამბავი აჰქონდა ქმართან.

გიორგის საკუთარი ხელით აშენებულ გალიაში გაძლება უჭირდა. მუხლის გასაშლელად და დროის მოსაკლავად სხვენზე მგელივით ძუნძულებდა. ისიც მაშინ, როცა თენგო შინ არ იყო. ფიცარგაუკრავი ჭერი ჭრიალებდა მისი მძიმე ნაბიჯის ქვეშ. დაბლა ოთახში მტვერი ცვივოდა, თხლად საცერში გამტკიცული თქმილივით იცრებოდა, იატაკს ჭერის კოჭების გასწვრივ თანაბარ ხაზებად ეფი-ნებოდა. ამ მტვრის ხაზებს თენგოს მოსვლამდე ხახატო გულმოდგინედ ჰგვიდა და შლიდა.

ერთხელ სხვენზე დედაშვილის ხმამაღალმა ლაპარაკმა ააღწია.

თენგო მოულოდნელად მოსულიყო შინ...

გიორგის გულმა ავი უაზრა, კოჭებშუა წაწვა, ფიცარს ყური დაადო და სული განაბა.

— დედი, სხვენზე ვიღაცა დადის... ჭერიდან მტვერი ცვივა.

— არა, შვილო, თაგვი გამრავლდა. იმ დღეს მეც შევნიშნე და ავედი... ცო-ტა კაკალი დამრჩენია. ის ამოსაგდები თაგვი ყრის მიწასა.

— რომ შემოვედი, ჭერი ზანზარებდა, შემეშინდა. ვიღაც მძიმედ დადის, უნდა ავიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, შვილო...

— ნუ გეშინია დედი, თოფს წავიღებ.

— არა, შვილო, არა. ნუ დამღუპავ.

გიორგიმ წამოიწია, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ტანზე ჭიანჭველა დაეხვა, სისხლი საფეთქლებში სცემდა. ისევ შემოესმა თენგოს ხმა:

— თუ მამაჩემია, მითხარი!..

პასუხი არ გაუგონია, მხოლოდ ჩუმი ქვითინის ხმა აღწევდა სხვენზე, ახლა უკვე აივნის მხრიდან.

გიორგი ზარდაცემული იჯდა. ოფლს ასხამდა, ყოყმანობდა. მერე წამოდგა და კიბეზე დაეშვა.

თენგო სანადირო თოფს აივნის ბოძზე ჰკიდებდა. წვერმოშვებული მამა რომ დაინახა, თავი ჩაჰკიდა, თვალი მოარიდა. გიორგიმ თავი უხმოდ დაუქნია ორივეს და ეზოში ჩავიდა.

— სად მიხვალ, შე უბედურო? — მიაყოლა ხახატომ.

— ერთი ჩავალ და ავუვლ-ჩავუვლი ჩვენ მთავრობასა! — გაიცინა გიორგიმ და ეზოდან გავიდა.

გიორგის გამოჩენა არავის გაჰკვირებია, ხელი არ უხლიათ, არც არაფერი უკითხავთ. თავმჯდომარესაც შეხვედა. მდივანსაც. მიესალმა, მიესალმნენ, გაუღიმა, გაუღიმეს... სხვა არაფერი. უსაზღვრო და უსამანო სოფელს, როგორც ჩანდა, მისთვის ამკამად არ ეცალა, თავისი გზით მიდიოდა.

მხოლოდ ორი კაცი დაინტერესდა სოფლის მოედანზე მისი გამოჩენით: ჰამია დალაქი და სოფლის ფოსტალიონი. დალაქმა სადალაქოს კარი გამოაღო და გასაპარსად შეიპატიჟა, ხოლო ფოსტალიონმა შეაჩერა და ღიმილით ჰკითხა:

— სად დაიკარგე, კაცო... მისამართი ხომ არ გამოიცვალე?

*

* *

— ეხლა მაინც მითხარი, რა დაგემართა? — ჰკითხა ნინომ თენგოს, როცა ძლევის ქედზე ავიდნენ. — მუხლი მოგეკვეთა თუ?..

თენგომ არაფერი უპასუხა, სულს ითქვამდა, თანდათან მშვიდდებოდა, მაგრამ სახე მაინც გაფითრებული ჰქონდა. იგი ქვევით, თვალუწვდენ ველებსა და მოქლურჯად შეფერილ მთებს გასცქეროდა.

სწრაფად ღამდებოდა, დაბლა, ხეობებსა და ტაფობებს უკვე მწუხრის ბინდი მოსდებოდა. ბინდბუნდი თანდათან ზემოთ, მთაკენ მოიწევდა.

თენგო და ნინო ახლა ალმაცერად ამოსროლილ დაისის შუქში ერთმანეთის გვერდით იდგნენ... ნინომ გაიღიმა, ახლოს, სულ ახლოს მივიდა ჭაბუკთან, ხელი გაუყარა და მკლავზე მიეკრა. თენგომ მისი სავსე მკერდის სითბო იგრძნო, გააკრქოლა. არ მიუხედავს, არ განძრეულა, არც ხმის ამოღება უცდია. არ უნდოდა უნებური მოძრაობით ან ხმის ამოღებით დაერღვია ეს სასიამოვნო წამი, რომელიც ასე მოულოდნელად დადგა. აქამდე ფიქრში თუ წარმოიდგენდა, გულში თუ გაივლებდა, რომ ნინო ოდესმე მისი გახდებოდა, გულზე მიეწდობოდა, ჩუმად და სიტყვის უთქმელად...

რატომ, რატომ მიეყრდნო თენგოს მკლავს ქალიშვილი ასე ნაზად. მხურვალედ? შემთხვევით მოხდა, თუ მასაც ისეთივე იდუმალი გრძნობა ეზიდებოდა ვაჟისკენ?

თენგო კვლავ ქვევით, ბინდით მოცული ხეობებისკენ იყურებოდა და ეთრთოლებულ მკლავზე ქალიშვილის გულისცემას გრძნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ იეშმაკე? — გაიცინა ნინომ და დაბლა დასწია ჭაბუკის მკლავები.

ღაესხდეთ!

მან ხელი შეუშვა თენგოს მკლავს და ჩამოჯდა. კაბის ბოლო შიშველ ხორბლისფერ წვივებზე ჩამოწია, აქეთ-იქიდან გულშოდგინედ ამოიკეცა, მერე გულღიმა გადაწვა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

თენგო მის გვერდით მოწყვეტით დაჯდა.

მთელი დღის ნამზეური მიწა თბილი და მშრალი იყო. მზის, გახურებული მიწისა და ბალახის სასიამოვნო სუნი იდგა... ნინომ ახლა თვალებზე დაიფარა ხელები... ისევ გულღიმა იწვა და თითქოს რაღაცას ელოდა.

— მე რასაც ვფიქრობ, ყოველთვის იმას ვამბობ და ვაკეთებ, — წყნარად თქვა ჭაბუკმა და ქალიშვილს მკლავზე ხელი მოჰკიდა. — შემომხედე, თუ გინდა გითხრა!

ნინომ წამოიწია, ხელები ისევ თავქვეშ ამოიდო, მკერდზე დაიხედა, გაღეღილი გულისპირი გაისწორა და გაირინდა... თენგომ მის მკერდს თვალი მოაშორა და სახეზე დახედა. ქალიშვილს თვალები დაწითლებული და ამღვრეული ჰქონდა.

— არაფერი... არაფერიც არ მომსვლია, — ჩურჩულით თქვა თენგომ... — მოვრბოდი ზევით და ვფიქრობდი: სად მივრბივარ, სად?... ნინო ქვევით დარჩა. მე სად მივრბივარ, სად?...

ჩემს ცხოვრებაში დღეს დიდი რაღაც მოხდა. ისეთი რამ არც ყოფილა, აღარც იქნება, არ გამეორდება. ამის მიზეზი ნინოა, ნინო... ნინო...

მოვრბოდი და უაზროდ ვიმეორებდი:

ნინო...

ნინო...

ნინო...

ნინომ დღეს ჩემთვის თავი გამოიდო, თავისი ბედი სასწორზე შეაგდო, დასაღუპად არ დაიშურა... მე კი წეღან მისთვის თავის მოსაწონებლად კაკლის ხეზე დავაპირე ასვლა, ახლა ამ ფერდობზე ამოვრბივარ... სულელი ვარ, დამთხვეული, ნინო ქვევით, ვენახში დავტოვე და ძლევის ქედის მწვერვალისკენ გავრბივარ, თითქოს ამით დიდ გმირობას ჩავდიოდე... არ დაიჯერებ და ისე შემრცხვა, კინაღამ ცრემლი წამსკდა... შენი დანახვა მომინდა, ისე მომენატრე, თითქოს... ჰო და, ჩამოვჯექი და ვიმეორებდი:

ამოვა...

ამოვა...

ამოვა...

ნინო ამოვა. ამოვა და თავზე ხელს გადამისვამს, ჩემს გვერდით ჩამოჯდება.

თვალი ქვემოთ მეჭირა, შენსკენ, იმ კაკლის ხისკენ, სადაც დაგტოვე... დაგინახე, როგორ შემოუდექი აღმართს, როგორ ამოირბინე ბუჩქნარი, როგორ მოჰქროდი ზევით, მერე თვალები დავხუჭე და ვიხსენებდი, ვიხსენებდი...

*

* *

... ოთახის კარი გაიღო. ვიღაც ახალგაზრდა ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა, თენგოსთვის არც შეუხედავს, ისე გავიდა გარეთ.

კარი ნახევრად ღია დარჩა. სანამ ეს ტყავგადაკრული მძიმე კარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურული იყო, ოთახიდან მხოლოდ ყრუ ხმაური გამოდიოდა. ახლა კი ლაპარაკის ხმა გარკვევით გაისმა.

ვიღაც ამტკიცებდა, რომ „საკითხი ნათელია... გარკვეულია... ამოწურულია...“ რომ საჭიროა „გადაწყვეტილების მიღება“...

თენგო გაბრუებული იჯდა. გრძნობდა, მისი ბედი წყდებოდა... ეს მისი საქმე „გაირკვა“, მისი ბედი „ამოიწურა“. იმას კი ვერ მიმხვდარიყო, ამდენხანს რად აყოვნებდნენ „გადაწყვეტილებას“, რა უშლიდათ ხელს...

უცებ ნინოს ხმა გაისმა:

— აქ რომ სტალინი იყოს, ხელს აუწევდა თენგო კობაიძის კომკავშირიდან გარიცხვას?

თენგომ უნებურად პირდაპირ გაიხედა. მოსაცდელი ოთახის კედელზე სტალინის სურათი ეკიდა... ალბათ იმ ფართო ოთახშიც ეკიდა სტალინის სურათი, სადაც ახლა მისი ბედი იწურებოდა. თენგო ამას ისე გრძნობდა, თითქოს საკუთარი თვალით უყურებსო, დარწმუნებული იყო, ნინოც ახლა ამ სურათს შესცქეროდა.

„ბრიცხაენ“... — გაიფიქრა და მუშტები შეეკუმშა. წამოიწია, სკამი ააჭრიალა, შეკრთა, მიმოიხედა და ისევ დაჯდა.

შეკითხვა ალბათ მოულოდნელი იყო, ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ვიღაცამ, იმან, ვინც „გადაწყვეტილების მიღებას“ თხოულობდა, მკაცრად თქვა:

— ამხანაგო, ასე საკითხის დაყენება, მეტი რომ არ ვთქვათ, უხეიხულია... როგორ? საიდან? რატომ?.. რად უნდა ყოფილიყო აქ სტალინი?.. ვიღაც შავსიელის შვილის საკითხის გასარკვევად მოიცილდა სტალინი?!

— აი, ისე... ერთი სიტყვით... ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყოფილიყო... გარიცხავდა თუ არ გარიცხავდა?.. — იკითხა ქალიშვილის შემკრთალმა ხმამ.

— გარიცხავდა... — თქვა იმავე ხმამ დაჯერებით.

— არა, არ გარიცხავდა... არ გარიცხავდა, არა, არა! — გაისმა ნინოს სასოწარკვეთილი ხმა... — თუ გარიცხავდა, ამით თავის ერთგულს გარიცხავდა, თავის ერთგულს დაკარგავდა... თუ გარიცხავდა, შეცდებოდა!

— ვინ? სტალინი შეცდებოდა? სტალინი შეცდებოდა?.. როგორ თუ სტალინი შეცდებოდა?..

თენგოს ცეცხლი წაეკიდა ლოყებზე. ანაზღეულმა ძალამ ისევ წამოაგდო სკამიდან. აცახცახებული ხელებით დაეყრდნო მაგიდას და ისევ სტალინის სურათს შეხედა. გული აჩქარებით უცემდა, ნინოს სიტყვებს უნებურად იმეორებდა: „შეცდებოდა, შეცდებოდა... თუ გარიცხავდა“.

— მე ვთქვი, თუ გარიცხავდა, შეცდებოდა-მეთქი... მე ვიცნობ თენგო კობაიძეს და კომკავშირიდან მისი გარიცხვა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ მამამისი შავსიაში შეიტანა, შეცდომად მიმაჩნია!

— დიდიხანია იცნობთ თენგო კობაიძეს? — გაისმა სხვა ხმა.

— ბავშვობიდან... ერთად გავიზარდეთ, ერთ სოფელში. —

— კარგად იცნობ?..

— კარგად... მის გარიცხვას მე ხელს ვერ ავუწევ... მე შუბათის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ, თქვენც უნდა მენდოთ და ისიც...

ნინომ თითი სტალინის სურათისკენ გაიშვირა. თენგოს არ დაუნახავს, მაგრამ იგრძნო, ნინოს ათრთოლებული ხელი სტალინის სურათისკენ ჰქონდა გაშვერილი.

თენგომ ბავშვობის მერე არ იცოდა რა იყო ცრემლი... არ იცოდა, მაგრამ რაღაც დაუძლეველი და ყველაფრის წამლეკავი დაიძრა მისი სხეულიდან და თვალებს მოაწვა. მიმოიხედა და ხელი თვალებისკენ წაიღო. ის გრძნობდა, რომ ამ დროს ტყავგადაკრული კარის იქით ნინოც ცრემლს იკავებდა... იქნებ ჩუმად, ხმადაბლა ტიროდა კიდეც.

ოთახში ლაპარაკი შეწყდა.

„ნინო... ნინო... ნინო...“ ამღერდა თენგოს გული. ცრემლი მოიწმინდა, წამოდგა და გარეთ გამოვიდა.

მან არ იცოდა — გარიცხავდნენ თუ არა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო. გაჭირვების დროს ნინოს გული მას თავდებად დაუდგა... ნინოს გული კი მთელ ქვეყანას ერჩივნა. ეს გული თენგოს ერთგული იყო, მისი სიყვარულით სცემდა...

*

* *

თენგო სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თითქოს მაღალი, ბუჩქნარიანი ფერდობი ერთი საათის წინ კი არა, ეხლა ამოერბინოს, ხელახლა დაღლილიყოს.

ნინომ გაიღიმა და წამოჯდა.

— კარგი. კარგი... მოდი. დაისვენე.

ბულულიკით ჩამოშლილ ქოჩორში ალერსით მისწვდა. ვაჟი მინებდა, ახლა ის გადაწვა გულაღმა და თავი ქალიშვილის კალთაზე დადო... თენგო ქვემოდან შეჰყურებდა და ნინოს სახე საღამოს მწუხრში გაფითრებული და რატომღაც სევდიანი ეჩვენებოდა...

— მინდა რამე გავაკეთო, კარგი და სასახელო...ისეთი, რაც შენც მოგეწონება, — ოცნებით ამოიძახა თენგომ და დიდრონი შავი თვალები ცას გაუშტერა.

— სულელო, მე ყველაფერი მომწონს შენი... — ჩურჩულით თქვა ნინომ, უცებ დაიხარა და ვაჟის გაფიცხებულ ბაგეებს დაეწაფა.

თენგომ თვალები დახუჭა...

საიდანღაც ველური ქინძის თუ რომელიღაც უცნობი ყვავილის სურნელი მოჰქონდა ნიავს. საოცრად თბილი იყო მიწა. სასიამოვნო იყო ამ მაღლობზე მთის გემრიელი ჰაერითა და სიყვარულით თრობა.

— აი ამ ყვავილის სუნი მიყვარს. — თქვა თენგომ და ერთი ბღუჯა ბალახი ცხვირთან მიუტანა ნინოს. — რომ დავსუნავ, მბნიდავს, თვალებს მახუჭინებს.

— ეს თუ ყვავილია! — წამოიძახა ქალიშვილმა სიცილით. — ამას ხომ ოქროცოცხას ეძახიან...

— არა, ეს ოქროცოცხა არ არი. ოქროცოცხას სუნი არა აქვს...

აღმოსავლეთით წინამამაწარა ვარსკვლავი გამოჩნდა. თანდათან სხვა ვარსკვლავებიც იბადებოდნენ, ცა ნელ-ნელა იბნედებოდა ვარსკვლავებით. ქვევით, სოფელში უკვე ღამე იყო. შუქი ენთო გზისპირზე და ფანჯრებში... შეუმჩნევლად, სასიამოვნოდ გრილდებოდა დღისით გამთბარი მიწა. ეს ოდნავი სიგრილე ქრქოლასავით ედებოდა მიწას.

უცებ თენგო მოულოდნელმა ფიქრმა შეაკრთო.

— მამაჩემი ნაწყენი იქნება, — თქვა მან ჩაფიქრებით. — დღეს მასთან ერთად უნდა მეთოხნა სმინდი... მე კი არცკი გამიფრთხილებია, ისე წამოვედი ამ დილით.

— უნდა გეთქვა, რომ საქმეზე იყავი დაბარებული.

— მამაჩემისთვის სულერთია, რაიკომში გამომიძახებენ თუ...

თენგო ისევ გულაღმა გადაწვა და ქალიშვილის მუხლებს დაენდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამბობენ, გიორგი მკაცრად ექცევა შვილსაო... — მოულოდნელად თქვა ნინომ.

— ალბათ იმასაც ამბობენ, შვილი არ უყვარსო?.. იმასაც იტყვიან, თითქოს არც მე მიყვარს მამაჩემი! — აღელვებით წამოიძახა თენგომ.

— საწყენად არ მითქვამს... — წაჩურჩულა შემკრთალმა ნინომ.

თენგო ჩუმად იჯდა. მამის ხსენებამ გუნება შეუცვალა. აწრიალდა, თანდათან მეტად გრძნობდა მიწის სიგრილეს და გულზე შემოწოლილ სიბნელეს.

— განა შეიძლება, ეს ასე იყოს? განა შეიძლება, მამას შვილი არ უყვარდეს ან შვილს მამა?! არ ვიცი, არ ვიცი... ხანდახან მეც მიფიქრია ამაზე, მაგრამ...

— მე ეს არ მითქვამს...

მაგრამ ქალიშვილი ამაოდ ცდილობდა ვაჟის დამშვიდებას. თენგო მას არ უსმენდა.

იცი, მამაჩემს ერთხელაც არ უკოცნია ჩემთვის... არ მახსოვს. შესაძლოა ბავშვობაში, ახლა კი... ახლა კი, ხანდახან ისე მწყურია, მოვიდეს, გადამეხვიოს...

თენგო გულით ლაპარაკობდა, სევდიანად ამბობდა სათქმელს, თითქოს ბოდავდა.

ნინომ მისკენ მიიწია, ისევ თმაში მისწვდა, ნაზად დაითრია და ახლა გაშლილ მკლავზე დადებინა თავი. ისინი ახლა გულაღმა, ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულები იწვნენ და ვარსკვლავიან ცას შეჰყურებდნენ.

— ერთხელ... იმ ზაფხულს თხუთმეტი წლისა შევსრულდი... ხმის კანკალით თქვა თენგომ. — მომიახლოვდა, კისერში ხელი მომჭიდა, სწორედ ისე, როგორც ახალმოზვერს სწვდებიან ხოლმე, მომიჭირა, ღონე გამოისნჯა და მითხრა, — დავაჟკაცებულხარ, ქედი დაგმსხვილებიაო...

ეს ისე ტკბილად მითხრა, კინაღამ გადავეხვიე, მან კი მხარში ხელი მტაცა, ბიჭო, ამა დამეჭიდეო... მამაჩემი ჯანიანი კაცია, ძველად სოფლის პირველ მოჭიდავედ ითვლებოდა.

ჰოდა, მტაცა ხელი და ღონივრად შემაჯანჯღარა. მეც მაგრა დავუდექ...

წაგაქცევო, მითხრა და უცებ წელში შემიგარდა.

ხელიდან დავუსხლტი და ვუგანე. კინაღამ გადაიჩეხა... თავი შეიმაგრა, გაიცინა და კიდევ მეძგერა.

არა, უნდა წაგაქციოო...

ვერ დამჯაბნა. ჭინკასავით ვუძერებოდი უშველებელი მკლავებიდან. ისევ წამომეწია და მკლავებში მომიგდო. მაინც ვერ დამძალა. რომ წამექცია, არ ივარგებდა. გავიფიქრე: მოდი წავექცევი-მეთქი და მართლაც მივნებდი, სულერთიანად მოვიდუნე **მკლავები. ის** კი არ მეშვებოდა: ხელში ბავშვსავით ამიყვანა და იცი რა ვიგრძეხი?.. კი არ ჯიდაობდა ჩემთან, მეალერსებოდა, ჩუმად, დაფარულად... არ უნდოდა მივმხვდარიყავი, თუ ჩემი სიყვარულის ყინს უთქმელად იკლავდა... ეგ არი არ უყოცნია, თორემ...

თენგო უცებ გაჩუმდა. ქალიშვილისკენ გადაბრუნდა და მის მკერდში ჩარგო აკანკალებული ტუჩები. ნინო გრძნობდა, მას საღამოს სუსხი არ აკანკალებდა, თავი გადაუწია და მღვრიე თვალებში სიყვარულით ჩახედა.

— ჩემო ჭკვიანო ბიჭო, ჩემო კარგო ბიჭო, დაიწყანრე გული. წავიდეთ.

— არა, — ამოიძახა თენგომ და უფრო ახლოს მიიკრა მკერდზე ქალიშვილი, — ვიყო ასე... სულ, სულ ასე... დილამდე.

— არ შეიძლება, არა, არა... — ჩურჩულებდა ნინო და სულს ძლივს ითქ-

ვამდა. ბოლოს მან ღონივრად გაიბრძოლა, თენგოს აცახცახებულ მკლავებს თავი დაახწია, წამოდგა და კაბა ჩამოიბერტყა.

— უნდა წავიდეთ... სხვანაირად არ შეიძლება. წავიდეთ.

ქვევით, სიბნელეში მინაბული სოფლიდან ძაღლის ყეფაც კი არ ისმოდა. არცერთ ფანჯარაში აღარ ენთო შუქი.

*

* *

თენგო სიმინდში იდგა და თოხნიდა. აჩქარებით თოხნიდა.

წუხელ ძლივის ქედიდან გვიან დაბრუნებულს კარგად არ დაეძინა; ჯერ არ გათენებულიყო, წამოდგა, კარი ჩუმად გამოაღო და მუშაობას შეუდგა.

ხანდახან წამით შეაჩერებდა თოხს და უკან გიიხედავდა. მამის გათოხნილი, გამეჩხერებული ყანა კოხტად გამოიყურებოდა, ლაღად შრიალებდა.

სიმინდი წელამდე ძლივს სწვდებოდა, თოხნა დაჰგვიანებოდა, ფესვზე კლანჭა ბალახს გადაევლო, ძირზე ბარტყი მოსდებოდა. თენგო მალმალ იკუზებოდა, ბარტყს აცლიდა შეწუხებულ სიმინდს. ბარტყს ძირი მოემაგრებინა და ადვილად არ ნებდებოდა ხელს. ერთი-ორჯერ ბარტყს თამამი დედა სიმინდიც დაბოყოლა, დაენანა, მოიქნია, უნდოდა შორს, ღობისძირისკენ გადაეყარა, მამამ არ ნახოსო, მაგრამ შერცხვა, იქვე მიყარა და თოხნა განაგრძო... ზოგჯერ ფიქრი ისე წაიღებდა, აღარც უყურებდა ბალახებში მოსრიალე თოხს.

უცებ იგრძნო, ვიღაც უთვალთვალებდა. აიხედა და შეკრთა. თავს გიორგი წამოსდგომოდა, პირქუშად იდგა მის ზურგს უკან, დამცინავი ღიმილით ზვერავდა.

კარგად მოსული, ჯანიანი კაცი იყო მაშინ გიორგი. ფიცხი და თავშეუკავებელი, ხარსავით დიდრონი თვალები ჰქონდა. როცა გაჯავრდებოდა, ამ გუდალ თვალებს ისე მოაწყდებოდა სისხლი, თითქოს ამოხეთქვას ლამობსო. მცირე წყენაზე სახე აუჭარხლდებოდა და განიერი ქვედა ყბა განზე წაუვიდოდა.

— მიაფარე, მიაფარე, ბიჭო... — წამოიძახა გიორგიმ, შვილს წინ ჩაუდგა, ჩაცუცქდა, უკვე გამოთოხნილი სიმინდის ძირში მიწა მიქექ-მოქექა, მოუჭრელი ნიწაწყარილი ბალახი გამოაჩინა.

— ამას გასწავლიან იქა?.. ჰა.. ამას გასწავლიან? მიწას რომ მიაფარებ, ბალახი თავს ვეღარ ამოპყოფსო?!

მერე ღონიერი თითებით მიწა მოაფხვიერა, ბალახიანად დაბღუჯა და ხელუკუღმა ისროლა უკან. არც ამის შემდეგ მოუხედავს, იქნებ ვერც მიხვდა, რომ თვალება მიწით ამოუვსო თენგოს.

სანამ თენგო მიწით ამოვსებულ თვალებს ისრესდა, გიორგიმ იქვე მიყრილი, უნებურად მოჭრილი სიმინდის რამდენიმე თამამი ღერიც შენიშნა...

ახლა კი მართლა ღრენით მოაბრუნა განიერი ქედი და გავეშებული ხარის თვალებით შეუბღვირა ფერდაკარგულ შვილს. მერე ის ძირწაჭრილი სიმინდის ღერები წამოკრიფა, მარჯვენა ხელში დაბღუჯა და ფეხზე წამოდგა.

— მტრისას ხომ არა თოხნი. მტრისას, მე... — წამოიძახა და თასმის მათრახივით მოხელთებული ღერები შვილს ცხვირწინ შეუთამაშა.

— მამი, დამეხსენ...

წამოიკვნესა თენგომ და ნაბიჯი უკან გადადგა.

— ვინ არი შენი მასწავლებელი, ვინა?.. ალბათ ჯაგებში უკან რომ დაგდევს, ის ახურებული ძუნა!

— მამი, გაჩ... — დაიღრიალა თენგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისმა ზუზუნი, ავად მოქნეული სიმინდის ღეროების სისინი, მერე ... წუნი.

თენგომ უკან ისკუპა და თოხი მაღლა ასწია...

*
* *

— კარგი, ნუღარ მახსენებ იმ დაწყევლილ წუთს!.. როგორ გაბედა იმ ალესილი თოხის მაღლა აწევა... როგორ გაბედა, ვის მოუღერა?... მამას, მამას... — თქვა ავგიორგიმ და თავი მუხლებში ჩარგო.

გიორგიმ თავის გაქნევით, ნიშნისგებით გახედა ავგიორგის.

— მერე, შენ ვიღა იყავი, შენ კი მამა არ იყავი იმ... იმ სულკურთხეულისა, შენ რაღად შეაყარე თვალებში მიწა?.. კარგი, ვთქვათ, მიწა ხელუკუღმა შეაყარე და ვერ დაინახე, არც გინდოდა...

— ჰო, ჰო, არ მინდოდა... — ამოიგმინა ავგიორგიმ.

— სიმინდის ღერები რაღად შემოჰკარ ყურის ძირში, რად გაიმეტე?

— იმის დანაშაული კი არაფერი გახსოვს?

— ახლა იმის დანაშაულს კი არა ვწონიო, შენს ცოდვას ვაგდებთ სასწორზე, შენსას ვანგარიშობთ, სამართალში შენა დგეხარ?

— ვინ მასამართლებს, ვინა?.. ჩემ ბიჭს რახანია ძლევის ქედზე სძინავს, მომხდარი კი არც არავის დაუნახავს და არც არავის ახსოვს.

— აღარც შენ...

— აღარც მე ვახსოვარ ვინმეს, აღარც ჩემი ცოდვა...

— ჩვენ ხომ გვახსოვს, ჩვენ ხომ...

— ეეჰ, ნეტავ იმით, იმ შემოკვრით და თოხის მაღლა აწევით დამთავრებულიყო ის ამბავი!

— არა, არა, უბედურება წინ არი.

— წინ არი თუ უკან? — იკითხა შეძრწუნებულმა ავგიორგიმ და წინ გაიხედა... გაფითრებული გიორგი ფეხზე წამომდგარიყო, დასიცხული თვალებით გასცქეროდა გვალვის ბუღით ამღვრეულ სივრცეს.

— წინ არი, — ჯიუტად თქვა მან, — ვაი რომ, რაც მოხდა, ის ერთხელ მომხდარი და გაელილი კი არ არი, ყოველდღე ხდება, ყოველდღე მეორდება. ეს გამეორებული უფრო მძიმეა...

*
* *

...ჰო, თენგომ უკან ისკუპა, თოხის ტარი მოიორხელა და მაღლა ასწია. თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა, მარცხენა ყურისძირი ეწვოდა და უწოიდა.

გიორგიმ ცალი თვალით, ცალი გასისხლიანებული თვალით, გვერდელად ახედა მაღლა ამართულ თოხს. გაშშდა, სისხლი გაეყინა. უნებურად გაეშალა მუშტად შეკრული მარჯვენა. ლორთქო სიმინდის ღერები სათითაოდ მოსწყდნენ მის გაოფლიანებულ ხელის გულს და სათითაოდვე შრიალით დაცვივდნენ ძირს.

*
* *

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თენგომ თავისსავე სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მამის ოჯახში სული ეხუთებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, მის გვერდით მუშაობა აღარ შეეძლო. სკოლა იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თავს ხალვათად და თავისუფლად გრძნობდა.

ნინოს გვერდით, რომელიც იმავე სკოლაში გალობას ასწავლიდა, ბავშვებით გარშემორტყმული და თავისი სქმით გატაცებული, ყველაფერს ივიწყებდა, საღამომდე შინ არ შემოდიოდა. გაკვეთილების შემდეგ სპორტულ წრეებს ამეცადინებდა და გულჩახვეული და პირქუში მამის თვალს გაურბოდა.

— დავიღუპეთ, დაგვექცა ოჯახი, — ეუბნებოდა გიორგი ცოლს, — ბიჭი გაგვიგარეულდა!

— ოღონდ ეგ კარგად იყოს და... — იტყოდა ხახატო.

— ამ ქვეყანაზე მე გამიჭირდა ცხოვრება და ეგ რას უნდა მოეწიოს. ჯამაგირი პაპიროსის ფულადაც არ ეყოფა. მამაპაპური ბეღელი დღემუდამ მოპირთავებული მქონდა ჩემი ხელით მოყვანილი დარკვეული ხორბლითა... მაინც მეტი მინდოდა, მეტი!

— დავიჯერო, ორ ლუკმა პურს ვერ მოიტანს ჩემი თენგოს ალალი ჯამაგირი? — ამშვიდებდა ხახატო. — ვაცალოთ, ფეხი მოიკიდოს, კარგად ჩადგეს საქმეში.

—ეგეც ვნახოთ... ის კი არ დაიგიწყო, რომ...

*
* *

გიორგის პირდაპირ, მომცრო ლოდზე, შავდათუა იჯდა. მას მოკლე ნაცრისფერი ახალუხი ეცვა და თავზე შავი ბოხოხი ეხურა. შუბლზე ჩამოფხატული ბოხოხიდან ჯაგარა თმა მოუჩანდა, ხოლო ამ გაფშეკილი თმის ქვემოთ მიმალული წარბებიდან შავი წვრილი თვალები ანათებდა. ამ ლობიოს მარცვლებივით წვრილ თვალებს შავდათუა მოუსვენრად აცეცებდა აქეთ-იქით. არც ნათქვამი და არც დასანახი არ გამოეპარებოდა. როცა გიორგი რაიმე სასაცილოს იტყოდა, შავდათუა მთელი ტანით ათახთახდებოდა, ჯერ სიცილი აუვარდებოდა, მერე ხველა. იხრჩობოდა, იფურთხებოდა. ქონით გაპოხილ ხელში ბაღდადისოდენა ცხვირსახოცი ეჭირა, ხველების შეკავებას ცდილობდა, თან გამოქვაბულივით გუგუნებდა:

— ჰო, ჰო, ჰო!.. აგაშენა ჩემმა გამჩენმა, აგაშ... ჰო, ჰო, ჰოჰ!

ამ „ჰო, ჰოს“ საფლავის ქვებზე მსხდომთა უკან ჩუმ მოწმესავით ატუზული საყდარიც აპყვებოდა, ყრუდ იმეორებდა, ასხვაფერებდა და ამგვარად ნათქვამს იმგვარად ისროდა:

— ოჰ, ოჰ, ოოოჰ...

*

საყდრის წინ მოედანზე სოფლის ბიჭები თამაშობდნენ. ძველ სავაკაცო მოედანზე თენგო ფიზკულტურული წრის მეცადინეობას ატარებდა. გიორგი შვილს უთვალთვალებდა. თენგოც, როცა ამისთვის მოიცლიდა, ხან გიორგის დაავკვირდებოდა, ხან ახარხარებულ შავდათუას გამოხედავდა. არ უყვარდა მამის მეგობარი, გულში მგელკაცს ეძახდა და პირს არიდებდა...

სათოხნში შეტაკების შემდეგ დიდ დროს არ გაევლო, მაგრამ მამაშვილის გულში გაჩენილ იარას პირი შეეკრა... ასეა, ავ სიტყვას, წყენას, მდუღრავს თუ უბრობას თან მოსდევს რაღაც სიკეთის მსგავსი... პირველი წყენის გავლის შემდეგ დგება სინანულის ჟამი. ნატკენი გული უჩუმრად სწონის სხვისას თუ თავისას, თავისთავს მეტ დანაშაულს აკისრებს, სხვის ცოდვას აპატარავებს. იწყებს შენანების დუღილს, თხოულობს აღიარებას... მომდურავ გულთა შუა ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენით უთქმელი აღიარება იწყება, მერე, თანდათან და გაუბედავად, სიტყვებ-ითქმის.

ეს ემართებათ ახლობელ და ერთმანეთის უღალატო გულებს. მათ არ შეუძლიათ მიბაძონ იმ გულებს, რომლებიც პირველსავე წყენას თუ უმძახობას მტრობის სათავედ აქცევენ.

გიორგის მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისი უბედური დედა დარო უდგა თვალწინ, ტუქსავდა თავის გულქვაობას და თენგოს ისე აღარ ექცეოდა, როგორც წინათ... დამდურებული გულები თანდათან ხმას იღებდნენ, ერთმანეთს ხან უსიტყვო ალერსს აგრძნობინებდნენ, ხან კარგ ქართულსაც გააგონებდნენ. შორს წასული სიყვარული თითქოს უკან ბრუნდებოდა, წელში სწორდებოდა, მაგრამ ის აღარ იყო, რაც წინათ. თითქოს ცალი ფრთა მოტეხილი თუ ძირს დაშვებული ჰქონდა. თენგოს მამის დაძარღვული მარჯვენის დანახვაზე მარცხენა ყურისძირი ეწვოდა და თვალები ხელუკუღმა შეყრილი მიწით ევსებოდა. გიორგის კი თოხის დანახვაზე თოხშემართული შვილი დაუდგებოდა თვალწინ...

*
* *

შავდათუა წამოდგა, გიორგის ღიმილით რაღაც ანიშნა და მოედნისკენ წავიდა. გიორგი აედევნა.

მოედნის ერთ ადგილას ბიჭებს მიწა დაებარათ. კარგად გაეფხვიერებინათ, დაეხაათ და სიგრძეზე ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

თენგო იქვე იდგა და თვალყურს ადევნებდა, ხელში ჭდეებიანი გრძელი ჯოხი ეჭირა; თუ რომელიმე ბიჭის ნახტომი მოეწონებოდა, დაიხრებოდა, ადგილს გადახმავდა, მერე უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა.

ყველაზე მარჯვედ კანჭა ბიჭი ხტებოდა...

კარგი საყურებელი იყო ეს მაღალ კანჭებზე შემდგარი ბიჭი. შორიდან თვალების ბრიალით გამოქანდებოდა, გადახაზული ადგილის თავზე ფეხს დაჭკრავდა, ერთს დაიკივლებდა და კალიასავით გადაფრინდებოდა...

— ყოჩაღ, კოტე. — უთხრა თენგომ კანჭა ბიჭს და მხარზე ხელი დაჰკრა.— ¿უშინდელს ათი სანტიმეტრით გადააცილე... ახლა დაისვენე, გეყოფა.

— ეჰ, რა დრო დადგა, — წამოიძახა შავდათუამ და მაშინვე უნებურად მიმოიხედა. მერე ხმადაბლა გაიმეორა: — რა დრო დადგა, ხედავთ, ვაქკაცის ნახტომსა სანტიმეტრებით ზომავენ!

— მაშ რით უნდა გაეზომოთ? — გაიცინა თენგომ.

— ძველათა... — ისევ ყოყმანით წამოიწყო შავდათუამ და ისევ მიმოიხედა, მერე იქვე მდგომ გიორგის უთხრა:

— შენც კარგად მოგეხსენება, ჩემო გიორგი, და მეც გამიგონია, ძველათა, ერთი ფეხის დაკვრით, სამი ნაბდის გაშლაზე ხტებოდნენ თურმე...

შავდათუა ახლა ბიჭებს მიუბრუნდა:

— ვაქკაცობას სანტიმეტრით კი ნუ მიზომავთ, თუ ბიჭები ხართ, იმ ძველებს აჯობეთ!

ბიჭებს სიცილი აუტყდათ. ერთმა წამოიძახა, ტყუილია, სამი ნაბდის გაშლაზე ვერავინ გადახტებაო.

— ჰო, მართალია, თქვენისთანები ერთი ნაბდის გაშლაზეც ვერ გადახტებიან!

ამ ნათქვამმა ბიჭები აეყაყანა. ბოლოს დაასკვნეს, შავდათუა რაღაც მოგონილსა ჩმახავს, მასხარად გვიგდებსო და ისევ ვარჯიშს შეუდგნენ.

— გავუჩინე თუ არა საფიქრალი, — ჩაიქირქილა შავდათუამ, როცა ყაცი-ბი ისევ ლოდებზე ჩამოსხდნენ.

გიორგი მას არ უსმენდა, ბიჭებს დაკვირვებით გასცქეროდა. ბიჭებში ჩამ-დგარ თენგოს ხელში ახლა რკინის მომცრო განტელები ეჭირა და ბიჭებს რა-ღაცას უხსნიდა.

გიორგი ფეხზე წამოდგა და დაიძახა:

— ბიჭო, აქ მო!..

შავდათუა გაჩუმდა, თენგოს გახედა. ბიჭებმაც თენგოს შეხედეს... თენგომ განტელები იქვე დაყარა და მამისკენ უხალისოდ წამოვიდა. განტელები ერთმა-ნეთს შეეხალა და დაიწკრიალა.

გიორგი ისევ იქით იყურებოდა, სადაც წეღან თენგო იდგა. მოახლოებული შვილისთვის არც შეუხედავს, ისე ჰკითხა:

— ბიჭო, ის რა გადაყარე?

— არაფერი, მამი... — წყნარად თქვა თენგომ.

— ხალხო, არაფრის ხმა თუ გაგიგონიათ? — იკითხა გიორგიმ.

შავდათუამ პირი დაიღო, უნდოდა გაეცინა, მაგრამ მის ყურს უცნო სიტყვა მისწვდა... პირი გაღებული დარჩა.

— განტელი? განტელი რაღა ოხრობაა?

— ჰო, რა არი განტელი? — ჩაეკითხა გიორგი შვილს.

— სავარჯიშოა... — ისევ ჩუმი ხმით თქვა თენგომ.

— წადი, მოიტა აქა.

თენგომ განტელები უსიტყვოდ მოიტანა, მამის წინ დაყარა და გვერდზე დადგა... მოედანზე თამაში ჩაიშალა. ბიჭები ზურგს უკან აეტუზნენ თენგოს, ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ მამა-შვილის იდუმალ პაექრობას.

— მერე, რათ გინდა ეს ეშმაკის ბურთები?

— ხომ იცი... შეჯიბრისთვის ვემზადებით.

— წეღან ამ პატიოსანმა კაცმა გითხრათ და მეც გეუბნებით, — თქვა სი-ცილით გიორგიმ და განტელებს ფეხი გაჰკრა, — ამ სათამაშოებით გინდათ თა-ვი ისახელოთ?

— ჰო, ჰო, ჰო!.. — აროხროხდა შავდათუა. შავდათუას უკან მდგომთაც გაეცინათ.

თენგო თავჩაღუნული იდგა. ხშირი ქოჩორი აწითლებულ შუბლზე ჩა-მოშლოდა. ღრმად, აღელვებით ქშინავდა. ძვალმსხვილი, დაკუნთული მკლავე-ბი გულზე დაეკრიბა და ისე იდგა. წითელი უსახელებო მაისურა ეცვა. მისი შე-მხედავი უცებ ვერ მიხვდებოდა, სახე მღელვარებით წამონთებოდა თუ ენდროს-ფერ მაისურას მიეყენებინა თავისი შუქი.

მხოლოდ მამა მიხვდა, რომ სიწითლე თენგოს ყურის ბიბილოებს უბრა-ლოდ არ მისძალებოდა. მაგრამ შავდათუას ხარხარით ეშხში შესულმა თავი ვეღარ შეიკავა, უცებ დაიხარა, ერთი განტელი აიღო და დაცინვით წამოიძახა:

— აბა, ეს თხილის მარცვლები რა სავაჟკაცოა, აგერ ის ლურჯი ლოდი ას-წიე თუ ღონე გერჩის!

წამოიძახა და განტელი ლოდისკენ გაისროლა.

რკინა ლოდს შეენარცხა და საოცრად დაიზრიალა. ლოდმაც თითქოს ხმა ამოიღო, ისეთივე უცნაური და ყრუ... მამის სიტყვებმა თუ რკინის ზრიალმა თენგო შეაკრთო, ლოდისკენ მიახედა.

სიჩუმე ჩამოვარდა, გრძელი და ძნელი სიჩუმე. ეს უცნაური დუმილი თითქოს იმ მძიმე ლოდივით დაეწვა ყველას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგომ მამას თვალები გაუშტერა...

მამა მაღლა იდგა და ისე დაჰყურებდა ჭაბუკს, როგორც აფოფრილი არწივი თავის მართვეს, რომელმაც უსუსური ჭანგის გაკვრა დაუპირა.

ქვემოდან, საიდანღაც ძალიან ქვემოდან შემოჰყურებდა ჯიბრით ანთებული შვილის თვალები, მისი აღელვებისგან მოქცეული სახე. ლოყებს გულიდან დაძრული სისხლის ტალღა თუ მაისურას წითელი შუქი მისდგომოდა. თენგოს ზურგს უკან გაფითრებული ბიჭები იდგნენ და ჭირვეულად სდუმდნენ.

— რა ღონეც გერჩით, იმით ეწვეთო... ჟიჟმატებო... რაცა მქვია, პირსა მცხიაო... ამით გინდათ ქვეყანა გააკვირვოთ, ამ გირვანქიანებითა და სანტიმეტრებითა?..

თენგომ გიორგის თვალი მოარიდა, მისი თვალები შავდათუას წვრილ თვალებს შეეფეთა. შავდათუა გაქვავებული იდგა და ოდნავ, სულ შეუმჩნეველად, გესლიანად იღიმებოდა, ცალი ულვაში უთრთოდა, ეტყობოდა, ყელში მობჯენილ სიცილს იკავებდა.

ვეღარ შეიკავა, უშველებელი პირი დააღო, ეშვები გამოაჩინა და დაიბუბუნა... სიჩუმეში ბერივით დაყუდებულმა საყდარმაც ყრუდ და უსიამოდ გაიმეორა:

— ოჰ, ოჰ, ოჰ!

თენგოს ამ ხმაზე უნებურად გააჟრჟოლა, საყდრისკენ მიიხედა. საყდარს მკვდრის მზე მისდგომოდა. მოყვითალო, უსიცოცხლო ფერი ედო დიდრონი ლოდებით ნაშენ კედლებს... ახლა ეს დამცინავი ხარხარი ამ მოყვითალო კედლებს შიგნით ისმოდა, ეკლესიის წინ კი მკვდრული სიჩუმე იდგა.

— ბიჭო, შავდათუავ, თუ გინახავს ამ ლოდის ამწევი?..

— ნახვით არ მინახავს, გაგონებით კი...

— ჰო, მეც მანდა ვარ... გაგონებით მეც გამიგონია, ნოსტელ ხიზამბარელს უწევია.

— ცხენის უნაგირზე გადაუგდია, დიდი ვაჟკაცი ყოფილა.

— ვაჟკაციც ყოფილა და ამბავიც სავაჟკაცო დაუგდია...

გიორგი ლურჯ ლოდს მიუახლოვდა.

— მორჩა, ამ ლოდის ამწევი აღარ დაიბადება!... — ამოიგმინა შავდათუამ და თავი ჩაქინდრა.

— შენგან არ მიკვირს... — დაწია გიორგიმ და ბიჭებს მიუბრუნდა:

— გაგიგონიათ ხიზამბარელისა და ამ ლოდის ამბავი? ჰო, ენა ამოიდგით, გაგიგონიათ?..

ბიჭები სდუმდნენ. თენგო დაფიქრებული იდგა, თითქოს მამის სიტყვები არ ესმოდა.

— თუ არ გაგიგონიათ, მოდით და შეგვეკითხეთ. გეტყვით და გიამბობთ, ვინ ვიყავით და რა ღონეც გვერჩოდა. თქვენსავით კი არ...

თენგო ლოდის წინ დაგდებულ განტელს გასცქეროდა. მისი გუშინდელი ოცნება დაპატარავდა, თანდათან გაიცრიცა და გაჰქრა. საფალავნო ლოდის წინ რკინის ბურთულები მუხუდოს მარცვლებივით ეყარა.

*

* *

ხიზამბარელის ამბავი თენგოს ადრე, ბავშვობაშიე ჰქონდა გაგონილი... ზამთრის გრძელ და გაუთავებელ ღამეებში, როცა თბილი ბოსლის აგუზგუზებული ბუხრის წინ მსხდარნი ზღაპრების მოსმენით მოიქანცებოდნენ და ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჟკაცო ამბების მოყოლას დაიწყებდნენ, ხიზამბარელსაც უსათუოდ ახსენებდნენ ხოლმე. ბერიკაცები ხიზამბარელთან ერთად ახსენებდნენ „სამთა ძმათ ღოლონაჭამთა“, რომელთაც ხევიდან მაღალ მთაზე აათრიეს უზარმაზარი ლოდი და ზედ თავად-აზნაურთა გამოსაჯავრებლად ამოკვეთეს:

ეს ლოდი ამოვიტანეთ
სამთა ძმათ ღოლონაჭამთა,
აბა, მოდით და დასძარით
შვიდთა ძმათ ქადანაჭამთა!

ბერიკაცები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, ეს წარწერიანი ლოდი ეხლაც დევს მდინარე ბერდუჯის თუ მაშავერას ხეობის ერთ-ერთ ქედზეო. როგორც ჩანს, ნებიერად აღზრდილ „ქადანაჭამ“ შვიდ ძმას ადგილდანაც ვერ დაუძრავს ღოლოთი გამოზრდილი ძმების მოტანილი ლოდი და ხალხის სავაჟკაცო ძეგლად იქვე დარჩენილა...

ამგვარი ამბების მოსმენის დროს თენგოს ბავშვურ ოცნებას ღოლოთი გამოზრდილი გლეხის ბიჭები და შუბათის ლურჯი ლოდის ამწეკი ნოსტელი კალატოზი ხიზამბარელი ზღაპრულ გმირებად მიაჩნდა. მისთვის ხიზამბარელი ისეთივე ზღაპრული ჭაბუკი იყო, როგორიც დევებთან მებრძოლი ასფურცელა ან რომელიმე მზეკაბუკი. ძნელი იყო ბავშვის გონებას ზღვარი გაევლო რეალურსა და ზღაპრულს შუა.

შემდეგ, როდესაც წამოიზარდა და ზღაპარი ნამდვილისაგან გაარჩია, არაერთხელ უფიქრია უსახელო ღოლოჭამიებზე და ნოსტელ ფალავანზე, არაერთხელ მჯდარა შუბათის ეკლესიის გალავანში მიგდებულ ლურჯ ლოდზე, ხუმრობით წასტანებია კიდეც, მაგრამ ამაოდ მიუჩნევია მისი დაძრა...

ახლა კი, იმ საღამოს შემდეგ, რაც შავდათუამ და გიორგიმ შუბათელ ახალგაზრდებს ვაჟკაცობა გაუტრიზავეს და მასხარადაც აიგდეს. „ხიზამბარელის ქვა“ მოსვენებას არ აძლევდა. თანდათან უფრო ხშირად ახსენდებოდა მამის სიტყვები: „თუ ღონე გერჩით, აი ეს საჯილდაო ქვა ასწიეთო“. უფრო მეტად ეუფლებოდა იდუმალი სურვილი ხიზამბარელთან შეჯიბრებისა და საჯილდაო ქვის აწევისა.

ხანდახან ფიქრში და ოცნებაში ისე წავიდოდა, რომ ხიზამბარელს მკვდრად არცკი სთვლიდა, თვალს დახუჭავდა და წარმოიდგენდა... ახოვანი მხარბეჭი ჰქონდა ნოსტელ კალატოზს, ღობის მარგილივით გრძელი, ძალმსხვილი მკლავები, თავთუხის ფქვილის სამტკიცისოდენა ბრიალა თვალები, გრძელი, დაბლა დაშვებული წაბლისფერი ულვაშები... გამომწვევი, კეთილი ღიმილით იდგა მის წინ და შეჯიბრში გულღიად იწვევდა.

არა, ხიზამბარელი მკვდარი არ იყო. ვინც ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს, ის მკვდრად არ ჩაითვლება. მასთან შერკინებაც უცნაური და სამარცხვინო არ უნდა იყოს.

თენგო თვალებს მოხუჭავდა და „თავის ხიზამბარელს“ უღიმოდა. სიყვარულით უღიმოდა. მოსწონდა თავისი ოცნებით დახატული უბადლო ვაჟკაცი. რომელიც თავის საუკუნეში ვერავის დაემარცხებინა. უყვარდა, მაგრამ უნდა შერკინებოდა, უნდა შებმოდა და გაელახა, რომ მათთვის ნიშნი მიეგო, ვინც ამ გოლიათის განიერ მხარბეჭს და განთქმულ სახელს მოჰფარებოდა...

ხიზამბარელის ზურგს უკან შავდათუა და გიორგი იდგნენ. გიორგის სახე ხან გამოჩნდებოდა, ხან ჩრდილი მიადგებოდა, თითქოს თვალს დარცხვენით აიდებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგო კარგად იცნობდა შუბათელ გლეხებს...

„ასჯერ რომ ავწიო ამ ლოდზე ძმიმე რკინა და მთელი საქართველოს ბეჭედი ზეთები აეალაპარაკო, ჩვენებური პეიტრები ამას ვაჟკაცობად არ ჩამითვლიან (იქნებ არც დაიჯერონ!..). ჩაიცინებენ და იტყვიან, თუ ბიჭია, მოვიდეს და ხიზამბარელის ლოდი ასწიოსო... ისინი ცხოვრებას იმით ზომავენ, რასაც თვალით უყურებენ, იჯერებენ მხოლოდ იმას, რასაც ხელს შეახებენ... ჰოო, ამბობენ ისინი. აი ეს მესმისო, თორემ, ცხრა მთას იქით აბა რა ვიცი, რა მოხდაო... ჩვენი სკოლის ახალი შენობა მოსწონთ და თითქოს სჯერათ კიდეც, თან ცალი თვალი უკან უჭირავთ, „აბა ისეთი ააშენეთო“ და თითს ქვათახევის ან სამთავისის ტაძრებისკენ გაიშვერენ“... — ფიქრობდა თენგო.

*
* *

თენგო ოთახში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

ხახატო სახლს ალაგებდა, ლოგინი გასამზეურებლად გარეთ გაჰქონდა და აივნის დასტანდაზზე ჰფენდა. ლოგინის გატანას რომ მორჩა, კედლიდან დიდი ხალიჩა ჩამოხსნა და ისიც გარეთ გიატანა. მერე წალოს კარი გამოაღო და კუთხეში მიყუდებული ნაბადი დაინირია. მამის ძველი ნაბდის დანახვამ თენგოს შავდათუას მწარე სიტყვები გაახსენა. უცებ თავში რაღაც კვიმატმა აზრმა გაუელვა. „რატომ აქამდე არ გამახსენდა, რომ მამაჩემს ნაბადი ჰქონდა“ — გაიფიქრა. თავის ბედებიანი ჯოხი მოძებნა და გარეთ გავიდა.

— ბიჭო, რად გინდა ეგ ნაბადი?.. — შეეკითხა გაოცებული ხახატო, როცა თენგო ნაბადს დასწვდა და კიბეზე დაეშვა.

თენგოს ხმა არ გაუცია, მიიხედ-მოიხედა, ნაბადი ეზოში გაშალა და ჯოხით გადაზომა. მერე სამზე გადაამრავლა, ინგარიშა, შეადარა და პირზე ღიმილი მოუვიდა.

ხახატო აივნიდან გაკვირვებული დაჰყურებდა ჩაფიქრებულ შვილს, ვერ მიმხვდარიყო, რას ჩაეფიქრებინა ან რა აღონებდა ჭაბუკს.

„რას გვერჩის, ის შავი დათვი. თითქმის სამი ნაბდის გაშლაზე გადამხტარა ჩვენი კანჭა ბიჭი... ხუთი-ექვსი სანტიმეტრი დაუკლია...“

გაიფიქრა. მაგრამ უცებ დაეჭვდა. ხელახლა, უფრო დაკვირვებით გადაზომა ნაბადი და მეორედაც იგივე შედეგი მიიღო.

„გაშავდა ჩვენი შავდათუა. გაშავდა“. — კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა და ნაბდიანად ჭიშკრისკენ გაემართა.

— სად მიგაქვს ეგ მტვრიანი ნაბადი, ბიჭო?.. გამეგერტყა მაინც...

დაადევნა ხახატომ, მაგრამ თენგოს აღარაფერი ესმოდა.

მალე სოფლის ორღობეში კანჭა ბიჭის ხრინწიანი სიმღერა გაისმა:

რაშავდა�ა, რაშავდააა,
შავდათუა გაშავდაა!..

კანჭა ბიჭს ნაბადი მხარზე მოეგდო და შავდათუას სათიბისკენ მიაფრიალებდა. უკან, კარგა მოშორებით, თენგო და სხვა ბიჭები მისდევდნენ.

შავდათუამ მისკენ მომავალი ნაბდიანი ჭაბუკი დაინახა, თიბეას თავი მიანება, ოფლი მოიწმინდა და ხელი მოიჩრდილა. კანჭა ბიჭი რომ შეიცნო, გაოცებით წამოიძახა.

— რა ექნა, რა არსენასავით მოგიგდია მხარზე ეგ ნაბადი ამ გაგანია სიცხეში?..

კანჭა ბიჭი ჭინკასავით აბრიალებდა თვალებს და ბიჭების გამოჩენას ელოდა, ჯერ არაფერს ამბობდა. უკან მალომალ იხედებოდა. ბიჭებიც გამოჩნდნენ.

თენგოს დანახვაზე შავდათუამ გაიღიმა.

— ჰა, ჭკუაში ხომ არ დაგიჯდათ, ბიჭებო, ჩემი ნათქვამი!

— დაგვიჯდა, ძია დათა, ჭკუაში დაგვიჯდა და ახლავე გაჩვენებთ... — თქვა თენგომ და კანჭა ბიჭს თვალით ანიშნა.

შავდათუა ვერ მიმხვდარიყო, გაოცებული იდგა.

კანჭა ბიჭმა პირდაპირ ნათიბში გაშალა ნაბადი, მერე თენგოს ჭდეებიანი ჯოხი გამოართვა და გადაზომვას შეუდგა. მალომალ გვერდელად ახედავდა შავდათუას და ეშმაკურად ასძახოდა:

— ეს ოცი სანტიმეტრი, ხომ?..

— ჰო... — ოცი სანტიმეტრი... — იმეორებდა შავდათუა.

— ეს ორმოცი, ხომ?..

— ჰო...

— ეს სამოცი... ეს ასი სანტიმეტრი, ხომ?.. ეს ასორმოცდა ათი... აბა ვნახოთ, შეიძლება თუ არა სანტიმეტრით ვაჟკაცის ნახტომის გაზომვა!..

— ჰა, აბა ვნახოთ... — უკვე უგულოდ დუდუნებდა მიმხვდარი შავდათუა.

— ესეც ასე... ახლა გავამრავლოთ სამზე... სამი ნაბდის გაშლა არა თქვი, ძია დათა?..

— ჰო, სამი ნაბდის გაშლა...

— ჰოდა, ესეც სამი ნაბდის გაშლა... ხომ სწორია?

— სწორია...

— აი, გადავხაზე... ნაბდის ამ გვერდიდან ამ ხაზამდე სამი ნაბდის გაშლა ხომ არის?

— არი...

— ახლა მე მიყურე!

„გამამასხრებენ ეს ჭინკები, სოფელში თავს მომჭრიან თუ არაფერი ვუზიმანე“... — გაიფიქრა შავდათუამ და უნებურად ბიჭის გრძელ კანჭებს დახედა.

კანჭა ბიჭი კარგა მანძილზე გაშორდა ნაბადს და გამოსაქცევად მოემზადა.

„გადახტება ეგ ფეხებმოსამტვრევი... გადახტება, და... ეს ნაბდისძველა სადღა გამოჩხრიკეს... ნაბდისძველა... ნაბდისძველა... ჰო, ნაბდისძველა!“

უცებ შავდათუას თვალები გაუბრწყინდა. მისთვის ახლა სულერთი იყო, გადახტებოდა თუ არა სამი ნაბდის გაშლაზე კანჭა ბიჭი. კორდზე არხეინად ჩამოჯდა და თამბაქოს ქისა ამოიღო. მის ცხვირწინ შლიგინით ჩაიქროლა კანჭა ბიჭის გრძელმა, კალიის ფეხებივით მოკუმშულმა გამხდარმა კანჭებმა.

— არის!

— გადახტა!

— ყოჩაღ, კანჭა ბიჭო!

შავდათუამ თავი ღიმილით ასწია და პირში ჩაგუბებული კვამლი მადიანად გაბოლა.

— ახლა რაღას იტყვი, ძია დათა?.. — ნიშნისგებით ჩაეკითხა თენგო... — ხომ გადახტა კანჭა ბიჭი სამი ნაბდის გაშლაზე?

— ახლა ვიტყვი, რასაც ვიტყვი, — ჩაიცინა შავდათუამ, ფეხზე წამოდგა და კანჭა ბიჭს გახედა. კანჭა ბიჭი ჯერ არ წამომდგარიყო. ნათიბში იწვა და დაღლილი ქშენავდა.

— ესა ნაბადი ვგონიათ თქვენა?.. — შეეკითხა შავდათუა ბიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რა არი, ნაბადია...

— წელან არაფერი გითხარით, იგრე გაგათამამეთ, ახლა კი გეტყვით: თქვა სიცილით შავდათუამ. — ეგა, შვილოსა, ნაბადი კი არ არის, ნაბდის პრავაკაციაა და მეტი არაფერი. ეს ნაბდისძველა, თქვენ რო გაგიზომიათ, იმ ძველ ვაჟკაცებს მუხლებამდეც არ დასწვდებოდათ, მაშა!

თენგოს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გაწბილებული იდგა და ტუჩებს იკვნეტდა. კანჭა ბიჭი წამომდგარიყო, ახლოს მოსულიყო, ნათიბში გაწლილ ნაბადს თავჩაქინდრული დასცქეროდა, თან ცალი ყურით, გულდაგუთქული უსმენდა სახეგაბრწყინვებულ შავდათუას.

— ჩემი გაცურება გინდოდათ, გვრიტებო, მაგრამ, არ დაივიწყოთ, თქვენ რო მოდიოდით, ჩვენ მივდიოდით, ვერ გაგივიდათ ტყუილი, არ იცით, ტყუილს მოკლე ფეხები აბია!

— ტყუილი კი არა!.. — წამოიძახა კანჭა ბიჭმა.

— აბა, აბა, ახლა კი წადით და თუ ჩემი არა გჯერათ, თქვენი ჯოხით ახლა მუზეუმებში დაზომეთ ძველი ნაბდები... აბა, ჰე, მოუსვით, ნუღა მაცდენთ! — დაუტატანა შავდათუამ ბიჭებს.

თენგომ ნაბადი დაიფარა და თავქვე დაეშვა. უკან განაწყენებული კანჭა ბიჭი მისდევდა.

შავდათუა თვალებმოჭუტული გასცქეროდა თავდაღმართში მიმავალ ბიჭებს და ყელში მობჯენილ სიცილს ვაივაგლახით იკავებდა.

*

* *

მოედნიდან ყველა წავიდა.

გოგო-ბიჭების მხიარული შეძახილები და სიმღერა სოფლის ორღობიდანღა ისმოდა... თენგო დაფიქრებული იჯდა. წელზევით ჯერ ისევ შიშველი იყო. წიფელსარტყელიანი მოკლე შარვალი ეცვა.

საღამოვდებოდა. სწორედ ის დრო იყო, როცა წამავალი დღის სითბოც სასიამოვნოა და დამდგარი მწუხრის ნიავიც.

ქვევით, ბუჩქნარში ფრთხილი ფეხის ხმა გაისმა, თენგომ წამოიწია. მალე აღმართში ამომავალი ნინო გამოჩნდა.

— რატომ დაბრუნდი? — შეეკითხა თენგო.

— შენ რატომღა დარჩი?

თენგომ არაფერი უპასუხა, გულაღმა გადაწვა და ცას ახედა.

მთვარე სულ ხუთიოდე წუთის წინ თეთრად მოჩანდა, ახლა კი სიყვითლე თანდათან ეპარებოდა, ძალა და შუქი ემატებოდა, ნაყოფივით მწიფდებოდა. მკრთალ და უღიმღამო სინათლეს აფრქვევდა გარემოს.

— რატომ დარჩი? — გაუმეორა ნინომ, გვერდით დაუჯდა და შუბლზე ხელი გადაუსვა.

— საქმე მაქვს...

— საქმე? — გაიცინა ნინომ. — რა საქმე უნდა გქონდეს ამ სასაფლაოზე, ისიც ღამით. არ გეშინია?

— აქ გავიზარდე... აგერ ჩემი სახლი... რაც არა მწამს, იმისი რათ შემეშინდება?

— ზოგჯერ სწორედ მაგიტომაც გეშინია, რომ არა გწამს.

— ჰო, რაც არა გწამს, თითქოს ის უფრო საშიშია... აი, უცნობ სასაფლაოზე იქნებ შემეშინდეს კიდეც, მაგრამ აქ ხომ ჩემი პაპები და დიდედები წვანან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარის მეზობლები. — თქვა თენგომ და სიცილით დაუმატა. — ნაცნობი მკვდრები სასაფლაოში არ არიან!

— მაინც რა საქმე გაქვს ამ სასაფლაოზე? ისიც გვეყოფა, რომ სამაისოდ ამ მოედანზე ვემზადებით.

— არაფერი. ისე დავრჩი... ვიცოდი დაბრუნდებოდი, ყველა რომ წავიდოდა...

ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა თენგომ, ქალიშვილს ხელი მოხვია და შიშველ მუხლისთავებზე გადაიწვინა, თვალებში ჩახედა.

— ტყუი! — ამოიძახა ნინომ, ხელები გააშვებინა და წამოჯდა. — ტყუი და მიმალავ... ჩემთან შეხვედრა როცა გინდა, მეუბნები კიდეც. მარტო ამ საღამოს კი არა, სხვა დროსაც შეგამჩნევ, აქ დარჩი და ამ ლოდს არ მოშორებიხარ...

თენგო შეკრთა, ფეხზე წამოდგა. აქამდის ჩრდილი ფარავდა, ახლა კი მთვარის შუქზე აისვეტა მისი ახოვანი ტანი. ნინო არ განძრეულა, ქვემოდან შესცქეროდა... ქვემოდან უფრო მაღალი და ბეჭგანიერი ჩანდა ჭაბუკი. მთვარის შუქი მის მზმეოკიდებულ მკერდსა და მკლავებს ბრინჯაოსფრად ალაპლაპებდა. სახეზე ალალი ღიმილი დასთამაშებდა.

— ჰო, რახან ტყუილში დამიჭირე, გეტყვი, რასაც გიმალავ, — დარცხვენით თქვა თენგომ და ჩურჩულით დაუმატა: — მართლაც, კარგახანია ამ ლოდს ვუტრიალებ, უნდა ავწიო...

ნინომ გახედა ღამის ბინდში შავად ჩამუქებულ ლოდს. უცებ თითქოს მხრებზე დაწვა მისი სიმძიმე, გაოცებით წამოიწია.

— ჯერ ხუმრობით დავუწყე ძიძგილი, მოვსინჯე... წავეტანე ერთხელ, ძვრაც ვერ ვუყავი. წავეტანე მეორედ, ხელი დამიდგა და ზედ გადავიჩეხე... მომივიდა გული, წავეტანე მესამედ და მიწას მოვგლიჯე, ცალი მხრიდან ქარი გავუტარე. მერე იმედი მომეცა და ასე ნელ-ნელა თავისუფალ დროს ვეთამაშები.

— ეგ რამ გაფიქრებინა?

— ავწევ... — ისე თქვა თენგომ, თითქოს თავის თავს აჯერებსო, მერე მკლავები მძიმედ, ნელ-ნელა, კუნთების დაძაბვით გაშალა. — იცი, როგორ ავწევ?.. აი ასე...

ნინომ თვალი გააყოლა თენგოს მკლავებს... ღონივრად დაჭიმულ თითებს თითქოს რაღაც მძიმე ეჭირათ და ნელ-ნელა, თანდათან სწევდნენ ზევით. მთვარემ თითქოს დაბლა დაიწია და ამ თითებშუა მოექცა, ჭაბუკის გაღიმებულ სახეს ზემოდან დახედა, ცრიატი შუქი დააფრქვია...

თენგომ მკლავები მოწყვეტით დაუშვა და ამოიხვნეშა. მთვარე ისევ ზევით, შორს, მოწმენდილ ცაზე დარჩა.

თენგო ნინოს გვერდით ჩამოჯდა.

— ეს ლოდი მხოლოდ ხიზამბარელს აუწევია...

— ვინ არის ხიზამბარელი?

— არის კი არა, იყო... ასი წლის წინათ.

— მერე, მკვდარს ეჯიბრები? — გაიცინა ნინომ და ქოჩორში მისწვდა ჭაბუკს.

თენგომ გაიღიმა და წინ გაიხედა. მან კარგად იცოდა, ვისაც ეჯიბრებოდა. „მკვდარსაც და... ცოცხლებსაც“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ არაფერი თქვა... უნდოდა ეთქვა, რომ ეს ცხოვრება ცოცხალი ადამიანის მკვდართან შეჯიბრია. რომ ცოცხალი ადამიანი ცდილობს იმაზე მეტი გააკეთოს, რაც მის წინაპრებს გაუკეთებიათ. მოხნას და მოიწიოს მათზე მეტი, გააშენოს და ააშენოს მათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი, იყოს მათზე ღონიერი, ასწიოს მეტი, იცხოვროს მათზე უკეთ და მეტხანს. უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამის გაათქმა გულჩახვეული ჭაბუკის ენას არ შეეძლო, ის მხოლოდ გრძნობდა თავის ოცნებას და სათქმელს.

ახ, რა კარგი იქნებოდა, მისი ფიქრი ჩაეწერათ, ჩაეწერათ და მერე ნინოსთვის წაეკითხათ. მაშინ უკეთ მიხვდებოდა ქალიშვილი ვაჟის გულისნადებს, მაშინ...

თენგო გულაღმა იწვა და თავის საყვარელ სიმღერას უსტვენდა. სიმღერის რიტმი ფიქრს უადვილებდა და საფიქრალის გარდა ყველაფერს ავიწყებდა. ამ სიმღერას ნინო ღიღინებდა ხოლმე მასთან განმარტოების დროს და მისგან ისწავლა...

შენ გიმღერებ, მხოლოდ შენ,
რასაც გულში გავივლებ,
შენ დაგიკრეფ, მხოლოდ შენ,
ჩემი გულის ყვავილებს!

არა, შეუძლებელი იყო სხვის გვერდით ეღიღინა ნინოს ეს სიტყვები ან კლასში ბავშვებისთვის ესწავლებინა. სიყვარულის სიმღერა იყო, ჩუმი და სევდიანი... ნინოს თენგო უყვარდა, ამიტომ ამ სიმღერას იგი სხვას არ გააგონებდა... თენგო გატაცებით უსტვენდა, ნინოც ღიღინებდა, ისიც ცას შესცქეროდა და ფუფუნით აძლევდა ხმას.

უცებ სტვენა შეწყდა. ნინოც გაჩუმდა და თენგოს შეხედა. უცქეროდა და ახლა, ამ წუთში ყველაფერი სჯეროდა მისი, სჯეროდა, მაგრამ რაღაც იდუმალი ექვი თუ შიში გულზე მაინც აწვებოდა, ჩხვლეტდა... სიბნელეში, ძლევის ქედის მხრიდან, მიკიოტის ყრუ ძახილი ისმოდა. თენგო წამომჯდარიყო, ნიკაპი მუხლისთავებზე დაეყრდნო და ღამის ფრინველის ხმას დაფიქრებით უსმენდა.

— დარები გაიწევს... — თქვა მან და წამოდგა, ლოდთან მივიდა, მიწას დასწვდა, ხელში მოფშვნიტა, ღრმად ამოისუნთქა და ლოდზე დაიხარა.

ნინო გაოცებული გაჰყურებდა ლოდთან შეჭიდებულ ჭაბუკს. აქამდე უჩინარი კუნთები თანდათან ინაკვთებოდნენ და ქვებივით სხდებოდნენ მის ბრინჯაოსფერ მკერდზე, მკლავებზე, მშვილდებივით დაჭიმულ ნეკნებზე. კისრის ძარღვებიც დაიჭიმა, წვივების კუნთები დაიძაგრა და ბურთებივით დამრგვალდა. მუხლები თრთოდა...

ნელა, სულ ნელა, შეუმჩნევლად შეიძრა ლოდი, შეტორტმანდა. ჯერ მარჯვენა მხარეს აიწია ოდნავ, მერე მარცხენაც აიძრა, აიწია და მიწას ასცილდა...

ნინო თვალს არ უჯერებდა, სუნთქაშეკრული იჯდა... ასე ეგონა მცირედი ჩქამიც კი, ღონიერი ამოსუნთქვაც კი შეაკრთობდა და ლოდს ხელიდან დააგდებინებდა. ასე ეგონა, ეს იდუმალი და შიშისაღმძვრელი გარემოც ამიტომ მინაბულიყო, ამიტომ ჩამდგარიყო მწუხრის წყნარი ნიავიც. საიდანღაც თითქოს სხვებიც უთვალთვალებდნენ, სუნთქაშეკრული უთვალთვალებდნენ ჭაბუკისა და ლოდის ბრძოლას... იქ, შავრცხილის ბუჩქის ქქოთ, თითქოს ხიზამბარელი იდგა და მშვიდი ღიმილით გასცქეროდა ანაზდეულ მეტოქეს.

ლოდი ნელ-ნელა იწევდა ზევით... აკანკალებულ მუხლისთავებს მიუახლოდა. აი, ოდნავ ასცილდა კიდეც...

უცებ ნინომ უნებურად, ხმადაბლა, ძლივსგასაგონად შეჰკივლა და ფეხზე წამოხტა. გაოგნებული იდგა, არ იცოდა რა დაემართა, რა მოხდა. რაღაც უცნაური მოხდა. არა, არც მიკიოტის ხმას შეუშინებია, რომელმაც ანაზდად შეიფრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხიალა ძლევის ქედის ნაქობარში და სადღაც გადაფრინდა. არა, ის რაღაც რამაც ფეხზე წამოაგდო, მის სხეულში ახვაურდა, შეიძრა და შეაშინა...

თენგოს ლოდი ხელიდან გაუსხლტა და მიწაზე ყრუდ დაეცა. ნინოს ფეხქვეშ თიოქოს მიწა შექანდა. ვერ გაეგო, ეს ლოდის დაცემის ხმა იყო თუ მისი აჩქროლებული, უცებ შემკრთალი გულისა.

— რა დაგემართა? — შეეკითხა თენგო და მასთან მივიდა. ხელი მოჰკიდა, თავი გადაუწია და თვალებში ჩახედა. ისინი დიდხანს უმზერდნენ ერთმანეთს. თენგოს გახარებული და ბედნიერი თვალები ჰქონდა. დაღლილიყო, ქშინავდა, სულს თქვამდა. ნინო ხმას არ იღებდა. რაღაც გაურკვეველი, შიშისა თუ სიხარულის ელდა, რამაც წელან მის გულში ზარივით გაიწკრიალა და ფეხზე წამოაგდო, ახლაც არ ასვენებდა.

— გაგიკვირდა და იმიტომ წამოიკივლე, ხომ? — შეეკითხა თენგო და ქალიშვილს ხელი შეუშვა. იქვე მიგდებულ მაისურას ჩაცმა დაიწყო.

ნინო ისევ მუნჯივით იდგა.

— მალე ხიზამბარელს გავუსწორდები... მუხლებს უკვე ავაცილე. — თქვა თენგომ, ჩამოჯდა და შარვლის ჩაცმა დაიწყო. ნინომ დაიკვნესა და მის გვერდით მოწყვეტით დაეშვა.

— რა გატირებს, გოგო? — გაოცებით იკითხა თენგომ.

ნინო მაროლაც ტიროდა, ცრემლი უნებურად სწყდებოდა თვალებს და ვაჟის გულმკერდზე ცვიოდა.

გაოცებული თენგო გულში იკრავდა ქალიშვილს, უკოცნიდა ცრემლიან თვალებს, გახურებული ბაგეებით უმშრალებდა ლოყებს, ეკითხებოდა, რა დაგემართა, მათხარო, მაგრამ ნინო გულამოსკვნით ტიროდა, ტიროდა და თან იცინოდა. ცრემლი კი განუწყვეტლივ ცვიოდა ვაჟის დაქანცულ მკერდზე.

— მეშინიან, — თქვა ბოლოს ნინომ და მუდარით შეხედა თენგოს, — მეშინიან. არ ვიცი კი რის... არ ვიცი, იქნებ იმის, რაც ახლა ვიგრძენი...

— რა მოხდა, რა იგრძენი?

— აბა ხელი დამადე აი აქ... — მორცხვად თქვა ნინომ და თავი ჩაჰკიდა. — არა, მანდ არა, უფრო ქვემოთ, — ჩურჩულით დაუმატა და ვაჟის გახურებული ხელი მკერდს ქვემოთ ჩააცურა.

— არაფერი მესმის, — თქვა თენგომ და გაიცინა, — ხომ არაფერი გტკივა?

— სულელი ბიჭი ხარ... ვერ მიხვდი?... მანდ რაღაც იძრა...

— ჩემი ბიჭი! — წამოიძახა თენგომ და ნინოს ხელი მოჰხვია, გულში ჩაიკრა.

*

* *

შუბათში უჩვეულო საღამო დგებოდა... ოცდაათი აპრილის საღამო.

ჯერ ისევ დღის ძალი იყო, როცა გზის პირას კაკლის ხეზე დიდი, მსხვილი ასოებით დაწერილი აფიშა გააკრეს ბიუგმამ.

ამ ადგილს „შუბათის კლუბს“ ეძახდნენ. შრომით დაქანცული გლეხობა საღამოობით აქ იკრიბებოდა დასასვენებლად, გასართობად და სალაღობოდ...

ამ საღამოს განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა და ხმაური ისმოდა კაკლის ქვეშ... მინდერებიდან და ბაღვენახებიდან შეგვიანებით დაბრუნებულნი ადრე მოსულებს უერთდებოდნენ, უცნაურ აფიშას ათვალიერებდნენ. ჭიშია დალაქი უკვე მესამედ, ხმამაღლა, ყველას გასაგონად კითხულობდა აფიშაზე დაწერილს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხვალ, პირველ მაისს, დილადანვე, ძლევის ქედის ეკლესიის მოედანზე გამართება:

ქართული ჭიდაობა,
ტანვარჯიში,
ხტომა სამი ნაბდის გაშლაზე,
შეჯიბრი ხიზამბარელთან...“

„შეჯიბრი ხიზამბარელთან“ აფიშაზე მრგვალი, წითელი ასოებით იყო მიწერილი და ჭიმია დალაქიც ამ სიტყვებს გამყივანი ხმით, ხაზგასმით გაჰკიოდა:

— შეჯიბრი ხიზამბარელთან, ხალხო, გაიგეთ, შეჯიბრი ხიზამბარელთან!

ყურთასმენა აღარ იყო, ხალხი ყაყანებდა, ვინ განმარტებას და ახსნას თხოულობდა, ვინ უმარტავდა და უხსნიდა... ისინი, ვისაც აფიშა გამოეკრათ და ხვალინდელი დღის საიდუმლო იცოდნენ, არსად ჩანდნენ, თვალს მიჰფარებოდნენ, ალბათ იმ მიზნით, რომ ცნობისმოყვარეობის ცეცხლი მეტად გაღვივებულიყო... ყველა თავისი გუმანით ცდილობდა გაუგებარის ახსნას.

შავდათუა ყველაზე წინ იდგა. მისი ექვი „სამი ნაბდის გაშლას“ დასტრიალებდა... „ჩემი გაბიაბრუება უნდათ ლაწირაკებს, მაგრამ ვერ მივართვი, იმდღეგანდელივით აჰკრავენ თავსა... მიჰქარავენ, მიჰქ...“ — წყენით ფრუტუნებდა და მოშორებით მდგარ გიორგის უთვალთვალებდა.

გიორგის სახე გაფითრებოდა. წითელ ასოებს დაბღვერილი შეჰყურებდა და თვალსა და ყურს არ უჯერებდა.

„ჩემი სიტყვა გულში ჩავარდნია, ხიზამბარელს ეჯიბრება... ერთი უყურეთ!“

— თუ ძველ ხიზამბარელს ეჯიბრებიან, მიცვალებულთან შეჯიბრი სადა ოქმულა! — წამოიძახა ერთმა ხნიერმა გლეხმა.

— ჯვარი აქაობას და... ან რა ბიჭობაა?

— ის მკვდარი და ეგენი ცოცხლები... აბა ვნახოთ, ვინ ვის აიკიდებს!

— არ იციან, კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება!

— საფალავნო ლოდს ეხუმრებიან...

— ბეერისთვის მოუწყვეტია წელი იმ ლოდსა...

გიორგიმ ტუჩები მოიკვნიტა და შინისკენ წავიდა. გულადუღებული მიდიოდა და ფიქრობდა: „ხიზამბარელს კი არა, მე მეჯიბრება, მე...“

შავდათუა წამოეწია. ერთხანს უბრად მისდევდა გვერდით, ხმის გაცემას ვერ უბედავდა, ატყობდა, მოქურუშებულ მეგობარს უბრალო სიტყვით დახურულ გულს ვერ გაუხსნიდა.

ისევ გიორგიმ გაიმეტა სიტყვა:

— ჯიუტი და კერპის ნატეხია, პირჯვარს ვერ დააწერინებს კაცი!

— ჰო, ასეთი ეიქმატობა გვეზრდება. — შეაწია შავდათუამ, გულში კი გაიფიქრა: „არ დაიწერს პირჯვარსა და სეირს ხომ ვნახავთ ხვალ დილითა...“

„იქნებ მართლა ასწიოს... იქნებ მართლაც გაუტოლდეს ხიზამბარელსა!“— ფიქრობდა გიორგი და ახლა უკვე მარტო მიალაჯებდა ორღობეში.

„შერცხვება, თავს მოიკრის, სოფლის მასხარა გახდება... გახდება და ახიც იქნება!“

ახლადდაგვილი, გაკრიალებული ქვის კიბე აიარა და ზედ კიბის თავზე შეხვდა შვილს. თენგომ გზა დაუგდო და უხმოდ დაუქნია თავი.

— საით გაგიწევია?

— ცოტას გავივლი...

— არ გირჩევნია, დაისვენო?.. ვიცი, ხვალ დიდი ჯაფა დაგადგება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგომ უსიტყვოდ გაიღიმა.

— განა ჩვენ კი არ ვიყავით ბიჭები. ბევრჯერ დაგვცვეთია ხელისგულები მაგ ლოდთან ჯაჯგურითა, მაგრამ ამწევი არავინ გამოგვერია, მოეშვი!

თენგო იღიმებოდა. მთვარის მკრთალი შუქი სახეზე სცემდა და უცნაურად თამაშობდა მის დიდრონ თვალებში.

— ხიზამბარელის ლოდი რკინის განტელი ნუ გეგონება... გაიგე?

თენგოს თითქოს მისი სიტყვები არ ესმოდა, თვალებგაშტერებული იდგა და ისევ იღიმებოდა. რაღაც სხვას, გიორგისთვის გაუგებარს და მიუწვდომელს უღიმოდა.

— რას იკრიჭები, ბიჭო, ხმა ამოიღე! — ბოღმით ამოიძახა მოთმინებადაკარგულმა გიორგიმ.

თენგოს სახეზე თითქოს ღრუბელმა გადაიარა. ღიმილი გაჰქრა. ახლა სევდის ჭაღილი ათამაშდა დიდრონ თვალებში. ამოოხრა და თავი ჩაღუნა.

— ვინა? შენა?.. შენ ასწევ იმ ლოდსა?! ეი, შე... არაფერი შეგეშალოს!

ერთხანს მამაც გაჩუმებული იდგა და შვილიც. მერე გიორგიმ ჰკითხა:

— ბოლოქანქარა ჩიტი იცი?

— მინახავს კიდეც... — ნაძალადევად გაიღიმა თენგომ.

— იცი, რომ ის ბოლოქანქარა ჩიტი რიყის წვრილ კენჭებსა ყლაპავს ხოლმე?

— ეგ კი არ გამიგონია.

— ჰოდა, ამას იქით იცოდე... რათა და რისთვის ყლაპავს, ეგ სხვაა... ის კი ნამდვილია, რო ყლაპავს. ქათამიც ყლაპავს კენჭსა.

თენგო გაჩუმებული შეჰყურებდა გიორგის.

— სანამ ის ბოლოქანქარა ჩიტი კენჭს გადაყლაპავს, ნისკარტით უკან დაიზმანებს, აბა გამეტევა თუ არაო!.. გაიგე?.. — ჩაიფრუტფუნა გიორგიმ და თავჩაღუნულ ჭაბუკს ქეჩოში წამოსდო ხელი, წამოსდო და შეჯანჯღარება დაუპირა. მაგრამ მიწაში ჩასმულ ბოძივით იდგა თენგო, რკინასავით ცივი და უდრეკი ეჩვენა მამის ხელს შვილის ღონიერი ქედი. ხელი უმალვე მოაშორა, ეზოში შეაბიჯა და ისევ ბურტყუნით მობრუნდა.

— კარგად დაიხსომე და დაისწავლე. ის ლოდი ღვთის ნათლულების ღონის საცდელია, ყველა ვერ გაუმკლავდება.

თენგო ერთხანს გაბრუებული იდგა, მერე უნებურად კისერზე მოისვა ხელი და ქვის კიბეზე სწრაფად ჩაირბინა. სანამ ჭიშკარში გავიდოდა, ერთხელ კიდევ მოიხედა მამისკენ.

მთვარის შუქზე საოცრად განაცრებული მოეჩვენა მამის თვალს შვილის სახე.

*

* *

გიორგი უვახშმოდ დაწვა, უმალვე ძილმა წაიღო და სიზმრის ბურანში შეაცურა...

. . . . . .

მთელი შუბათი შეყრილიყო ეკლესიის გალავანში. ხალხი ირეოდა, ხმაურობდა და მოუთმენლად ელოდა უჩვეულო სეირის დაწყებას. გიორგი, შადათუა და სოფლის ძველი კაცები წრედშეკრული ხალხის წინ ლოდებზე ისხდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზამბარელის ლოდი ზედ შუა მოედანზე იდო.

ისმოდა ზურნის ყურისწამღები ჭყვიტინი და ლოლის ბრაგუნი... ზურნის ხმა კი ისმოდა, მაგრამ მეზურნეები და მედოლე არსად ჩანდნენ. გიორგიმ ეს მერამდენედ მიმოიხედა, მაგრამ დამკვრელებს თვალი ვერსად მოჰკრა. ზურნის ხმა თანდათან ძლიერდებოდა, იქვე, მის ყურის ძირთან ფუტკრის ბზუილივით გაისმოდა. არავის უკვირდა, რომ ზურნის ხმა ისმოდა, მეზურნეები კი არ ჩანდნენ, ამიტომ არც გიორგის უკვირდა... ეს იდუმალი ზუზუნი უხდებოდა კიდეც დღევანდელ დღეს.

უცებ იქითა მხარეს, სწორედ გიორგის პირდაპირ, ხალხი ორად გაიყო და რამდენმე ჭაბუკი სიმღერით გამოვიდა. ჭაბუკებს უსახელებო წითელი მაისურები ეცვათ, მოკლე შავი შარვლები ბარკლებზე დასჭიმოდათ. ერთმანეთს ჰგავდნენ სახითაც და მოძრაობითაც, ერთნაირად მოდიოდნენ და იღიმებოდნენ, მხოლოდ ერთი გამოირჩეოდა მათგან, ტანადი და ახოვანი. იმ ერთს სახე განაცრებული ჰქონდა და არც იღიმებოდა. ის ყველაზე წინ მოდიოდა...

გიორგი გადაიხარა, წარბებქვემოდან გახედა გაფითრებულ ჭაბუკს, დაკვირდა და თენგო იცნო.

თენგო ლოდთან გაჩერდა და უკან მიიხედა. არაფერი უნიშნებია, მაგრამ ჭაბუკებმა უკან დაიხიეს და ხალხის წინ დამწკრივდნენ.

საიდანღაც ჭიმია დალაქი გაჩნდა, წრეში გამოვიდა და ხელი ასწია. ხალხი გაინაბა და ზურნის ხმაც შეწყდა.

„ამ ჭიმიას რაღა უნდა, რად გამოვიდა?“ — გაოცებით გაიფიქრა გიორგიმ და გვერდით მჯდომ შავდათუას ქიმუნჯი გაჰკრა, მაგრამ შავდათუა არ განძრეულა, არც გაუგია, პირდაღებული იჯდა.

ჭიმია დალაქმაც პირი დააღო და ყველას გასაგონად, ხმამაღლა დაიძახა:

— ხალხო, დღეს ამ მოედანზე ნოსტელ ფალავანს ხიზამბარელს საჯილდაო ქვის აწევაში შეეჯიბრება შუბათელი ჭაბუკი თენგო კობაიძე!

დალაქმა ხელი დაუშვა, მოედნიდან გავიდა და წითელმაისურიანი ჭაბუკების წინ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

გიორგის ყურს უკან ისევ აუყვიტინდა ზურნა, ისევ აზუზუნდა იდუმალი ფუტკრის გუნდი და აბრაგუნდა ლოლი. გიორგიმ იქით გახედვა დაიპრიალა, საიდანაც ზურნის ხმა მოდიოდა, მაგრამ იმწამსვე სხვა, უცნაურმა სანახაობამ მოსტაცა თვალი...

მოედანზე წითელმაისურიანმა ჭაბუკებმა კოხტად აკაზმული თეთრი ცხენი შემოიყვანეს და ლურჯ ლოდს აქეთა მხრიდან დაუყენეს. ცხენი ლოდს მოეფარა, მაგრამ გიორგი თეთრონის ფეხებშუა ლოდს მაინც ხედავდა. უნაგირს ზემოთ მოჩანდა ახოვანი ჭაბუკის გაფითრებული სახე.

სულგანაბული ხალხი მოუთმენლად ელოდა... გიორგიმ გარკვევით არ იცოდა, რას ელოდა ეს ხალხი, თვითონ კი ხიზამბარელის გამოჩენას ელოდა. აქ სადმე ნოსტელი კალატოზიც უნდა ყოფილიყო...

გიორგიმ ხალხს ზემოთ, შორს გაიხედა.

მართლაც, იქით, ხალხის ზურგს უკან, ბუჩქნარში ხიზამბარელი იდგა და თავის მეტოქეს უთვალთვალებდა. გაფშეკილ ქოჩორს ქვემოთ დიდრონი თაფლისფერი თვალები უცინოდა.

როგორც ჩანდა, ხიზამბარელს გიორგის მეტი ვერავინ ამჩნევდა, თორემ საპატიო სტუმარს მოიწვევდნენ და წინ დაიყენებდნენ. თავმდაბალი და კეთილი კალატოზი კი ალბათ გამოჩენას არც აპირებდა. მის წინ მდგარ ხალხზე მთელი თავით მაღალი იყო და სეირობას შორიდანაც კარგად უყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ ცხენის ფეხებშუა გაიხედა, თენგოს ხელებს მოჰკრა თვალი და მაშინვე ხიზამბარელისკენ გაიხედა...

დიდრონი თვალები ჰქონდა ნოსტელ კალატოზს, სარკესავით კრიალა და ნათელი. ამ სარკეს გიორგი თვალს არ აშორებდა, შვილისკენ აღარ იხედებოდა. არც იყო საჭირო. ამ თვალების გამომეტყველებით, მოძრაობით, შუბლის შეჭმუხვნით თუ წარბების აწევა-დაწევით ხვდებოდა და გრძნობდა ყველაფერს.

იქნებ ეშინოდა კიდეც?

იქნებ ეშინოდა, მისი თვალები არ შეხვედროდნენ თენგოს თვალებს და...

ჰო, თუ ეს შიში არ იყო, მაშ რად უკანკალებდა მუხლისთავები და ამ ძუხლისთავებზე დანდობილი ხელები?

უცებ ხიზამბარელს თვალები საოცრად გაუბრწყინდა, უშველებელი ბაგე გაოცებით დაღო და წინ წამოიწია.

რამ გაახარა, რა გაუკვირდა ხიზამბარელს?

გიორგიმ თავი ოდნავ ასწია... ცხენის ფეხებშუა აღარც ლოდი ჩანდა და აღარც თენგოს მკლავები. მოჩანდა მხოლოდ შიშველი, მიწაზე მყარად დაბჯენილი დაძაბული ფეხები.

გიორგიმ ვეღარ მოითმინა და ცხენზეკით აიხედა.

უნაგირს ზემოთ თანდათან იწევდა ლოდი. აპა, თენგოს აკანკალებული, კუნთებად ქცეული მკლავებიც აიმართა. მერე ამ მკლავებს შუა გამოიხედა გაბრწყინებულმა თვალებმა... მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

უცებ რაღაც მოხდა, გაისმა ქალის შემზარავი კივილი.

ნუთუ ეს ნინოს ხმაა?

ჰო, ნინოს ხმაა, ნინოს ხმა...

გიორგიმ თვალები დახუჭა... თვალდახუჭულს ცხენის ჭიხვინი და გაჭენებული ქაჩაჩების თქარუნი შემოესმა. თვალი ისევ გაახილა, მაგრამ ვერაფერი დაინახა, მის წინ ხალხი ჩამდგარიყო. წამოიწია, ძალა აღარ ეყო და ისევ ხალხს ზემოთ, ბუჩქნარისკენ გაიხედა.

ხიზამბარელი ისევ იქ იდგა. მის სახეზე კეთილი ღიმილი წაშლილიყო. აი მან თვალებზე ხელი აიფარა, უკან გაბრუნდა და ბუჩქნარს შეერია. მერე ამ ბუჩქნარიდან გიორგის ვაქკაცის ყრუ ქვითინიც შემოესმა.

გიორგი ისევ გაუნძრევლად იჯდა ლოდზე. არავინ მოსულა მის წამოსაყენებლად...

გიორგი განაცრებული სახით დასცქეროდა ლოდს, დიდხანს დასცქეროდა, მერე ხმადაბლა, სევდიანად თქვა:

— გათავდა, მოკვდა...

ავგიორგიც ლოდს დაჰყურებდა, მაგრამ სიტყვის დაძვრა უმძიმდა, თითქოს გიორგის ნათქვამი არ გაეგონოს ისე იდგა... გიორგიმ ძმიმე ღუმილს ვეღარ გაუძლო და შესძახა:

— რად შეხედე, რათა თვალებში?... ავად რად მიაშტერდი, როცა ლოდსა სწევდა?.. ჰა, ამოიდგი ენა!

ავგიორგი ჯიუტად სდუმდა.

— მითხარი. გულზე ხელი დაიდე და დაიფიცე, გულით გინდოდა თუ არა, რომ თენგოს, იმ დილით, შენს თვალწინ ხიზამბარელის ლოდი აეწია?

— არ ვიცი... არ მახსოვს.

— არ გახსოვს კი არა, არ გინდოდა, არა!... პატარა მარცხი რომ მოსვლოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ლოდი ვერ აეწია, უარს არ იტყოდი. თქვი, გამოტყდი, შეხედე თუ არა თვალით?!

— შეეხედე, მაგრამ ცოდვას რათ მიმრავლებ, — მწარედ გაიღიმა ავგიორგიმ. — ეგ ხომ სიზმარში მოხდა?

— ჰოო, ჰო, სიზმარში იყო მართლაც, სიზმარში მოხდა... — დაბნევით თქვა გიორგიმ და ერთის წამით თითქოს გულზე მოეშვა, შვებით ამოიხვნეშა, მაგრამ მალე ისევ მოეღრეკა სახე, ისევ შეუბრალებლად ალაპარაკდა:

— დიახაც სიზმარში მოხდა, მაგრამ მაგით თავს ვერ იმართლებ. რას მიქვია სიზმარი და ცხადი, მათ შუა სამანი ვის დაუდვია? ცხოვრებაც სიზმარია... ცხადიც სიზმარია და სიზმარიც. ცოდვა ცოდვაა, ვის გაუყვია ცხადისა და სიზმრის ცოდვა, ვისა?... განა ორივ კაცის გულის ნაჟური არ არის?... განა რაც ცხადში ხარ, სიზმარშიც ის არ იყავ?

*
* *

თარხნიშვილის სუფრაზე ხიზამბარელს დიდხანს აღარ მოუცდია. შეუმჩნევლად წამოდგა, მოედანი გადასჭრა და ერთი პატარა სენაკისკენ ბარბაცით წავიდა.

თვითონ კი ეგონა, შეუმჩნევლად წამოვდექიო, მაგრამ ასე არ იყო. ყველამ თვალი გააყოლა. თავდმა ბიჭებს რაღაც ანიშნა და უკან დაადევნა.

ხიზამბარელმა სენაკის წინ გრძელ საბელზე გამობმული თეთრონი დაინახა, მაგრამ არ გახარებია. ცხენი ბალახს წიწკნიდა და ფრუტუნებდა... სენაკის კარს ხელი ჰკრა და შევიდა. აქ მისი გუდანაბადი ეწყო ხის ტახტზე. ამ დილით უკანასკნელად გაჰკრა ქაფჩა კედელს, სამუშაო აღარ ჰქონდა და გული შინ მიუწევდა. გუდანაბადი მოამზადა, მაგრამ დღესასწაულზე მოწვეულმა ხალხმა დენა იწყო და გული გადაუსხვაფერდა: ეს ერთი დღე ეშმაკისა იყოსო... გუდაში სამი თვის ნამუშევარი სპილენძის ფული ეყარა. სავსე არ იყო, მაგრამ არც ბევრი აკლდა მოპირთავებას.

როცა ბედის საძიებლად ნოსტედან აქეთ მოდიოდა, ეს წალა თხის გუდა დედამ ქუმელით გაუვსო და ღიმილით უთხრა — ფულით გატენილი მოგეტანოსო... აჰა, ეს ნატვრაც შეუსრულდა. დანიშნულსაც თვალი გზისკენ უჭირავს..

სენაკში თარხნიშვილის ბიჭები შემოვიდნენ და ნაბდის ქუდით ვერცხლი შემოუტანეს. ხიზამბარელმა გაიღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამს, გაუნძრევლად იდგა, გუდაზე თვალით ანიშნა.

ბიჭებმა გუდას პირი მოუხსნეს, სპილენძს ვერცხლი დააყარეს, ქუდი გაოგნებულ პატრონს თავზე ჩამოარქვეს და სიცილით გავიდნენ.

ხიზამბარელს თავბრუ დაესხა...

ვერ მიმხვდარიყო, სიხარულმა დაახვია თავბრუ, თუ იმ ყრუ ტკივილმა, რამაც წეღან, თარხნიშვილის სუფრაზე მისვლამდეე აუფორიაქა გული და ბავშვივით შეაშინა.

უცებ გულის ზიდება იგრძნო, პირზე ხელი მოისვა. ღვინო ყელში ამოსდიოდა. ვერც იმას მიხვდა, ეს მეტი სმისგან ატეხილი გულისრევა იყო თუ გულმკერდში ჩაქცეული სისხლი აწვებოდა... დაახველა, გაფიცხებული ტუჩები ჭიაფრად შეეღება, წითლად დაეწინწკლა ახალოხის თეთრი გულისპირი.

ტახტთან მივიდა, გუდაში ხელი ჩაყო და ამოუერია. მერე პირი მოუკრა და ორივე ხელით ასწია. გუდა მძიმე არ იყო, ბალღიც კი ხალვათად წამოიკიდებდა და ერთი-ორი საათის სავალზე თავისუფლად ატარებდა... ემძიმა, მწარედ გაიღიმა და ამოიძახა:

„ეაჰმე, ხიზამბარელო, არ იკმარე შენი ალალი ქაფჩის მონაგარი სულელურად, საჯილდაო ვერცხლსაც წაეტანე და, ახია შენზე!..“

გუდა წამოიკიდა, დაკეცილ ნაბადს დასწვდა და გარეთ გამოვიდა.

თეთრონისთვის საბელი დაემოკლებინათ და სენაკის მოაჯირის ბოძზე გამოებათ... გუდანაბადი უნავირსუკან დააკრა და ცხენს ლაგამი გაუკეთა.

ირგვლივ მთვრალი ხალხი ირეოდა, რაღაცას შესძახოდნენ, ვიღაცამ მხარზე ხელიც დაჰკრა, გზა დაულოცა. უნაგირის ტახტას მისწვდა, ფეხი გაუჭირვებით მიუწვდინა უზანგს და კვნესით ამხედრდა. თეთრონმა მხედრის სიმძიმე იგრძნო, დაიფრუტუნა და გზას დაადგა.

*

* *

— ჩემი თენგოც ასე დასძალა ამ ლოდმა... — ამოიოხრა გიორგიმ და ცხენისანს თვალი გააყოლა.

— აბა ისეთი რა სჯირს ხიზამბარელს?.. — იკითხა ავგიორგიმ.

— დილას აქეთ ჩემ თვალწინ დაბერდა კაცი... ღაღაჟა ლოყები ჩაუცვივდა, თვალები გამოუღამდა. შეხედე, მკვდრის ფერი ადევს.

— მაგას რა უშავს, შინ გუდა ვერცხლი მიაქვს...

— ვითომ მიიტანს? რა იცი, რომ ნოსტეს გზაზე არ წამოეწევა სიკვდილი?.. სიცოცხლე აქ გაუთავდა ამ დილით. ცხენს ლეშიღა მიაქვს ნოსტისკენ.

— აბა რა ეგონა, რომ იხარჯებოდა!.. მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალა ერთბაშად დაახარჯა ამ ლოდის აწევასა... არა სცოდნია, ღონესაც ვერცხლსავით დაზოგვა უნდა!

— დაზოგილი ღონით ნატვრა ვის შეუსრულებია... თუ ერთბაშად არ დაიხარჯე, თუ ერთბაშად არ მოიქნიე ფრთა, ერთხელაც ვერ აფრინდები არწივივით... რათ უნდა დავზოგო? იმისთვის, რომ ცოცხალი მერქვას და ას წელიწადს უღონოდ მივათრევდე ლეშსა?!

— ვინც ერთბაშად დაიხარჯება, ცეცხლი წაეკიდება და ბურბუშელასავით დაიწვის.

— სინათლეს ის ცეცხლი აჩენს... მერე სინათლე სხვას უშუქებს გზასა. ხიზამბარელი ერთბაშად რომ არ დახარჯულიყო და ას წელიწადს დაზოგილი ღონით ეცოცხლა, ვერც ქონებას იშოვიდა და ვერც სახელსა, კაცი ლეშკაცად იქცეოდა და მერე მაინც მოკვდებოდა... ერთბაშად დაიხარჯა და ერთბაშადვე შეიძინა ვერცხლიცა და სახელიცა. ადრე მოკვდება თუ გვიან, ვერცხლი აქ დარჩება... სახელი კი არ იხარჯება, აქაც ეყოფა და იქაც.

— შენ ისე ამბობ, კაცის საოცნებო, მისი ცხოვრების ფიქრი სახელის შოვნა ან ამ გზაზე სიკვდილი ყოფილა!

— ჰო, ხიზამბარელი დღესვე რომ მოკვდეს, მაინც გამარჯვებულია... კოხტა იქნება მისი სიკვდილი.

— მაშ ამ ლოდზეც მაგიტომ დაუწერიათ: სიკვდილითა სიკვდილისაო?..

— ოღონდაც... ბედნიერია, ვინც სიკვდილით სიკვდილს ამარცხებს!

— საცოდავია მაინც კაცი... დილით საფალავნო ლოდი ცხენზეით საზამთროსავით გადაგდო, საღამოს კი თიკნის გუდის წამოკიდება გაუჭირდა. არ ერჩივნა, თავის ქაფჩაზე მძიმე რამ არ აეწია, მჯდარიყო თავისთვის ჩრდილში და ჯერეზე ნახევარლუკმა ეჭამა!

— ვითომ ჯილდოს დახარბდა?

— მაშ არა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ სცოდავ ღმერთსა, კაცო, მაშ ამ ქვეყანაზე ვაქკაცობა აღარა ყოფილა! ხიზამბარელს თუ ვერცხლმა მოსჭრა თვალი, თენგო რაღად შეეპიდა ბოლოსა?!

*

* *

ცხენმა ძღვევის ქედის აღმართი გადაიარა, გაივაკა და ნოსტეს ბილიკს დაადგა. ბილიკი ტყის პირს მისდევდა. ღამდებოდა, ტყე ბუნდად მოჩანდა, ქარის ამოქროლებაზე ავად შრიალებდა.

გზის ნახევარი ისე გაილია, ხიზამბარელს უკან არ მოუხედავს. თავი გაბრუებოდა და დამძიმებოდა, ქედის მობრუნებაც კი უჭირდა.

შავი ტყის პირას გაწოლილი უცხო გზა და უცნაური მხედარი აფეთებდა ცხენს... მხედარი ამას ვერა გრძნობდა, თანდათან უსუსტდებოდა მაჯა, უდუნდებოდა სხეული და ძმიმედ აწვებოდა უზანგებს.

ცალი ფეხი ჩაუსხლტა და უზანგის გვერდით ძმიმე მუხის მორივით დაეკიდა. მხედარი შექანდა და მარცხნივ გადაიხარა.

შეწუხებული ცხენი თავს წარამარა, ურჩად აქნევდა, ლაგამს ხრავდა და ხვიხვინებდა.

ხიზამბარელმა აღვირი უღონოდ მოსწია, ცხენზე ჯდომა უკვე აღარ შეეძლო, ტკივილი მთელ სხეულში უვლიდა, წელში თითქოს ხანჯალი ჰქონდა გაყრილი.

ცხენი მორჩილად შეჩერდა.

ტყის პირას სიბნელე გაწოლილიყო. გზაზე არავინ ჭაჭანებდა. წვალებით ჩამოქვეითდა, ცხენი ბუჩქზე გამოაბა და იქვე გულაღმა წამოწვა... სუნთქვა უჭირდა, ქოშინებდა, გულაღმა წოლასაც ვერ გაუძლო, გვერდზე გადაბრუნდა და თვალი მოხუჭა.

რა დაემართა, ეს რა უბედურება წამოწია ამ უკაცრიელ გზაზე... ვინმე მაინც გამოჩნდეს და მიეშველოს... წუთით ბურანმა წაიღო, მაგრამ ღამის სიჩუმეში გარკვევით გაიგონა თარხნიშვილის წამოძახილი:

„ხიზამბარელო, სიკვდილაც დავიწყებიხარ!“

ბედნიერი იყო ნოსტელი კალატოზი, როცა ეს სიტყვები პირველად გაიგონა. ორი-სამი ყანწი შუბათური მეჯახე ღვინო ჰქონდა გადაკრული, იდგა და სეირს უყურებდა. არც საჯილდაო ქეიზე ფიქრობდა, არც თავის გამოჩენაზე. ეუდა სპილენძის ფულით ჰქონდა სავსე. ამ სპილენძის ფულით დედას გაახარებდა, სახლს ჭერს გამოუცვლიდა და ქორწილსაც გადაიხდიდა...

— ეეეხ... — ამოიგმინა და თვალი გაახილა.

მუქლურჯი, უვარსკვლავო ცა დასწოლოდა დედამიწას. წარამარა ონავარი ნიავი ქროდა და შავად ჩამობნელებულ ტყეს ავ ხმაზე აშრიალებდა.

„დაღამდა თუ თვალთ მიბნელდება?..“ — გაიფიქრა და თვალები მოისრისა.

სიბნელიდან რაღაც თეთრად გამოვიდა, თვალების ბრიალით მიეუახლოვდა, ქშენით დაადგა თავს...

ხიზამბარელმა ამღვრეული თვალებით შეხედა და უცვე ისეთი რამ იგრძნო, რაზეც აქამდე არ უფიქრია.

ოღონდაც... ოღონდაც, სიკვდილი კიდევ დიდხანს დაივიწყებდა ნოსტელ კალატოზს, ამ დილით ეშხში შესულ თარხნიშვილს რომ არ დაენახა, რომ არ გახსენებოდა—როგორ ათამაშებდა სამი თვის განმავლობაში ეკლესიის ხარჩოებზე მძიმე, ჩუქურთმიან ქვებს... დავიწყებდა კი არა, ახლოს მისვლასაც ვერ გაუბედავდა. სიკვდილისთვის არც ისე ადვილი იყო ასეთი ვაქკაცისთვის

ცელის შემოკერა. სიკვდილმა მხოლოდ უძლურებზე იცის გულდაგულ მისვლა... ახლა კი, აი, გულაღმა წაქცეულს თავს დასდგომია და ყვითელ, თვალებს უბრიალებს.

„ეჰეი!“

ამოიძახა ხიზამბარელმა და ხელი აუქნია თავზე წამომდგარ თეთრ მოჩვენებას.

შემფრთხალმა ცხენმა დაიფრუტუნა, აიყალყა, ისკუპა, საბელი აიწყვიტა და სიბნელეში თეთრი ნისლივით გაიქროლა.

ძლივს გაიხსენა, ძლივს მიხვედა და ამოიკვნესა:

„ვაი, შენ, ხიზამბარელო... შენი საჯილდაო ბედაური სიკვდილად მოგეჩვენა და, ასეც არი, შენი ვაჟკაცობის ჯილდო ამ გზაზე სიკვდილი ყოფილა!“

შინამდე მაინც მიეწია... უბედური დედა შავ ლოგინს გაუშლიდა და დაიტირებდა, საჯილდაო ვერცხლით კუბოს უყიდდა, ხარჯს გასწევდა, ბედაურს უკუღმა აღკაზმავდა და მიცვალებულის კუბოს წინ წაუძღოლებდა.

ახლა აღარც ცხენი ჰყავს, არც ვერცხლი აქვს. ძველი გუდანაბადიც კი აღარ აბადია. ბედმა თვალწინ დაცინვით გაუქროლა და ყველაფერი ერთად წარიტაცა.

რა შერჩა, რა?

აი აქ, ამ გზისპირას მოკვდება და იმ ბედაურივით გაქრება მისი სახსენებელი.

„არა, არა!“ — ამოიძახა ხიზამბარელმა.

„სირცხვილ არს სიკვდილ!“

წამოიწია, მიმოიხედა და თავის ხმას დაუგდო ყური... მართლაც თვითონ ყვიროდა, ეს მისი ხმა იყო.

„სირცხვილ არს სიკვდილ... სირცხვილ არს სიკვდილ!“ — იმეორებდა, უსმენდა საკუთარ ძახილს და გრძნობდა, როგორ ისვებოდა ღონით, როგორ უბრუნდებოდა ძალა, როგორ იწყებდა ფართხალს აქამდის მიყუჩებული გული ამ სიტყვების გაგონებაზე.

ამ სიტყვებს ხევსური ჯონქა ჩასძახოდა სასიკვდილოდ დაჭრილ ძმადნაფიც მარტიას. ამ სიტყვებით ცდილობდა მის გამოფხიზლებას, ფეხზე წამოყენებას.

მარტია ეწვალებოდა, ცდილობდა წამოდგომას, მაგრამ იჩეხებოდა, თოფის აწევის თავი აღარ ჰქონდა, ჭრილობაზე ხელს იფარებდა, კვნესოდა და ჰკიოდა:

— ჰაი, ტიალო სიკვდილო, კარგად დაგეკრა, მოგეკალ თუ მკლავდი, მოგეკალ!

მარტია ხიზამბარელის ნათლია იყო... ნათლული ჩვიდმეტი წლისა რომ შესრულდა, ხევსურეთს ეწვია. გულღიად დახვდნენ ხევსურები ქართველ ჭაბუკს. ღრეობაში და ნადირობაში მიდიოდა დღეები. მოულოდნელად სოფელს ქისტები დაესხნენ და ცხვრის ფარა გაიალეს.

მდევარში მარტიას ნათლულის წაყვანა არ უნდოდა, შინ დარჩენა უბრძანა, მაგრამ თავმოყვარე ჭაბუკმა არ დაიშალა, უფროსების მალულად თოფი მხარზე გადაიკიდა და მდევარს ტყე-ტყე აედევნა... მარტია მის თვალწინ დაიჭრა...

— ავაჰმე, სიკვდილო, შამასვენე ბატარაი, ძალა მომეც თოფი ავიღო, გადავერიო მტერსა!

— არ მახკვდე, მარტიავ... სირცხვილ არს სიკვდილ, სირცხვილ არს სიკვდილ! — ჩასძახოდა მომაკვდავს ჯონქა, თან სიკვდილს აგზავნიდა ხევგაღმა ბუჩქებში ჩასაფრებული ქისტებისკენ.

— სირცხვილ არს სიკვდილ, სირცხვილ არს სიკვდილ... — ამბოდებდა მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტია ძმადნფიცის სიტყვებს და ჭრილობაში პერანგის ნახევს იფეკდა, ამათ ეცდილობდა სისხლის შეჩერებას.

— წამოდექ. მარტიავ, წამოდექ... გავაქცევთ სიკვდილს, გავაქცევთ!

— გავაქცევთ სიკვდილს, გავაქცევთ...

— სირცხვილ არს სიკვდილ!

— სირცხვილ არს...

. . . . . .

— სირცხვილ არს სიკვდილ... — ამოიგმინა ხიზამბარელმა და მიმოიხედა. მერე მკერდზე დაიხედა. ჩოხის გულისპირი თეთრად აღარ მოუჩანდა. პირიდან გადმონთხეული სისხლის შავი ლაქა სიბნელეს შერთვოდა...

როგორი დილა გაუთენდა და როგორ უღამდება.

მართლაც სირცხვილია ამ გზის პირას სიკვდილი. იქ, ეკლესიის გალავანში მალე ერი დაიშლება, ვინმე ამ ბილიკზეც გამოივლის და გულაღმა მწოლიარე ხიზამბარელს წაწყდება. სირცხვილია ასეთი სიკვდილი, სირცხვილი. სჯობდა, იქვე მომკვდარიყო, ის მძიმე ლოდი გულზე დასცემოდა და გაესრისა.

ჰო, უნდა წამოდგეს და ტყიანში შევიდეს. იქ თვალგაუვალი წყვდიადია, ნადირის ხმაც ისმის. ტყეში უნდა შევიდეს როგორმე... მაშინ, ამ ბილიკზე თუ ვინმე გამოივლის, მომაკვდავ ვაჟკაცს ვერ დაინახავს. თუ მის კვნესას ან ძახილს ყურს მოჭკრავს, ტყეში შესვლას ამ უკუნეთში ვერ გაბედავს და თავისი გზით წავა... რას იფიქრებს ის გამვლელი, თუ ტყეში სიკვდილს ის კაცი ებრძვის, ვინც ამ დილით გალავანში ყველა გააკვირვა და ბედს ეწია.

აი მისი ბედიც...

უნდა გაფორთხდეს ტყისკენ, როგორმე უნდა აითრიოს მოწყვეტილი წელი, დამძიმებული ფეხები და ღრმად შევიდეს უღრანში. რა ვუყოთ თუ იქ ნადირის ყრუ ღმუილი ისმის.

დილით ვინმე მწყემსი მის გამოხრულ ძვლებს წააწყდება.

ასე სჯობს, ასე...

თუ იცნობენ, იტყვიან, მთვრალსა და ბედნიერს გზა დაუკარგავს, ტყეში ჩასძინებია და ნადირს შეუჭამიაო... ნაბადი მაინც არ გაეტაცა ცხენს. ძვლებს იმ ნაბადში გაახვევდნენ და ნოსტენი დედას მიუტანდნენ დასატირებლად.

ასე სჯობს. სხვანაირად არა... არა...

გზის პირას სირცხვილიანი სიკვდილი არ შეიძლება.

„სირცხვილ არს სიკვდილ... სირცხვილ არს სიკვდილ!“ — ერთხელ კიდევ ამოიკვნესა ხიზამბარელმა და ტყისკენ ვაივაგლახით გაბოხდა.

ტყე კი, უღრანი, ღამის წყვდიადით პირჩამობნელებული ტყე ავად შრიალებდა. ისმოდა ნადირის ღმუილი და ასწლოვანი ხეების ყრუ ბუბუნი.

*

* *

დილაადრიან გულის გამგმირავმა კივილმა გამოაღვიძა გიორგი...

თითქოს შიგ ყურში ჩასძახეს. რაღაც უბედურების მაუწყებელი ხმა იყო, ჟრუანტელის მომგვრელი. ფეხზე წამოვარდა და ჩაცმას შეუდგა. კივილი ახლა უკვე შორიდან ისმოდა. ქალის ხმა იყო, ზარივით გაბმული, მოულოდნელ ელდას რომ მოსდევს ხოლმე, ისეთი...

„რა ძილქუში დამაწვა, წუხელ იმ ბიჭის მოსვლა ვერ გავიგე“.. — გაიფიქრა და შუა კარი შეაღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგოს ლოგინი ალაგებული იყო. ტახტზე ხალიჩა გადაეფარებინა ... ლიჩაზე ორი ჭრელი მუთაქა იდო.

„ჰო, ამ დილით ადრე ადგებოდა. დღეს ხომ...“

ის იყო გარეთ უნდა გასულიყო, კარის კუთხეში ჩამოკიდებულ ტანსაცმელს მოჰკრა თვალი. თენგოს საგარეო შარვალ-ხალათი იყო.

უცებ გაახსენდა, რა საგულდაგულოდ აუთოებდა ხოლმე ტანსაცმელს ბიჭი. ჰო, თვითონ აუთოებდა. ჯერ დანამავდა, მერე გაზეთს გადააფარებდა და გულმოდგინედ აუთოებდა. ხანდახან გაჭიმულ შარვალს ლეიბის ქვეშ შეაცურებდა და ისე „აუთოებდა“.

„რატომ არ ჩაუცვამს, რატომ? რად დააუთოვა თუ ამ დილით არ ჩაიცვამდა და ისე გავიდოდა? იქნებ სულაც არ მოსულა წუხელ?“

ამ ფიქრმა გული შეუქანა, საჩქაროდ გავიდა გარეთ.

ხახატო ეზოს ჰგვიდა. ქმრის გამოსვლა არც დაუნახავს, არც გაუგია.

„ბედნიერია ეს ყრუ დედაკაცი, ალბათ ის კიდილი არ გაუგონია“, — გულში გაიცინა გიორგიმ, ხმამაღლა კი შეეკითხა:

— ბიჭი სად არის?

ხახატომ მოიხედა, წელში გაიმართა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— ბიჭი რა იქნა-მეთქი, დედაკაცო?!

— ნუ ყვირი, გავიგე... ეგ შენ უნდა გეკითხოს! — პირქუშად უპასუხა და ისევ საქმეს მიუბრუნდა.

გიორგის ტყვიასავით მოხვდა ცოლის ნათქვამი.

„ჰო, ჰო, ბიჭი წუხელ არ დაბრუნებულა შინ... სად არი, სად?“

სწორედ ამ დროს კიდილი ისევ გამეორდა. ახლა უფრო ახლოს, ალბათ შუა სოფელში... ხახატომ წამით შეაჩერა ცოცხი და ქმრისკენ მოიხედა, ალბათ რაღაც ბუნდოვანი ხმა მის ყურსაც მისწვდა.

გიორგი ფეხის გადადგმას და ეზოდან გასვლას ვერ ბედავდა, უნებური ეშვი ფეხს უბორკავდა, ბოლოს თავს ძალა დაატანა და ჭიშკარი გამოაღო.

უცებ წუხანდელი საღამო გაახსენდა.

სწორედ აი აქ, ამ ჭიშკართან დასცილდნენ ერთმანეთს. ბიჭი ჩქარი ნაბიჯით ჩარბოდა ამ ქვის კიბეზე, სახე მოებრუნებინა და ისე ჩარბოდა, დარდით თუ წყენით ავსებული თვალები უკან რჩებოდა, თითქოს მამას ეთხოვებაო. არა, ეს თვალები პატიებას არ თხოულობდნენ, არც სამდურავს გამოხატავდნენ.

გიორგიმ ჭიშკარში გაალაჯა, კარი მიაჯახუნა, აბეზარ ეჭვს შეუწყარა, დაითავქვევა და გზაზე გავიდა.

გზაზე ორი ბიჭი გამოჩნდა, ქაქანით მორბოდნენ. ჭიშკრიდან გზაზე გამოსულ გიორგის თვალი შოჰკრეს თუ არა, უცებ შეჩერდნენ.

— საით გაგიწევიათ, ბიჭებო, ამ დილაადრიან?.. — შეეკითხა გიორგი.

ბიჭები ჩუმად თავჩაღუნულნი იდგნენ და მიწას ჩასცქეროდნენ.

„ვაი შენ, დაღუპულო გიორგი, ვაი შენ, ვაი შენ...“ — დაიძახა ვიღაცამ გიორგის გულში.

— ბიჭო, ენა რამ ჩაგიგდოთ, თუ სადმე მიდიხართ, გასწით თქვენს გზაზე!— დაუტატანა ხმის კანკალით გიორგიმ.

— არა, ძია გიორგი, თქვენთან გამოგვგზავნეს...

ბიჭს ხმა ჩაუწყდა, დამნაშავესავით დახარა თავი. გიორგიმ ახლა უკვე მესამედ გაიგონა წეღანდელი კიდილი, მაგრამ უფრო ახლოს, ახლა თითქოს მის გულში შეიძრა რაღაც, აჩოჩქოლდა და ღრიალით ამოვარდა პირიდან. ბიჭს ორივე ხელით მისწვდა მხრებში, შეაჯანჯღარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თენგო სად არი, ბიჟო?..

— იქ... იქ... — ძლივს ამოიძახა ბიჭმა.

— იქ... კაკლის ქვეშ?

მაგრამ გიორგი კარგად ხედავდა, ბიჭი სოფლის განაპირისკენ ანიშნებდა, ენაჩავარდნილ ბიჭს ხელი შეუშვა და ქშენით გაიქცა. ბიჭები შორიახლო დაედევნენ.

კაკლის ქვეშ ხალხი შეყრილიყო და ყაყანებდა, ჩოჩქოლებდა, ვიღაცას ეხვეოდა ირგვლივ.

კაკლის ხეზე გაკრული აფიშის ზემო ნაწილი ქარს ჩამოეხია, გადმოეკეცა და აფრიალებდა. ქარის ამოქროლებაზე, როცა გადმოკეცილი აფიშა ზევით აფრიალდებოდა, წამდაუწუმ იელვებდა წითელი მსხვილი ასოებით დაწერილი „შეჯიბრი ხიზამბარელთან“... მაგრამ კაკლის ქვეშ შეგროვილი ხალხი აფიშას ვეღარ ამჩნევდა.

შავკაბიანი დედაკაცი ვიღაცას ამშვიდებდა და ჩასძახოდა:

— აი წყალი... დალიე, გულს გიპოვნის!

ვიღაც სხვას წყალს აწვდიან, ამშვიდებენ. იქნებ იმ სხვას ეწია უბედურება?

„ღმერთო, გადამარჩინე... ასეა... უთუოდ ასეა: ჩემი დარდისთვის წყალს სხვას რატომ მიაწვდიან?“

მაგრამ არა. გიორგის დანახვაზე შავკაბიანის გარშემო შეგროვილმა იხუესეს, პირი იბრუნეს და გაიფანტნენ. ერთბაშად გაიქცნენ იქით, საითაც წეღან იმ ბიჭმა გაიშვირა ხელი... მირბოდნენ, თან უკან-უკან იხედებოდნენ, თითქოს გიორგის უსიტყვოდ უჩვენებდნენ გზას.

კაკლის ქვეშ მხოლოდ შავკაბიანი დედაკაცი და ერთი ქალიშვილი დარჩნენ. ქალიშვილი ქვაზე იჯდა, თმები გასწეწოდა, თავი ჩაეღუნა, ხელში ფინჯანი ეჭირა, ის ფინჯანი, რითაც წეღან წყალი მიაწოდეს სულის მოსაბრუნებლად. მოწყვეტილ ხელს დუნედ ეჭირა ფინჯანი, წყალი იღვრებოდა, თეთრ კაბას და ფეხებს უსველებდა. ქალიშვილი ამას ვერ გრძნობდა.

„ღმერთო, შენ დამიფარე, ეს ხომ ნინოა... ალბათ ამ გოგოს კიბილი შემოესმა წეღან... ნეტავ თავის უბედურებას გაუოგნებია თუ ჩემსას?“ — გაიფიქრა გიორგიმ და შავკაბიანი დედაკაცისკენ წავიდა.

„ჰო, ამ გოგოს ჩემი უბედურებისთვის მიაწოდეს წყალი“.

დედაკაცი მობრუნდა და გაშეშდა. გიორგიმ ქალიშვილის გამტკნარებული სახე დაინახა და მუხლი მოეკვეთა.

„ვაი შენ, გიორგი, ამ გოგოს უბედურება შენიც არი!“

შავკაბიანი დედაკაცი გიორგის მიეგება, ხელი მოჰკიდა, გზაზე გამოიყვანა და წინ გაუძღვა.

— გამომყე, შე უბედურ დღეს გაჩენილო...

ქალიშვილმა თავი უღონოდ ასწია, უაზროდ გააყოლა თვალი მიმავალ გიორგის და წამოიკივლა. ხელიდან ფინჯანი გაუვარდა. ფინჯანი ქვაზე დაეცა და დაიმსხვრა. ნინო წამოდგა და ნამსხვრევებს დაშტერა ამღვრეული თვალები. მერე უღონოდ გადადგა ფეხი.

*
* *

ხალხი გაიფანტა, მიიწ-მოიწია და სასაფლაოს აღმართში ბარბაცით ამომავალ კაცს გზა დაუდგა...

გიორგიმ ჯერ თენგოს ფეხები დაინახა... ფეხები კი არა, სპორტული წუ-

ღების ოდნავმოცვეთილი ძირები იცნო. წუღებს ჭვინტები აღმა ჰქონდათ ჭაცეული.

„წევს, გულაღმა წევს...

იქნებ მთლად არ დავღუპულვარ, იქნებ ზის?

რომ იჯდეს, სახეს დავინახავდი, სახე კი არ ჩანს... წევს, გულაღმა წევს...“

ცოტა რომ აიარა, ჭვინტებს იქით ლოდის ქიმი გამოჩნდა.

კიდევ აიარა რამდენიმე ნაბიჯი, ლოდმა დაიწია და ლოდს იქით სახე გამოჩნდა...

ლოდი ბიჭის მკერდს მთელი სიმძიმით დასწოლოდა და ცალმხარეს გადაბრილი მიწას დაყრდნობოდა.

გიორგი შიშითა და განცვიფრებით დაჰყურებდა და ადგილიდან ვერ იძროდა, მუხლმოკვეთილი იდგა, ახლოს მისვლას ვერ ბედავდა...

— რაღა ყურება უნდა, — წამოიძახა ვიღაცამ. — გადავაგოროთ ეს დაწყევლილი ლოდი!

„არა, არა, ნუ გადააგორებთ... ფრთხილად, მაღლა ასწიეთ და განზე გადააგდეთ...“ — ამ სიტყვებს ხმამაღლა კი არ ამბობს, სადღაც გულში ჩურჩულებს გიორგი.

— მოიცათ, ჯერ მილიცია მოვიდეს, გასინჯოს, შეამოწმოს. ჯერ ხომ არ ვიცით, იქნებ რა ამბავია... იქნებ ვინმემ უბოროტა, იქნებ მოჰკ...

ამ საშინელ სიტყვას აღარ ამთავრებს მთქმელი, გიორგისკენ შემკრთალი იყურება, ამ წყეულმა სიტყვამ ელდა არ დასცეს უბედურსაო, ჯერ არც თვითონ სჯერა, თუ მის წინ სოფლის თვალი და იმედი, კოტა თენგო ბიჭი ასვენია.

თენგო ბიჭი კი გულაღმა წევს, ღიადდარჩენილ თვალებში ტანჯვისა და ტკივილის ნასახიც არ გამოსჭვივის, რაღაც უცნაურ გაკრეცილ ღიმილს საოცრად გაუშუქებია აწ უკვე მკვდარი, უსიცოცხლო თვალები.

— იქნებ მართლაც... იქნებ მერე დაადგეს გულზე ეს ლოდი! — ჩურჩულით ამბობს მეორე და დაკვირვებით ათვალიერებს თენგოს შიშველ მკლავებს, სახეს აკქერდება, ბოროტების კვალს დაეძებს.

„მოჰკლე�es, მოჰკლეcines!“ — ბუბუნებს გიორგის შეძრწუნებული გული.

„ამაოდ დაეძებთ მის მკლავებსა და სახეზე კვალს, ვერ იპოვით, ვერა. ეს მე ვიცი მხოლოდ... მე... მე მოვკალი!“

„ვაჰ, მე... მე მოვკალი, მე!“ — ბღავის გიორგი... არა, გიორგი არა, ეს მისი გული იძახის. დიახ, ასეა, რადგან მისი არავის ესმის, ამ სიტყვებზე მისკენ არავინ იყურება.

ახლაღა ახერხებს ახლო მისვლას გიორგი... ჯერ ლოდს ეხება ხელით. უნებურად უფათურებს ხელს. თითქოს მკერდზე დაზრდია ლოდი ბიჭს... თითქოს ბიჭისთვის შეუხია ხელი, ლოდიც ცივია. მერე ბიჭის თავთან იჩოქებს და გაცივებულ შუბლზე ჩამოღვრილ ქოჩორს აკანკალებული ხელით უსწორებს... რახანია ამ ქოჩორს მისი ხელი აღარ შეხებია, ალერსით არ მოჰფერებია. მხოლოდ პატარაობაში თუ გაუკრავს წკიპურტი კეფაზე ან მკვრივ დუნდულებზე შემოუკრავს ხელი... რაც დაჭაბუკდა, აღარ მოჰფერებია. მუდამ შორიდან, ქვეშ-ქვეშ უმზერდა და ეალერსებოდა. მხოლოდ წუხელის, უკანასკნელად, ისიც გაჯავრებული მისწვდა ამ ღონიერ ქედს. ამ გაყინული შუბლივით ცივი და უგრძნობი იყო მუდამ მისი გული და ეს მარჯვენა. ოჰ, ეს მარჯვენა... ამ ხელმა ერთხელ...

„მიდი, მიდი, ახლა მაინც მოეფერე, უბედურო... ახლა ვეღარ შემოგხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავს თავისი დიდრონი, გაოცებული თვალებით. არც გაუკვირდება, აღარც გაუკვირდება, აღარ შეუძლია გაკვირვება“...

— მართალია, — ამბობს ისევ ის პირველი ხმა, — უნდა მოვიცადოთ... რა-ღა არ ხდება ამ ქვეყანაზე. თუ აგრეა, დასწყევლოს ღმერთმა ბოროტი ადამიანი, ამ ბიჭის გამეტება შეიძლებოდა!

— აბა რას ამბობთ, — ესმის გიორგის შავდათუას ხმა. — ფიცხი მოჭიდავე თავისი ხერხით რომ წაიქცევა, ისე მოსცლია... ფეხს ძალა დასდგომია და მოსხლეტია. აი, სად მოსხლეტია, ხედავთ, ბალახზე კვალიც ჩანს!

— ჰო, — უდასტურებს მეორე, — აქ ბალახი მართლაც წასხეპილია... ფეხის კვალი მიწამდე დასულა.

ქვევით, ორღობეში ხმაური მატულობს, ხალხიც მატულობს და ლოდის ირგვლივ გროვდება, ადრე მოსულებს უერთდება. ხმამაღლა ლაპარაკს ვერავინ ბედავს. ხანდახან რომელიმე ახლადმოსული დედაბერი თუ წამოიკივლებს, „ვაი შენს დედასო“.

ყველა იმ კვალს თუ ნაკვალევს ჩაჰკირკიტებს, თენგოს ფეხებქვეშ რომ მოჩანს. გიორგი კი თავის გულს ჩაჰყურებს და იქ ეძებს კვალს, იმ საშინელ კვალს. „ვაი შენს დედას...“ მას ხომ ჯერ არ გაუგია, მის დაბზულ ყურს ჯერ არ მისწვდომია უბედურების ხმა. ან კი ვინ გაუბედავს. ყველაზე გვიან ის გაიგებს.

— ხედავ, ლოდს წარწერა ჰქონია...

ამ სიტყვებს ერთი ჩურჩულით ეუბნება მეორეს. ჩურჩულით ეუბნება, მაგრამ ამ სამარისებურ დუმილში გარკვევით ესმის გიორგის...

— საკვირველი წარწერაა...

„რა წარწერა?.. რა უნდა ეწეროს ამ ლოდზე ისეთი? რა დროს წარწერაა!“

— გზა მიეცით, განი!

— მილიცია მოდის, აი საბჭოს თავმჯდომარეც!

გარშემო უტრიალებდნენ უბედურ თენგოს, ლოდს ათვალიერებდნენ, იმ ფეხის ნასხლეტს ჩაჰკირკიტებდნენ... გიორგის არავინ უყურებს. თვალს ვერავინ უსწორებს, მისი უბედურება თუ აშინებთ. ყველას ცრემლით ავსებია თვალი. აგერ ის ქერა მილიციელიც კი მჯიღით იწმენდს თვალზე მომდგარ ცრემლს... ცრემლგამშრალი მამა კი თავის დაბუჟებულ მუხლისთავებს დასწოლია და ხან სხვის სიტყვას უსმენს, ხან თავის გულს.

მილიციის უფროსიც, საბჭოს თავმჯდომარეც, ყველა იმ ვარაუდს ადგება, რომ ბიჭს ლოდი აუწევია, ფეხი მოსხლეტია და გულღმა წაქცეულს ლოდი ზედ დასცემია.

გიორგი მხოლოდ ახლა ხვდება, მხოლოდ ახლა სწვდება მის გულს ის ამბავი, რომ თენგოს, მის ბიჭს ხიზამბარელის ქვა აუწევია, თავზევით აუწევია, ისე მკერდზე ხომ ვერ დაეცემოდა...

„ბაბაშ, ბიჭო!.. უჰ, უჰ, მერე ფეხი მოსხლეტია და...

ახლა უკვე შეიძლება ლოდის გადაგდება... იქნებ ახლა მაინც ამოისუნთქოს ბიჭმა. აბა შავდათუავ, მოდი, მოიყვანე კაცები და ასწიეთ. მაგან ხომ ერთმა ასწია... მოდით და ასწიეთ, ოღონდ ფრთხილად, მკერდი არ დაუჟეჟოთ ბიჭსა!

ხედავთ, რა ძმიმე ყოფილა.

სამი-ოთხი კაცი ფრთხილად, ხვნეშითა და ვიშ-ვიშით სწევს ლოდს. განზე აგდებენ. ლოდი ერთი-ორჯერ გადატრიალდება თავქვეზე და სასაფლაოსკენ მომავალი ბილიკის თავზე ჩერდება... წყეულიმც იყოს!

გულღმა გართხმულ ბიჭს გასაფრენად გამზადებული არწივივით გაუშლია

elibrary.ge

მკლავები. ახლა უფრო ნათლად მოჩანს მის სახეზე შერჩენილი უცნაური ღიმილი... ალბათ ეს იმ წუთების ღიმილია, როცა ის გამარჯვებული და ბედნიერი იყო, როცა მის ღონიერ მკლავებს მძიმე ლოდი მაღლა ეპირათ და ქვემოდან შესცქეროდა. საშინელება, რამაც იგი მიწაზე დასაღუპად დაანარცხა, გულამდე არ დასულა, ვერ მოუსწრია, თვალებში არ აღბეჭდილა.

— რა ძალა უნდა ჰქონოდა ამ ბიჭს! — გოცებით ამბობს ვიღაც და თენგოს ჩანგრეულ გულმკერდს, ჩაგლეჯილ უსახელობო მაისურას დასცქერის. გიორგი იქით ვერ იხედება, თვალს არიდებს. ცრემლმორეული შავდათუა ხელს ჰკიდებს და განზე გაჰყავს. მამამ არ უნდა დაინახოს შვილის ჩანგრეული მკერდი.

— მთელი სიცოცხლის სამყოფი ძალა ერთ წუთში დაუხარჯავს. — ესმის გიორგის. ახლა ის თენგოს ვეღარ ხედავს. ხალხი უფრო მჭიდროდ დაჰხვევია. ალბათ უნდა ასწიონ და შინ წაასვენონ. ხახატომაც ხომ უნდა გიგოს თავისი უბედურება.

— ეს რა უბედურება დაგემართა, გიორგი, — ეუბნება საბჭოს თავმჯდომარე გიორგის, — როგორ იყო, რამ აიძულა ამ ლოდთან შეჭიდება?

ახსოვს, ყველაფერი კარგად ახსოვს გიორგის... გიამბობთ, გეტყვით ყველაფერს. გიამბობთ... აი, პატარა აცალეთ. ჯერ ხახატოს მიუსვენოს თავისი პირმშო და მერე ყველაფერს გიამბობთ... მოაქვთ?.. ჰო, რახან მოასვენებენ, წავიდეთ, წინ წავუძღვეთ.

არა... არა... ყველაფრის თქმა არ შეიძლება.

ყველაფერს მხოლოდ თავის თავს უამბობს, როცა მარტო დარჩება, ჩურჩულით უამბობს, რომ დასტანჯოს და შეაჩვენოს.

*

* *

...ფინჯანი ქვაზე დაეცა. ნინო წამოდგა და ნამსხვრევებს დააშტერა უაზრო, ამღვრეული თვალები, მერე უღონოდ, ბარბაცით გადადგა ფეხი.

თანდათან აეჩქარა ნაბიჯი. თანდათან თითქოს ღონე ემატებოდა, გაფრენილი ნაბიჯით მიდიოდა, რაღაც უცნაური ძალა მიაჩქარებდა...

ვიღაც უკანიდან მისძახოდა, ხელს უქნევდა, მაგრამ თენგო მკვდარი იყო და ნინოსთვის ახლა მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ეძახდა თუ არა ვინმე, ან თუ ეძახდა, რა უნდოდა.

ძლევის ქედის ასახვევს გასცდა და ფერდობს სხვა მხრივ შემოუარა, სასაფლაოზე არ აუხვევია... თენგო იქ ესვენა, მის ირგვლივ მთელი სოფელი შეყრილიყო და ქვითინებდა, მაგრამ ნინომ იქით არ აუხვია. მას სხვა გზით უნდოდა ასვლა იქ, თენგოსთან. უფრო დიდი ხნით... დიდი ხნით კი არა, სამუდამოდ.

ეს სხვა გზა ციცაბო კლდის თავზე გადიოდა და კლდოვან ხეობას დაჰყურებდა... აქედან გადავარდა ამ ათიოდე წლის წინათ მწყემსი გაგნა... სოფლისაკენ თხებს მოერეკებოდა, ფეხი დაუცდა და ხეში გადავარდა.

ნინომ სხვა ბავშვებთან ერთად მოჰკრა თვალი, როგორ მოსწყდა ციცაბო კლდეს უბედური ბიჭი. ბავშვები მაშინვე გაიქცნენ ხევში ჩაჩეხილი მწყემსის სანახავად. ნინომ ვერ გაბედა, სოფელში მობრუნდა და ხალხს ამბავი ტირილით შეატყობინა... თენგოს ამბავიც ხომ მან შეატყობინა სოფელს.

„დაიღუპება?.. უსათუოდ დაიღუპება?“ — სლუკუნით ეკითხებოდა პატარა ნინო გამვლელ-გამომვლელს, სანამ მწყემსის ამბავს მოიტანდნენ.

„რა გადაარჩენს უბედურს, იმ ციცაბოს ქვემოთ ისეთი ტენებია, ისეთი, რომა...“ — კენესით ამბობდა ვიღაც ბერიკაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, იმ ტინებზე დაეცემა ნინოც და გათავდება ყველაფერი... მერე თენგოს და ნინოს ერთმანეთის გვერდით დასაფლავებენ, ერთ დღეს... და აი, ეს თენგოს გვერდით იქნება სამუდამოდ.

მიდიოდა. ქარი თმას უწეწავდა. ჯაგრცხილა ფეხებს უკაწრავდა, კაბის კალთებს ეჭიდებოდა და უკან ეწეოდა... ნინო მაინც წინ მიიწევდა.

აგერ ის ბუჩქებს იქით არის ის ციცაბო, საიდანაც გაგნა მწყემსი შემთხვევით მოსხლტა და დაიღუბა.

ნინო კი შემთხვევით არ დაიღუპება, მას თენგოს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე აღარ უნდა.

თავი ბუჩქნარში შერგო, ციცაბოს გადაადგა და დაბლა გადიხედა.

უეცრად თვალთ დაუბნელდა... დამშრალ ხეობაში მარმარილოს იატაკივით დაგებული თეთრი ტინები შექანდნენ, შეტრიალდნენ და თითქოს თავზე მოექცნენ... მკერდს ქვემოთ რაღაც შეიძრა და ცოცხალივით აფართხალდა.

ნინომ დაიკივლა, უკან დაიხია და უფსკრულს თვალი მოარიდა.

არა, არ შემკრთალა. ქვევით, დამშრალ ხეობაში მარმარილოს იატაკივით დაგებული თეთრი ტინებისა არ შეშინებია... სხვამ, რაღაც შეუცნობელმა და იდუმალმა შიშმა ჰკრა მკერდში ხელი და ზურგს უკან აყუდებულ ბუჩქზე მიასვენა.

. . . . . .

„მეშინიან,“ — თქვა ნინომ და თენგოს შეხედა.

„რა მოხდა?“

„აბა, ხელი დამადე, აი აქ... არა, მანდ არა... უფრო ქვემოთ... — ჩურჩულით დაუმატა და ვაჟის გახურებული ხელი მკერდს ქვემოთ ჩააცურა.

„არაფერი მესმის, — თქვა თენგომ და გაიცინა, — ხომ არაფერი გტკივა?

„სულელი ბიჭი ხარ... ვერ მიხვდი?.. ჰო, აი მანდ, რაღაც იძრა...“

„ჩემი ბიჭი! — წამოიძახა თენგომ, ნინოს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

. . . . . .

ნინომ შიშით მოაშორა თვალი მის ფეხქვეშ ჩაფენილ ფლატეს და უკან გამობრუნდა... მის სხეულში იმ „სულელი ბიჭის“ სიცოცხლე ფართხალებდა, უხმობდა, ამოძახოდა, უკან ეწეოდა.

„თენგოს ბიჭი“...

თენგოს ბიჭს სიცოცხლე უნდოდა...

ნინო კბოდეზე თავჩაქინდრული იჯდა და ხმადაბლა ქვითინებდა. თავის უბედურებას დასტიროდა. ბედმა მისთვის სიკვდილიც კი არ გაიმეტა, მის სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ სხვას სჭირდებოდა.

როგორ იცოცხლოს, რად იცოცხლოს... ვისთვისღა იცოცხლოს?

არ იცოცხლოს და როგორ გახდეს ამ პატარა, მის სხეულში აფათურებული არსების მკვლელი. არა, არა, ამის უფლება დედას არა აქვს, ნინო დედაა, თენგოს მეუღლე... ცალდაკარგული მეუღლე, ქვრივი. დღეიდან შავი უნდა ჩაიცვას და თენგოს ბიჭი გაზარდოს.

მაგრამ როგორ?

ვის გაუმხილოს ეს საიდუმლო?

ვინ გაუგებს, ვინ აპატიებს, ვინ შეივრდომებს?.. მოხუცი ბებია? მეზობლები?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არა, სხვა გზას უნდა დაადგეს... ჯერ კი, სანამ ამ გზას არ დასდგომოდა, თუნდაც
გო უნდა დაიტიროს.

ნინოს მეტი ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. დაბლა, სასაფლაოსკენ დაეშვა. იქ
მისი ნაჩუქარი მეუღლე გულაღმა იწვა და ჩანგრეულ მკერდზე მძიმე ლოდი
ედო.

გიორგიმ ცას ახედა.

მზეს უკვე კარგად მოეარა და ახლა მოქანცული მგზავრივით, ტაატით მი-
დიოდა დასავლეთისკენ. მის სხივებს შუადღის მცხუნვარება აღარ ჰქონდათ,
სამაგიეროდ თვით ჰაერი და მიწა გაჟღენთილიყო მზით. მზე იყო ბალახში, მზე
იყო ფოთლებში, მზე იყო თავჩაქინდრულ ხეებში. თვით ფერდაკარგულ ჩრდი-
ლშიც კი ყვითლად ცახცახებდა მზე.

კლდის ქიმი უკვე მონგრეული და გასწორებული იყო. გზისპირს გალავა-
ნივით მისდევდა ის ძველი კედელი, რომლის თახჩაშიაც გიორგიმ ამ დილით
საღვინე და ვერცხლის ფულები იპოვნა. ძველი საღვინე ისევ შავდათუას საფლა-
ვის ქვაზე იდგა და მზეზე შრებოდა. ფულებიც იქვე ეყარა. მაგრამ გიორგის
ახლა არც შავდათუა ახსოვდა, აღარც მისი საფლავის ქვა, აღარც თავისი არ-
ქეოლოგიური აღმონაჩენი.

ღონე წართმეოდა მკლავებს. ღონე არ ბრუნდებოდა შესვენებით, რაღაც
სხვა იყო საჭირო, რომ საქმე მოეთავებინა.

უცებ გაახსენდა, ბუჩქთან მივიდა, გაჭირვებით დაიკუზა, საღვინე გამოი-
ღო და მოიყუდა. სვენებ-სვენებით სვამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღვინეშიც შესულიყო მზე და ღვინო გაეთბო. მომქავო ღვინო მიეტანა. სიამოვნებას ჰგვრიდა. ყოველ მოყუდებაზე გრძნობდა, როგორ ემატებოდა ღონე, როგორ უშუქდებოდა დაბინდული გონება.

გული რომ იჯერა, საღვინე შეაჯანჯღარა, „აგაშენაო“, უთხრა და ისევ ბუჩქში შედგა.

„ერთი-ორი მოსმა კიდევ დარჩა და თუ ვიცოცხლე, იმასაც ვახშმად დავლევ“, — გაიფიქრა, ბუჩქიდან რკინის კეტი გამოაცურა. ხალისიანად გადმოალაჯა გზაზე.

სანამ ლოდთან მივიდოდა, გზაზე ნეხვს მოჰკრა თვალი...

მზეზე გაფიცხებულ ნეხვს შავი, ხოჭოს მსგავსი ჭიები დახვეოდნენ და მიწაში ამოგანგლულ თხილისოდენა ბურთებს გაჭირვებით მიაგორებდნენ.

გიორგის უყვარდა კამეჩივით უწყინარი ნეხვის ჭიები, ამიტომ ალერსიანად გამოელაპარაკა:

— კამეჩის ჭიებო, აბა ჩქარა გზიდეთ თქვენი ტვირთი და მერე მიყურეთ, როგორ გადავაგორებ ხევში ამ ჩემ დამღუპველს!

„ჰე, ღვინომ ამოგიდგა ენა, თორემ რა გიხუმრება ამ ლოდის დამნახავსა“.

ლოდი მყარად და მძიმედ იდო გზის თავზე...

რამდენიმე წელმა გაიარა მას შემდეგ და ლოდს ადგილიდან დაძვრა არ ეტყობა.

დაბინავებულა ლოდი, მწვანე მატიტელა შემოჰხვევია ირგვლივ, ხავსი შესცოცებია... ისე შეზრდია ადგილს, თითქოს აქ დაბადებულიყოს, თითქოს არასოდეს არავის დაეძრას.

ნუთუ მას შემდეგ არავინ სცადა ღონე. მას შემდეგ რამდენი თაობა წამოიზარდა, რამდენ ჯანღონით სავსე ჯაბუკს გაუვლია აქ, თენგოს ამბავიც გაუგია. ნუთუ სურვილი არავის აღძვრია ამ ლოდთან შებმისა. იქნებ თენგოს უბეღურებამ დააშინა ყველა?

არა, ახლებს არ აშინებთ ძველების ტკივილები, სასაცილოდ არ ჰყოფნით ძველების სიფრთხილე... ძველების სიფრთხილე სიმხდალედ მიაჩნიათ ახლებს. ისინი სხვა თვალით უყურებენ ცხოვრებას, ისე უყურებენ, როგორც ძველები უყურებდნენ სიჭაბუკეში... მამაცნი არიან და ცეცხლთან თამაში არ აშინებთ. ვინც ცეცხლს არ ეთამაშება, ვერც გმირი გახდება... იციან თუ არა ეს, მაინც ამ გზით მიდიან... მოვა ვიღაც და ახლა ის შეეჯიბრება თენგო ბიჭს, როგორც ის ხიზამბარელს შეეჯიბრა.

ლოდსა და მიწის პირს შუა რკინის კეტის ბრტყელი მხარე ჩააცურა და ღასწია... რკინის კეტი მიწაში ჩაჯდა.

კეტი ასწია, ცალი ხელით ზურგს უკან ბრტყელი ქვა მოძებნა და საგორავივით შეუყენა კეტს... კიდევ დასწია. ბრტყელმა ქვამ დაიწია და ისიც მიწაში ჩაჯდა. ლოდი არ იძვროდა.

ახლა მოზრდილი მუშტა ქვა ჩააგორა ბრტყელ ქვასა და ლოდს შუა დ. მთელი ძალით დაწვა. ლოდმა ოდნავ აიწია.

„როგორ ასწია იმ მამამკვდარმა, როგორ... რა ღონემ გაუძლო?“

ლოდს საყრდენებად თანდათან უფრო მოზრდილ ქვებს უწყობდა, რკინის კეტს მარტო ძალით კი არა, თავისი დაფეხვილი სხეულის მთელი სიმძიმით აწვებოდა, ზედ ეკონწიალებოდა, ხვნეშითა და ოხვრით დასძახოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდი საგრძნობლად შეყირავდა, ქვემოდან ჰაერმა გაუარა, შუქმა შეიჭრა... გამოჩნდა ლოდქვეშ მოქცეული დატკეპნილი მიწა.

ლოდქვეშ მთელი ცხოვრება იყო, აქამდე წყანარი და უშფოთველი... მზის შუქის გამოჩენით თავზარდაცემული წითური ჭიანჭველები გამოხრულ მიწაზე აქეთ-იქით დაარბეინებდნენ პაწაწინა, თეთრი მუთაქების მსგავს ჭუპრებს, ფეხზე აცოცდებოდნენ ბერიაკაც და მირბოდნენ... სათ?

ლოდს ქვეშაც ცხოვრობდა ველური მატიტელა. სიმძიმის ქვეშ გაბრტყელებული ბალახის სიფრიფანა, მოყვითალო-მოთეთრო ფოთლები და უმზეოდ გაზრდილი ღერები უსიცოცხლოდ გართხმულიყო ნესტიან მიწაზე. გიორგიმ ლოდქვეშ ამოზრდილ ფესვებსაც მოჰკრა თვალი. მზის ძალა მაინც ეტყობოდათ უმზეოდ გაზრდილ ფესვებს. მიწის შვილს ალბათ მიწავე აწვდიდა თავის წილ მზეს. მეტი არც სჭირდებოდათ, მეტი მზე დაეკარგნობდათ და ამ გაყვითლებულ ფოთლებს დამსგავსებდა. წყვდიადში გაზრდილი ფესვები ღონივრად გამოიყურებოდნენ, ფესვებს სიბნელე ზრდის... ფოთლებს კი, მზის მონატრულ ფოთლებს, გარეთ ვერ გამოეღწიათ და უდღეური ჩვილის ხელებივით გაბრტყელებულიყვნენ მიწაზე.

უმზეური ბალახის დანახვამ შვილი გაახსენა გიორგის.

„ამ ბალახივით მოიქცია ქვეშ... ალარც ცა დაანახვა, ალარც მზე...

ეს ღონიერი ფესვები კი მიწის შვილები არიან, მათ არ სჭირდებათ ცა და მზე... მე მგვანან და ჩემსავით გაუძლიათ ლოდქვეშ“.

ყირაზე შეყენებულ ლოდს ერთი ხელისკვრაღა უნდოდა, რომ ხევში გადაგორებულიყო. წეტანა კიდეც, მაგრამ უცებ მიხვდა, რომ იქვე, თვალს მოფარებით ატუზული ავგიორგი აცთუნებდა და გაჯავრებით წამოიძახა:

— იქით!... ხელი!... აქ მოსულმა კაცმა როგორღა იწამოს, როგორ დაიჯეროს თენგოს ღონე და ვაჟკაცობა თუ ამ ლოდსაც არ ნახავს... აქვე, გზისპირას ფრთხილად უნდა ჩავაცურო, თენგოს საფლავთან... ეს ლოდი თენგოს ძეგლია!

* * * * * * * * * *

ლოდი გადაბრუნდა, ბერიკაცს გვერდი გაჰკრა, მერე შავრცხილის ბუჩქს მიაწყდა, ტოტები მიამტვრია, გადაქელა და იქვე, თენგოს საფლავთან გაჩერდა... გიორგის თვალთ დაუბნელდა, რამდენიმე ნაბიჯი ტორტმანით ჩაირბინა თავქვეზე და ლოდთან ჩაიჩოქა... ძლიერ ტკივილს გრძნობდა, სადღაც, მკერდს შიგნით, თითქოს რაღაც ჩასწყდა, სიცოცხლის ძარღვი მიყუჩდა, ფეთქვა შეაჩერა.

გადაქელილ ბუჩქთან საღვინის ნამტვრევები ეყარა... საღვინის ყელთან სამინდის ნაქუჩი ეგდო. იქვე, კამეჩის ნაფეხურში პატარა, წითელ გუბედ ჩამდგარიყო დაღვრილი ღვინო.

ბინდდებოდა...

„...საღამოხანს არ გეცლებაო? ბიჭი უნდა გაგაცნოთ...“ — შემოესმა გიორგის ნინოს სიტყვები. გიორგიმ თავი ულონოდ ასწია... არა, ახლომახლო არავინ ჩანდა. ეს სიტყვები მან ამ ღილით გაიგონა.

ამას რომ ამბობდა, შავკაბიან ქალს თავი ჩაეღუნა, დაღლილი თვალები მიწისთვის გაეშტერებინა, ხმა უკანკალებდა.

რამ შეაკრთო, რამ აუკანკალა ხმა, რატომ თვალებში პირდაპირ არ შეხედა და ისე უთხრა სათქმელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან არა და, ბიჭის გაცნობას რაღა საღამო ხანი უნდოდა, გასულიყო ჭალაში, ხმა მიეწვდინა ბიჭისთვის, დაებრუნებინა, მოეყვანა და ეთქვა: „აჰა, ძია გიორგი, გაიცანი, ეს ჩემი ბიჭიაო!“

არა, ასე არ მოიქცა ნინო, თავი ჩაღუნა და ჩურჩულით თქვა: ბიჭი უნდა გაგაცნოთ...

იქნებ ეს უბრალო ზრდილობა იყო და მეტი არაფერი?

ჰო, ცხადია, ზრდილობისთვის თქვა და მეტი არაფერი: მდიდიდა ქალი თავისთვის, უეცრად ყოფილ სამამამთილოს შეეყარა ორღობეში, გზა ვერ აუქცია და სხვა ვერაფერი მოახერხა. რამე ხომ უნდა ეთქვა? ჰოდა, თქვა კიდეც.

არა, არა, აქ თუ სხვა ამბავი არ არი, თვითონ გიორგის რაღად აუთახთახდა მუხლები, კრიჭა რად შეეკრა, სიტყვა რად წაერთვა?

ესეც არ იყოს, რათა ჰგავს ის ბიჭი თენგოს? რატომ უსტვენდა თენგოს საღიღინოს?

თუ სხვისია, სხვის შვილს რად ასწავლიდა ნინო დაღუპული თენგოს სიმღერას?

ღმერთო, დიდებულო, იქნებ...

იქნებ არ ამოვარღნილა ჩემი მოდგმის ფესვი და არ დავღუპულვარ!

ნინო...

ნინო, ოღონდ ეს ასე იყოს და...

მოდი, მოდი, ქალო, ერთად ჩავძახოთ თენგო ბიჭს!

გიორგიმ თენგოს საფლავს გახედა, მერე ფერდობზე შეფენილ სოფელს გაყოლა თვალი.

უმალვე სისხლი გაუყინა ეტვმა.

„ვაჰმე, გიორგავ, კაცი კაცსა ჰგავს და სიმღერა სიმღერას, აბა ეს რა საბუთია! განა ასეთ ამბავს ქალი აქამდე საიდუმლოდ შეინახავდა?

შეინახავდა თუ არ შეინახავდა?

დაბინდული გონება ადრე ნაფიქრსა და აკვიატებულ სიტყვას ერთმანეთს ვეღარ უკავშირებდა, ამოჩემებული სიტყვის აზრი აღარ ახსოვდა და ტანჯვით ეკითხებოდა თავს:

რას? რას შეინახავდა? ვინ?

რა უნდა შეენახა, რა?.. ვის?

ვის?.. ვის რა უნდა შეენახა?..

ბოლოს ვაიკავლახით მისწვდებოდა დაკარგულ ძაფს, სიტყვას აზრი დაუბრუნდებოდა, გონება წამით გაშუქდებოდა და ზარივით დაიწყებდა რეკას:

ნინო...

ნინო...

ჰო, მართლა, ნინო!..

ნინო შეინახავდა... საიდუმლოს.

შეინახავდა, საცოდავი, შეინახავდა...

შეინახავდა, შეინახავდა, შეინახავდა საიდუმლოს... სწორედ ასეთ საიდუმლოს შეინახავდა!

დიდება შენს ქალობას, ნინო, ბარაქალა, რომ ჯილაგის თესლი შემინახე!

მოვა საღამო. მოვა ნინო, მოიყვანს ბიჭს, გაჩერდება გიორგის წინ, თავს ჩაღუნავს და ხმის კანკალით იტყვის:

— აჰა, ძია გიორგი, მოგიყვანე შენი ბიჭის ბიჭი!

გიორგი მუხლებში ჩაუვარდება ცხოვრებაში გაუხარებელ ქალს, მერე თენგოს საფლავთან მიიყვანს და ეტყვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩასძახე, გოგო, ჩასძახე!

. . . . . .

ბუერაში წასულ გიორგის ქვევიდან ხმაური შემოესმა... ალმართში ვიღაც ჩქარი, ღონიერი ნაბიჯით ამოდიოდა.

არა, ეს ავგიორგის ფეხის ხმა არ იყო. ავგიორგი ფრთხილად, ფეხაკრეფით დადიოდა ხოლმე, მიმპარავად და უჩუმრად... მისი ფეხის ხმა კარგა ხანია აღარ ისმოდა. ალბათ აქვე, ბუჩქნარში იჯდა და გულამოსკვნილი ჩუმად ქვითქვეოთბდა. არა, ეს ავგიორგის ფეხის ხმა არ იყო.

გიორგიმ გაიხედა და გაქვავდა. ალმართში ვიღაც ახალგაზრდა ამოდიოდა. გიორგიმ ჭირის ოფლი მოიწმინდა, საოცარი სისუსტე იგრძნო, მაინც წამოიწია. მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა, მოწყვეტით დაეცა ლოდის გვერდით.

...მის წინ თენგო იდგა.

გიორგი ლოდს მიესვენა და ასე, ძველი მარგილივით გადაღმერთილი, თვალებჩამქრალი გასცქეროდა ჭაბუკს.

„შვილო...“

მზე ჩადიოდა.

მოღლილი მზის მოყვითალო ბინდში მკრთალად მოჩანდა ჭაბუკის გაფითრებული სახე, შემკრთალი, ოდნავ გაპობილი ბაგე, გაოცებული დიდრონი თვალები.

„შვილო...“ — ჩურჩულით გაიმეორა გიორგიმ, მაგრამ ჭაბუკი არ განძრეულა.

— შვილო, გაგამწარე, დაგე...

დიდრონი თვალები ისევ გაოცებით ციმციმებდნენ. შემკრთალი, ოდნავ გაღებული ბაგე არ შერხეულა, მაგრამ გიორგის ყურს მაინც მისწვდა მშვიდი, ნაცნობი ხმა... არა, მის წინ მდგარ ჭაბუკს არაფერი უთქვამს, ეს სიტყვები თვითონ გიორგიმ თქვა:

— მამი... კარგი, გეყოფა... დაისვენე.

გიორგის გული ამოუჯდა, ცრემლი მოადგა. თვალებზე ხელის აფარება უნდოდა, მაგრამ მოწყვეტილი მკლავი მკერდზე დაეცა.

ისევ გამოჩნდა ავგიორგი და სულმობრძავს ფეხაკრეფით, გაუბედავად მიუახლოვდა.

— შენა ხარ? — იკითხა გიორგიმ.

— ჰო...

— მოდი ახლო... ხომ დაინახე?

— გავიგონე კიდეც... გავი... ბიჭმა გვაპატია... — ცრემლმა ხმა წაართვა ავგიორგის.

— მოდი, მოდი, ცრემლი მოგხოცო, შე უბედურო... რახან შენს თვალში კეთილი ცრემლი დავინახე, რაღა მიშავს... ცრემლმა ამოწმინდა შენი გოროზი გული და თვალი. მოდი, აქ დაწექ. ჩემ გვერდით. მოდი, ჩაგიხვიო... სამუდამოდ.

ერთხელ კიდევ გაახილა გიორგიმ თვალი და გაღმა მთებზე დამჯდარი, სხივშემოცლილი მზის დისკო დაინახა.

მზე ალმა ისროდა ფერდაკარგულ შუქს. დაძრულიყო, ფეხაკრეფით მოდიოდა ბინდი. უმცირესი კენწებიც კი ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. მზე ჩადიოდა, ღამდებოდა. ახლა უკვე შეეძლებოდა მზისთვის თვალის გასწორება.

გიორგიმ პირდაპირ თვალებში შეხედა მზეს. შეხედა თამამად და დაცინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით... ასე დაცინვით უსწორებენ თვალს იმას, ვისაც ოდესღაც ღიმილით შეხედავსაც ვერ უბედავდნენ და მონურად მორჩილებდნენ, როცა ძალა ჰქონდა, ახლა კი...

მზეს აღარ ჰქონდა ძალა... საჭირო აღარ იყო სამზეოსკენ შეშინებული თვალის ქირმიშად გაპარება. მზე თვალს აღარ მოსჭრიდა. შუადღეც რომ ყოფილიყო, ველარ მოსჭრიდა, თვალებში მზეგაუვალი ბინდი ჩაწოლილიყო. თანდათან უმძიმდებოდა ქუთუთოები, თითქოს ერთმანეთს უახლოვდებოდა და იხურებოდა... წუთისოფლის დიდი დღე თავდებოდა.

თანდათან უღიმღამოდ ჩადიოდა მზეც.

ჭაბუკმა ლოდზე მისვენებულ ბერიკაცს თვალი მოაშორა, უკან გამობრუნდა და თავქვეზე დაეშვა... მან თავის მოსწრებაში პირველად უყურა სიკვდილსიცოცხლის უთანასწორო ბრძოლას, პირველად დაინახა მომაკვდავის თვალები, პირველად გაიგონა სულთმობრძავის ბოდვა.

ახ, რატომ აქამდე არ გაუმხილა დედამ თავისი საიდუმლო, რატომ არ უთხრა, თუ ეს უცნაური ბერიკაცი მისი პაპა იყო... რატომ არ გაუმხილა, რომ მამამისი ამ პატარა სოფლის სასაფლაოზე წევს.

დიდხანს, დიდხანს ატარა საიდუმლოდ ეს ამბავი, უფრთხილდებოდა შვილის თავმოყვარეობას და აი, დაადგინა.

აღმართში ჩქარი ნაბიჯით ამოდიოდა შავკაბიანი ქალი. შვილი დაინახა თუ არა, გაქანდა... ჭაბუკს სახე გაფითრებოდა, თმა ასწეწოდა და შუბლზე ჩამოშლოდა. კბილებს შეკივნულივით უკაპუნებდა ერთმანეთს. მან ხელი გაუწოდა დედას, უკან დაბრუნა და უთხრა:

— გვიანღაა... წადიდეთ, სოფელს შევატყობინოთ.

ნინომ თავი ჩაღუნა, ცრემლი წასკდა... თვითონაც არ იცოდა ამ გოროზ კაცს დასტიროდა, თუ თავის დაუმეტებელ სატკივარს.

— დილასვე შევატყე, სააქაო პირი აღარ ჰქონდა... დავაგვიანეთ, გაეგო მაინც უბედურს...

— ადრე რომ გეთქვა, თუნდაც ამ დილით...

— მაპატიე... — თქვა ნინომ და ჭაბუკს მუდარით შეჰხედა, მერე ძლევის ქედისკენ მიბრუნდა და ჩურჩულით დაუმატა:

— რა ვქნა, გიორგი, დავაგვიანე, ვერ ვაჯობე თავსა, აქამდე ვერ გავბედე ბიჭის მოყვანა...

მოდიოდა ღამე, ძლევის ქედის მწვერვალზე კი ისევ ენთო მკვდრის მზე.

მკვდრის მზე...

მკვდრის მზე შემოღამების წინ სულ რამდენიმე წამით გააშუქებს ხოლმე მთათა მწვერვალებს და უმალვე გაქრება.

საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება. სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი... საოცარია მისი სახელიც.

მკვდრის მზე...

ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა, მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებიან... ზოგიერთს ჰგონია, ყველა მკვდრისთვის ამოდის ეს დაღლილი მზე, ნამდვილად კი გრძელი სოფელიც წუთისოფელივით მაცთურია, არც იქაური მზე აშუქებს ყველასთვისო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

*
* *

შორს ქონგურები ბებერი ციხის
ცას შეჰნათიან, როგორც კბილები
და ბილიკები ნანგრევების იქით,
ჩანს როგორც კვალი ლოკოკინების.
მოღრუბლულია ხეობა ქუფრად,
უფსკრულს ჰკიდია ციცაბო შავი,
ასე იფიქრებ — ბილიკის **ყულფით**
გადუკიდია განწირულს თავი.
კლდეს ეხეთქება წყალი ღრიალით,
ეხო როხროხებს ხორხის ბგერებით,
რბიან ტალღები ნიაღვრიანი,
როგორც ტახები ღონიერები.
წყალთა ეშვებით გამოფატრულან,
კლდეთა ფაშვები შლამით ნალამი,
შებანჯგვლულია ქვები დათვურად,
ისე სქელია ხავსის ბალანი.
და ტინებს ლოღნის ათასი **ტახი,**
ისმის ჯაგრულ ტალღების ღრენა,
ჩანს ნაპრალები დაფჩენილ ხახით
გადმოგდებული ჩანჩქერის ენა.
სადაც მდინარე უფსკრულებს მიჰყეფს,
და წყლით ივსება ხეობის ძაბრი,
შუბლშეკმუხვნილმა ბებერმა **ციხემ**
ნელა ასწია ბილიკის წარბი.
ავტომობილი დაკეცავს ბილიკს,
მერე თოკივით ბორბლებზე იხვევს,
როგორც წარსულის ვეება ჩრდილი,
კლდეზე გადმოდგა წინაპრის ციხე.
ეს რა ყვავები წამოიშალნენ,
თუ აეშალა ციხეს ფიქრები,
თვალებით ვთიბავ ღამის სიშავეს
და მერე ფიქრის ძნად შევიკვრები.
ეს ჩვენ მივდივართ, თუ ციხე მოდის
თავშეხვეული ნისლის ბაღდადით?
კუს ჯავშანივით ლაპლაპებს ლოდი
და ზედ მცურავი ლანდი გადადის.
წინაპრის სული, ფიქრი, ოცნება,
წარსულის ფერფლი, ხავსი, ლეგენდა,
როგორც დუმილი და გაოცება
ამ ციხის ნანგრევს შემოეკედლა.
ციხევ, შენ ხავსის გაცვია ჯუბა,
თეთრი ქვითკირის ჯაჭვის პერანგი.
ხმითა ღაღადით შესთხოვდი უფალს,
რომ დაგელეწა მტერი ვერაგი.
შეყვარებულის მზერით დაგყურებს
ცა ისწყალით პირმობანილი.
დროთა წარღვნებით გამორიყული
ჩანხარ წარსულის კიდობანივით.
დიდება შენდა, **წინაპრის** ლანდო,
იყუჩე, ვერვინ დაგიფრთხოს ძილი,
ბაბის ბაბაო, ათასჯერ ვმადლობ,
ჩემს სიცოცხლეში რომ გიდევს წილი.
მოუსავლეთის შავი კარებით
აქ გადიოდა გზა უკუნეთის...
სათოფურების დათხრილ თვალებით
იყურებიან სუკუნენი...
გავცდით ხეობას... და მოგვესხურა
ლილის ბაერი, წყალთა ჩურჩული,
და იდგა ციხე, როგორც ხევსური,
როგორც ხევსური ფარდაბღუჯული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

გზაში დამეკარგა მეგობარი,
სამად სამი დღის მეგობარი,
სულით ტურისტი და მეოცნებე
სერზე ყარყატივით შემომდგარი.
სამ დღეს სულ ფეხით მოვიარეთ
მთელი ზღვისპირი და აფხაზეთი,
ლამაზი, მდიდარი, მგრძნობიარე,
როგორც ზღაპარია ათასერთი.
სამი დღე ღვინო ვსვით აფხაზური,
და შემდეგ ‘ემთვის არსად არი
სამი დღის ჩურჩულის საფასური,
სამი დღის სიცოცხლის დასადარი.
მერე ბილიკები შეტრიალდა,
როგორც წარსული და მომავალი,
დასრულდა ლამაზი ხეტიალი,
გაფრინდა დღეები ონავარი,
ფეხიც კი აღარ გადამიცდა,
გაგრაში მომეძებნა სიხარული,
აღარც მეგობარი დამავიწყდა
გულში ტკივილივით მიმალული.
აღარ მეძინება ღამე კარგად,
მოსკოვში დავალ ისევ ერთი,
ძველი ბარათები დამეკარგა,
ვეღარც გავიხსენე მისამართი.
მოსკოვში ‘მუნვა მომერია —
ძმადნაფიცს თვალი ვერ მოვკარი,
იქნება ვერცა ვცნობ რომელია,
ჩემი სამი დღის მეგობარი.

მოსკოვი.

ზღვისადმი

რა დაგაოჩნებს, მუდამ ივსები
მდინარეებით, შენაკადებით,
მთვარის მოქცევით, მთვარის მიქცევით
შენ დაირწევი, შენ აქანდები.
ზღვაო, შენ სხვათა დიდებას იყოფ,
ხან დიდი ღელვით, ხან დამდოვრებით,
დიდი ხარ, მაგრამ რაც უნდა იყოს,
შენ ცხოვრობ მაინც სხვათა ცხოვრებით.

მოსკოვი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲓᲐ

ტყიდან გოგონა გამოიჭრა მოგვიანებით,
უკან მოსდევდნენ სოკოები ქოლგიანები,
მდინარის გაღმა წრიალებდა ჩემი დობილი,
ტალღა სხლტებოდა, ფართქალებდა, როგორც კალმახი.
არ იყო ხიდი, აღარც ბონდი, აღარც ბოგირი,
ადიდებული ღელე იყო გადმოსალახი.
მე ხელს ვუქნევდი, ვეძახოდი: აქეთ, გოგონი,
და მდინარებას ღელიანში შორ-შორ შევყევი,
მან კი ჭალებში, როგორც იქნა, მონახა ფონი
და გამოტოპა ტირიფების ოჩოფეხებით.

*
* *

ყველა ბილიკის თავშესაყართან,
გზაჯვარედინზე,
გზის დასასრულთან
შენ დგახარ, შენა—სინათლევ თვალთა —
ის—რითაც ვსუნთქავ,
ის—რასაც ვსუნთქავ.
მოვფრინავ შენსკენ —
შენა ხარ ჩემი ფრთები და სწრაფვა,
მოვცურავ შენსკენ —
შენა ხარ ჩემი ქარი და აფრა,
და როგორც გზები გზათა თავმდები,
შენ არ იწყები და არ თავდები.

*
* *

ნეტა რამდენი სიცილი დამრჩა,
რამდენი ლხენა, რამდენი ღელვა,
კიდევ რამდენი წუხილი... გარჯა...
მინდა წინასწარ ვიცოდე ყველა.

რამდენი სუსხი ეწვევა კვირტებს,
ჰაუ, რამდენი სუსხი და სითბო!
რამდენჯერ უნდა აღელდნენ კიდევ,
განა ტალღებმა იციან თვითონ?

*
* *

ისევ ურტყამს გაზაფხულის
სეტყვა გაალქაჯებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ცდილობს წამოფრენას
ყანა გადაყანჩებული.
ისევ დაგსდევ, საყვარელო,
გულზე ხანჯლად გეღირები,
ხეებს ისევ ვეფარებით
შიშით გულგახეთქილები.

*
* *

როგორც დედის სავსე ცური
ხბოს მოუხმობს ასაწყვეტად,
ისე მამღვრევს და მახელებს
გაზაფხულზე რასაც ვხედავ.
მინდა მტვრევა, სულ ყიჟინა,
სულ ქუხილთან დადარება,
შეხვედრებით გაგიჟება,
განშორებით გადარევა.
სიცოცხლეო, სროლას ჰგავდე —
მეტი არ მოგეთხოვება
მოვკვდე, მაგრამ დავიბადო,
დავიფანტო ეზოებად.

*
* *

ჩვენ ორნი-ღა დავრჩით
ძველი მეგობრები,
გამოვდივართ კარში,
ძმები ვეგონებით.
მიკვირს — სასაცილოს სულ არაფერს ვამბობთ
და სიცილით ვკვდებით სულ არაფრის გამო.
თითქო კაკალს ბერტყენ, თითქო სეტყვა გვირტყამს,
ეს წაბლივით საღი სკდება ბუჟგა სიტყვა.
ეს ასეა... მაგრამ როცა მარტოდმარტო,
ამდენ მეგობრებში წრფელ საუბარს ნატრობ,
როცა ნატვრად რჩება გულმა რაც ინება
და გულწრფელად როცა გინდა გაცინება,
უცებ ავარდები, აღარაფერს დახედავ,
ივლი,
ივლი,
ივლი
და მომძებნი სადმე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩეჩელაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ფანატიკოსი ფრთოსანი

ტარანი

პოდპოლკოვნიკმა სასწრაფოდ დამიბარა.

— ისევ გუშინდელი დავალებით უნდა გაგაგზავნო, ოთარ. თქვენი ოთხეულის მიერ შპრეცზე აფეთქებული ხიდი გერმანელებს წუხელ აღუდგენიათ.

მან უჯრა გამოაღო და გამომიწოდა ფოტოპლანშეტი, რომელზეც მკაფიოდ ყო აღბეჭდილი ნავტიკის ხიდის აფეთქების სურათი.

— კარგი სურათია! — განაგრძო რიმშინმა. — კარგადაც გიმუშავიათ. ოთხი პირდაპირი მოხვედრება ხუმრობა საქმე არაა... მაგრამ ფაქტი ფაქტია — ხიდი აღდგენილია და თქვენი ნამუშევარიც წყალში ჩაყრილი გამოდის, თუ ხელახლა არ დასცხეთ... ერთი სიტყვით გუშინდელი დავალება გეძლევათ. შენ და იარლიკოვი ერთ საათში უნდა გაფრინდეთ. მხოლოდ ერთი რამ გაითვალისწინე, — დაუმატა მცირე ფიქრის შემდეგ: — გუშინდელი ვარიანტი არ გამოგადგებათ. საათნახევრის შემდეგ გერმანელები უკვე სხვაგვარად დაგვიხვდებიან. დიდი სიფრთხილე გმართებს, მიუხედავად იმისა, რომ შენი მეგობარი მერკვილაძე გამოგყვება თავისი მეწყვილითურთ.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ მე და იარლიკოვმა კურსი ავიღეთ მეზობელი აეროდრომისაკენ, სადაც ორი გამანადგურებელი შემოგვიერთდა. ჩვენნ თვითმფრინავები ერთხანს გვერდიგვერდ მიფრინავდა. მე და მერკვილაძე მინის ხუფიდან ერთიმეორეს კარგად ვხედავდით და ვუღიმოდით.

— ბიჭო, გარი, თუ მიზნის თავზე სიმშვიდე იქნა, ცოტა თქვენც უნდა წამოგვეხმაროთ, — გადავეცი რადიოში ქართულად.

— ჯავრი ნუ გაქვს, ოთარ, ჭირიმე, ბათუმელის სახელს არ შევარცხვენ,— ქართულადვე მომიგო ჩემმა მეგობარმა.

— აბა წავსულვართ!

— წავსულვართ.

ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე დაუფარავად მივუახლოვდით ფრონტის

დასასრული. იხ. „ცისკარი“, 1958 წ. № 7, 8, 9, 11 და 1959 წ. № 1, 2, 3, 4, 6.

ხაზს, აქ მე კურსი შევცვალე და ჩვენი სამიზნის საწინააღმდეგო მიმართულებით გავაქროლე ოთხეული.

— საით მივფრინავთ, ბრძანება შეიცვალა? — უკვირს იარლიკოვს.

— ნუ ჩქარობ, მალე შეიტყობ... — ხითხითებს მერკვილაძე. ის უკვე მიმიხვდა განზრახვას.

კარგა ხანს ვიფრინეთ სულ სხვა მხარეს. მტრის ღრმა ზურგში შევედით. გერმანელთა სათვალთვალო პუნქტები, ცხადია, თვალყურს გვადევნებდნენ და ჩვენს ცრუ მარშრუტს ინიშნავდნენ.

აი, გამოჩნდა ის ადგილი, რომელიც წინასწარვე აღვნიშნე რუკაზე: შპრეეს პატარა მდინარე უერთდება. აქ ბიჭებს ჩრდილოეთისკენ ვაბრუნებინე პირი და ვუბრძანე:

— იარლიკოვ, მერკვილაძე, მინშუტინ, ხერხი უნდა ვიხმაროთ! ყურადღებით იყავით! გამანადგურებლები იარლიკოვთან რჩებიან. მე გავსწორე.

იმავე წამს მოტორი გამოვრთე. ისარივით დავექანე დაბლა. მიწიდან ორმოციოდე მეტრის სიმაღლეზე მანქანა პიკირებიდან გამოვიყვანე, გავასწორე და თითქმის მიწას გაკრული გავემართე სამიზნისაკენ. მაღლა ცაში სამი თვითმფრინავი მიეფეფრნენდა, დაბლა კი მე მარტოდმარტო მივქროდი სოფლების, ველ-მინდვრების, თემშარების თავზე. ჩემი მოიერიშის მოულოდნელი გამოჩენა თავზარს სცემდა გზად მიმავალ გერმანელებს. შოფრები ჯარისკაცებით დატვირთულ მანქანებს სწრაფად ამუხრუჭებდნენ და ყველანი კისრისტეხით მირბოდნენ ბუჩქნარებისა და თხრილებისაკენ. ერთი სული მქონდა მათზე ტყვია-მფრქვევის ცეცხლი მიმეშვა, მაგრამ დრო არ ითმენდა. თანაც ტყვია-წამალი და საწვავი უფრო საჭირო საქმისათვის უნდა დამეზოგა.

აი, სულ ახლოსაა მდინარის გადასასვლელი, გუშინდელი ხიდი.

— იერიში დაიწყეთ, ბიჭებო! — გადავეცი რადიოთი.

ფაშისტებს არ შეიძლებოდა არ შეენიშნათ ორიათას ხუთასი მეტრის სიმაღლიდან მათკენ დაქანებული ერთი მოიერიშე და ორი გამანადგურებელი. ცისკენ აშვერილი მათი საზენიტოების ლულები ხელიერთპირად შებრუნდნენ იქითკენ, საიდანაც ეს თავზეხელაღებული სამეული მოექანებოდა. ატყდა საშინელი გრიალი და იმავე წამს ჩემი ბიჭები სულ სხვადასხვა მხარეს დაიფანტენ, საზენიტოებს ცეცხლში მანევრირება დაიწყეს. იარლიკოვმა სამჯერ ჩამოყარა ბომბები, მერკვილაძემ და მინშუტინმაც ცეცხლი გახსნეს. ამასობაში ცაში აიჭრა და ჩვენებს ეძგერა ფაშისტთა ექვსი გამანადგურებელი.

მართალი თქვა რიმშინმა: გერმანელები გუშინდებურად არ დაგვხვედრიან.

რაღაც აუწერელი ხდებოდა ხიდთან და ხიდის თავზე. და ამ რიარიაში ჩემი თვითმფრინავი თითქმის სავსებით შეუმჩნეველად მივაგდე სამიზნესთან.

— ოღონდ არ ავაცდინო... ოღონდ არ ავაცდინო და... — ვიმეორებდი გულში და თვალს არ ვაშორებდი ყვითლად ჩარიგებულ ნავტიკებს.

მართალია, ხუთი მტრის სიმაღლიდან აცდენა ძნელი იყო. მაინც ვღელავდი. ოფლით ჩამომეღვარა სახე. მაგრამ საკვირველი ის იყო — ზედ მიზნის თავზე თითქმის ვულგრილად დავაჭირე ხელი ღილს ბომბების ჩამოსაყრელად.

რამდენიმე წამით უცნაური სიჩუმე ჩამოწვა. გერმანელთა საზენიტოები დადუმდნენ. თითქოს ყველანი გიტრუნენ რაღაცის მოლოდინში. და უცებ გაისმა საშინელი გრიალი. ჰაერის მძლავრმა ტალღამ ჩემი თვითმფრინავი მაღლა შეისროლა. საეარძელში გავსწორდი და ხიდს გადავხედე — იქ ყველაფერი არეულიყო, თვით ხიდი აღარსად ჩანდა — დარტყმა ძალზე ზუსტი გამოდგა.

გონჭოსულმა მეზენიტეებმა ლულები შეაბრუნეს და კატასტროფის მთავარ-

ლახლა გარკვევით გამოისახა სვასტიკა, ხელახლა ამოვიღე მიზანში, სასხლეტს დავაწექი...

თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემს იარაღს არ გაესროლოს! კიდევ დავაწექი, კიდევ და კიდევ... არაფრისგან არაფერი! ერთი ტყვიაც არსად იყო, ერთადერთი ტყვია.

არადა ის წყეული, ეტყობა, მიხვდა საქმის ვითარებას, ფიცხლად შემომიტრიალდა, ცეცხლში გამხვია და ამაყად წავიდა განზე.

ხელახლა უკან გამოვენთე აღგზნებული, გაოფორებული. თითქმის მივეწიე კიდეც. და საკუთარი უილაჯობისაგან ტუჩზე ვიკბინე, დავისისხლიანე: აქვე იყო ის წყეული, სამიზნე წერტილში მყავდა ჩაგდებული, მაგრამ ვერაფერს ვაკლებდი, ვერას ვაწყობდი. ორში ერთი იყო: ან დასავლეთისკენ ფრენას განაგრძობდა ფაშისტი, თავის გზას გაუყვებოდა, უვნებელი და კარგადმყოფი გამშორდებოდა, ან კიდევ შესაძლოა შემომიტრიალდებოდა კიდეც და მაშინ...

რაღა თქმა უნდა, არსებობდა ერთი ყველაზე გონივრული გამოსავალი: მეც უნდა შევბრუნებულიყავი და ჩემი მოიერიშე არხეინად დამესვა აეროდრომზე. ამის გამო საყვედურს არავინ მეტყოდა. პირიქით, მიწიდან რიშინი მიბრძანებდა — თუ ბრძოლა გაგიძნელდა, დაუყოვნებლივ დაეშვიო.

მაგრამ განა მარტო ბრძანების შესრულება და ფორმალური ვალის მოხდა იყო ჩვენი ბრძოლა?

სისხლი საფეთქლებში მირტყამდა, ერთიანად შეკრული და ატაცებული ვიყავი.

და უეცრად ყოველივე შეიცვალა: ჩემი აღგზნება სადღაც გაქრა, სისხლი დამიწყნარდა, მიყუჩდა, შუბლი გაცივდა, ფეტკრის ნაყარივით მოზუზუნე ფიქრი დაცხრა, თითქოს დაიბინდა, სხეულიც წამით მთლიანად მოეშვა. მხოლოდ ეს იყო: ცნობიერებაში წამოტივტივდა ერთი სიტყვა, ერთადერთი სიტყვა, რომელსაც მე შემაძრწუნებელი სიმშვიდით ვიმეორებდი:

— ტარანი!..

ჰო, ტარანი, ყველა სხვა გზა ჩემთვის მოჭრილი იყო ან მე თვითონვე მოვიჭერი.

ერთი კი გადავხედე ჩემს მოიერიშეს, დღევანდელ ბრძოლაში საგრძნობლად დაზიანებულს, ტყვიებით დაცხრილულს და ძნელად სანდობს. მარცხენა ფრთაზე ჯურეს ვეება ნახვრეტი გაეჩინა. ეს იყო ჩემი უკანასკნელი „თადარიგის დაჭერა“. შემდეგ ზედმეტი აზრები მოვიშორე და ყურადღება მთლიანად მტრის თვითმფრინავს მივაჯაჭვე.

პირველივე მანევრი იმდენად მარჯვე გამომივიდა, „იუნკერსს“ ზედ კუდზედ მივაჯდეკი. ორი-სამი მეტრი თუ გვაშორებდა ერთიმეორეს. მტრის მსროლელმა საშინელი ცეცხლი მოუშვა ჩემს მოიერიშეზე, მაგრამ აღარაფერს შევეპუებიავრ — საჭეს მიჯაჭვული და ზედ შეზრდილი დაყინებით მივაქროლებდი წინ თვითმფრინავს.

დადგა წუთი, როდესაც ჩემი გამანადგურებლის პროპელერი ოციოდე სანტიმეტრით თუ იყო დაშორებული „იუნკერსის“ კუდს. ათიოდე სანტიმეტრითაც შევამცირე ეს მანძილი. აი კიდევ, ცოტა კიდევ... კიდევ წამი...

ფოლადში შეჭრილმა პროპელერმა საზარლად გაიღრჭიალა. მაშინვე მეც შევეხეთქე სამართავ ხელსაწყოთა დაფას. ელვის სისწრაფით გვერდზე მივფრიჯე მანქანა, სადაც დავუჭირე, წელში გავიმართე და შემდეგ თვალით მტრის თვითმფრინავს დავუწყე ძებნა.

კუდმოკვეთილი, აბოლებული „იუნკერსი“ უმწეოდ მიექანებოდა მიწისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარჩენ ქვიშანი

მუდამ ასე ხდება: რაიმე დიდი ამბის, დიდი მოვლენის დასასრული მეწსიერებაში ყველაზე მკაფიოდ, ყველაზე მძაფრად აღიბეჭდება ხოლმე. და მაინც უძნელესი საქმე სწორედ ამ დასასრულის ხეირიანად, დალაგებულად მოთხრობაა.

ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის მაისის დამდეგი.

თოთხმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ყოველივე. ჩემს წინაშე ელავს და ფერადობს ათასგვარი სურათი, ხელახლა განვიცდი იმ დღეების მანძილზე ნანახსა და განცდილს და აღარ ვიცი, რომელი ერთი მოვიგონო განსაკუთრებით: ჩვენი არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი, თუ ავიაციის გააფთრებული იერიშები, ჩვენი ქვეითი ჯარის ენით უთქმელი გმირობის სურათები, თუ ფაშისტებისაკენ მიმართულ პროკურორთა ელვარება, ბრძოლები ბერლინის ქუჩებში თუ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აფრიალება...

იმ დაუვიწყარ დღეებში ჩვენი პოლკის მფრინავები ყოველივე ამის მონაწილენი ან თვითმხილველნი გახლდით.

და მაინც ყველაზე მეტად მგონი ერთი ამბის გახსენება მაღელვებს.

ის იყო ჩვენმა ჯარებმა ბერლინის მისადგომები გადალახეს და ქალაქის განაპირა უბნებში შეიჭრნენ, ბრძოლები კიდევ უფრო გასასტიკდა. ჩვენი პოლკი შეუსვენებლივ მონაწილეობდა ამ სამკედრო-სასიცოცხლო შერკინებაში. მაგრამ არავინ იმჩნევდა დაღლილობას, არავის დაუჩივლია — არაქათი გამომელია, იქნებ დამასვენოთო. ყველანი ერთგვად ატაცებულნი ვიყავით. ჩვენს თვალწინ ილეწებოდა ფაშისტური საშინელების უკანასკნელი თავშესაფარი და ბედს ვუმადლოდით, რომ ამ ისტორიული ამბების მონაწილეთა შორის ჩვენც მოგვაყოლა.

ამის გამო იყო, რომ მაინცდამაინც არ გამხარებია, როდესაც რიმშინმა მიბრძანა — შენი ესკადრილიითურთ დაუყოვნებლივ უნდა გაფრინდე სამხრეთით, ამა და ამ დასახლებული პუნქტისკენ, საწვავის დიდი საწყობის მოსასპობადო.

შევატყე — არც ჩემი ბიჭები დარჩენილან აღტაცებულნი.

— რა დროს საწყობებია, მოცლია ერთი მაგასაც... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მიხოლიჩენკომ.

— საწყობებს სხვებიც მოუვლიან, ჩვენ ბერლინზე ვართ მიმდგარი და მიგვიშვან! — კვერი დაუკრა სამოილოვმა.

— მიგვიშვან, მიგვიშვან ბერლინზე! ერთი მივლეწოთ იქაურობა! — აჰყვენ სხვებიც.

გულში ვეთანხმებოდი ჩემს ბიჭებს, მაგრამ ამდენი განსჯისა არც დრო გვქონდა და არც უფლება: მეთაურის ბრძანება ხელქვეითისთვის კანონია. ამიტომ უმალ შევაწყვეტინე უადგილო რეპლიკები და თვითმფრინავებში ჩასხდომა ვუბრძანე.

კარგა ხანს მოგვიხდა ფრენა, ვიდრე რუკაზე აღნიშნულ პუნქტამდე მივაღწევდით. ოღონდ ეს იყო — თვით სამიზნის მოძებნა არ გაგვჭირვებია; ეტყობა, გერმანელებს აღარც დრო ჰყოფნიდათ და აღარც ხალისი საიმისოდ, რომ გულდაგულ შეენიღბათ თავიანთი ცისტერნები, ვიღაც მემამულის სასახლის მახლობლად ჩადგმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა საწყობთან მიახლოებისას. თურმე შეგვიცდარვართ.

მართალია, ცისტერნები კარგად შენიღბული არ ყოფილა, მაგრამ მათ დასაცავად ფაშისტებს ძალა არ დაუშურებიათ. გამოვჩნდით თუ არა სამზნის თავზე, უძლიერესი საზენიტო ცეცხლი გაგვიხსნეს, მოგვაყარეს და მოგვაყარეს ჯურვები; მალე მათი გამანადგურებლებიც ამოიჩრენ ჰაერში.

ცოდვა გატეხილი სჯობია, ამგვარ დახვედრას სულაც არ მოველოდით და წამით ყველანი კინაღამ დავიბენით. მართალია, მიეუხედავად იმისა, რომ კარგა ხანი იყო ბერლინის თავზე დაფრენილი, რომ აშკარა იყო ფაშისტური სახელმწიფოს აღსასრულის მოახლოება — ბრძოლების სიმძაფრე არ შეხელებულა და ჩვენც რეალობის გრძნობა დაკარგული არ გვქონდა; ვიცოდით — სასტიკი და ვერაგი მტერი გვყავდა ბოლომდე გასანადგურებელი; ბოლომდე იყო მოსალოდნელი საფრთხეც, განსაცდელიც და თვით დაღუპვის რისკიც. ეს ასე იყო. მაგრამ მაინც იმდენად გალაღებულნი, განაკარგებულნი, საკუთარ თავში დაჯერებულნი ვიყავით, ღიარ გვეგონა, თუ ჩვენს მომრევს ვისმე შეეხვდებოდით ცაში ან ხმელეთზე. ამიტომ გულიც კი მოგვდიოდა, როცა ფაშისტთა ავიაცია მოსალოდნელზე მეტ წინააღმდეგობას გაგვიწევდა ან მათი მეზენიტეები ზომაზე მეტს შემოგვაფურთხებდნენ ხოლმე.

ამჯერადაც ასე მოხდა.

გრიგალისებური ცეცხლით დაგვიხვდნენო?!

ავარდენ და დავარდენ ჩემი ბიჭები. როგორ, ხალხს სტალინგრადიდან ბერლინამდე მოგვიღწევია, გზადაგზა გერმანელთა საუკეთესო საავიაციო ნაწილები დაგვიმარცხებია, უკუგვიგდია და გაგვინადგურებია, ასობით და ათასობით საზენიტოები ჩაგვიჩუმებია და ეს ვინ გამოტყვრენ, ეს წიტიანი საწყობის მცველნი, რომ ასეთ რამეს გვიბედავენ? დაჭკარით მაგ წუპაკებს, ქვა ქვაზე აღარ დავტოვოთ, აქაურობა ნაცარტუტად უნდა ვაქციოთთ!

ამ ზარით ვეკვეთეთ მტერს.

ისე, გარეშე მაყურებლისათვის საინტერესო სანახავი კი იქნებოდა ის ბრძოლა, რომელიც თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უძნელესი იყო ჩვენს მიერ გარდახდილ ბრძოლათა შორის. ფაშისტთა ათეულობით საზენიტო ქვემეხსა და ოთხ გამანადგურებელს ერკინებოდა ჩვენი ესკადრილია, ექვსი საბჭოთა მოიერიშე.

კაცი იფიქრებდა — ასეთ ცეცხლში ცისტერნებამდე მიღწევა ყოვლად შეუძლებელიაო. მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვდა ადრევე შეთვისებული სიბრძნე — საბჭოთა მეომრებიც იმიტომ გვერქვა, რომ შეუძლებელი შესაძლოდ გვექცია.

და აი, ჩემი თვითმფრინავი გაიჭრა ცისტერნათა ერთი გროვისკენ. მიზნისთვის არ ამიცდენია და ის ბუდე ერთიანად ცისკენ წავიდა.

რამდენიმე ასეთი ბუდე კიდევ გვაქვს გასანადგურებელი.

იერიში იერიშს მისდევს.

ირგვლივ ყოველივე დგანდგარებს, გრიალებს, იწვის და ინგრევა.

მეექვსე თუ მეშვიდე იერიშისთვის ვემზადებოდი, როდესაც ჩვენს თვითმფრინავს პირდაპირი დამიზნებით მოხვდა ჯურვი. სამასზე მეტი საბრძოლო გაფრენის მონაწილე ვიყავი და ამგვარი მარცხი ჯერ არ განმეცადა. მანქანის ჰაერში გასწორებაზე ან მისთვის რაიმე გეზის მიცემაზე ფიქრი ზედმეტი იყო— პროწიალით, ტრიალით, პერპენდიკულარულად დაექანა მიწისკენ. ეს უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ იყო თვითმფრინავი, ეს იყო მხოლოდ ლითონის ჩონჩხი, რომელზე დამორ-ჩილებას ძეხორციელი ვეღარ შეძლებდა.

რაღაც სასწაულით მოვასწარი პეტროვისათვის მებრძანებინა პარაშუტით გადახტომა, რაღაც სასწაულით მოვახერხეთ ორივემ მოვწყდომოდით საშინელი სიჩქარით დაქანებულ თვითმფრინავს.

შემდეგ ერთმეორე დავკარგეთ.

ჩემი პარაშუტი საგულდაგულოდ მოვლილ ბაღში ჩაეშვა. თასმები შევიხ-სენი, იქაურობა მოვათვალიერე და იმ მიმართულებით გავიქეცი, საითაც ტყე შეგულებოდა. გადარჩენის იმედი გადაწურული არ მქონდა: ჩვენს ბიჭებს, ჩემი ჩამოგდების მიუხედავად ბრძოლა არ შეეწყვიტათ, მათი თვითმფრინავები ღრიალით დაჰქროდნენ საწყობის თავზე, ახალ-ახალ ეიროშუტ გადადიოდნენ. ამიტომ ვიმედოვნებდი — ამ ჯოჯოხეთში ფაშისტებმა ჩემთვის და პეტროვი-სათვის იქნებ ვერც მოიცალონ-მეთქი.

არ გამიმართლდა ვარაუდი. ბაღს შემოვლებულ თეთრ მესერს მიახლოებუ-ლიც არ ვიყავი, ყვირილი, სროლა და ძაღლების ყეფა შემომესმა. აშკარა იყო—მე მომსდევდნენ. რაც ძალი და ღონე მქონდა გავიქეცი, მესერს თავს გა-დავევლე და, როდესაც უკვე თითქმის სამშვიდობოს მეგონა თავი, დავინახე, რომ წინდანაც ფაშისტი ჯარისკაცები მორბოდნენ. ფიქრის დრო აღარ იყო. ფიცხლად შევტრიალდი და ახლა იქითკენ გავექანე, სადაც საწყობები იყო და ჩვენნი ბიჭების ბომბები მოცვიოდა. სხვა გზა აღარ მქონდა — ტყემდე ვერაფ-რით ვერ მივასწრებდი, ბრძოლის ადგილას კი იქნებ ვეღარ შემომყოლოდნენ. ჩემი მდევრები აფეთქებათა შიშით.

სამე ის იყო, როგორმე მიმესწრო საწყობებამდე, მტრებზე ადრე გამერბინ-ნახევარ კილომეტრამდე მანძილი.

ბედი არ გინდა?! პირველის უმაღლესი მესერი დამირჩა გადასალახი. აქ-ლოშინებულმა პისტოლეტი ვიძრე, შევტრიალდი და რამდენიმეჯერ ვესროლე თითქმის ფეხდაფეხ მომყოლ ფაშისტებს. შემდეგ მესერთან გავჩნდი, ვისკუპე, ცალი ხელით ჩამოვეკიდე და ის იყო ტანი უნდა გადამეტანა, რომ მარჯვენა ფეხის წვივში საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

უზარმაზარმა გერმანულმა ნაგაზმა, რომ იტყვიან, პირდაპირ ჩამომიღო მე-სერიდან. საშინელი ძალით დავეხეთქე მიწას. პისტოლეტი ხელიდან გამვარდა. მაშინვე ხელახლა წამოვხტი. მინდოდა იარაღს დავწვდომოდი, იქნებ ნაგაზი მომეგერიებინა. მაგრამ მისმა კბილებმა ეხლა უკვე ჩემს ყელთან გაიელვეს და, **ვიდრე მასთან ჭიდელით ვიყავი გართული, უკნიდან მეორე ნაგაზი მეძგერა.**

დანარჩენი რაღაც კოშმარს, ავბედით სიზმარს ჰგავდა. მიწაზე გართხმული უნებურად მაინც პისტოლეტისკენ მივწევდი და ამის შემხედვარე ორი ვეება ნაგაზი გაცოფებული მეტანებოდა, ბკენდა. ტანისამოსს მიფლეთდა, მიწაზე მათრევდა. ირგვლივ უკვე შემოკრებილიყვნენ გერმანელები. ყოველი შემთხ-ვევისათვის ავტომატები მოეღერებინათ და სიცილით კვდებოდნენ, რაღაც სა-ტანურად ხარხარებდნენ, **ერთიმეორეს ჩემზე უთითებდნენ.**

ბოლოს მათ, ეტყობა, მოსწყინდათ ნაგაზებთან ჩემი ბრძოლის ყურება, თავად მომცვივდნენ და კონდახები დამიშინეს, შემდეგ დაოსებული წამომაყე-ნეს და კვლავ კონდახების ცემით წინ გამიგდეს. უკან მომყვებოდნენ, უშვერად ავინებოდნენ თავიანთ ენაზე და რაღაც საშინელით მემუქრებოდნენ. მე მათ უკ-ვე აღარ ვაქცევდი ყურადღებას. თვალი ზეცისკენ გამექცა. ჩემს ბიჭებს ეფრ-შები დაემთავრებინათ, გაუჩინარებულიყვნენ. იმ მხარეს კი, სადაც ცისტერნები იდგა, ხანძრის ალი ზეცას სწვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც პატარა შენობის წინ შემაჩერეს, ჯარისკაცები გარს შემომერტყეს და ავტომატები მომაღირეს. დიდხანს არ დაგვჭირვებია ლოდინი. ერთსართულიანი სახლის აივანზე გამოჩნდა მაღალ-მაღალი, გამხდარი, უშნოდ აჩონჩხილი ქერა ქალი. იქნებოდა, ასე, ორმოცს გადაცილებული. მტკიცე, ბატონკაცური ნაბიჯით მოდიოდა. თავი ამაყად ჰქონდა აღერილი და ვიწრო თვალები ჩემზე მოებჯინა. მისი გამოჩენისთანავე ჩემ თანმხლებ ჯარისკაცთა მეთაურმა, ჩასუქებულმა კაპიტანმა, რაღაც ბრძანა და მაშინვე ყველანი სარგაბაყლაპულებივით გაიჭიმენ.

აჩონჩხილი ქალბატონი ახლოს რომ მოვიდა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მარჯვენა ხელი ჰაერში შეისროლა და პათეტიური ხმით შეჰყვირა:

— ჰაილ ჰიტლერ!

— ჰაილ ჰიტლერ! — შეჰღრიალეს ირგვლივ მყოფთა.

შემდეგ ქალბატონმა ჯარისკაცების წრე გამოვლო, ჩემგან ორ ნაბიჯზე შეჩერდა, თვალები დაწკურა და რაღაცნაირი ძრწოლანარევი ზიზღით ამათვალიერა თავით-ფეხებამდე.

— მაშ ამ ვაკბატონმა დაარბია ჩემი მამული? — იკითხა მან მუქარით. — ეს შენ იყავი, შე ყაჩაღო, ბომბები რომ ჩამოყარე, არა?

იმდენი გერმანული კი ვიცოდი, რომ ამ ქალბატონის ნაუბარი გამეგო და პასუხიც მომეხსენებინა. მაგრამ არაფერი შევიმჩნიე, უბირი სახით შევაშტერდი განრისხებულ მემამულეს. მან ჩემი ლანძღვით გული იჯერა, შემდეგ თარჯიმანს მიუბრუნდა, სულ სხვა კილოზე, ჩუმი, დაწეული ხმით უთხრა:

— ერთი ჰკითხე, მაგათი ჯარი ბერლინს მიუახლოვდა თუ არა?

უცებ რაღაც სხვაგვარმა ენერგიულმა დამირბინა მთელ სხეულში; ამ ნაგვემსა და ნაწამებ კაცს რაც შემეძლო წელში გავიმართე და ხმამაღლა, მტკიცე ხმით ვუპასუხე:

— გადაეცით პატივცემულ ფრაუს, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები უკვე მესამე დღეა შიგ ბერლინში, მის ქუჩებსა და სახლებში ებრძვიან და ანადგურებენ ფაშისტებს.

აქ მოულოდნელი რამ მოხდა: ჩემს სიტყვებზე ფრაუს მიწისფერმა გადაჭარა, თარჯიმანს აღარ დაუცადა და დამტვრეული რუსულით მომაყარა:

— სტყუი, შე ყაჩაღო!.. ჩემის ხელით დაგაღრჩობ, იცოდე!

— ეგ თქვენი ნებაა, — ვუპასუხე რაც გამეწყობოდა მშვიდი ხმით, — მაგრამ ბერლინის საკითხში შეგიძლიათ მენდოთ. საკუთარი თვალით ვნახე ყოველივე. ხვალ თუ არა ზეგ რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა აფრიალდება.

— სტყუი, სტყუი!.. არ იქნება!.. არ შეიძლება!.. არ მოხდება!.. — უკვე ისტერიული ხმით შეჰკივლა ქალბატონმა — უკან შენ ნახავ სახრჩობელაზე ჩამოკიდულ ბოლშევიკებულს!.. სტყუი შე ყაჩაღო! არ იქნება-მეთქი!.. არ დაიჯეროთ, არა!..

და მართლაც ისტერია დაემართა; ჯერ გადაიხარხარა, შემდეგ აზლუქუნდა, აქვითინდა, სახე ხელებში ჩამალა და ბარბაცით, ტორტმანით, მთვრალივით გაემართა სახლისაკენ.

კაპიტანმა ბრძანება გასცა. ჯარისკაცები გარს შემომერტყენ და წამიყვანეს. როგორც ჩანდა, უკვე ათუხთუხებული სატვირთო ავტომანქანა მე მიმელოდა.

ნეტავ საით მიეყავართ? თქმა არ უნდა, ცოცხალს არ დამტოვებენ, საკითხავი მხოლოდ ის არის — მანამდე რას მიპირებენ, რანაირ წამებას იგონებენ ჩემთვის? ნუთუ შორს უნდა გამამგზავრონ? თუ არა, მაშ ეს მანქანა რად დასჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ? არა, ნამდვილად საღღაც მიეყოვართ სწორედ ამ ავტომობილით. ...ეგზენ იქითკენ ამაღეგბინეს.

ძარაში ერთი-ორი ჯარისკაცი ჩამჯდარა და ცნობისმოყვარე თვალებით გამომყურებს. შემდეგ მათ ერთიმეორეს რაღაც გადაულაპარაკეს და სიცილი აუტყდათ. თან ძირს, ძარის ფსკერზე იყურებიან, თითქოს რაღაცას მანიშნებენ. მოიცა, რას მომძახიან?

— მოდი, მოდი, ჩქარა! მეგობარი გელოდება, უშნოდ მოიწყინა, რუსო!.. — ვარჩევ გერმანულ სიტყვებს.

რაღაცამ უსიამოდ გამკრა გულში. ფეხის წვერებზე ავიწიე და ჩემი თანმხლები ჯარისკაცების თავებს ზემოდან დავაკვირდი ავტომობილის ძარას. არა, თვალი არ მატყუებდა — იქ საბჭოთა მეომრის ფორმაში ჩაცმული კაცი იწვა გაუნძრეველად.

— პეტროვ! პეტრუხა! — დავიღრიალე არაადამიანური ხმით, წამით შემკრთალ ჯარისკაცთა წრე გავარღვიე და ავტომობილზე ავიჭერი.

... ეტყობა, იმდენად შეშლილი სახე ქონდა, თვით ფაშისტმა ჯარისკაცებმაც ვერ გაბედეს ხმის ამოღება და ახლოს მოსვლა. პირველი მეევე გამოვერკვიე, თვალებდათხრილსა და ცხვირმოჭრილ პეტროვის სახეს თვალი ძალისაგან მოვწყვიტე, ირგვლივ უაზროდ მიმოვიხედე და ვინც პირველად დავინახე, იმ ჯარისკაცისაკენ გავიქანე ღრიალით. რამდენიმე კონდახისა და ჩექმის დარტყმა ვიგრძენი, მაგრამ ყურადღება არ მომიქცევია. შემდეგ დარტყმები გახშირდა, გამძლავრდა. ბოლოს ყოველივე გაქრა, გაუჩინარდა. ცნობა დავკარგე.

თავდაპირველად სიცივე შევიგრძენი. ყველაფერი სველი მქონდა — ტანსაცმელი, საცვლები, სახე, ხელები, სხეული. ვიღაც თავთ დამდგომოდა. მთელი ძალით მანჯღრევდა და წყალს მასხამდა. არა, არავინაც არ მანჯღრევდა — საბარგო მანქანა მიჰქროდა თავგამეტებით. წყლის დამსხვლელიც არავინ იყო — ეს კოკისპირული წვიმა მეღვრებოდა თავზე. ირგვლივ უკუნეთი ჩამოწოლილიყო, არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. მანქანა მონოტონურად გუგუნებდა და მასთან შეწყობილად ისმოდა წვიმის ტლაშუნი.

უცებ ყოველივე გამახსენდა: საწვავის საწყობი, თვითმფრინავის ჩამოგდება, პარაშუტი, გერმანელი ჯარისკაცები და ნაგაზები, აჩრნჩხილი ფრაუ, კონდახები და... და მწარედ ამოვიგმინე — თვალწინ დამიდგა მანქანაზე უმწეოდ გაშოტილი პეტროვის ცხედარი, მისი დასახჩრებული სახე...

ეტყობა კარგა ხანს გაუვლია; კონდახები რომ დამიშინეს და ცნობა დავკარგე, მზე დასავლზე იყო, ახლა კი უკუნი ღამეა. რომელი საათი იქნება? საღა ვარ, საით მიმაქროლებს ეს მანქანა?

დიდი წვალებითა და ვაივაგლახით თავი წამოვწიე, წინ გავიხედე. მანქანის ნათურებს შორის გატყორცნილ შუქზე გავარჩევ მოასფალტებული გზა, რომელზეც ხშირი წვიმის წვეთები ეცემოდნენ და ხტოდნენ. გზას ორსავე მხარეს დაბურული ტყე მოსდევდა. შოფრის კაბინის უკანა სარკმელში გავარჩევ გერმანელი ოფიცრის სილუეტი. ნუთუ იმის ანაბარა გამომიშვეს და ამ ძარაში მარტოდმარტო დამაგდეს?

მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. იჩქითად შემოვბრუნდი. გრძელ სკამზე ვიღაც მოსასხამში გახვეული კაცი იჯდა, მხარზე ავტომატი უნდა ჰქონოდა გადაკიდებული. აი, ვინ ყოფილა ჩემი მცველი.

— რუს, როგორ არი რუს? კაპუტ? — მკითხა და უსიამოდ ჩაიქირქილა.

— საით მივდივართ? — შევუბრუნე კითხვა, რაკი რუსულის მცოდნე გამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ მალე გაიგებს რუს... ხი-ხი-ი...

ამ ხანმოკლე დიალოგმა საბოლოოდ გონს მომიყვანა. მაგრამ ვაი ამ გონს მოსვლას. მთელი სიცხადით დამიდგა თვალწინ მოსალოდნელი საშინელება. მაშ ასე ბედუკუღმართად უნდა დასრულდეს ჩემი სიცოცხლე? მერე რა დროს — ჩვენი ჯარები ბერლინში იბრძვიან, ომის დამთავრებას დღეები და საათები აკლია. ვაკლან, ოთარ, რა დღეში ჩავარდი!..

ძარის ფსკერზე ჯდომა აუტანელი იყო: ერთი რომ საშინლად ვინჯღრეოდი, მეორეცაა და სისველე და სიცივე მაწუხებდა. გაჭირვებით წამოვწიე დაბეჟილ-დათეთქვილი სხეული. ჯერ მუხლებზე დავდექი, შემდეგ მთელი ტანით ავიმართე. ეერმანელი დაფეთებული წამოვარდა და ავტომატი მომაღირა:

— ფრთხილად, რუს! მე ტყვია არ მენანება!..

ხელი მოწკუვეტეთ ჩავიქნიე, ვანიშნე — ნუ შიშობ, გაქცევა არც მიფიქრია, ან სად უნდა გავიქცე-მეთქი. ჯარისკაცი მალე დამშვიდდა: მართლაც რისა უნდა შეშინებოდა, წამებით დაუძლურებული და უიარაღო კაცი ამ ავტომატიან საფრთხობელასთან რას გავაწყობდი?

იგი ისევ დაჯდა, მოსასხამი უფრო მჭიდროდ შემოიტმასნა სხეულზე, რაც შეიძლებოდა მოხერხებულად მოეწყო. მე ერთი-ორჯერ ხელი გავიქნიე — იქნებ ცოტათი გავხურდე-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ სახსრებმა და კუნთებმა სულ ლაწა-ლუწი ასტეხეს და უმეტოდოდ ხელჩაქნეულმა ისევ ჩამოჯდომა ვარჩიე.

კარგა დიდხანს მიექროდი ასე. ორგვლივ არაფერი იცვლებოდა — მანქანის მონოტონური გუგუნი, ასფალტიანი, წვიმის წვეთებით აფორაჯებული გზა, ალეთ-იქით ტყე და უკან მიმქროლავი დიდრონი მუხები...

ჩემს გვერდით მჯდარ ჯარისკაცს ჩასთვლემა. შურით შევყურებდი — დაძინება მეც სულს მერჩივნა, მაგრამ თავით-ფეხამდე გალუმპულსა და შემცივნულს, შავბალი ფიქრებით მოცულს რა დამაძინებდა!

ეერმანელმა თავის კანტურს მოუხშირა, ერთი-ორჯერ ხვრინვაც შემოესმა. გულმოსულმა მუჯლუგუნი ვკარი:

— ეი, შენ, გამოთაყვანებულო, ნუ იძინებ, თორემ გაგექცევი და დამრჩები ბახამშრალი.

— ჰა, რა მოხდა? — იკითხა შეშინებულმა.

— რა იყო და ნუ იძინებ, თორემ გაგექცევი-მეთქი.

ეხლა კი მიხვდა, რას შეეხებოდა ჩემი სიტყვები. ჯერ გაიცინა, ქირქილით, უსიამოდ, რაღაცნაირი ხრიწწიანი ხმით, შემდეგ მოკლედ მომიჭრა — სისულელეს როშავ, ვერსადაც ვერ წახვალო, და ცოტა ხანში ისევ თავის კანტურს მოჰყვა...

... ერთ წუთში მოხდა ყოველივე: მე თვითონაც კარგად არ მესმოდა, რას ჩავდიოდი, ისე ვწვდი ყელში ორივე ხელით. მას მცირე ხრიალი აღმოხდა, მაგრამ მანქანის გუგუნში შორს არ გახმიანებულა. მე კი ვუჭერდი და ვუჭერდი ხელებს. მახსოვს, მიკვირდა — ნაცემსა და ნაწვალებს ამდენი ძალა საიდან შემომრჩა-მეთქი და სულ იმის მეშინოდა მკლავებს არ ემტყუნებინათ. მაგრამ არა — მკლავებში ფოლადი ჩაღერილიყო...

როცა დავრწმუნდი, რომ იგი ნამდვილად გაგუდული იყო, უხმაუროდ ჩამოვიღე სკამიდან, იატაკზე მივაწვინე, ავტომატი სწრაფად ავაცალე, მანქანის ქიმს გადავეკიდე და დაუფიქრებლად გადავხტი. ინერციამ რამდენიმე ნაბიჯი კისრისტეხით გამარბენინა, მერე დავეცი და ნიკაპით გაკვლისე სველი ასფალტი. სატკივარი სხვაც ბევრი მქონდა, ამაზე ფიქრისთვის ვის ეცალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამსვე წამოვხტი, დაბურული ტყის წყვდიადს შევერიე და ლაწა-ლაწა ვიქეცი.

ნამდვილად სულის ამოხდომამდე მივრბოდი. სახეში ტოტები მხვდებოდა, ბუჩქნარები ტანსაცმელს მაგლეჯდნენ, მაგრამ ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია. ეს კი იყო — ორივე ხელი წინ მქონდა გაშვერილი — შუბლით ხეს არ შევასკდე-მეთქი, ვშიშობდი. ასე ხელებგაშვერილი ვეცემოდი ხოლმე, ოღაც რამეს ფეხს წამოვკრავდი, მაგრამ მაშინვე ხელახლა წამოვხტებოდი და გავრბოდი, გავრბოდი უგზო-უკვლოდ.

ერთი-ორი მცირე ღელე შემომხვდა და იმ ადგილებში წყალ-წყალ დავყევი — ასე უკეთ ავურევ კვალს მდევარს, თუკი ჩემი გაქცევა უკვე შეიტყეს და მდევრები გამომაყოლეს-მეთქი.

ბოლოს სავსებით არაქათგამოლეული, დაკაწრულ-დასისხლიანებული ერთ ღოდს გადავაწყდი და იმაზე ჩამოვჯექი სულის მოსაბრუნებლად. მთელი სხეული მტკიოდა, თავი მიბრუოდა, სველი ტანისამოსი მეკვროდა, სახეშიაც წვიმა მირტყამდა. მაგრამ ვიჯექი და ბედნიერი სიცილით ვიცინოდი — მე ხომ თავისუფალი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც.

დიდხანს არ მინებივრია იმ ღოდზე — ყოველ წამს შეეძლო თან ხიფათი მოეტანა. ძალისძალად წამოვდექი და გავსწიე, კვლავ უდაბურ ტყეში, კვლავ უგზოდ და უკვლოდ. სიარულში სიცივე ასერიგად აღარ მაწუხებდა, წვიმას და ღრუბლიან ამინდს ახლა უფრო იმტომ ვწყევლიდი, რომ ვარსკვლავებს ვერ ვხედავდი, ვეზი ვერსაით ამეღო, აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი საით იყო — ვერ გამერკვია...

ახლა უკვე აღარ მივრბოდი, ჩქარი ნაბიჯითაც ვეღარ მივდიოდი; ისე მივლასლასებდი — ნახეკრად უგრძნობლად და უფიქრელად. რამდენიმე საათმა გაიარა. წვიმამ ჯერ იკლო, შემდეგ სავსებით გადაიღო, მაგრამ ცას პირი არ გაუხსნია, წყვდიადი არ გაუნათებია ვარსკვლავთა მოციმციმე შუქს.

უეცრად აქვე, სულ ახლოს იფეთქა და თვალი მომჭრა ელექტრონის შუქმა. ინსტინქტურად წავწექი და ავტომატი მოვიმარჯვე. ნუთუ ხიფანგში გავები? გალურსულმა მივაყურადე. ჩემს ყურამდე აღწევდა რაღაც ჩხაკუნი და ადამიანის ხმა, ბურტყუნის მაგვარი რაღაც ბგერები. ჩემს დასაჭერად კი არავინ გამოქცეულა, არავის უსვრია ჩემთვის. გათამამებულმა თავი აეწია და გაოცებისაგან კინაღამ შეეყვირე: აი სეირი თუ გინდა! ამდენი ხეტიალის შემდეგ ისევ დიდ გზაზე გავსულვარ. იმ გზაზე ორთვლიანი მოტოციკლი დგას, ელექტრონის შუქი იქიდან მოდის. მოტოციკლთან წამოსასხამში გახვეული გერმანელი ოფიცერი ჩალიჩობს, დაქოქვა უნდა და ვერ დაუქოქია, ეტყობა ამის გამო იწყევლება და იგინება.

რაიმე გარკვეული მიზანი თითქმის არც დამისახავს — ფეხებმა თავისთავად წამიღეს იმ ოფიცრისა და მისი მანქანისაკენ. შემდეგ ამჯერადაც თვალის დახამხამებაზე მოხდა ყოველივე: უსუმრად მიპარულმა მოტოციკლისტს გამეტებით ჩავცხე თავში ნაალაფარი ავტომატის კონდახი. იგი მაშინვე უგრძნობლად დაეცა. ელვის უსწრაფესად ავართვი მოსასხამი, ქუდი, პისტოლეტი, პლანშეტი, თვითონ ტყეში შევათრიე, დაბურენებულმა ფანრის სინათლეზე რუკა გავშალე, კომპასი მოვიმარჯვე, ჩემი ადგილსაყოფელი ვარაუდით დავადგინე, მოტოციკლი შევაბრუნე, ავამუშავე და საშინელი სისწრაფით გავაქროლე.

დიდი გზა არ მქონდა გავლილი, რომ საგუშაგოს წავაწყდი. პირველ საგუშაგოს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. მოტოციკლის გუგუნზე ნამძინარეები ჯარისკაცები გზაზე გამორბოდნენ. მაგრამ მე მოსასხამი მჭიღროდ მქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემობურული, ქუდი — ჩამოფხატული, ხოლო გუშაგების დანახვაზე ხელს იმგვარად ვიშვერდი წინ, როგორც აჩონჩხილმა ფრაუმ გააკეთა, როდესაც შეესახა „ჰაილ ჰიტლერ!“

არ ვიცი, ეს ახირებული ჟესტი აღძრავდა პატივისცემას, თუ ოფიცრის ქუდი. ჯარისკაცები ადგილზეევ გაიჯიმებოდნენ და მე დაუბრკოლებლივ მივაქანებდი ჩემს მოტოციკლს.

ამასობაში ირიყრაკა კიდეც. გზის პირას ტყე გათავდა, გაშლილ ჭალაში გავედი. ირგვლივ სოფლები ჩანდა. თეშშარაზეც მოხშირდა მიმოსვლა. აღმოსავლეთიდან, ჩემს საპირისპიროდ, მოდიოდნენ ჯარისკაცები, ავტომანქანები, ქვემეხები, ჯავშნოსნები და ტანკები. გზად შემოყრილნი გაოცებულნი აყოლებდნენ თვალს ქუდჩამოფხატულსა და მოსასხამში გახვეულ მოტოციკლისტ ოფიცერს, რომელიც გამეტებით მიჰქროდა აღმოსავლეთისაკენ, სწორედ იქითკენ, საიდანაც მოდიოდა და თანდათანობით ძლიერდებოდა ყრუ გუგუნი. ავრე ნაცნობი და მშობლიური ყველა ფრონტელისათვის.

აშკარა იყო — ფრონტთან სულ ახლოს ვიყავი. მაგრამ ისიც უეჭველი იყო, რომ ასე საშკაროზე ქროლვა უფროდაუფრო სარისკო და საშიში ხდებოდა. ბოლო ხანს შემოხვედრილნი უკვე ეჭვის თვალით მიყურებდნენ და რაღაცას მომძახოდნენ კიდეც.

უკვე გათენებული იყო, როცა ერთ საგუშაგოსთან ჯარისკაცი ზედ შუა გზაზე გადამიდგა. ეტყობა, მეტად საეჭვოდ მოეჩვენა ჩემი ქროლვა, ან, შესაძლოა, გაფრთხილებაც სურდა, ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი. სიჩქარე არ შემინელებია, ისე მივუშვი მოტოციკლი პირდაპირ მისკენ. ჯარისკაცი ჯერ გაუნძრევლად იდგა, მაგრამ სულ ახლოს რომ მივიჯერი, შეშინებული გაბზე გახტა. გუგუნით, უკანმოუხედავად ჩავუქროლე. გუშაგი ერთობ გვიან გამოერკვა, როცა უკვე მოსახვევს გავცილდი, ასე რომ მისმა ტყვიებმა თავზე გადამიშხუილეს და ვერაფერი დამაკლეს.

მცირე დაღმართი ჩავთავე. მოტოციკლიდან ჩამოვხტი, მდინარეზე გადებული საცალფეხო ხიდი გადავირბინე და ტყიან ფერდობს შევუყევი. ტყე თანდათან გახშირდა, დაიბურა. მივფრინავდი, კი არ მივრბოდი. ვგრძნობდი — სულ ახლოს იყო ხსნა, ყოველ ნაბიჯზე მემატებოდა გადარჩენის იმედი.

— ხელები მაღლა! — ჩემს წინ ბუჩქი შეირხა და ავტომატის ლულა გამოჩნდა.

განწირული ხმით შევყვირე, ფიცხლად შევტრიალდი და... უმალ გულზე მეორე ავტომატი მომაბჯინეს.

მაგრამ, ჰოი საკვირველებავ!.. იმ მეავტომატეს საბჭოთა მებრძოლის ფორმა ეცვა, შუბლზეც ვარსკვლავი უბრწყინავდა.

არა, თვალს არ მოუტყუებიავ — ირგვლივ ბუჩქები ხელახლა შეინძრა და ხელებაწეულ ჩვენი მებრძოლები შემომერტყეს.

— ძმებო-ო!.. ბიჭებო-ო!.. თქვენ გენაცვალეთ!.. — შევღრიალე გონდაკარგულმა და ხელებგაშლილი ერთ მაოგანს საკოცნელად მივეტანე.

— იქით, შე წყეულო! — ავტომატი მომაღირა კოპებშეკრულმა ჯარისკაცმა. — ხელები მაღლა-მეთქი, თორემ გაგათავე და ეს არის!

— ძმებო, გაგიჟდით? რას სჩადიხართ? მე ხომ საბჭოთა მფრინავი ვარ! თქვენიანი... მოიერიშე!.. — ვყვიროდი გამწარებული და ის ვეღარ მომესაზრებინა, რომ ფაშისტი ოფიცრის ქუდსა და მოსასხამში გამოწყობილ კაცს საბჭოთა მებრძოლად არავინ მიიჩნევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ესეც მოვისაზრე, მოსასხამი იქით მოვისროლე, ქუდი მეწაფეზე ვანარცხე და შევდაღადე:

— არც ეხლა დამიჯერებთ? ეხლაც არ მენდობით?! ვერა ხედავთ ვინცა ვარ!?

— კმარა, კმარა, ბევრს ნუ ლაპარაკობ! ვინც ბრძანდები, ამას შტაბში გაარკვევენ... აბა, ნაბიჯით იარ! — შემომიტია უწყვერულმა ლეიტენანტმა, რომელიც, ეტყობა, ამ მზვერავთა მეთაური უნდა ყოფილიყო.

რაღას ვიზამდი! ხელებაწეული გავყევი ამ ყოჩაღ ბიჭებს. მათმა უნდობლობამ გუნება ვერ გამიფუჭა, პირიქით, ძალზე გამახალისა. მთელი გზა ვეხუმრებოდი, ველაზღანდარებოდი წარბშეკრულ, ზედმეტად სერიოზულ ლეიტენანტს და, ცოდვა გატეხილი სჯობია, ერთგვარად კიდეც მსიამოვნებდა, რომ ის ასერიგად ცოფდებოდა ჩემს სახუმარო სიტყვებზე...

იმავე საღამოს სპეციალური თვითმფრინავით ჩემს პოლკში დავბრუნდი. მეორე დღეს კი უკვე ბერლინის თავზე დავაჭროლებდი მოიერიშეს.

*

* *

ჩემი სახლის სარკმელიდან მოჩანს თბილისის ერთი ახალი უბანთაგანი. ირგვლივ ხარაჩოებში ჩამჯდარი შენობები, ექსკავატორები, ბულდოზერები, ამწეები და მანქანებია.

შეჩვეული ვარ, ყოველ საღამოს ვუთვალთვალებ — რამდენით მოიმატა მოპირდაპირე კედელმა? გადახურეს თუ არა მეზობელი სახლი? ქუჩაზე ასფალტი თუ დაადგეს?

მაგრამ სარკმლიდან ჭვრეტაზე მეტად ჩვენს ქუჩაში გასეირნება მიყვარს. მაინც რა ხალისიანი ხალხი ცხოვრობს ამ ქუჩაზე! განსაკუთრებით ბავშვები მახარებენ. ისინი ჩანთების ქნევით მოეშურებიან თავიანთი სკოლიდან, რომელიც, აგერ, იმ დიდსა და ლამაზ შენობაშია მოთავსებული. ჩემი დალიც იქ სწავლობს. ხშირად მივაკითხავ ხოლმე, მორიდებით შევჩერდები მისი საკლასო ოთახის წინ და დაჟინებით ვუმზერ წარწერას: „V° კლასი“. ვუმზერ და მგონია — საცაა ამ ოთახიდან ფორტეპიანოს ხმა გამოიჭრება. ეს გრიშა კოჩერგინი უკრავს ფაშისტების მიერ დანგრეული სკოლის V° კლასში შემთხვევით ნაპოვნ, მტვრით დაფარულ და ფრინველთა სკორეთი შებილწულ ინსტრუმენტზე...

მაშინ ერთ მოგონებას მეორე, მეათე, მეასე და მეათასე მოაყვება და ამ პურანიდან ისევ ბავშვთა ჟრიამული თუ გამომიყვანს ხოლმე.

საერთოდ, ვერ ვიტყვი ომისდროინდელი სურათები ხშირად არ წარმომესახება-მეთქი. ამ სურათებმაც რა ჭქნან, სად წავიდნენ, თუ ისევ ჩემს ხსოვნაში, ზოლოტუხინის ხსოვნაში, მერკვილაძისა და ცირეკიძის, კირსანოვისა და მიხოლიჩენკოს, რიმშინისა და მკრტიჩიანის, გიორგაძისა და შელიას ხსოვნაში არ წამოტივტივდნენ?...

ჰო შელიას ხსენებაზე. ამას წინათ შალვა მეწვია ბათუმიდან. ორ დღეს იყო ჩემთან სტუმრად. ვიჯერეთ ბული წარსულის მოგონებთან. ჩვენი გამარჯვება ვადღეგრძელეთ, ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ომის კვალი კარგა ხანია აღარც ემჩნევა. აი მაშინ წამიკითხა შალვამ ზეპირად ერთი ლექსი, რომელიც ჩვენს დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს დაუწერია:

იმ გაზაფხულის სავსე ფიალა
გადმოიტოპა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ნიაღვარის იყო გრიალი,
რა წყალდიდობა!

მაგრამ დარჩა იმ გარემოიდან
რამე ნიშანი?
წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ —
დარჩენ ქვიშანი.

ასწი ფიალა, სავსე ფიალა,
აქა მშვიდობა!
რა ნიაღვრებმა გადიგრიალა,
რა წყალდიდობამ!

რამე თვითეულს გარემოიდან
შეგვრჩა ნიშანი?
წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ —
დარჩენ ქვიშანი.

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიელი პოეტები

ეუჯენიო მონტალე

მოპოვებული გედნიერება

მოპოვებულო ბედნიერებავ!
ო, რა ხშირად შენი გულისათვის
დავდივართ ჩვენ
ალესილი დანის პირზე.
ჩვენი თვლებისათვის —
შენ შუქურა ხარ ღამეში მოციმციმე,
ფეხებისათვის —
ყინული ხარ,
რომელიც ყოველ წამს მზადაა ჩატყდეს და ჩაგიტანოს.
შენ ვერასოდეს ვერ შეგწვდება ის,
კი̇ თვისაც ყველაზე ძვირფასი ხარ
და სანატრელი.
და როდესაც შენ
ჩვენი სულების შეღამებაში
იძირები, ვითარცა მზე —
წენ აცისკროვნებ მათ,
როგორც განთიადის სხივი
ფრინველთა ბუდეებს...
მაგრამ ყოველივე ეს
არარაობაა
იმ ბავშვის ცრემლებთან შედარებით,
ვისი ბურთიც
მდინარემ გაიტაცა.

სალვატორე ქვაზიმოდო

შემოდგომა

კდემამოსილო შემოდგომავ, შენ დამაბრუნე
საკუთარ თავთან... დამხობილი მდინარის პირას
მე ვსვამ ამ ზეცას ფირუზისფერ ტალღებში მცურავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთა და ხევთა და ღრუბელთა ლანდებთან ერთად.
ქვეყნად გაჩენის განაჩენი მაერთებს შენთან
საბრალო საგანს ძირს ჩამოვარდნილს,
რომელიც მიწამ იპოვნა და დაისაკუთრა..

მილანი. აგვისტო. 1943 წელი.

ხელის ფათურით ამაოდ ეძებ
მტვერში რაღაცას. ქალაქი მოკვდა.
მოკვდა. მის თავზე უკანასკნელად
ცამ დაიგრგვინა...
ტაძრის გუმბათზე დადგმულ ანტენას
მოსწყდა, ვით ცრემლი, ნაზი ბულბული.
კმარა! ნუღარ თხრით ჭებს ეზოებში, —
ცოცხლებს წყურვილი აღარ აწუხებთ.
ნუ შეეხებით ნახევრადმიხრწნილთ
გაბერილ გვამთა წითელ სხეულებს.
დაე, ეყარნონ მტვრიან მიწაზე
იქ, სადაც მათი სახლები დგანან.
ქალაქი მოკვდა. გარდაიცვალა.

Anno Domini. 1985.

დაე, დადუმდნენ დაფდაფები, რომ ცახცახებენ
სასიკვდილოდ დაჭრილებივით,
დედამიწაზე ყველა კუბოსთან დროშებმა დახარონ თავი,
სიყვარულმა მოსწმინდოს თვალზე ცრემლი დანგრეულ
ქალაქებს
და თავის ცრემლით მოჰბანოს შენობებს გამიზეზებული
წყლული.
ნურავინ ნუ იღაღადებს: „ღმერთო, რად მიმატოვე!“
ნუღარ გადმოსდინდება რძე ხიშტზე აგებულ ძუძუს
და ჭრილობიდან სისხლი ნუღარ წამოვა თქრიალით!
ახლა, როცა თქვენ დამალეთ ქვემეხები
აყვავებულ მაგნოლიათა შორის, —
მოგვეციოთ ერთი დღე,
ჩვენ გვინდა ქალაქგარეთ გავიდეთ,
ბალახზე წამოვწვეთ, უიარაღოდ, უდაფდაფოდ,
და ვუსმინოთ, როგორ სცვივათ მწვანე ფოთლებს
წვიმის წვეთები,
როგორ ეცემიან ეს წვეთები ჩვენს თმებს
და თმებს იმ ქალისას,
რომელიც ჩვენ გვიყვარს.
ნუ შეგვაძრწუნებს შუაღამით
საჰაერო განგაშის ღმუილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ჩაქრება ღამღამობით ქალაქში შუქი.
ერთი დღე,
მხოლოდ ერთი დღე,
მოგვეცით ერთი დღე, ქვეყნის ხელისუფალნო,
მანამდე,
ვიდრე ისევ ჩამოგვექცევა თავზე ჰაერი
და რკინის ნატეხი საზარელი წვიმით
გაგვიხვრეტს თავის ქალას...

ფრანჩესკო მასაღე

აფრიკის მკვიდრთა გოდება

მოვიდნენ თეთრკანიანები,
თან მოიტანეს თავიანთი ღმერთი
და გვითხრეს: „ცას უნდა მიაპყრათ მზერა
და ისე ილოცოთ ეს ღმერთიო“.
მაგრამ, სანამ ჩვენ ცას შევცქეროდით,
მიწა მოგვპარეს თეთრკანიანებმა...

ანჯელო მარია რიპელინო

*
* *

ცხოვრობდე მუდამ თვალგახელილი
და მოხიბლული სამყაროს ეშხით,
და სხვას აძლევდე დაუნანებლად
ყველაფერს, რაც კი კარგია შენში,
გიყვარდეს მარად ეს მიწიერი
ცხოვრება თავის ჭირით და ლხინით,
პანაშვიდებით და მეჯლისებით..
და გულთმისნობა გქონდეს ისეთი,
რომ უღიმღამო დღეთა გადაღმა
შესძლო საცარ მითის დანახვა.
ცხოვრობდე მუდამ მზის მოლოდინში,
არ გაშინებდეს ჯანღი და სეტყვა,
გქუდდეს ჭირივით ძვირფას კაბაში
გამოწყობილი ყოველი სიტყვა.
მეგობრად გყავდეს სიმღერა მშვიდი
და ბედნიერი იყავი ამით
და სიყვარულით არ იგრძნო დაღლა
არსად,
არასდროს,
არც ერთი წამით!

თარგმნა **მიხეილ ქვლივიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ერთი ბარათი

ზესტაფონი,
ფეროშენადნობთა ქარხნის კლუბი.
კინომექანიკოსს...

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენი სახელი და გვარი აღარ მახსოვს. ჩვენი შეხვედრის შემდეგ ცხრა წელი გავიდა და არ არის საკვირველი, რომ დამვიწყნოდა, მით უმეტეს, არსად ჩამინიშნავს. არც თქვენ გემახსოვრებით, მაგრამ ვიმედოვნებ ის კამათი მაინც მოგაგონოთ, რომელიც უნებურად წამოვიწყეთ კლუბის ეზოში და, რომლის არც დამახსოვრებას ვცდილობდი და არც დავიწყებას, ყველაფერი თავისთავად მოხდა.

ამ ბარათის გამოგზავნას ჯერ ჩვეულებრივი ფოსტით ვაპირებდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო და ვაი თუ იქ აღარ მსახურობს კინომექანიკოსად-მეთქი. შეიძლება მართლაც ასე იყოს. იქნებ თქვენ სულ სხვა საქმეს მოჰკიდეთ ხელი, იქნებ ახლა ცნობილი მუსიკოსი ხართ, რადგან მაშინ მუსიკის დიდ სიყვარულს ამჟღავნებდით (რა სასაცილოა, თუ ვიცი კიდევაც თქვენი გვარი და ყოველდღე ვიმეორებ, მაშინ ჩემს ბოდიშს უკან წავიღებდი), შესაძლებელია საინტერესო საქმეს მოჰკიდეთ ხელი და სადმე დიდ მშენებლობაზე მუშაობთ, ანდა, ვინ იცის, მეზღვაური გახდით და შორეულ მოგზაურობაში იმყოფებით. ყველაფერი მოსალოდნელია, თქვენ მაშინ სულ ახალგაზრდა იყავით და მთელი მომავალი წინ გქონდათ.

სწორედ ამიტომ გწერთ ღია ბარათს, სადაც უნდა იყოთ, ვინც უნდა იყოთ, დღეს თუ ხვალ წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, გაიხსენებთ ჩვენს შეხვედრას და, იმედია, უპასუხოდ არ დასტოვებთ ჩემს თხოვნას, რომელიც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამისრულოთ და რომლის გამოც გიგზავნით ამ წერილს.

მაგრამ ჯერ გავიხსენოთ ჩვენი შეხვედრა.

ეს იყო 1950 წლის ზაფხულში. მე ახალგამომცხვარი ინჟინერი ვიყავი და თბილისის შრომის დაცვის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში ვმსახურობდი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაკვეთით ჩვენმა დაწესებულებამ განიზრახა სადნობი საამქროს საკვამურებზე კვამლსაწმენდი დანადგარების დამონტაჟება. პროექტი უკვე ხორციელდებოდა და თვალყურის სადევნებლად ინსტიტუტმა მე მიმავლინა.

ზესტაფონში მზიანი დილა დამხვდა. სადგურიდან ფეხით გავსწიე ქარხნისკენ, რომლის ახანძრეზული ღუმელები მანამდე მხოლოდ ღამით მენახა, ისიც

მატარებლის სარკმლიდან. ბავშვობაში ჩემს ყურადღებას იქცევდა ვიღაცანაირ-ვით აბოლებული საკვამლე მილები, რადგან უფროსებისგან გაგონილი მქონდა, რა მავნებელიც იყო ეს სქელი, მოწითალო კვამლის ზოლები, რომლებიც ჯერ ცალცალკე მიიზლაზნებოდნენ ცაზე და ჰორიზონტთან ერთ დიდ შავ ღრუბლად ერთდებოდნენ და ხუთავდნენ სოფლებს.

ახლა სწორედ ამ ღრუბელთან საბრძოლველად მივდიოდი.

საშვებთა ბიუროში მითხრეს, რომ ერთი საათის შემდეგ შემოვლო ქარხანაში შესასვლელი მოწმობის მისაღებად. დრო მქონდა და გადავწყვიტე შევსულიყავი პარკში, რომელიც მაღლობზეა გაშენებული და შორიდანვე გპირდება სუფთა ჰაერსა და სიგრილეს. პარკის შესასვლელშივე მაღალი, თეთრმოყვითალო შენობაა წამომართული. შეეედი ბაღში. ახლა გამახსენდა, ზაფხული კი არა, შემოდგომა იდგა, მთელი პარკი ფართე, მოწითალო ფოთლებით იყო მოფარული, ალბათ დილის ცვარით დანამულიყო და დამბალიყო ფოთლები, რადგან მაშინვე გაქრა ჩემი ნაბიჯების ხმა.

შენობის წინ საპატიო დაფა იდგა. სურათებს დავუწყე თვალიერება, იქნებ ვინმე ნაცნობი აღმოჩნდეს-მეთქი. მერე თვალი მოვკარი შენობის შესასვლელთან ჩაცუცქულ ბავშვებს, რაღაცას ეძებდნენ მიწაზე. საქმე არაფერი მქონდა და ახლა იქით გავსწევ, თავს დავადექი ბავშვებს. ვხედავ, ქათმებივით ქექავენ ნაგავს და მთელი ბავშვური გულმოდგინებით ეძებენ რაღაცას. დავინტერესდი, მეც დავიხარე და თვალების ცეცება დავიწყე. უეცრად პატარა გოგონამ მიწიდან კინოფირი აიღო, სინათლეზე გახედა, მერე მუჭაში ჩამალა და ისევ განაგრძო თავისი კვლევა-ძიება. იმ წამს მეც მოვკარი თვალი კინოფირს, მეც იმ გოგონასავით დავტაცე ხელი და გავხედე, ვიცანი კადრი „გიორგი საკაძეიდან“, ახლა მეორეც დავინახე, ავიღე, ეს რომეი იყო ჯულიეტას აივანთან. გოგონამ და მისმა კომპანიონმა ბიჭუნამ მტრულად ამომხედეს.

— რას ეძებთ? — ვკითხე მე, თუმცა უკვე ვიცოდი.

— კინოს ლენტებს. — მიპასუხა გოგონამ. ის უფრო თამამი ჩანდა.

— მერე აქ რა უნდა ლენტებს?

გოგონამ შენობის შესასვლელისკენ გაიქნია თავი.

— კატო ბიცოლამ გამოხვეტა ამ დილით.

— საიდან?

— საიდან და კლუბიდან, საიდან უნდა გამოეხვეტა, — ნიშნი მომიგო ბავშვმა.

ავიხედე და მხოლოდ ახლა შევამჩნიე წარწერა შესასვლელის თავზე: „ზესტაფონის ფერროშენადნობთა ქარხნის კლუბი“. კედელზე აფიშაც იყო გამოკრული: „დღეს კლუბში საზღვარგარეთული ფილმი „ჯამბაზები“. ეს იტალიური კინოოპერა მაშინ ახალი გამოსული იყო ეკრანებზე და მახსოვს, ისე მომწონდა, რომ ათჯერ მაინც ვნახე. მოხიბლული ვიყავი ტიტო გობის სიმღერითა და თამაშით. ეს ბრწყინვალე ბარიტონი ფილმში სამ როლს ასრულებდა: პროლოგს, ტონიოსა და სილვიოს. არანაკლებ მოჯადოებული ვიყავი მსახიობი ქალის ჯინა ლოლობრიჯიდას სილამაზით და იმ ათი სეანსიდან ხუთს მაინც მისი ხათრით დავესწარი...

ჩავიცუცქე და ბავშვებს ვთხოვე ეჩვენებინათ თავიანთი ნადავლი. დიდის ყოყმანით შემისრულეს თხოვნა, და როცა ფირებს ვსინჯავდი სინათლეზე, ხელებში მიყურებდნენ.

— ამ კინოდან არ გქონიათ! — გამომწვევად ვუთხარი ბავშვებს და აფიშაზე მივუთითე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგ კინოდან ხვალ დილით გვექნება. — ხმა ამოიღო ბიჭმა და მეორე ცელს ახალწამოსხდილი კბილი გამოაჩინა.

„რა თქმა უნდა, — გავიფიქრე მე, — „ჯამბაზები“ ამ საღამოს გადის პირველად, აქაურ კინომექანიკოსს, როგორც ყველა რაიონში, შუა სეანსისას რამდენჯერმე გაუწყდება ფირი. მოსჭრის და გადააკერებს, მოსჭრის და გადაყრის, ააყვირებს დარბაზს. დილით კი კატო ბიცოლა ნაგავთან ერთად გამოყრის გარეთ“.

— შინ ბევრი გაქვთ? — ვკითხე ბავშვებს.

— რა?

— ლენტები.

— ბევრი აი, იმას აქვს! — თქვა გოგონამ და ხელი გაიშვირა.

მივიხედე. მოშორებით, ბებერი მუხის ჩრდილში, მარტოდმარტო მერხზე იჯდა ახალგაზრდა, შავგვრემანი ყმაწვილი, ფეხი ფეხზე გადაედო და შორს, სივრცეში იყურებოდა.

— ვინ არის? — ვთქვი ჩურჩულით, თუმცა ის ყმაწვილი ვერც ხმამაღალ სიტყვას გაიგონებდა.

— ჩვენი კინოს მეხანიკია! — მიპასუხა ბიჭმა.

შემრცხვა, რადგან ის იყო გულში გავლანძღე მექანიკოსი, მეორე მხრივ გამეხარდა, რაღა ბავშვებს ვემასლაათო, მივალ და იმ ყმაწვილთან საუბარში მოვკლავ დროს-მეთქი.

(ი ამ უბრალო შემთხვევამ მომიყვანა თქვენთან. ხომ გახსოვთ, რომ მოგიახლოვდით და ყოველგვარი შესავალის გარეშე გკითხეთ, თქვენ ხართ-მეთქი კინომექანიკოსი?)

— დიახ, მე ვარ, — მიპასუხა მან და ფეხზე წამოდგა, ალბათ, ეგონა, რაიმე ოფიციალურ საქმეზე ვიყავი მისული.

როგორც კი ახლოს ვნახე, მომაგონდა, რომ ქარხნის შესასვლელთან მოვკარი თვალი, ვუთხარი კიდევაც ეს.

— ქარხანაშიც ვმსახურობ.

— მართლა? ესე იგი, ორი ხელობა გცოდნიათ.

— ხელობად არ ჩაითვლება, — მიპასუხა მან, — ქარხანაში სახანძრო დაცვას ვემსახურები.

— ყოველ შემთხვევაში, ორ საქმეს ასწრებთ.

მას ცნობისმოყვარეობა ემჩნეოდა, ალბათ უნდოდა გაეგო, ვინ ვიყავი და რა მინდოდა. ამ დროს კლუბის კარებიდან ახალგაზრდა ბიჭმა გამოიხედა, ხელი დაუქნია და დაუძახა:

— მოდი, ვიწყებთ! (გაგახსენდათ?)

ახლავეო, უპასუხა მან და ჩემსკენ შემობრუნდა, თითქოს მეკითხებოდა, თქვენ რაღაც საქმე გქონდათ, ალბათ, და ბარემ მითხარითო. მეც იძულებული შევიქენი მისი „ნდობა“ გამემართლებინა, და მხოლოდ ეს მოვიფიქრე:

— იცით რა... დღეს „ჯამბაზებია“ კლუბში და... იქნებ ერთი-ორი კადრი მიშოვნოთ, ძალიან დამავალეთ (ახლა ხომ ნამდვილად გაგახსენდათ?).

— რომელი კადრი გნებავთ?

— თქვენ უკვე ნახეთ ფილმი?

— არა, მაგრამ მითხარით და დავიმახსოვრებ.

— მსახიობი ქალია ერთი, მთავარ როლს ასრულებს, ის და, კიდევ მომღერალი, იმ ქალის საყვარლის როლს თამაშობს...

— სილვიოს მღერის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბიჯოს, სკოდნია“, — გავიფიქრე მე.

— ჰო — სილვიოს. და კიდევ ორ როლს ასრულებს.

— ალბათ, პროლოგს და ტონიოს, მაგ ოპერაში ბარიტონის სამი პარტიაა.

— დიახ... დიახ... — წამოვიძახე დაბნეულად და ოდნავ გავწითლდი.

— კარგი, თუ ფირი გამიწყდა, ამოვჭრი და ხვალ დილით მობრძანდით. ქარხანაში ვიქნები, ან ორკესტრის რეპეტიციაზე, — თქვა და კლუბისკენ გაემართა.

ოდნავ გაოცებული დავრჩი; არ ველოდი ასე ნაცნობი თუ იყო მისთვის იტალიური ოპერა, ვერც ის ამეხსნა, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი, ორკესტრის რეპეტიციაზე ვიქნებიო. ვიდექი სახტად დარჩენილი და ჩემს თავს ვტუქსავდი: ამხანაგო ქალქელო, რატომ გგონია, რომ აქ, რაიონში, არც მუსიკა ესმის ხალხს, არც კინო, და ამიტომ მიიჩნიე, რომ მხოლოდ მარტივი ახსნა-განმარტებით თუ მიახვედრებდი იმ ყმაწვილს შენს ახირებულ თხოვნას? ა, ქალაქელო, რატომ გგონია ასე? ხომ არ სჯობია, ეგ ქალაქური ქუდი არ მოიხადო ამ სოფელში და მაგრად გეხუროს?

ერთი სიტყვით, ყური ავუწიე საკუთარ თავს და ის იყო წასვლას ვაპირებდი, რომ კინომექანიკოსი კლუბიდან გამოვიდა და ჩემსკენ გამოემართა.

— ჯერ სასლეე ინსტრუმენტების რეპეტიცია ყოფილა, — თქვა მან ღა მერხზე ჩამოჯდა.

— თქვენ ორკესტრში ხომ არ უკრავთ? — ვკითხე, რაღგან უკვე ყველაფერს ველოდი მისგან.

— დიახ, — ჩვენი კლუბის სასლეე ორკესტრში.

— რომელ ინსტრუმენტზე?

— დოლზე!

— დოლზე? — უნებურად გამეღიმა და შევატყე, რომ ეწყინა ეს. ალბათ არ გამოეპარა, რომ ცოტა აგდებულად მოვიხსენიე მისი საკრავი. სწორედ ამას მოჰყვა კამათი.

— რატომ გეღიმებათ? — მკითხა მან და თვითონაც გაეღიმა, — ალბათ, დოლაკიდებული წარმომიდგინეთ.

— როგორ გეკადრებათ, მე გამაღიმა მოულოდნელობამ; რთულ ინსტრუმენტზე ვფიქრობდი და უეცრად დოლი რომ გავიგონე...

— ბევრს ეცინება დოლზე, მაგრამ სცდებიან.

— რა თქმა უნდა, ვინც არ იცის...

— თქვენც უკრავთ რაიმე ინსტრუმენტზე?

— არა, მე — არა, მაგრამ...

— მაგრამ მუსიკა კარგად გესმით, ალბათ.

— არც ისე.

— რასაკვირველია, — გააგრძელა მან, — დოლი ორკესტრში წამყვანი საკრავი არ არის, მაგრამ უმისოდაც წარმოუდგენელია ორკესტრი.

ამ სიტყვებზე კვლავ გამეღიმა.

— მაპატიეთ, მე თქვენი შეურაცხყოფა არ მინდა, — ვთქვი თავშეუკავებელი სიცილით, — დოლი მესამე-მეოთხე ხარისხოვანი საკრავია, უმისოდაც იმოქმედებს მაყურებელზე ყოველი მელოდია.

— მე გეთანხმებთან, როცა მუსიკალური ნაწარმოები სევდასა და მწუხარებას გამოხატავს, დოლის პარტია ნაკლებად შეაქვთ კომპოზიტორებს პარტიტურებში. მაგრამ განა დამისახელებთ რომელიმე გმირულ ნაწარმოებს, რომელშიც დოლი არ მონაწილეობდეს? გახსოვთ ჩაიკოვსკის „საზეიმო უვერტურა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეთჰოვენის სიმფონიები ან ვაგნერის ოპერები? დოლის გრგვინვის გარეშე ეს ქმნილებები ვერც წარმომდგენია. როცა მელოდია დაიძაბება, როცა აგიყოლიებს, აგიყვანს, სადღაც თვალუწვდენელ სიმაღლეზე შეგისვრის, როცა უფიდესი აღტაცებისა და სიამოვნებისაგან გინდა იყვირო, დაიქუხო, რომ ამით გამოხატო საკუთარი თავი, და ამ დროს დოლი შენს მაგვარად დაიქუხებს, დაგრგვინებს, და გგონია, რომ ეს თვითონა ხარ, ასეთი გოლიათური ხმის პატრონი. ო, თქვენ არ იცით, რა არის დოლი.

— ასეა თუ ისე, დოლი ერთხმიანი საკრავია, — ცივად მოვუჭერი მე,— მას არაფრის თქმა არ შეუძლია.

— ყოველ შემთხვევაში, მუნჯი არ არის!

— მუნჯი არ არის, იმდენს მაინც ლაპარაკობს, რამდენსაც ექო; სვედიან სიმღერას ჩასძახებს ორკესტრი, მწუხარედ აგუგუნდება, სამხიარულოს დაუკრავენ და დოლიც საზეიმო ხმას გამოსცემს, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ბგერა ისმის.

— თქვენის აზრით გამოდის, რომ დოლი, ასე ვთქვათ, სხვისი დუდუკის ხმაზე უკრავს?

— ასეა.

— სცდებით, — წამოიძახა უეცრად მან, — დოლი ფონია, აუცილებელი ფონი, ურომლისოდაც ლაზათი დაეკარგებოდა ყოველ რთულ ინსტრუმენტს. დოლი აკომპანემენტია სოლისტისათვის, რომ სრულყოფილად გამოჩნდეს მისი ღირსება, დოლი... დოლი ადამიანია, უბრალო ადამიანი!

იგი მოულოდნელად გაჩუმდა, ალბათ, თვითონვე გააოცა ამ შედარებამ.

აღარ მახსოვს, როგორ დავცილდით ერთმანეთს, მახსოვს მხოლოდ, რომ მერხზე მჯდარი დავტოვე. ფეხი ფეხზე გადაედო და შორს, სივრცეში იყურებოდა ეს მართლაც უბრალო და საინტერესო ადამიანი.

იმ დღესვე შევუდექი ჩემი მოვალეობის შესრულებას, დილიდან საღამომდე თვალყურს ვადევნებდი მუშებს, რომლებიც კვამლსაწმენდ დანადგარს ამონტაჟებდნენ სადნობი საამქროს საკვამურებზე. გადიოდა დღეები და უფრო და უფრო ვეფლობოდი ჩემს საქმიანობაში, ბოლოსდაბოლოს, გადამავიწყდა კიდევაც ის კინომექანიკოსი.

ერთ დღეს, საარმატურო საწყობის ეზოში რკინის უზარმაზარ ფურცელზე ცარცით ვხაზავდი შაბლონს, რომლის მიხედვით მუშებს დანადგარის დეტალი უნდა გამოეჭრათ. ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო. მივიხედე და ის ნაცნობი კინომექანიკოსი დავინახე. სალმის მიცემაც ვეღარ მოვასწარი, მაშინვე ამოიღო პიჯაკის პატარა გულისჯიბიდან კინოფირი და გამომიწოდა:

— აი, თქვენ რომ მთხოვეთ! — მითხრა და საწყობის ეზოდან გავიდა.

საჩვენებელსა და ცერა თითს შორის მოვიქციე ფირი და სინათლეზე გავხედე. კადრში ჩანდა „ჯამბაზების“ ერთ-ერთი მოქმედი პირი — ტონინო, იმ მომენტში, როდესაც მას დიდი დოლი აქვს აკიდებული, ზედ ჯოხს უბრახუნებს და მაყურებელს აფრთხილებს, რომ მალე დაიწყება წარმოდგენა.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. ხომ ყველაფერი გაგახსენდათ? მას შემდეგ ცხრა წელმა განვლო. მას შემდეგ ვინახავ იმ კინოკადრს და ხშირად ვუმბობ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს ამ ისტორიას. ყურადღებით მისმენენ ხოლმე, მაგრამ ბოლოს ყველა ერთიდაიგივე შეკითხვას მაძლევს:

— რატომ? რატომ ამოარჩია მაინცდამაინც ის კადრი „ჯამბაზებიდან“, სადაც დოლაკიდებული ტონიოა გამოსახული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მე ვერაფერს ვპასუხობ მათ, რადგან თვითონაც არ ვიცი, რატომ ... ქეცით თქვენ ასე.

აი, სწორედ ამას გთხოვთ, მიპასუხეთ რისი თქმა გსურდათ იმ კინოკადრით, იმ მცირე საჩუქრით, თუ კი, რა თქმა უნდა, ეს სრულიად შემთხვევითი ამბავი არ იყო. იქნებ ამით ჩვენს შეწყვეტილ კამათს აგრძელებდით? იქნებ ეს ერთგვარი ნიშნისმოგებაც იყო? მაპატიეთ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ: მე მაშინ ქარხნის მუშებმა მიამბეს თქვენი სიყვარულის ამბავი. ის გოგონა გარდაცვლილა. თქვენი კლუბის სასულე ორკესტრისთვის დაუვალებიათ მიცვალებულის პატივისცემა. თქვენც თურმე დოლაკდებული მისდევდით პროცესიას და ყველას შეუმჩნევია, როგორ ტიროდით. მაპატიეთ-მეთქი, მაგრამ ესეც მახსენდება, როცა ტონიოს ვუყურებ თქვენს ნაჩუქარ კინოკადრში. ძალიან შორეული ასოციაციაა ტონიოს უბედო სიყვარული, მაგრამ ხომ გეუბნებით, ყველაფერზე ვფიქრობდი, ოღონდ მეპოვნა თქვენი საქციელის მიზეზი. ვერ ვიპოვნე და ახლა თქვენ უნდა დამეხმაროთ. ამ ისტორიას, ალბათ, კიდევ ბევრჯერ ეუამბობ ჩემს ნაცნობებს, და არ მინდა, მათი უკანასკნელი შეკითხვა უპასუხოდ დარჩეს.

რაც უნდა უმნიშვნელოდ მოგეჩვენოთ ჩემი თხოვნა, მაინც შემისრულეთ.

თუ სადმე ახლოს ხართ, შემატყობინეთ, მე მინდა თქვენი ნახვა.

პატივისცემით

ედიშერ ყიფიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ხუხაშვილი

...ყური ფანჯრებში

ლირიკული პოემა

თავზე მთაწმინდის მთვარე დაგვნათის,
მღელვარე ქუჩებს დავემალებით.
ხიდის ყურე და ქუჩის სათი,
ადგილი ჩვენი პაემნების...
შენ გახსოვს: ორნი გავრბივართ ხიდზე,
და ქუჩას იკლებს ჩვენი სიცილი.
გამოვიგონებთ ხმაურის მიზეზს
და თოვლის ფიფქებს მხრებზე
ვიცილებთ...
გარბის კიბეზე, ფანჯრიდან ვხედავ:
თითებით ხვალის ადგილს მინიშნავს...
და სტადიონზე ტაშს ვუკრავთ ერთად
ვინმე მორბენალს მისულს ფინიშთან...
ჩვენ ხან ერთმანეთს ვეთაყვანებით,
ჩვენ ხან ერთმანეთს ვედიდგულებით.
თოვლისგან სველი ხელთათმანები...
სუნთქვით გამთბარი ხელისგულები...
მთაწმინდის პლატო... აპრილის მოლი...
იქვიც, ცრემლებიც, მხიარულებაც...
და საახალწლოდ მოსული თოვლი
და გაფრენილი თხილამურები...

ჩვენ გავყოლივართ მთაწმინდის
ბილიკს
და ბოტანიკურ ბაღის ხეივანს...
გგვითელია ბალახი რბილი,
სიმღერა-სიმღერით და არხეინად.
შუალამემდე ვვიღია მტკვართან,
და ჩვენს ნაბიჯებს ღამე ითვლიდა.
გვფარავდა მწვანე ხეების კალთა
და მოვცურავდით შენი ნისლიდან.

ამბობდა იგი: გამკიცხავს დედა,
დამაგვიანდა, კმარა, გამიშვი!
და მაინც დიდხანს ვიდექით ერთად
შენს სულსხვანაირ შუალამეში.
ჩქარობდა იგი: რას იტყვის დედა,
ვესმის, თორმეტჯერ საათმა დაჰკრა.
მაინც კარებთან ვიდექით ერთად,
ხელებს ერთმანეთს ვუჭერდით მაგრად.
შფოთავდა იგი: არ ძალმიძს მოცდა,
საცაა კიდეც გატყდება ღამე.
და იპარავდა მხურვალე კოცნა
სადღაც საათზე ჩამოთვლილ წამებს...

და შენი ღამის იდუმალ ალერსს
მე ვგრძნობდი მისი თეთრი ხელივით.
და ძალი აღარ უნდოდა თვალებს
და ჭერს ვუმზერდი თვალგახელილი.
თითქოს ვხედავდი გულით, გუმანით:
ისიც ჩემსავით იფხიზლებს ახლა.
ჩაფიქრებულნი და იდუმალნი
ჩვენ ერთმანეთის თვალებში
ვსახლობთ...

იყო თამამი, ლაღი, ცქრიალა
და სხვა ცხოვრება როდის დაიწყო?
ის გახდა თურმე ხელმარცხიანი
თან დაბნეული და ვულმავიწყი.
განა გვინდოდა თავის მართლება,
როცა გავრბოდით უცებ შინიდან...
ეტყოდა დედა: — რა გემართება?
მეტყოდა დედა: — რა მოგვიდა?..

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დამინახავს მის ფანჯრებს მიღმა
გაავებული დედა და მამა.
მსმენია:
— კმარა!
— იცოდეთ მიყვარს!..
— ფეხსაც ვერ გადგამ!
— იცოდეთ წავალ!
— წახვალ და აღარც დაბრუნდე უკან,
რადგან ჯიუტობ და გვეურჩები!..
დილამდე ენთო ფანჯრებში შუქი
და ბინდში თვლემდნენ შენი ქუჩები.
ველოდებოდი, ვღელავდი, ვწუხდი.
დგახარ, უყურებ და გენანება...
და ჩვენ ვიცოდით, რა არის წუთი,
რა არის წუთით დაგვიანება.
და კიაფობენ ფანჯრის მინები...
და მთაწმინდაზე მოლი ბიბინებს...
ბოლო სეანსზე კინოს ბილეთი...
და სტადიონზე შესვლა სირბილითა...
მამას იჭვიანს, დედას იჭვიანს
ეუბნებოდნენ ყველერმა ამ დროს:
— ნეტა რას ერჩით,
კარგი ბიჭია.
— ვინ გითხრათ?
— მთელი თბილისი ამბობს!

ჩვენ ერთად ყოფნას ვეღარ
ვიბეზრებთ,
არ ვიცით დარდი, სასოწარკვეთა,
ერთად ავრბივართ გემის კიბეზე...
ვდგავართ ვაგონის ღია სარკმელთან...

VIII

ბედნიერება ან სიყვარული
ამ ქვეყნად უფრო ძლიერი თუა?
ვშიშობდით, უცებ ვერცხლისწყალივით
არ გაგვქცეოდა ხელდახელ შუა.
არ გვყვარებია ცივი დუმილი
და გულში გვედგა მზე და სიკეთე...
და უცებ ომი შლაგბაუმივით,
შშვიდობიანი გზა დაგვიკეტეს...

გახსოვს? გამზარდა მაზარამ უცებ,
გავზდი უხეში, მხნე ჯარისკაცი.
გამოვეთხოვე ხმაურა ქუჩებს,
გავიყოლიე უცხო სიმაცრე.
გამაცილეს და ბევრი იტირეს,
ვამბობდი: ცრემლებს ნუ დაანახებ.
გულში ჩავიდგი და ჩაგიტიე:
წავედი შენგან მხნე და ამაყი.
შენი სიცოცხლე ფიცით მომანდე...
სადგური, ხალხით სავსე ბაქანი...
დარჩი ღამეში, როგორც ხომალდი,
გარინდებული და შუქჩამქრალი.
შენი ცხელი მზე დაცხრა, მინაზდა,
შენი ქუჩები დარდმა დანისლა.
და მარლის ჯვრები ფანჯრის მინებზე
თითქოს გფარავდნენ ავი თვალისგან.
ვამბობდი ჩუმად: ჩემი თბილისი...
ეწევედი თამბაქოს, ეწუხდი, მიკვირდა:
მე სიცოცხლესთან მდგარი პირისპირ
უცებ პირისპირ დავდექ სიკვდილთან.
შორს დარჩა მტკვარი და სანაპირო,
თითქოს შორიდან ხელებს მიქნევდი.
და ბნელ ვაგონში ჩამქრალ პაპიროსს
რამდენი გაჰყვა შენზე ფიქრები...

გასივებული გული დამქონდა
და სულს მიწვავდა დიდი ნაღველი.
ასე მეგონა — მომკლეს შამქორთან
და მეორედ ვარ თვალგანახელი.
ასე მეგონა — მომკლეს მარაბდას,
ჯრწანისს თუ სადმე არეზს გადაღმა...
სოკუნეთია მიწა მფარავდა
და ჩემი ძვლები ზღვაში გადახმა...
მე მეძახოდნენ ძველი გმირები,
მე მიყიოდა შენი წარსული...
და ღამე თითქოს იყო გვირაბი
უჩირაღდნო და უდასასრული...

გახსოვს, შორეთს ვარ, შორს
გეგულები;
ვარ სტალინგრადთან, კურსკთან,
ტიხვინთან.
თოფს შეეზარდა ხელისგულები,
ცეცხლში გავსულვარ, წყალში
მიყვინთავს.
ეწევარ, გავრბივარ, ვეცემი, ვდგები
ტყეში, ბილიკზე, ხიდზე, ქუჩებში.
ვარ გაფთრება და შურისგება,
გაუპარსავი, ჩუმი, უხეში.
დღედაღამ ცეცხლი ანთია ირგვლივ...
გასძლებ? სათქმელად არის ადგილი.
ჩემს წინ როდია გაშლილი წიგნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს წინ ომია, ომი ნამდვილი.
რასაც აქ ნახავ და გაიგონებ,
ის სიკვდილამდე თან დაგაქვს,
გახსოვს.
ახლა აქ პური, მიწა, სტრიქონი
ადამიანის სიცოცხლედ ფასობს...
ხან ხმელი პურით მოვიკლავ შიმშილს,
ხან ვეწაფები ამღვრეულ გუბეს...
ხან ტყის ბეელივით დასერავს შიში
და სისხლით უცემ მევსება უბე...
ჩამობნელდება ვიწრო ბლინდაჟში,
თეთრი პალატა, ბნელი ქუჩები...
ისევ ხანძარი და გარიჟრაჟი,
აყალო მიწას ვებღაუჭები...
მხრით ტალახიდან დავძრავ ზარბაზანს,
ვარ ჯნიარულიც, ვარ უგუნებოც.
ხან ჯიქურ მივალთ, ხან მივბარბაცებთ
ფეხით, ჯავშნოსანით თუ ფურგუნებით.
ვწევარ, გავრბივარ, ვეცემი, ვდგები
და ცეცხლის ზღვაში ვგავარ
მეზღვაურს...
ნიპარი და დესნა, უცნობი გზები,
ლურჯი ფანჯარა, პრაღა, ბრესლაუ...
უცხო მიწაზეც ბევრი დავმარხე,
ზოგმაც ფუნაი ვეღარ გაცურა.
ზოგი კვდებოდა მართლაც ამაყად,
რა დავიმალო — ზოგიც ლაჩრულად.
ბევრჯერ დავეცი, ბევრჯერ გადავრჩი.
არ შეგარცხვინე, არ დავრჩი ვალში.
მაინც ვიცეკვე ბოლოს ჩარდაში
და გავიგონე შტრაუსის ვალსი.
მე გავიარე მთელი ევროპა,
ფეხით, ვაგონით, ცხენით, ტანკებით.
ყოველ ქუჩასთან, ხიდთან მელოდა
ქუხილი, რისხვა და შეტაკება.
და გამარჯვების ხმები დაირხა,
ქვამლიანი ცა იერს იცვლიდა...
მეც მივაწერე დამწვარ რაიხსტაგს
სახელთან ერთად:
— ვარ თბილისიდან.
შუბლზე დამაჩნდა, თმაში დამაჩნდა
ღღენი განელილი ცეცხლში, ურავში.
და ვგრძნობდი, როგორ ვგავდი
მამაჩემს
რუხი მაზარით, ხშირი ულვაშით.
ცას მომღიმარი სახე უჩანდა,
იღიმებოდა სივრცე ოქროსფრად.
და ჯარისკაცის ძველი ზურგჩანთიდ
მე სიმღერები შენთან მომქონდა...
შენ ჩირაღდნები შემომაყარე
და დამაფრქვევ შუქი თვალებზე.
ადრე გაჩენილს ომში ჭალარას
თითქოს უჩუმრად მიუალერსე.
და დამიმე ნაჭრილობევი,
ისევ შემახვი ღვინო წინანდლის.
შემომიღამდა ჩემი სწორფერი,
სავსე შენი მზით, შენი სინათლით....
მე გრიგალებში შენთვის გადვეში
და უცხო გზებზე ვზილე ტალახი...
ტყვეით დახვრეტილ მუზარადებში
უკვე ამოდის თერგთან ბალახი...
და რუსთაველზე კვლავ მივსეირნობთ,
მწარე დღეები უკვე შორს არის...
კვლავ შენებური თვალისიერი
და ღამეები გასაოცარი...
ათიათასი ნაცნობის მზერა;
ისმენ სიმღერას, ჟრიამულს, ბაასს.
მე ვამბობ ასე: თბილისის მზეა...
მე ვამბობ ასე: თბილისის ცაა;
ნაპედი ძველ ოქრომჭედლების,
ნახატი თითქოს ოსტატის ფუნჯით...
გაღიმებული მოგაჩერდები
და ცა თვალებში მეღვრება ლურჯად.
მივალ პროსპექტზე, ქუჩაზე, ხიდზე,
გვერდით მომყვება ლამაზი ქალი.
ჩვენ შემოგღიმით, გიმზერთ და
გვიმზერ
შენი ფანჯრების ურიცხვი თვალით.

IX

არ გაჩენილვარ მე სიმშვიდისთვის,
ოთახი მუდამ მევიწროება.
ჩემი კაცობა, ჩემი სინდისი
და სიყვარულის უბიწობა,
ისევ მეძახის და ჰა, გავდივარ,
მივალ ვაგონით, ცხენით თუ ფეხით.
დამედევნება ავი ავდარი,
ზვავებს წამოშლის გავარდნა მეხის.
თითქოს კლდეებში რეკენ ზარები,
მაინც გავუტეევთ, თოვლზე ვიცოცებთ...
ბეწვზე ჰკიდია ნაპრალს ზვავები,
ბეწვზე ჰკიდია ჩვენი სიცოცხლეც.
ცის უდაბნოში მივიწევთ მარტო,
ყინულის კედლებს ეეკვრით მკერდებით.

ნისლებში შუქის გაკრთომას ვნატრობთ
და ერთი ღამეში წლებით ვბერდებით.
მოსკდება ზვავი, გრიგალი ქშუის...
არც მზე, არც მთვარე,
არც ცისკიდური...
ასე სიკვდილს და სიცოცხლეს შუა
ვართ ყინულეთში გამოკიდული.
წაგვეხურება თოვლის სამანი,
და წლებად ქცეულს დავითვლით
წამებს.
არც დასაწყისი, არც დასასრული
არ უჩანს ნისლში გათქვეფილ ღამეს.
და გვინატრება ცა გამჭვირვალე,
გულსა და იღბალს ვეჩურჩულებით.
არ გვეძინება და ამირანებს
ვგავართ უშბაზე მიჯაჭვულები...

და შორს, ძლიერ შორს, შენს ერთ
ქუჩაზე
არის პატარა და თბილი ბინა.
იქ შესაძლოა თვალს არ ხუჭავენ,
დალიეს ჩაიც, მაგრამ არ სძინავთ:
რადგან ჩვენი ხმა ქარმა ჩაახშო,
წაშალა ჩვენი ნაფეხურები.
აღარ ჯდებიან ახლა სავახშოდ
ჩვეულებრივად ტკბილი ხუმრობით.
მისჩერებიან უხმოდ ტელეფონს,
და ერთი ქალი ტუჩს იკვნეტს, შფოთავს.
საოცრად უთრთის თეთრი ხელები,
ადგება, უცებ დასტოვებს ოთახს.
და ფიქრიანი სახე იმისი
ქუჩაში უცებ აჩერებს გამვლელს.
დღე მილეულა ცხელი ივლისის
და ჩირაღდნებში ეხეივა ღამე...
და რა ძნელია გრძნობა იმისი,
რომ იქნებ მკვდრებიც ვეღარ
მოგვძებნონ.
რომ შორს კიაფობს ახლა თბილისი —
ასე ძვირფასი და საოცნებო.
და რესტორანში ქეიფობს ვიღაც,
შეყვარებულთან სეირნობს ვიღაც,
ბედნიერია ძალიან ვიღაც
და არ ემდურის ბედსა და იღბალს.
ბროლის ჭიქაში კამკამებს ღვინო,
ბალღების შუქი იღვრება ოქროდ.
უკრავს გიტარა და პიანინო,
წყვილები მშვიდად უცლიან
ფოქსტროტს...
მიდის ქუჩაზე ის ერთი ქალი.
კითხულობს: — ცნობა მიიღეთ რამე?
უკვე მეასედ უარი არის,
დუმს შორეული ქედების ღამე.
და ტოკავს ქალის ლამაზი მხრები,
იღონონ რამე ბოლოს და ბოლოს!..
ეთერში არის ურიცხვი ხმები,
და ჩვენი ხმები არ ისმის მხოლოდ...
და არ ეტყობა ცვლილება ამინდს.
ნაპრალებიდან ზვავი მოგორავს...
მოჰგავს ავდარი პოლარულ ღამეს,
ვიზოგავთ ნარჩენ შაქარს, შოკოლადს...
მივდივართ მაინც, ზვავით, სულ ზვავით,
ბნელში მოარულს ვგავართ
აჩრდილებს...
მერე... მწვერვალზე გავმართავთ
ზეიმს...
შენ გვეძახდი და გადაგვარჩინე.
მოვილტვით, ფრთხილად დაბლა
ვეშვებით,
ჰა, ნისლებიდან უკვე გამოვჩნდით.
დავეწაფებით წყაროს პეშვებით
და წაგვეშლება შუბლზე ნოგი...
ისევ მზის შუქი გადაგვფენია,
ფეხქვეშ გვეგება თოვლი ცბიერი...
და ვამბობ ჩემთვის:
არაფერია
ადამიანის სულზე ძლიერი...
წინ ხიფათია არანაკლები,
თოვლი, გრიგალი, ტალღები, ჭირხლი...
უდაბნო, სადაც დადის აქლემი,
ქედები, სადაც ვერ ადის ჯიხვიც...
საუკუნობით ბერწი ყამირი,
ღრუბლები, მწვერვალს რომ
გვამალავენ...
ჩვენ ველოდება უშბა, პამირი,
და აყრიალებს შორს ჰიმალაის...
ისევ სადგური... ცოლი და ბავშვი...
ისევ ვუღიმი ბედნიერ რიყრაყს...
და თეთრი ზოლი მეუღლის თმაში
ასე ერთგული ლოდინის ნიშნად.

X

ქუჩებში შიშველ ხეებს შესცივათ,
ღრუბლიანი ცა ჩადგება მტკვარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერე წამოვა თოვლი ზეციდან
და ყველგან ქარის ნაკვალევს წაშლის.
და დაღამდება საოცრად ადრე,
დაცხრება ქუჩა ნაქარბუქალი.
და ეცივებათ ეზოში ჯადრებს
და იღუღუნებს ღამით ბუხარი.

ფიფქების ცვენა და ბეღურები,
კარზე მომდგარი ახალი წელი...
ტროლეიბუსის საფეხურები
ახალი თოვლით დილიდან სველი...
და უჩვეულო დღე დადგა ჩემთვის,
უცად აივსო სული მზიანი:
წამოტირებით და გულის ფეთქვით
იშვა ახალი ადამიანი.
იშვა შიშველი და უანგარო,
იშვა ახალი, სულ სხვა სამყარო.
იშვა ის, ვინაც მომავლის დღენი
უნდა დაგიტკბოს და შეგაყვაროს.
ის გაიზრდება მზეში, წვიმაში.
გაუტეხელი და წვივმაგარი;
დაკაბუკდება და შენს წინაშე
ვიცი, იქნება იგი სხვაგვარი.
იცინის ცოლი, ღუღუნებს ჩვილი,
ტაქსით ქუჩებში მიქრით სამთავე;
ასე იწყება ცხოვრება შვილის,
მე სიკაბუკის დღეებს ვათავებ...

შენ მისი წლები მოგემატება,
უფრო გაგზრდიან მისი ფიქრები.
უფრო ძლიერად მოენატრები,
როდესაც წავა და შორს იქნება.
ჩემზე შორს წავა, არ დაიღლება,
იქნება ალბათ ჩემზე დღეგრძელიც.
და შენზე დასწერს ისეთ სიმღერას,
მე რომ მსურდა და ვეღარ შევძელი.

XI

გარბიან დღენი, თვეები, წლები,
ფიქრით, ოცნებით, ღელვით,
სიზმრებით...
აღვიმართები, მხრებამდე გწვდები,
ერთად მივდივართ, ერთად ვიზრდებით.
და ჩემს ოჯახში იზრდება ბავშვი,
იზრდება სახლი, იზრდება ქუჩა...
იფოთლებიან ხეები ბაღში.
გარბის, მზეს უმზერს და თვალებს
ეგრეთვალი
ხუკავსაბიბლიოთეკა
მე ხშირად დამყავს ბაღებში იგი —
ჩემი იმედი, შენი იმედი
და დასრიალებს შადრევნის ირგვლივ
მისი ორთვალა ველოსიპედი.
არ იცის — რაა ომი და შიში,
იცინის, ხარობს რაღაცას ეძებს..
და ერთობიან ბავშვები ქვიშით,
და მოხუცები თბებიან მზეზე...
და კვლავ ლოგინი სავსე სიზმრებით,
ბავშვი, ხან ლაღი, ხან ამრეზილი.
გაუტყორცნელი თხმელის ისრები
და ტახტქვეშ ისევ ბურთი რეზინის;
მწვანე რვეულში ნაწერი მრუდედ,
პირველი თრთოლვა თეთრი კლავიშის...
დიდი ვარსკვლავი პატარა ქუდზე
და სათამაშო თოფი ბალიშქვეშ..
და შეუმჩნეველად იზრდება ბავშვი,
იზრდება სახლი, სიმღერა, ხიდი.
ამოგიდგება სულ მალე მხარში
ჩემზე ლამაზი, ამაყი, მშვიდი.
ამოგიდგება სულ მალე მხარში,
ეგრძნობენ შენი თეთრი კედლები.
რომ გაიზარდა ლამაზი ბავშვი,
ტანმაღალია და შენ გედრება...
და იცინობ, იცინობ, ჩამოჰგავს მამას,
დედას ჩამოჰგავს თვალწარბით,
თმებით.
შენს გულს უჩვენებ მშვენიერს,
თამაშს,
წაიყვან ჩემთვის უცნობი გზებით.
ის გაიქცევა კალთიდან დედას
და მოედება ეზოს ამკლებად.
მის ლურჯ თვალებში აქედან ვხედავ
დღეებს,
რომლებიც მე დამაკლდებაარ ჩამაყოლებს საფლავში სევდას,
და არ გახმება ჩემი ფესვები.
შენი ფანჯრების ღიმილში ვხედავ
დღეებს, რომლებსაც ვერ მოვესწრები...

მშვიდად შრიალებს მაღალი ფიჭვი,
ისეთი დღეა, რატომღაც მიკვირს.
იცინის ჩემი პატარა ბიჭი,
და ყველაფერი იცინის ირგვლივ.
და მადრევანთან წყალს დალევს ჩიტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვს გაეკიდა ლამაზი ქალი...
დღე არის კარგი, დღე არის მშვიდი,
და ისევ ცისკენ გამირბის თვალი.
ვხედავ — მოიწევს აკლების დღემი
ვიღაცის ცივი და მკაცრი ხელი.
და აჩონჩხილი აჩრდილი ომის
თავზე დაგვადგა სიკვდილის ცელით.

XII

ღამე...
ქუჩების მშვიდი დუმილი...
ადამიანებს სძინავთ ნებივრად.
ვარ ფიქრიანი და იდუმალი
და ღია ფანჯრებს მივჩერებივარ.
გათენებამდე ქუჩებს მოვიარ,
ხიდზე, ჯიდრებთან მზის ამოსვლამდი...
ღია სარკმელი... ვუსმენ როიალს
და შენს ჩრდილებში დადის მოკარტი.
მოვწევ პაპიროსს, შევიკრავ სუნთქვას
და შეუმჩნეველ ადგილს მოვძებნი.
იქნებ ქალია, პირველად უყვარს,
ან ხვალ პირველი ჰქონდეს კონცერტი?
ოა ფიქრით ვავსებ უხილავ სურათს:
ვიღაც მის თითებს დაჰყურებს იქნებ?
ლურჯი ხავერი, ყელყელა სურა
და ბეთჰოვენის ბიუსტი იქვე...
გარინდებული დიდხანს დავრჩები,
და მის დუმილში ვისმენ სიმღერებს...
კვლავ მეძახიან ლურჯი ფანჯრები
და შენს ცხოვრებას უხმოდ მიმხელენ...

სადღაც ქალია მეტად ლამაზი
ძილის წინ ოდნავ გაშლილი თმებით; —
ვიღაცა ალბათ დარდობს ამაზეც
და რესტორანში პირველად თვრება...
ისევ ფანჯარა, მაღლა, სულ მაღლა...
თითქოს გადავწევ უჩინარ ფარდას...
ვიღაცა შფოთავს სიზმარში ახლა,
ან ფხიზლობს ჩუმად საყვარელ
ქალთან...
ისევ ფანჯარა, ისევ სინათლე...
იქნებ კამათობს ვინმე ცოლ-ქმარი?
იქნებ იღელვებს ასე დილამდე
სული მღელვარე და ბობოქარი?
იქვე ნამწვებით სავსე საფერფლე
და აუშლელი ცივი ლოგინი.
იქნებ მარტოა, სხვა არაფერი,
თეთრად გატეხა ღამე ლოდინმა...
იქნებ ქმარს ელის ექსპრესით დილით,
და ენატრება რიყრაფის კრთომა?
იქნებ უბრალოდ გაუტყდა ძილი
და გადაფურცლავს ჩანიშნულ რომანს...
იქნებ ავადმყოფს ღამეს უთევენ
და უღიმღამო შუქი ანათებს?
იქნება კერავს ან აუთოვებს
მზრუნველი დედა შვილის ხალათებს?...
ყველაფერს ვხედავ, ვგრძნობ და
ვიოცნებ...
მოვდივარ ჩემთვის და მოვალაჯებ;
მე იმ ფიქრების, ჩუმი სიზმრების,
და მშვიდი ძილის ვარ მოდარაჯე...
ყველაფერს ვხედავ, განვიცდი, მესმის,
და ლურჯ ფანჯრებში ფითრდება
ბინდი.
და იბადება ქაღალდზე ლექსი.
შენობა, ქუჩა, ქარხანა, ხიდი...

ვიღაც ფარულად გაღღებს კარებს,
საყვარელს ფრთხილად გაატანს ქუჩებს,
ისიც გაჰყვება ნაკვალევს მთვარის,
მიდის თავისთვის, ხმადაბლა უსტვენს;
შემხედავს, თვალებს მარიდებს თითქოს,
გაქრება ბნელში თეთრი ხალათი.
ასე ხარ სავსე სიმღერით, ფიქრით,
ცრემლით, იმედით, სუნთქვით,
ღალატით...
შენ ხარ ცხოვრება მღელვარეც,
წყნარიც.
შენ ხარ სიცოცხლე მცირეც და დიდიც...
წვიმიან ღამით, მთვარიან ღამით
ჩემი და შენი ცხოვრება მიდის...
მე ვდგავარ ხიდზე, მე ვდგავარ ხესთან,
ალაპლაპდება ასფალტი გრილი...
და მთელი ღამე მთვარესთან ერთად
გფენია ჩემი ვეება ჩრდილი.
ლურჯი ფანჯრები... არ უჩანს ბოლო...
ვიარე, ვზომე შენი სიდიდე;
და პაპიროსის ცარიელ კოლოფს
უკვე მეორედ ვისვრი ხიდიდან.
ლურჯი ფანჯრები... საფეხურები.
წვიმაში, თოვლში, ქარში, მთვარეში.
მე შენს ფანჯრებში მიყვარს ყურება,
როგორც საყვარელ ქალის თვალებში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

მე დამყოლია ასე აკვნიდან,
ასე დასჩემდა ჩემს დაკაცებას:
მუდამ უცნობი გზების გაგნება,
ლტოლვა, ძიება, და გატაცება.
და რაც გავაღე ეზოს ჭიშკარი
და უსასრულო გზებს გავუდექი,
მუდამ გზაში ვარ, მუდამ ვიჩქარი,
ჯერ არ დამლია მუხლი უდრეკი.
სულში ვაგროვებ ნახულს, განაგონს,
დღეს აქ ვარ, ხვალ იქით გავჩნდები.
და გულით დამაქვს, ჩემო ქალაქო,
უქრობი შუქი შენი ფანჯრების...
ხან დიდი გემის ტრიუმში ვწვები,
ლურჯი ზღვა მარწევს და მაქანავებს.
ხან მეჩვენება უცნობი გზები, —
გზები საზღვაო თუ საქარავნე.
და მომყვებიან გაშლილ აფრებად
შენი ქედები დათოვლილები.
ლაჟვარდებიდან თავზე დამფრენენ
შენი მერცლები და თოლიები.
მივალ და სივრცით სული მევსება,
ხან ბილიკებზე ცხენს მივაგელვებ;
ხან საძოვრებზე დავალ მწყემსებთან,
ხან ბარხანებში მივსდევ აქლემებს.
მიმაქროლებენ შორს ეაგონები,
მზეზე ვიწვები, წვიმით ვსველდები.
მომსდევს ჩრდილები ლურჯი გორების
და შორს დარჩენილ ცოლის ცრემლები.
ის ხან პორტში დგას, ხანაც ბაქანზე,
ხან სიხარულის ცრემლებს იმშრალებს.
ვიცი, ლოდინით ბევრჯერ დავქანცე,
მაინც ეს ლტოლვა ვერ მოვიშალე.
ცას გავყურებ და ვიძინებ გვიან,
როცა ივსება სიზმრებით კუპე.
და ტელეგრაფის ბოძები თვლიან
ჩემი ცხოვრების მშვენიერ წუთებს.
და იმ შორეულ გზებს გაყოლილი
შრიალსაც ვისმენ შენი ჭადრების.
და მეჩვენება: ჩემი ცოლივით
შენც მელოდები და გენატრები.

უცნობ სივრცეებს მიელტვის თვალი,
ისევ შეხვედრა, ისევ ლოდინი.
უცნობი კაცი, უცნობი ქალი,
უცხო ჭერი და უცხო ლოგინი...
სინანულით და ალერსით დაღლა
და უპეებში დონბასის ბოლი...
სიზმრად მეოცე სართულზე ნახვა
მოლოდინისგან დაღლილი ცოლის...
ხან გამომტაცებს შარიან ამინდს
უცხო საღგური, უცხო სასტუმრო.
და ხან მომიწევს გათევა ღამის
უმახლობელოდ და უსასთუმლოდ.
ხან ბაიკალის უცხო სტუმარი,
გზაში გარმონის ტკბილი მოტივი...
მხარე უცნობი და იდუმალი
ისევ შორს გარბის ჰორიზონტივით...

მეზღვაურებთან ვიცეკვო პორტში
და ტაიგაში ნადირი ვხოცო.
ვიგემო უცხო თევზების ხორცი,
ესკიმოსებთან მივუჯდე კოცონს...
შენი სიკეთე დამქონდეს მინდა,
უდაბნოს მგზავრის მოკვლა
წყურვილი...
მე მინდა ხშირად დავბრუნდე ზღვიდან
ამღერებული მებადურივით...

და ჟადავილი უწყლო უდაბნოს,
თოვლიან ქედებს, დამწვარ ხრიოკებს;
ზღვებს გადავივლი და სამუდამოდ
მაინც ამ წყურვილს ვერ დავიოკებ.
და ამნაირი დაუცხრომლობა
ბავშვობიდანვე ბედმა მარგუნა,
ასე გზაში ვარ მთელი ცხოვრება,
არ ვიცი ჩემი ბოლო სადგური.
სად დაეშვება დაღლილი აფრა,
სად მოიხრება უღონო მუხლი;
სად მომიფონებს სურო ან დაფნა,
სად დამეწევა საღამოს მწუხრი?
არ მინატრია მეტი დიდება,
ბედნიერი ვარ მხოლოდ ამითი:
მუდამ გზაში ვარ, ასე ვმდიდრდები
აურაცხელი თვალმარგალიტით.
მინდა სიმღერით ქვეყნად ვიარო,
დღეს აქ ვიქნები, ხვალ იქ გავჩნდები;
რომ მთელ ქვეყანას გავუზიარო
მშვიდი სინათლე შენი ფანჯრების.

ზაქარია ჯამასპიშვილი
ვლადიმერ შავგულიძე
შვიდწლედის ნაგიჯები

სიუხვის ველი

ვინ არ დაუტკბია და მოუნიძლავს ალაზნის ველივით ლაღსა და ივრის ტალღებივით მჩქეფარე, სიმღერას: „გუშინ შვიდნი გურჯანელნნ...“

და ვისთვის არ მოუგონებია ამ მძლავრ ვაჟკაცურ სიმღერას ზვრებითა და კახური ღვინით სახელგანთქმული გურჯაანი, მისი დაბა-სოფლები, გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანები.

ცივგომბორიდან მნახველის თვალწინ იშლება მოშკადოებული სურათი: ბაღ-ვენახებით მოქარგული ფართო ველი, რომელსაც კიდევ მეტ შნოსა და სილამაზეს ანიჭებს მზეზე მოელვარე ალაზანი და ჰორიზონტის დასალიერთან ზვიადად აღმართული კაკაასიონის თოვლიანი მთები. შორს მოჩანს მწვანეში ჩაფლული საკოლმეურნეო სოფლები, ვენახები და ბაღები, ბოლოსა და სიმინდის ყანები...

სამართლიანად ამაყობენ და ხარობენ გურჯაანელი კოლმეურნეები ალაზნის ველის სილამაზითა და სიუხვით.

ვიღას ახსოვს ჩვენს დროში წარსულის ის საშინელი სურათები, რომლებიც ასე მკაფიოდ და სიყვარულით დაგვიხატა თავის ლექსებში რაფიელ ერისთავმა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახე იცვალა ქველმა სოფელმა. უკეთესი და მოეწყობელი, ჩასწავლებული ქუჩებითა და შემკულარტლული ჭიშკრებით ცნობილი გურჯაანი კეთილმოწყობილი ფართო მოედნებითა და თეთრად მოქცთქათე შენობებით დამშვენებულ ქალაქად გადაიქცა. გურჯაანი ახლა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რაიონის კულტურული და ადმინისტრაციული ცენტრია.

* * *

ხუთი-ექვსი წლის წინათ გურჯაანის რაიონში დაბალი იყო ყურძნის მოსავლიანობა, ჩამორჩებოდა მეცხოველეობა. არტელის ძროხა იმდენ რძესაც კი ვერ იძლეოდა, რამდენსაც მეგრელი ჯიშის თხა.

სანახევრდაც არ იყო გამოყენებული და ამოქმედებული საკოლმეურნეო წარმოების უმდიდრესი რეზერვები და უდიდესი შესაძლებლობანი.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ საკოლმეურნეო სოფლის უმბალითო აღმავლობა გამოიწვია. ყოველ კოლმეურნეობაში, ყოველ ბრიგადასა და რგოლში, ბაღ-ვენახებსა და მეცხოველეობის ფერმებში გაჩაღდა თავდადებული შრომა. სოფლის კომუნისტება, კოლმეურნეებთან დამექანიზატორებთან ერთად, უდიდესი ინტერესით განიხილავდნენ ამ ისტორიულ დოკუმენტს და ახორციელებდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

ახლა, როცა ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა სოფლად დიადი ლაშქრობის დაწყებიდან, ჩვენს წინაშე თვალნათლივ ისახება სასახარელო შედეგები, რომლებიც საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე რაიონის — გურჯაანის რაიონის — შრომელებმა საკოლმეურნეო წარმოების მკეთრი განეთარებისათვის ბრძოლაში მოიპოვეს.

სასიხარულო შედეგები

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რაიონში დიდად განვითარდა მეეენახეობა და ხარისხოვანი მეღვინეობა.

გადიდდა სიმინდის ნათესი ფართობი და ამაღლდა მოსავლიანობა.

დაწინაურდა მეცხოველეობა. რომელიც წინათ მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა.

ვანუბრალად იზრდება საარტელო მეურნეობის შემოსავალი. 1953 წელს კოლმეურნეობე-

ᲨᲘᲡ ᲤᲣᲢᲚᲐᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔᲓᲐ 26,2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲗ, ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ — 1958 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲛᲐᲜ 46.7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲗ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ.

თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

სულ უფრო იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდი. 1953 წელთან შედარებით 1958 წელს კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდი 20,7 მილიონის მანეთით გაიზარდა.

საზოგადებრივი მეურნეობის აღმავლობა კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის საწინდარია. მკვეთრად გადიდდა შრომადღის ღირებულება. 1953 წელს საშუალოდ ერთი შრომადღის ღირებულება შეადგენდა 14,7 მანეთს 1958 წელს კი 20 მანეთს მიაღწია.

პარტიის XXI ყრილობამ, — ამბობენ გურჯაანელი კომუნისტები, — უდიდესი ამოცანები დაგვისახა. რაიონული პარტიული ორგანიზაცია სულ უფრო ფართოდ რაზმავს რაიონის კოლმეურნეებს ამ ამოცანების სასახელოდ შესრულებისათვის. წარმატებანი, რომლებიც მათ განვლილ ხუთწლედში მოიპოვეს, იმის მტკიცეა საწინდარია, რომ სასახელოდ იქნება განაღდებული შეიდწლედის დიადი დავალებანი

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲣᲚᲘ ᲕᲐᲮᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲯᲐ

— ვენახი ჩვენი მარჩენელი, ჩვენი შეძლებულობისა და ბედნიერი ცხოვრების წყაროა! — ამბობენ გურჯაანელები.

და მართალია ალის! ვაზს მილიონობით შემოსავალი მოაქვს კოლმეურნისა და არტელისათვის. მარტო 1958 წელს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოს 100 მილიონამდე მანეთის ყურძენი მიაყიდეს.

რაიონის საერთო შემოსავლის 76,5 პროცენტი ყურძნზე მოდის. დაღოცვილია გურჯაანული ვაზის ბარაჯა!..

გურჯაანელი კოლმეურნე სულ ერთთავად ვენახშია. ზამთარ-ზაფხულ თავს დასტრიალებს და მზრუნველობას არ აკლებს ამ მადლიან მცენარეს. ამიტომაა, რომ გურჯაანის რაიონში უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მატულობს ვენახების ფართობი, იზრდება ყურძნის მოსავლიანობა და მაღლდება ღვინოების ხარისხი. მრავალგზის მოწონაც მეევნახეთა და მეღვინეთა რიგებში.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲡᲘᲗ წინა წლები დიდი გარდატეხისა და აღმავლობის წლები იყო გურჯაანის რაიონის მეევნახეთაᲨᲘᲡ.

პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუდმივი მზრუნველობითა და დახმარებით, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა თავდადებული გარჯითა და მეცადინეობით მეევნახეობაში თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული.

ᲛᲔᲠᲙᲘᲜᲔᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲡᲘᲡ

დიახ, შრომამ, თავისუფალმა, საკოლმეურნეო შრომამ სახე უცვალა ვანნაძიანთ ძველ სოფელს, დამშვენა და აიყვანა იგი.

— ჩვენს სოფელს შრომა იმიტომ დავარქვეთ, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ძამსაშვილი, — რომ შრომასთან განუხრელად დაკავშირებულია ჩვენი ბედნიერება და სიხარული, ჩვენი კოლმეურნეობის წარმატებები.

სოფელ შრომაში კი მართლაც იცით შრომის სიყვარული. მისი ყადრი და ფასი. აქ ბევრი შრომის მოწონავე ადამიანი, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორი. პირველ რიგში კი სახელგანთქმულ ბრიგადირს და გამოცდილ მეველახეს მიხეილ მარჩილაშვილს დაგისახელებენ. მერე მეორე მიხეილსაც მოიგონებენ, გვარად არუსტაშველს, მოწონავე და სახელოსნეველ მეველახეს.

— გაზეთებიდან შევიტყეთო, რომ ჩვენი სამშობლოს გულში, მოსკოვში, წარმოიშვა ახალი შესანიშნავი მოძრაობა. მოსკოვის მახარისხებელი დეპოს საამქროში შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადა, — დინჯად, აუჩქარებლად გვესაუბრება მიხეილ მარჩილაშვილი, — რასაც მთელ ქვეყანაში ათასობით მიმდეკარი გამოუჩნდა. ეს რომ გაიგეთო, მოეოლაპარაკეთ, მოეითათბირეთ და გადაეწყვეტეთ მხარი მიგეცეცა მოსკოველთა თოსსონისათვის. ერისულოვნად ვიკისრეთ, რომ ვიმუშაოთ კომუნისტურად, ვიყოთ სანიმუშონი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის და საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ღირსეულად ვატაროთ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი!

— ეგრე არ არის, სეხნიავ, ხომ ასე შევიფიცენით! — დასტურს ჰკითხავს მარჩილაშვილი იქვე მდგომ მიხეილ არუსტაშველს.

— ეგრეა, მაშ! — მოკლედ დაუბეშდა პასუხი ბრიგადირს მეორე მიხეილმა.

— დიახაც, რომ ეგრეა, ჩვენი სიტყვა არ გატყდება, — განაგრძო საუბარი მარჩილაშვილმა, — რაღა თქმა უნდა, თვითეულ ჩვენგანს ღრმად ჰქონდა შეგნებული, თუ რა დიდ ვალდებულებებს კისრულობდა, როცა ჩვენს ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადად ვაცხადებდით. ეს იმანაც გაგვაბედვინა, რომ 1958 წელს ცუდად არ გვიმუშავნია.

— ბარემ იმასაც ვიტყოდი, შე მამაგანთოვებულო, შაშაშ რომ სამგალითო მოსავალი მიიღეთ, — ჩაერია საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ძამსაშვილი. — მარჩილაშვილის ბრიგადას 17,6 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი აქვს მოსავლელად ჩაბარებული. შაშაშ ბრიგადა სანაკებოდ შრომობდა და მთელი ამ ფართობის თვითეული ჰექტარიგ საშუალოდ 171,9 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. წარმოიდგინეთ, რომ ბრიგადის ცალკეულმა რგოლებმა კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მიიღეს. ეს ამას რომ ნედავთ, მიხეილ არუსტაშველსაც მაგან ყველას აჯობა. მაგის რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ 221 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

— სწორედ ეგრე გახლავთ, როგორც გიორგიმ მოგახსენთ; პირი არ შეგვირცხვენია, კარგი მოსავალი მივიღეთო, — მოკლედ მოჭრა მარჩილაშვილმა და ისევ თავიანთ ვალდებულებებზე წამოიწყო: — ერთი სიტყვით, კარგად ავეწონდაყნეთნო ჩვენი შესაძლებლობანი და ბრიგადის წევრთა კრებაზე ერთსულოვანნი გადაწყვეტილება მივიღეთ.

— რა ჩასწერეთ თქვენს გადაწყვეტილებაში?

— ახლავ გეტყვით, — გვითხრა ბრიგადირმა და ჯიბე მოისინჯა. უბიდან სათუთად შენახული ქაღალი გაზეთი ამოიღო და გადმოგვცა.

„კომუნისტის“ ერთ-ერთი ნომერი იყო. პირველ გვერდზე რამდენიმე ამბავი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო, წითელი ფანქრით იყო შემოხაზული, ხოლო გვერდზე მიწერილი ჰქონდა: „ჩვენი ბრიგადის ვალდებულებანი“.

აი რა ეწერა ამ ვალდებულებაში:

„შვიდწლიდის პირველ წელსვე 35 ჰექტარ სრულმოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოთ 180 ცენტნერი ყურძენი და ახალი ვენახი გავაშენოთ 4 ჰექტარ ფართობზე.

შვიდწლედში ჩვენი ბრიგადის ვენახების ფართობი გაეზარდოთ 20 ჰექტარით.

1965 წლისათვის ბრიგადის ვენახების მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 190 ცენტნერი ყურძენი.

გაეადიდოთ ბრიგადის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება და ამ გზით 10 პროცენტით შეეამციროთ დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე“.

— ვალდებულებები, მართლაც, დიდია, როგორ ფიქრობთ, შეასრულებთ?

— შეეასრულებთო? — დაუფარავი სიამაყით წარმოთქვა მარჩილაშვილმა და ბრიგადის წევრებს გადახედა, ამა რას იტყვიანო. — ვანა ეს საკითხვაა! ჩვენი სიტყვა ფოლადივით მტკიცეა. მაგრამ მარტო სიტყვა რა ბედნაა. თქვენ საქმე ნახეთ, ჩვენს შრომას გაეცანით და მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება. ამა ჩვენი ვენახები გასინჯეთ. იმედი გვაქვს, რომ წელს დთქმულზე მეტ მოსავალს მივიღებთ.

* * *

მარჩილაშვილი და არუსტაშველი მარტონი რიდი არიან. ყოველ კოლმეურნეობაში, თვითეულ ბრიგადასა და რგოლში არიან ყურძნის მაღალი მოსავლის ოსტატები, გამოცდილი და შრომაში გამოწრთობილი ადამიანები. სოფელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაშიანის კოლმეურნეობიდან მათ მხარს აძლევს მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ზ. გიორგაძე. მან, 1958 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვეს ველისციხეელებმა ილეანი მექვეურშვილმა და ნინო ჩითავიშვილმა, კალაურელმა გიორგი ქეჟნიშვილმა, გურჯაანელებმა გიორგი ჯაჯანაშვილმა და ივანე ყვირილაშვილმა, ნიკო გოგოლაშვილმა და მანანა დუგლაძემ, ჩუმლაყელებმა ივანე ნაცვლიშვილმა და გიორგი ნანუაშვილმა, ვეჯინელმა ილია მუხუელიშვილმა და ბეერმა სხვამ.

1958 წელს მევენახეობაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის გურჯაანის რაიონს მიეკუთვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მამაცური, თავდადებული შრომით მოიპოვეს გურჯაანელებმა ეს დროშა. იგი მათი შრომის მაღალი შეფასებაა.

წვიდწლედში კიდევ უფრო გაიზრდება გურჯაანელი ვაზის ბარაქა, გაიდიდება ვენახების ფართობი. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით გვესაუბრება პარტიის რაიკომის პირველი მდივანი არჩილ დავთაშვილი.

— მევენახეობა დიდად განვითარდება უახლოეს წელიწადში, — ამბობს იგი. — დასახული, 1965 წლისათვის ჩვენს რაიონში ვენახების ფართობი აყვანილი იქნეს 11.000 ჰექტარამდე ნაცვლად ამჟამად არსებული 6.813 ჰექტარისა.

ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲘᲖᲘᲤᲔᲗ

სიმინდი წინათ პატიჟისცემით არ სარგებლობდა გურჯაანის რაიონში. გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის არქივში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ 1953 წელს კოლმეურნეობებში დათესილა სულ 1399 ჰექტარი სიმინდი. მოსავალი კი საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 17,7 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერისა.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში არსებითი გარდატეხა 1955 წლიდან დაიწყო. ამ წელს პირველად შესრულდა გადაჭარბებით სიმინდის მოსავლიანობის გეგმა, საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღეს 23,8 ცენტნერი მარცვალი.

დიდი აღმავლობით აღინიშნა 1957 წელი, როცა საშუალო მოსავლიანობამ ერთ ჰექტარზე 31,8 ცენტნერს მიაღწია.

ხოლო 1958 წელს გურჯაანელმა მესიმინდეებმა საშუალოდ ერთ ჰექტარზე 37,1 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

სიმინდის განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანა სოფელ ვაზიანეთის კოლმეურნეობამ — საშუალოდ ერთ ჰექტარზე 67 ცენტნერი მარცვალი. ასევე მაღალი მოსავალი მიიღეს ბაკურციხის, ჩუმლაყის და სხვა კოლმეურნეობებმა.

წვიდწლედის პირველ წელს გურჯაანელმა მესიმინდეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სიმინდის კიდევ უფრო მაღალი მოსავლის მისაღებად.

ვინ არ იცნობს სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მოწმინავე მესიმინდეს დავით მღებრიშვილს. მისი სახელი შორს გასცდა ახლა მშობლიურ ჩუმლაყს, გურჯაანის რაიონს და მთელ ჩვენს რესპუბლიკაში გახდა ცნობილი.

შარშან მღებრიშვილს ბრიგადამ 40,5 ჰექტარი სიმინდი დათესა. დავითი უნარიანად და საკმის ცოდნით ასრულებს ბრიგადირის პასუხსაგებ მოვალეობას. იოლი რდია 40 ჰექტარზე მეტი სიმინდის ნათესების მოვლა-პატრონობა, მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ბრიგადის ყველა წევრის აქტიურად ჩაბმა.

40,5 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 80 ცენტნერი სიმინდი!

— ჩვენშიც გამოჩნდა ჩოქოლი ქვაჩახიანის მიმდევარი! — ამბობენ გურჯაანელი კოლმეურნეები და ცდილობენ თავიანთ კოლმეურნეობებშიც გადაიღონ მოწონავე მესიმინდის გამოცდილება. თვით დავით მღებრიშვილი კი ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის ემზადება.

— ის, რასაც შარშან მივაღწიეთ, ზღვარი როდია, — ამბობს იგი. — წვიდწლედის პირველ წელს უკეთეს მაჩვენებელს მივაღწევთ.

დავით მღებრიშვილს არ ჩამორჩება ბაკურციხელი მარიამ ყარამანიშვილი. მან შარშან საშუალოდ ერთ ჰექტარზე 69,3 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა!

ᲠᲫᲘᲡ ᲜᲐᲪᲐᲓᲣᲚᲘ

ახლა გურჯაანის კოლმეურნეობებში მეცხოველეობა მნიშვნელოვნად არის დაწინაურებული. მაგრამ ამ ხუთი წლის წინათ ასე როდი იყო.

1953 წელს ყოველ ას ჰექტარ მიწის სავარგულზე აწარმოებდნენ 16,9 ცენტნერ ხორცს, ხოლო თვითეული საფურაე ძროხის წველადობა 400 ლიტრს არ აღემატებოდა.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საფუძველზე 1958 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოეს 64 ცენტნერი ხორცი, ხოლო თვითეული ძროხის წველადობა აყვანილი იქნა 1.800 ლიტრამდე.

რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

ბაკურციხის კოლმეურნეობაში, სადაც 4 წლის წინათ თვითეული ძროხის წველადობა 400 ლიტრს არ აღემატებოდა, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საფუძველზე, პირუტყვის ჯიშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიი გაუმჯობესებისა და კარგი მოვლა-პატრონის შედეგად 1958 წელს თვითეულ ძროხაზე მოწველეს 2.033 ლიტრი რძე. ცალკეულმა მწველავებმა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს. გ. ჯამბასიშვილმა, რომელსაც მამაკაცებული ჰყავს ველის წოფელი ჯიშის ათი ძროხა, 1958 წელს თვითეულ ძროხაზე მიიღო 5050 ლიტრი რძე და ამით რესპუბლიკაში მწველავთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ასევე კარგ წარმატებას მიაღწია ტ. ბაწაშვილმა. მან თვითეულ ძროხაზე 4300 ლიტრი რძე მიიღო და რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავა.

— მეცხოველეობის ახალგაზრდა მუშაკებს ეს წარმატება შემთხვევით არ ეთქმის, — გვეუბნება რაიკომის მდივანი ივანე სიხარულიძე, — შარშან ბაკურიანის კოლეგიურნეობის ახალგაზრდებმა, რომლებიც კომუნისტური პარტიის მოწოდებების საასპუხოდ მეცხოველეობას ფერმებში სამუშაოდ წავიდნენ, დიდ წარმატებას მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ახლა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ახალგაზრდებმა კომუნისტური შრომის ბრიგადა ჩამოაყალიბეს და თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ ხალხთა ბრწყინვალე მომავლისათვის — კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

— წავიდეთ, — გვიორჩია სიხარულიძემ, — ადგილზე ენახოთ შეჯიბრების ინიციატორი ახალგაზრდები, რომ უფრო ახლოს გაეცნოთ მათ მუშაობასა და ცხოვრებას.

ჩვენი მანქანა ბაკურიანის ბოლოს გავიდა, მარცხნივ მოუხვია, ეგზი ალაზნის ეელისაკენ აიღო და ორი წუთის შემდეგ სოფლის ბოლოს გრძელ შენობასთან გაჩერდა. სწორედ ეს იყო მეცხოველეობის ფერმა, სადაც ბაკურიანის ახალგაზრდების კომუნისტური შრომის ბრიგადა სასახელო შრომას ეწევა.

შევედით ფერმაში, და უეცრად ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ ბოსელში მოვხვედით. ყველან სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი. იეტუნებიან კარგად მოვლილი, ბეწვმაბრწყინავი ძროხები, რომელთა უმრავლესობა ველის წოფელი ჯიშისაა.

— ეს ძროხები დღეში 20—25 ლიტრ რძეს იძლევიან, — გვეუბნება კოლეგიურნეობის თავმჯდომარე ზალვა ნიბლაძე, — შარშან თვითეულ ძროხაზე 2.033 ლიტრი რძე მივიღეთ. ამ წარმატებაში განსაკუთრებული ღვაწლი აი იმ ახალგაზრდებს მიეძღვით, ისინი აქ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ და თავდადებული შრომით მთელი სოფლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მათ ნათელ გზას ბევრი მიმდევარი გამოუჩენდა.

ამ ლაშქრობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ახალგაზრდები: გიგი ჯამბასიშვილი, ვლადიმერ ბაწაშვილი. მათ ხუთ თვეში თვითეული ძროხიდან მოწველეს 3000 ლიტრი რძე. ეს მიღწევა უკვე იმის თავდებია, რომ გიგი და ტარიელ წლის ბოლოსთვის გადაჭარბებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებას და თვითეული ძროხიდან 6.000 ლიტრზე მეტ რძეს მიიღებენ.

— როგორ მიაღწიეს ამ ახალგაზრდებმა ასეთ დიდ გარდატეხას? — ამ კითხვაზე კოლეგიურნეობის თავმჯდომარემ გვიპასუხა:

— ამის შესახებ თვით გიგისა და ტარიელს მოვუსმინოთ.

— ჩვენ გამოცდილებით კარგად დავარწმუნდით, — თქვა გიგიმ, — რომ წველადობის გადიდების გადამწყვეტი პირობაა ზოოტექნიკური წესებს ფარფოდ დანერგვა. პირუტყვის მომეცალების კვალიფიკაციის ამაღლება და მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ფერმაში შემოღებული გვაქვს ძროხების ინდივიდუალური კვების მეთოდი. თვითეულმა მწველავმა კარგად იცის მისთვის მოსავლელად მიმაგრებული ძროხების თვისებები და ამის მიხედვით აძლევს მას საკვებს.

დღითიდღე შრომელებიან ბაკურიანელ ახალგაზრდა პატრიოტთა მომდევრები, ისინი წარმატებით იბრძვიან მაღალი შრომითი მაჩვენებლებისათვის.

ეჭვი არ არის, რომ გურჯაანელი კოლეგიურნეები, ახალგაზრდა პატრიოტები შეიდწლიან პირველ წელს არა მარტო მშობლიურ რაიონს, არამედ ჩვენს რესპუბლიკასაც გაახარებენ შრომითი საგმირო საქმეებით.

მშვენდება და ლამაზდება სოფელი

კულტურული მშენებლობის უმაგალითო წარმატებანია მიღწეული გურჯაანის რაიონში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე სოფლად გამოგალდნენ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები, ბევრმა მიიღო საშუალო და უმაღლესი განათლება. ახლა რაიონში მუშაობს 2.500 აგრონომი, მასწავლებელი და ინჟინერი, ექიმი და ადგილობრივი სასოფლო ინტელიგენციის წარმომადგენელი.

მარტო ქალაქ გურჯაანში აშენდა 160 ბინიანი 12 საცხოვრებელი სახლი, შესანიშნავია სასტუმრო. წელს დამთავრდება ქალაქის ფაალადენის, პურის ქარხანის, 9 საცხოვრებელი სახლის შენებლობა.

სოფლები დაფარულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ხშირი ქსელით. ბევრი სოფელი დამშვენებულია კულტურის სახლით, კლუბით, სკოლით, საავადმყოფოთი და კეთილმოწყობილი გზებით. უკანასკნელ წლებში ამ დაწესებულებათა შემნებისა და კეთილმოწყობაზე 100 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეს დიდი წარმატებანი სოფლის კულტურულ მშენებლობაში საკოლეურნეო წყობიერების წყალობაა. კოლეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, საზოგადოებრივი მეურნეობის წლეთიწლობით მზარდი განუყოფელი ფონდები შესაძლებლობას იძლევა ახალი ძალით განაღდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობანი, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მშრომელთა ყოველდღიური მზარდი მოთხოვნილებანი.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ვისაც ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნახავს გურკალაინის სოფლები, მათ ეეღარ იცნობს. ყოველ სოფელში ყოველ მეორე მოსახლეს წითელი აგურითა და ტუფით აგებული ორსართულიანი ლამაზი სახლი აქვს.

გათავლისწინებულია შვიდწლეული განმავლობაში ავგან 8 სასკოლო შენობა, 8 კლუბი, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა, 5 სასოფლო ბიბლიოთეკა და ავფთიაქი, 6 სასავშვო ბაგა და ბაღი, მუშა-მოსამსახურეთა 14 საცხოვრებელი ბინა, 1. 145 კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, 5 ამბარი, ჭალაქ გურკალაინში კულტურისა და დასვენების პარკი, რომლის ფართობი 17 ჰექტარზე მეტი იქნება, 2 კინოთეატრი, სტადიონი.

ჭალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად 1959 წელს დამთავრდება ახალი წყალსადენის მშენებლობა. დიდი თანხები დაიხარჯება სოფლების ელექტროფიკაციაზე, რადიოფიკაციაზე, სასოფლო ცენტრებისა და გზების მოასფალტებაზე.

ეს ციფრობრივი მასალა რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომში მოგვაწოდეს. მაგრამ ვისთვის არ არის საინტერესო ადგილზე ნახოს ეს კოპწია სოფლები, ნახოს ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ქმნიან საკოლეურნეო დოვლათს, სახეს უცვლიან დაბა-სოფლებს.

— საითაც გნებავთ, წავიდეთ — ვეეუბნები რაიკომის პირველი მდივანი არჩილ დავითაშვილი, — ჩვენი რაიონის სოფლები 35 კილომეტრზეა გადაჭიმული.

ვთვალიერებთ სოფლებს. წითელი აგურით ერთნაირ ყიდიდე ნაშენი ორსართულიანი სახლები და კოპწია ეზოები ერთიმეორეს ისე ჰგვანან, რომ კაცი იფიქრებს, ძმები გაყრილან და ერთიმეორის ჯიბრზე ყველაფერი ერთნაირი გაუკეთებიათო.

ჩვენი მაჩვანა ლამაზი, დიდი არქიტექტურული ნაგებობის წინ გაჩერდა. საკოლეურნეო კულტურის სახლი აღმოჩნდა.

კულტურის სახლის წინ რამდენიმე მოხუცი ჩამომჯდარა და ტკბილად საუბრობს.

— ძია კაცო, გამგეობის თავმჯდომარეს სად ენახავთ? — ეკითხება ერთ-ერთ მათგანს რაიონის მეორე მდივანი.

— თავმჯდომარეს აქ როგორ ნახავთ, ბრიგადიერშია წასული, — იღიმეგს მოხუცი.

არჩილმა მაჩქანა გაგზავნა თავმჯდომარის მოსაყვანად, შემდეგ კი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ეს დიდი სასახლე ვაზიერსნის კოლმეურნეობის კულტურის სახლია. ამ სახლის სახეიმო გახსნაზე სტუმრები მეზობელი რაიონებიდანაც კი ჩამოვიდნენ, ბევრი მოხიბლა მაშინ ამ შენობამ, და სიცილით გვეუბნებოდნენ: მალე ჩვენ უკეთესს ავაშენებთო.

— ასეთი სახლის აშენება ალბათ ძნიმე ტეირთად დაეშვა კოლმეურნეობა, — შევნიშნეთ არჩილს, მაგრამ პასუხი მოხუცმა გაგვცა:

— შეიძლება რომ არ გეკონოდა, არც ავაშენებდით. თქვენ ალბათ ჩვენი კოლმეურნეობის შესაძლებლობას არ იცნობთ. ხუთი წლის წინათ რომ დაგვეწყო ასეთი შენობის აგება, თქვენმართალი იქნებოდით, ან კი რის იმედით დაგიწყებდით, კულტურის სახლი კი არა პირუტყვისათვის ბინები არ გეკონდა. ესეც რომ ყოფილიყო, შემოსავალიც არ გვეყოფოდა ასეთი დიდი სახლის ასაგებად. გურკალაინელი ვლეში დასაბამიდან ვაზით ირნენდა თავს, ლუკმაპურს იმითი სჭამდა, მაგრამ ზერეგნის გაფართოებისათვის არავინ ზარნაადა. პირიქით, რაც გვერდი, იმასაც წესიერად ვერ ეუფლიდით. ცხადია, ასეთ პირობებში კოლმეურნეობის შემოსავალი მცირე იყო, დღეს კი სულ სხვა მდგომარეობაა...

ამ საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ იაშვილიც მოვიდა.

— ციფრები ყველაფერს გეკრჩენენ, — ეკუბნები მიხეილ იაშვილი. — მაგრამ ჩემი რჩევა იქნება ჯერ სოფელი ენახოთ, გაეცნოთ, როგორ ცხოვრობენ კოლმეურნეენი.

მაჩქანამ მოასფალტებული ბზიდან გადაუხვია და სოფელში შეიჭრა. მაჩქანიდან ჩამოვედით და ფეხით გავეცეცეთ სოფლის შარაგზას. ჩვენი ყურადღება მიიქცია ლამაზად შემკულმა ეზომ. ეზოში დიდი ოსტატობით გაეკეთებიათ თაღარი, ეკალუცად გამოიყურება ხეხილის ბაღი ბაღნარს თავს ზმამოდგმია გრძელი და ფართო აივნიანი ორსართულიანი ლამაზი სახლი.

— ვის ეკუთვნის ეს სახლი?

— არ იფიქროთ, რომ ვინმეს წარმოგიყვანეთ აქეთ, — ამბობს იაშვილი, — ეს სახლი არჩილ ცერეკაძეს ეკუთვნის, აი სწორედ ამ მოხუცს, ჩემს მოსცდამდე რომ ესაუბრებოდით. წადიდეთ, უკეთესად მოწყობილ ეზოებსა და სახლებსაც გაჩვენებთ.

გიტაცებით ლამარაკობდა თავის სოფლზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

1953 წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 1 მილიონ მანეთს არ აღემატებოდა თურმე. სექტემბრის პლენუმის შემდეგ ვაზისუბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც მკვეთრად გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, ამავლად მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გაიზარდა კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი. 1958 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 7 მილიონ მანეთს გადაჰკარბა, ხოლო შრომადღის ღირებულებამ 20 მანეთს მიაღწია. აქ ყველფერს აკეთებენ მშრომელობის გაიფებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კოლმეურნეობაში უნარიანად იყენებენ ადგილობრივ საშენ მასალას — ქვას. კოლმეურნეობა თვითონ სწვავს კირს, რომლითაც მთლიანად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას. ჩამოყალიბებულია სამშენებლო პრიგადა, რომელიც ყველა ძირითად სამუშაოს ასრულებს.

ვაზისუბნის კოლმეურნეობის კულტურის სახლში გავეცანით თვითმფრმელი წრეების მუშაობას. აგრონომიულ, ჭრა-კერვისა და მხატვრული თვითმოქმედების წრეებში ასზე მეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული. წრეებში ახალგაზრდობა ძმენს ცოდნას. ეუფლება პრაქტიკული საქმიანობის ჩვევებს.

რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობაში აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდობა.

კოლმეურნეობებში 5.000-ზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს მეცხოველეობის ფერმებში და მემინდვრეობის ბრიგადებში. ბევრი მათგანი წარმატებით სწავლობს უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

გურჯაანელი ახალგაზრდები ყოველ ახალ წამოწყებას პირველნი ეხმაურებიან და აქტიურად მონაწილეობენ მის განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კომკავშირული ორგანიზაციების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ინიციატივა — შეიქმნას რაიონულ ცენტრებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში კულტურის უნივერსიტეტები. დადგენილებაში აღნიშნული, რომ კულტურის უნივერსიტეტის შექმნა არის თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი წამოწყება, მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

ამ დადგენილებიდან საქმეს აქტიურად დაუჭერეს ხმარი გურჯაანელმა ახალგაზრდებმა. გურჯაანში ჩამოყალიბებულია კულტურის უნივერსიტეტი, სადაც ასობით მშრომელი ისმენს ლექციებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, ხელოვნებისა და კულტურის საკითხებზე.

გურჯაანის რაიონის პარტიულმა აქტივმა განიხილა ბაკურციხის კოლმეურნეობის მშრომელთა ინიციატივა საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობის შესახებ და მხურვალედ მოიწონა იგი. აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ რაიონის სოფლებს, რომლებსაც აქვთ კულტურის სახლები, კლუბები, სკოლები და საავადმყოფოები, მაღაზიები და მოსაფლებელი გზები, ოღარ შეშვენით მოუწყობელი, ეუეკიანი, ულამაზო კარ-მიდამოები. აქტივის კრების მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის მშრომელებს, მხარი დაუჭირონ ბაკურციხელთა ინიციატივას და წარმატებით იბრძოლონ სოფლების კეთილმოწყობისათვის.

* * *

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის რაიონულ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დიდ და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევიან საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები. ყველა საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციის შეწყობილი და აქტიური მუშაობით მათ გადადგეს პირველი ნაბიჯები დიადი შეიდწლედის შესრულების გზაზე.

მაგრამ, გურჯაანელებმა კარგად იციან, რომ ეს მხოლოდ დიდი მუშაობის დასაწყისია.

— ბოლშევიკური შეიდწლედის ბოლოს და ჩვენს რაიონს ვეღარ იცნობთ, ისე შეიცვლება იგი.

ეჭვი არ არის, რომ მართლაც ასე იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

იდეური ზრდისა და მხატვრული დაოსტატებისათვის

სოხუმი არაერთი მწერლის შთაგონების წყარო და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების ქალაქია. გასული საუკუნის მეორე ნახევარში აქ მოღვაწეობდა ცნობილი აფხაზი პოეტი და პუბლიცისტი გიორგი შერვაშიძე, რომელიც დიდ ილიასა და აკაკის ედგა მხარში და ქართულ ენაზე დაწერილი ლექსებითა თუ წერილებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების თესლს აღვივებდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოხუმი იქცა ნორჩი აფხაზური ლიტერატურის აკვნად, რომელიც სულ მალე იმდენად დაწინაურდა, რომ მის საუკეთესო წარმომადგენელთა სახელი მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი გახდა. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელო მხცოვანი სახალხო პოეტი დმიტრი გული, აგრეთვე — მიხეილ ლაკერბაია, ივანე პაპასქარი, ბაგრატ შინკუბა, ივანე თარბა და სხვანი.

აფხაზ მწერლებთან ერთად სოხუმში ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან ქართველი მწერლებიც. მკითხველებისათვის კარგად ცნობილია მწერალი ქალი ფუტუ დგებუაძე-ფულარია, რომელსაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა ისტორიულ თემაზე დაწერილმა ერეკლმა რომანმა „ოქროს ბეჭედმა". წრფელი ლირიკული ლექსებით ყურადღებას იპყრობს პოეტი შოთა აკობია, რომელიც უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია და სხვ.

აფხაზეთში მომუშავე ქართველ მწერალთა შორის განსაკუთრებით ბევრია ახალგაზრდა, რომელთა წიგნები სულ უკანასკნელ ხანებში გამოიცა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს წიგნები ჩვენს რესპუბლიკურ პრესას თითქმის შეუმჩნევეთ რჩება, თუმცა ისინი თავის ღირსებითაც და ნაკლითაც იმდენად საყურადღებონი არიან, რომ საგანგებო ლიტერატურული საუბრის თემას უეჭველად იძლევიან.

ამჟამად მე ხელთ მაქვს რამდენიმე ახალგაზრდა ავტორის ლექსთა კრებულები: მ. მირზელის „ღღეებს გავხედავ", დ. გიგიბერიას „ჩემი სოფელი", ხ. გაგუას „კეირტების ფეთქეა" და მ. ჩაჩუას „შენ გიმღერ", აგრეთვე ერთი რომანი — ზ. ნაყოფიას „პირველი სიყვარული". სწორედ მათ შესახებ გვსურს. ვესაუბროთ მკითხველს ამ წერილში.

ჩამოთვლილი წიგნებიდან ყველაზე საინტერესოა ზ. ნაყოფიას რომანი „პირველი სიყვარული", რომელიც ჯერ აფხაზეთის მწერალთა კავშირის „ლიტერატურულ ალმანახში" გამოქვეყნდა, შემდეგ კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. ჯერჯერობით ჩვენ ვიცნობთ რომანის მხოლოდ პირველ წიგნს და ამიტომ მთელი რომანის შესახებ მსჯავრის გამოტანა შესაძლია ერთგვარად ნაადრევი იყოს, მაგრამ ამ ნაწარმოებზე მსჯელობა და ზოგიერთი დასკვნის გაკეთება უკვე გამოქვეყნებული ნაწილის მიხედვითაც შეიძლება, რამდენადაც ავტორ დამოუკიდებელ და საკმაოდ დასრულებულ სახეს ატარებს.

„პირველი სიყვარული" ღღეევანდელ საკოლმეურნეო სოფელსა და მის ადამიანებს ეკიზატავს. ნაწარმოების ცენტრალური გმირია ჭაბუკი კოლმეურნე მერაბ ბაღათური, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელში რჩება სამუშაოდ და ფიზიკური შრომით აქტიურად მონაწილეობს სოფლის კეთილდღეობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. მას კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად ირჩევენ. რომანის სიუჟეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მერაბის სიყვარული ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსული სტუდენტი ქალიშვილისადმი — მედეა კიკაბიძისადმი. მედეა უყვარს აგრეთვე მერაბ ახალგაზრდას — აგრონომ თენგიზ შელია, რომელიც უმადლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ცოტა ხანს სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ კი კოლმეურნეობაში გამოუგზავნიათ. მედეასა და თენგიზის სატრფიალო ურთიერთობა რომანში უშუალოდ არ არის ნაჩვენები, იგი თითქოს კულისებში მიმდინარეობს, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ქალიშვილი მეტი თანაგრძნობით ეკიდება თენგიზს. ასე იკვრება ე. წ. „სიყვარულის სამკუთხედი".

ადელი მისახვედრია, რომ აქედანვე ეძლევა სათაური მთელ რომანს.

ისევე როგორც სათაური, რომანის ეს ძირითადი სიუჟეტური ღერძიც არ გამოირჩევა ორიგინალურობით. ამ მხრივ ზ. ნაყოფიას „პირველი სიყვარული" გატაცებული ბილიკს მიაყვება, მაგრამ სამაგიეროდ ახალგაზრდა მწერალს აქვს ბევრი მოსაწონი ღირსება: თანამედროვე სოფლის კარგი ცოდნა, ხასიათების წვდომისა და ეამოკვეთის უნარი, ფსიქოლოგიურად მართალი და დამაჯერებელი მოვალეი დეტალი, ბენეფიციი თხრობა. ყოველივე ამის წყალობით რომანი ინტერესით იკითხება.

„პირველ სიყვარულში" მკაფიოდ იგრძნობა ახალი სოფლის მაჯისცემა, იგრძნობა ის დიდი გარდატეხა, რომაც ეგზიტე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილის ან დუტუ მეგრელის მიერ დახატული ბეჭაჟი ვლეხი კაცტერ კაცად გარდაქმნა, ვგრძად აქცია. ახლა სოფელში ყველის ორსართულიანი ოდები აქვს წამოშენებული, ბინები ელექტრონითაა გაბახჩახებული, ბიღელი და მარანი დოვლათით სავსეა, პიანინო თუ რიალი უჩვეულო საგანს არ წარმოადგენს.

ყოველივე ეს ზ. ნაყოფიას რომანის შინაარსში ორგანულად არის ჩაქსოვილი, ასე ეთქვათ, ნაწარმოების ფაქტიურს შეადგენს.

ამასთანავე, ახალგაზრდა მწერალი არ მიდის სინამდვილის შეფერადების და ცხოვრების ვაიოლებულად ხატვის მოლაპარაკი გზით. პირიქით, იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მოწინავე, კულტურულ და დოვლათიან სოფელშიც კი ცხოვრება ცისფერი ნაკადულივით როდი მიედინება, ყველანი და ფ ვარი როდია დაფენილი, როგორც ეს ზოგიერთს სურს წარმოიდგინოს. კარგად შენიშნავს ამის თაობაზე რომანის ერთ-ერთი გმირი: „კინოში ყველაფერი ლამაზია, განსაკუთრებით კი თუ ის ფერადია. მახსოვს ერთ კინოსურათში ჩაის პლანტაციაში იმღერი მეკურეფაესთვის მოეყარათ თავი, რომ ერთ საათში გადაპუტაგდნენ ყველაფერს".

უახლესი ტექნიკა, შესანიშნავი მანქანები სულ უფრო და უფრო უადვილებენ შრომას ადამიანს, მაგრამ ფიზიკური შრომა მაინც ფიზიკური შრომაა და იგი საკმაოდ მძიმეა, ჩაის კრეფა იქნება ეს, მიწის ბარვა თუ ბოსლის დასუფთავება. მიუხედავად ამისა, ფიზიკური შრომა მაინც სიამეს ანიჭებს საბჭოთა ადამიანს, რომელიც უხვად იხეკს შრომის ნაყოფს და მისი კაცობაც ამის ხიბლედვი არის დაფასებული. შრომა მარტო არსებობის საშუალება კი არა, დაფასებისა და ღირსების საზომიცაა. თუ წინათ მოწონებასა და პატივისცემას ის ინსაზრუნდა, ვინც ფიზიკურ შრომას გაექცეოდა და იო�d ცხოვრებას შესაღებდა, ამჟამად უსაქმურები და „ციალ ცხოვრების" მიმდევარნი საყოველთაო გაკიცხვასა და გულისწყრომას იხვეჭენ „ციალდიდ". სწორედ ამ ადამიანურ ძველი და ახალი ადამიანის ფსიქიკის ბრძოლას ... არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, რაც კარგად იგრძნო და დანახა „პირველი სიყვარულის" ავტორმა.

მეთხუთმეტე უკანელად დამახსოვრდება სცენა, როცა სოფელში სამუშაოდ გამოგზავნილი ახალგაზრდა აგრონომი თენგიზი და მისი ყოფილი თანაკურსელი პარმენ კერძანია ხვდებიან ერთმანეთს. პარმენი საკუთარ „ზიმნი" ვამოქმედა და ამხანაგი მიპყავს ოჯახში საქეიფოდ, ახლად ავებული სახლის ფუძის დასალოცად: პარმენმა სწავლას თავი ადრევე გაანება და არე მეშაობს, მაგრამ მაინც მოუხერხებია უზრუნველად ცხოვრება, იგი თენგიზს ქედმაღლურადაც კი უყურებს და ერთი წუთით თენგიზი დამცირებულად გრძნობს თავს, მაგრამ აქ მაინც აშკარად იგრძნობა, თუ ვის მხარეზეა უპირატესობა, ვინ უნდა იყოს ამ ორში ნამდვილად ბედნიერი და კმაყოფილი.

შრომის პათოსი იგრძნობა ზ. ნაყოფიას რომანის მთელ მანძილზე, ძლიერადაა დაწერილი საკოლმეურნეო შრომის მთელი რიგი სურათები, დამაჯერებლად არის ნახვენები უქნარა ახალგაზრდის, ბონდო დანელიას, თანდათანობით გარდაქმნა. ყოველივე ეს იდეურ-შემეცნებით ძალას ჰმატებს რომანს.

„პირველ სიყვარულში" საკოლმეურნეო სოფელი ნაჩვენებია, როგორც დადებითი. ისე ჩრდილოვანი მხარეებით. ამის საილუსტრაციოდ მრავალი დეტალის დასახელება შეიძლება, აი, მაგალითად, მოწონავე ჩაის მკრეფავი ლიდა დანელია. რაიონული გაზეთის მუშაკები მას ხელს აწერინებენ მზამზარეულ ტექსტზე და ასე „ათავსებენ გაზეთში. მოწონავეთა ყოველ თათბირზე ლიდას იმღერჯერ აგზავნიან, რომ ბოლოს ჩამორჩენის საერთოს წინაშე დგება, მაგრამ ქალიშვილმა დროზე იგრძნო ეს და კვლავ პლანტაციას მიაშურა, ხოლო საკუთარი სურათი მოწონავეთა დაფიდან თავისიც ხელით ჩამოხსნა.

პარტბიუროს მდივანი ადამური მზად არის სხვისი მოკრეფილი ჩაიც კი მიაწეროს ლიდას, რათა მისი სახელი დაიცვას. როგორც ჩანს, ადამური მიჩვეულია ასეთ თაღლითობას. მაგალითად, მეორეჯერ იგი მოელესპარაკება ბრიგადირს, რომ სხვაგან მოტეხილი სიმინდი შემოაპაროს მის სტახანოვურ ნაკვეთზე და ამით ისეთი წარმოდგენა შექმნას, თითქოს პარტბიუროს მდივანმა ყველაზე უკეთესი მოსავალი მოიყვანა.

რომანში კარგად არის დახატული კოლეეურნეობის თავმჯდომარე ვერასიმე ფარფალი. იგი კოლეტივის ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანია სოფელში, ჯერ ბრიგადირად მუშობდა, შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს. გამოცდილი და მომზირნე თავმჯდომარის ხელში კოლმე-

ურნეობა შემოსავალს მილიონობით ითვლის. მაგრამ ამით გაამაყებული გერასიმე რჩეულს ალარავის ეკითხება, შეკამათებასა და საწინააღმდეგო აზრს ვერ ითმენს, ვინც მას არ დიმორჩილება, თავიდან იცილებს. ერთი სიტყვით, მის ხასიათში თავს იჩენს უარყოფითი თვისებები, რაც ზნირად აბრკოლებს და ხელს უშლის საერთო საქმეს.

მწერალმა რამდენიმე შტრიხით ოსტატურად დახატა გერასიმეს გარეგნული პორტრეტიც, რომელიც ცოცხლად წარმოიდგება მკითხველს. უეჭველად დაგამახსოვრდებათ, მაგალითად, ასეთი დეტალი: გერასიმეს თმაც ჯაგარივით მაგარი ჰქონდა და დალაქი რომ გაპარსავდა, მერე მთელი დღე სამარიტელის პირის აწყობას უნდებოდათ.

პარიკმახერი ხარიტონი რომაში ერთ-ერთი ბკაფიოდ გამოკვეთილი და ყველაზე კოლორიტული სახეა. იგი გამოირჩევა ხალასი იუმორით, მოხდენილი სიტყვა-პასუხით. ხარიტონს ბოლნენა უყვარს და არც ერთ სუფრას არ დააკლდება. სადალექოში მას ოდეკალონის ორი შუშა აქვს: ერთი—მაგიდაზე და ერთიც—უჯრაში. ორივეში ერთნაირი ოდეკალონი უსხია, მაგრამ ხარიტონი კლიენტს გულის მოსაგებად მანც უკრიდან ამოიღებს შუშას, — აქაო და, ასეთ განსაკუთრებულ პატივს მხოლოდ თქვენ გაცემთო.

ასეთი დეტალები რომაში უხვადაა, რაც ავტორის უნარსა და პროზაიკოსის მახეილ თვალზე მეტყველებს. მაგრამ ამავე დროს ნაწარმოებში ჯერ კიდევ ბევრი რამ მოითხოვს დახვეწას, სრულყოფას, მეტ მოტივირებას. უპირველეს ყოვლისა, მას აკლია სიუჟეტური სიმძაფრე და კომპოზიციური მთლიანობა. ცალკეულ თავებს შორის მოზრდილი ინტერვალები შეუსებელია და ავტორი თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰყვება რამდენიმე ამბავს. რომაში საკმაოდ მოვალინეიოვანი პერსონაჟები მოქმედებენ, მაგრამ ზოგი მთვანი მეტად ეპიზოდური და უფუნქციოა. ჯერჯერობით არ ჩანს მოტივი, თუ რატომ შემოჰყავს ისინი ავტორს.

ნაწარმოების ნაკლოვანებათაგან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ენობრივი და სტილისტური ხარვეზები, მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებთ საუბარი.

*
* *

სოხუმელი ახალგაზრდა პოეტების ლექსები, ისევე როგორც მათი თანატოლი ქართველი მწერლების შემოქმედება, გამთბარია კომუნისტური პარტიისადმი სიყვარულით, თავს დასტრიალებს დედა-სამშობლოს, მშობლიური ქვეყნის მოებსა და ველ-მინდვრებს, უმღერის მშვიდობასა და მეგობრობას, ადიდებს სიყვარულის უძლეველ ძალას. ერთი სიტყვით, ამ ლექსების უმრავლესობა იდეურად გამართული და მიწოდნების ღირსია. ხშირად მოძებნილია შესაბამისი პოეტური ფორმაც ამა თუ იმ თემისათვის.

ლეგენდა ძველი, ამბავი ძნელი
გაჰქრა სევდიან ნანინასავით,
როცა გაბრწყინება ვარსკვლავი კრემლის,
კაცობრიობის ბედის ვარსკვლავი,

ამბობს დ. გიგიბერია ლექსში „ჩვენი ვარსკვლავი“.

ახალგაზრდა პოეტების ოცეტა თავს ეკუნება კრემლის ვარსკვლავით გაბრწყინვებულ სამშობლო მხარეს. მამულისადმი სიყვარულის გრძნობა მოხდენილად აქვს გამოხატული ხ. გაგუას:

თუ არ შევდიმე ვარდებს ცვარიანს,
ისე ვით შევძლებ ვიმღერო ლაღად;
მე შენი ტრფობა არ მისწავლია,
იგი აკვნიდან სიცოცხლედ დამყვა,
ჩემო მამულო.

ამ სტრიქონებმა მღელვარე მკერდი
ქარიშხალივით შემომინგრია,
და როცა ლექსი დავიწყე შენთვის,
მე პოეტობა არც მიფიქრია,
ჩემო მამულო.

(„ჩემი სამოთხე“).

სამშობლოს ტრფობა ძმაფრად გამოსჭვივის აგრეთვე ახალგაზრდა პოეტის ლექსში „სიმღერის გარდა“, რომელიც მთელ მის წიგნში ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი შორეულად გვაგონებს ლ. ასათიანის ცნობილ სტრიქონებს: „ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გვუკეთებ მე საქართველოს“. მაგრამ ხ. გაგუას ლექსში დაძლეულია უბრალო გადამღერების საშიშროება, თუმა ახალი კეთილი ბოლო ამოუქმეულია. სიტყვასთან ქიდილით დაღლილ პოეტს აწუხებს და აღელვებს ფიქრი — იქნებ ამ წუთში „სიმღერის გარდა მე სხვა რამეში დედა-სამშობლოს უფრო ვჭირდებიო“.

აი, ჩინარმა გაიშრიალა,
მაღლა ქარი წვიალით;
იქნება ვიდგეთ — ქარი კი არა,
დედის კენესაა სიმძიმილი...

და პოეტს სურს იფხიზლოს, მიეშველოს ვისაც გამხნევება და დახმარება ესაჭიროება. ლოგიკური ლექსის დასკვნათ სტრიქონება: „სიმღერის გარდა მე სხვაც მაწვალებს, მე სხვაც მაღელვებს სიმღერის გარდა“.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის თემას. სოხუმში მომუშავე პოეტები ამ

თემას ამდიდრებენ ქართველ ხალხთან აფხაზების ისტორიული ძმობისა და მეგობრობის მოტივით, აფხაზეთის ბუნების, შესანიშნავი ადამიანების, ხალხური ადათების წარმოსახვით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. მირნელის „აფხაზური ლექსების“ ციკლი, რომელშიც დაძალეულია ყალბი დეკლარაციულობის საშიშროება და ნამდვილად ორგანულად არის განცდილი და გაჯერებული.

ამ ციკლის პირველ ლექსში პოეტი აგვიწერს ოდინდელ აფხაზურ ჩვეულებას, რომლის თანაზმად სუფრაზე უწინრეს ყოველისა ხალხის საღღვრძელო ისმება. ცნობილია, რომ აფხაზები შეუბღალავად იცავენ თავიანთ საუკეთესო ტრადიციებს და ეს ჩვეულებაც აფხაზურ სუფრას ყოველთვის ალამაზებს:

აფხაზს ჩვევა აქვს ძველი, ნამდვილი,
ენით არ თქმნის იმისი ფასი,
ვინც უნდა ჰყავდეს სტუმარი დიდი,
ხალხს აღღვრძელებს პირველი თასით.

ჰქონდეს ეს ჩვევა, — ხალხს ასე უნდა, —
საგოგმანებლად ხელიდან ხელში.
ალბათ მიტომ აქვს აფხაზურ სუფრას
ასეთი ეშხი,
ხალხური ეშხი.

მ. მირნელის ხსენებულ ციკლში ერთერთი საუკეთესოა „აფხაზი ჰაბუკის სიმღერა“. ამ ლექსში გამოხატულია გრძნობები აფხაზი ვაჟაკაცისა, რომელიც ჩვენი დროის მოწინავე ადამიანია და მისი განცდა საერთოდ საბჭოთა ახალგაზრდობის განწყობილებებს ეხმაურება:

შევხარი ზეცას მოწმენდილს — ვარსკვლავიანს და დარიანს,
წინ გზა გაშლილა ნათელი, — მიედევარ,
მიმიხარია,
მამულის ტრფობა დიადი ჩემი ფარი და
ხმალია.

„ქვეყნის წინაშე ბრალიც მაქვსო“, — ამბობს ჰაბუკი და იქვე განმარტავს, რომ ეს „ბრალი“ ცოლის შეურთველობაა. მაგრამ ვაჟს უკვე ოერჩეული თავის გულის ტოლი და შემოდგომაზე ქორწილის გაჩაღებას აპირებს:

დამლოცონ, ფუძე დალოცონ ჩემი მიწის და
სახლისა,
ნაჯახმა კაფოს ტეკრები, ბელტი აბრეშუს
სახნისმა,
სულ დარჩეული ბიჭები დაზარდოს დისახ-
ლისმა.

მეგობრობის თემაზეა დაწერილი დ. გიგებერიას „ნაცნობ გზებზე“ და „დედაქალაქის ქრონიკები“; მ. ჩაჩუას „მეგობრებთან“, „ერთ ძმობაზე“, „ორი ლექსი მეგობარს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. გიგებერია ლექსში „მტკვრის პირას თქმული“ აგვიწერს აფხაზ პოეტ ბაგრატ შინკუბასთან შეხვედრას მთაწმინდაზე:

მზის შუქი ჩაგვიდგა ორივეს თვალებში,
ბედს სწორედ მიტომ არ ვემდურნით —
მტკვარს ვუსმენთ და მის ლაღ ღელვაში
ჩაგვესმის,
მთებში რომ ვუგუნებს ენგური.
. . . . . .
ასე ერთიმეორეს აფხიოცას ჩონგური,
ჰანგისკენ არსებერს დავშრებით.
ასე მოდიოდნენ მხარდამხარ ლომგული
ჩვენთა წინაპართა ვაჟები.

„თვითონ საქართველო ისეთი ლექსია, წაკითხვაც მგონსობად გვეყოფთო“, — ასე ამთავრებს ლექსს პოეტი და ეს სტრიქონები უეჭველად დაამახსოვრდება მკითხველს.

როგორც დ. გიგებერიას, ისე ხ. გაგუას, მ. მირნელისა და მ. ჩაჩუას ლექსებში საკმაოდ გვხვდება ისეთი მოხდენილი პოეტური თქმები და შედარებები, როგორიცაა: „ისე მოვიდა შუაღამით წვიმა შხაპუნა, ცას თითქოს ვვიან გაახსენდა — უნდა ეწვიმა“, „ისე უერთდება ყანწებს ყანწები — ერთმანეთს რქებით გაეხვარნენ ჯიხვები თითქოს“ (ხ. გაგუა), „შორით ჩანან თოვლიანი მთები, მყინვარწვერი ჰგავს ჭალარა სახსა“, „შენ მოდიოდი თოვლიან გზაზე და ნაკვალევში სტოვებდი სითბოს“ (მ. ჩაჩუა), „ღარი არიგებს მთების მოტანილს და წისქვილს წყალი ყელზე ადგება“ (მ. მირნელი) და სხვ.

ზღვის პირას დაისის სურათი მოხდენილად არის დახატული მ. ჩაჩუას სულ ოთხსტრიქონიან ლექსში „ზღვა“:

ხან წარბშეკრული გაჰყურებს ხმელეთს,
ხან თვინიერი თვალებით უმზერს.
სიღამოისას გაიშვერს ხელებს
და ცას მზიანად მიეკრავს გულზე.

ამგვარი, ჭეშმარიტად პოეტური ხილვისა და განცდის ნიმუშები სარეცენზიო კრებულებიდან არაერთი შეიძლება დავასახელოთ.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების განწყობილება უმთავრესად ჯანსაღი და ოპტიმისტურია. კრებულები დაზღვეულია დაცემულობისა და უიმედობის გამოხატველი ლექსებისაგან. შეიძლება მივუთითოთ მხოლოდ ცალეულ იდეურ ნაკლზე ზოგიერთ ლექსში, რომლებიც კრებულია საერთო ტონს არ განსაზღვრავენ.

უპირველეს ყოვლისა, შეიძლება აღინიშნოს ერთი ნაკლოვანება, რომელიც საერთოდ ჩვენი ახალგაზრდა პოეტების სენია, მაგრამ განსა-

კუთრებით გეცემათ თვალში, როცა გადაიკითხავთ სოხუმში გამოცემულ ახალგაზრდა პოეტთა კრებულებს, კერძოდ — ხ. გაგუას „კვირტების ფეთქვას“ და დ. გიგიბერიას „ჩემ სოფელს“. ამ პოეტების ლექსებში ძალზე იშვიათია ქალაქის პეიზაჟი, ქალაქური ყოფის აქსესუარები. ისინი უმთავრესად სოფელზე წერენ. დამახასიათებელია ამ მხრივ ხ. გაგუას ლექსების სათაურები: „დაბრეწება **სოფელში**“, „ღელე“, „ღელის ნაპირს მიეყვები“, „ოდასთან სუნი ცხელი ლავაშის“ და ა. შ. დ. გიგიბერიას კი მთელი წიგნის სათაურადაც „ჩემი სოფელი“ შეერჩეია.

ცნობილია, რომ, საერთოდ, სოფელი უფრო უხვ საზრდოს აძლევს პოეტურ წარმოსახვას და მგოსნებიც ხშირად მიმართავენ მას. თავისთავად ამაში შეიძლება ცუდი არაფერი იყოს, მაგრამ ცუდია, როცა ამ ლექსებში ჭარბობს ათასჯერ თქმულისა და ნამღერის ხელახლა თქმა და გადამღერება, ერთი და იგივე იდილიური სურათები, ერთი და იგივე აქსესუარი: ღელე, წისქვილი, ჩმაღის სურნელი... და იქვე უეჭველად მოჩანს პოეტის ბავშვობა მოკლეშარვალანი ბიჭუნას სახით. ეს უკვე იმდენჯერ თქმა და განმეორდა ჩვენს პოეზიაში, რომ ბოლოს-დაბოლოს მოსაბეზრებელი გახდა.

ბუნებრივია ბავშვობის გახსენება ხანდაზმულობაში: თითქოს გემი უბრუნდება მყუდრო ნავთსადგურს ხანგრძლივი მოგზაურობიდან, — ცხოვრების ქარიშხლისა და ღელვათა შემდეგ ხსოვნა შემოინახავს მარილაც მნიშვნელოვან და სათუთ დეტალებს, რომელთა მოგონებაც ქვეტეტსტად გვაგრძნობინებს მთელ მდელვარე ცხოვრებას. მაგრამ წარამარა უკან რატომ უნდა იხედებოდეს ახალგაზრდა, რომელმაც მხოლოდ გუშინ გადმოაბიჯა ყრამბის ასაკს და ჯერჯერობით უკან არაფერი დაუტოვებია, ყველაფერი მხოლოდ წინ, მომავალში აქვს? ამ ასაკში წამდაუწუმ ბავშვობის გახსენება ან ნაყრაევი დალოსა და არაჯანსაღი განწყობილების ბრალია, ანდა პოეტური გაელენების შედეგი.

სამშობლოს სიყვარულის თემა მეტად გაუბრალოებულია მ. ჩაჩუას ლექსში „სამშობლო“, რომელიც ასე იწყება:

მე მყავდა ბაბუა,
რომელიც იტყოდა:
— ამ ბუხრის ნაცარი გერჩიოს სულზედაც...

თავი დავანებოთ იმას, რომ ქართველად ითქმის „გერჩიოს სულსაც“ („სულსაც მირჩევნია“) და „არა „სულზედაც“. ჩვეულეი ლექსს ბოლომდე:

დღეს ბაბუაჩემი
ცოცხალი არც არი.
მე ვზიავარ ბუხრისპირს, ნაკვერჩხლებს ვეფერ-
ეამბობ:
— სამშობლო ტკბილია სულზედაც.

ეს არის და ეს. გრჩებათ რაღაც უკმაყოფილების გრძნობა. ნუთუ პოეტმა ამის მეტი ვერაფერი მონახა სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად? მართალია, ამბობენ — სამშობლოს ნაცარიც მიყვარსო. აკი გრიბოედოვიც წერდა: „**и дым отечества нам сладок и приятен**“, მაგრამ ეს სულ სხვაა. ამგვარ გამოთქმაში ხაზგასმულია, რომ სამშობლოს კვამლიც კი ტკბილია, ე. ი. მშობლიური ყველაფერი საყვარელია. ახალგაზრდა პოეტმა კი სამშობლოს სიმბოლოდ მოისურვა დაესახა მხოლოდ ბუხარი და ნაცარი, უფრო ზორს კი ლექსი აღარ მიდის, აღარ ზოგადდება.

სარეცენზიო კრებულებში გვხვდება ლექსები სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე. ეს თავისთავად მოსაწონია, რომ ახალგაზრდა პოეტები რთულ ფილოსოფიურ თემებზეც წერენ. მაგრამ ცუდია, როცა ასეთი თემა გაუბრალოებული, გამარტივებულია, ზერელედ არის გადაწყვეტილი. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ხ. გაგუას „მზე და ზზეს ხომ ვეტრფოდით მედამ“, მ. ჩაჩუას „მე დღეს ვარ, მაგრამ შეიძლება ხვალ აღარ ვიქნე“, დ. გიგიბერიას „მაინც არ მჯერა“ და „ვართ მასპინძლები სოფლისა“.

მაგალითად, ამ უკანასკნელ ლექსში გამოთქმულია გაოცება: „მიკვირს, ქვეყანისთვის როგორ გაბედეს, ეწოდებინათ წუთისოფელი!“. ქართველ ხალხს ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული არასოდეს ჰკლებია და შეიძლება სწორად ამიტომაც უწოდებია ქვეყანისთვის **წუთისოფელი, საწუთრო** (გავიხსენოთ შოთა: „ვისაც გრძლად უჩანს, მისთვისაცა არის ერთი სა წამისა“). ამაევ დროს, ამ სიტყვებში არეკლილია ხალხის სარწმუნოებრივი შეხედულებაც. ყოველივე ამის გამო, რმალად* რომ ვთქვათ, უცნაურად ეღერს პოეტის ახრება: როგორ გაბედეს და ქვეყანას წუთისოფელი დაარქვეს!

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დ. გიგიბერია ამ მხრივ არც ორიგინალურია.

* * *

ჩვენს სოხუმელ ამხანაგებს შეიძლება ეუსაყვედურო აგრეთვე პოეტური ფორმისადმი ერთგვარი უყურადღებობის გამო, რისი შედეგიც არის ერთი მხრივ პრიმიტივიზმი, ხოლო მეორე მხრივ ლექსის დეფორმირება, არც თუ იშვიათად გვხვდება ბუნდოვანი ან გაცვეთილი შედარებები, ყრე რითმები, პროზაული გამოთქმები. ნაკლებად გბრძნობა ლტოლვა რიტმუ-

ლი მრავალფეროვნებისა და საკუთარი პოეტური ინტონაციის გამოძუშავებისაკენ. ამ მხრივ შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას იხდენენ მ. მირნელისა და ხ. გაგუს ლექსები. ერთგვარი ორიგინალობა დამახასიათებელია მ. ჩაჩუას ლექსებისათვისაც, მაგრამ სამწუხაროდ, ეს არის თვითმნაზური ორიგინალობა, რომელსაც ეწირება ლექსის ფორმა, რიტმი,— მუსიკალური მხარე. სანიმუშოდ მთელიანად მოვიყვანთ ერთ პატარა ლექსს — „პეტრე დიდის ქეგლთან თქმული“:

ეი აქ უნდა განერთხოსო გულაღმა მტერი,
ეი აქ უნდა გაშენდესო ქალაქი დიდი—
თქვა და... განერთხო,
თქვა და... გაშენდა.
ზის პეტრე დიდი
გაჭენებულ მერანზე მშვიდად
და ესღა უკვირს —
ამ ქვეყანაზე მასზე უფრო დიდის გაჩენა.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ასეთი სტრიქონები კი მ. ჩაჩუას ლექსთა კრებულში გამონაკლისი როდია. საკმარია უფრო მეტად ვიზრუნოთ პოეტური ფორმის დასახვეწად.

სარეცენზიო კრებულთა ავტორებმა, ისევე როგორც საერთოდ ყველა ახალგაზრდა პოეტმა, მეტი უნდა იმუშაონ აგრეთვე ენის სიწმინდისა და სიზუსტისათვის, ენობრივ საშუალებათა უფრო სრულყოფილად და ზუსტად გამოყენებისათვის.

უხერხულადაც კი მიგვაჩნია, რომ მწერალს,— თუნდაც ახალგაზრდას, — მიეუფთოთო, რომ უნდა ითქვას „ბამბაია ძალია“ და არა „ბუმბერა ძალია“—„ბულაჩუკებით“ და არა „ბულაყურებით“. ქართული არ არის ასეთი გამოთქმები: „მიწას ბუერნიდნენ რქებით უხეშით“, „შეეფუებიან ჩიტები ზვინებს“, „ყველგან, ყველასთან ვვეიდნი დგება ახალი წელი“, „მე ჩემს ჩიტაყეი“ და სხვ. სტილისტურად უხერხულია: „აღგნენ ტალღები, ვით სამრაფდ აშლილი ხალხი“, „ვიღერია ცრემლთა მორეები“, „წყალზე მალამო გაპკურა ლბილი“ და სხვ.

ჩვენ ამგვარ შეცდომებზე დაწერილებით არაფერს ვამბობთ, რადგან ამ მხრივ მარტო სოხუმელი ამხანაგები არ სცოდავენ და უსამართლობა იქნებოდა მთავარი ცეცხლი მათ წინააღმდეგ მიგვემართა, როცა ანალოგიური შეცდომები ზოგიერთი ჩვენს ცნობილ მწერალსაც არაიშვიათად მოეპოვება. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენიმე სპეციფიკურ ნაკლოვანებაზე, რომელიც ზემოთ განხილული ყველა წიგნისათვის არის მეტნაკლებად დამახასიათებელი. სახელდობრ, ახალგაზრდა მწერლები ხშირად არასწორად ხმარობენ ზოგიერთ ზმნისწინს, უარყოფით ნაწილაკსა და ნაცვალსახელებ-ში, ამის ზოგი ნიმუშია: „ეგ საყვედურნი შენსაც ნერც **მივა**“ — წერს დ. გიგიბერია. ცხადია, უნდა იყოს: შენთან ნერც **მოვა**. „**მე გადვიბრალე** შენსაკენ ანკესი“ (ხ. გაგუა), — უნდა-იყოს: **გადმოვიბრალე**. უნდა იყოს „ბილიკს **გამოვეკ** შენსაკენ“ და არა „ბილიკს **გავეკ** შენსაკენ“ (იქვე), „შენკენ გამოფრენის“ და არა „შენკენ გაფრენის“ (მ. მირნელი). „გამომწყდა“ და არა „გამოწყდა“ (დ. გიგიბერია). „იქნებაც სჯობდა მისი დაკარგვა, ჩემთვის თუ არა, მაგისთვის მაინც“ (ხ. გაგუა). — „მაგისთვის“ მესამე პირზე არ ითქმის, უნდა იყოს „მისთვის“. „შენკენ მოვქრი მხოლოდ, — იქ ღამა-მშვიდი“ (მ. მირნელი)—პოეტს უნდოდა ეთქვა **მანდ** არის მშვიდი ღამეო.

არ, ვერ და **ნუ** უარყოფის გადმომცემი ნაწილაკების მაგიერ ჩვენს ავტორებს ხშირად ნახმარი აქვთ **ალარ, ველარ** და **ნულარ,** მაგალითად: „და თუ სიეოცხლე მძაფრად მწყურია, მე ხომ უშენოდ **ველარ** ავიტანო“, „დედი, მეზობლებში ჯერ ხმას **ნულარ** დასძრავ“ (ხ. გაგუა), „სანამ მოვმეს შემოუვლიდე, მთის ეშხით **ნულარ** დადნები“, „მიყვარხარ-მეთქი, რომ არ ეთქვა, ვითომ ამ ღიმილითაც **ალარ** მეტყობაზ?“ (დ. გიგიბერია) და სხვ;

ყველა ამ შეცდომის წარმოშობის საფუძველი მეგრულ მეტყველებაშია, სადაც შესაბამისი ფორმები არ განირჩევიან. ახალგაზრდა მწერლებს კი ეს კონსტრუქცია პირდაპირ გადმოაქვთ ქართულ სალიტერატურო ენაში.

მეგრულიდან არის აგრეთვე გადმოტანილი ზოგიერთი ფრაზაც. მაგალითად, ზ. ნაყოფიას „პირველ სიყვარულში“ გვხვდება ასეთი გამოთქმა: „ეკეცებზე ხაჭაპურები იწეოდა“. ქართულად ხაჭაპურზე **შემწვარი** კი არა, **გამომცხვარი** ითქმის.

ჩვენმა მწერლებმა ქართულ სალიტერატურო ენას დიალექტებიდან და ძოძმე ენებიდან უნდა შესძინონ როგორც ცალკეული სიტყვები, ისე იდიომები და მოსწრებული თქმები. მაგრამ ეს უნდა მოხდეს სალიტერატურო ენის ბუნების შესაბამისად. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დაკვირვება და სიფრთხილის გამოჩენა არის საჭირო.

როგორც ვხედავთ, სოხუმელ ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება მრავალ საკითხზე დაფიქრებისა და მსჯელობის საფუძველს იძლევა. ერთ წერილში ყველა ამ საკითხზე შეჩერება შეუძლებელიც იყო. ჩვენ გვსურდა მხოლოდ ყურადღება მოგვექცია ამ მწერლებისათვის, აღგვენიშნა მათი ღირსებები და მეგობრული შენიშვნები გაგვეკეთებინა მათი შემოქმედების ზოგიერთი მხარეზე. ვფიქრობთ, ეს დაეხმარება მათ შემდგომ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯანბერიძე

თბილისის ხუროთმოძღვრება

საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თბილისის არქიტექტურულ-მხატვრული სახე. თავისი რთული და საინტერესო ისტორიის მანძილზე თბილისი მცირე დასახლებიდან თანამედროვე კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა.

თბილისს, ისევე როგორც ყველა ხანდაზმულ ქალაქს, აქვს ისტორიული ძეგლებითა და ნაგებობებით, ეიწრო ქუჩებითა და მოედნებით მდიდარი „ძველი ქალაქი" და ახალი ცენტრი, თანამედროვე ქალაქთმშენებლობით პრინციპებზე გაშენებული, ფართო მაგისტრალებითა და მრავალსართულიანი შენობებით.

ეს ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ნაწილი ქალაქისა განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ბამბაციოის მთიდან, როცა ზეციდან დაპყურებთ ქალაქს. აქედან მოჩანს ძველი ქალაქის სახლეები, ძველი თბილისის არქიტექტურის ერთ-ერთი სპეციფიური თავისებურება: რთულ რელიეფზე გაფანტულ საცხოვრებელ სახლებს შორის საკულტო ნაგებობათა ვერტიკალების კონტრასტები. ნარიყალათი და მეტეხით აქცენტირებული ეს ძველი ქალაქი, სწორედ ამ მხატვრული კონტრასტით, აქა-იქ ჩაკიდებული ვერტიკალებით, მზეზე მოლაპლაპე გუმბათის ყელთა სახეობრივებით, წარეულნელ შთამეშნილებას ტოვებს და მეტად თავისებურ, ერთიან, შეკრულ არქიტექტურულ კომპოზიციას ქმნის.

ძველი თბილისის არქიტექტურის შესწავლისათვის ყველაზე ძველ დოკუმენტს, რომელიც დღეისათვის შემორჩენილია და რომელიც იძლევა თბილისის ეროვნულულ გამოსახულებას, წარმოადგენს XVII—საუკ. 70-იანი წლების თბილისის ჩანახატი, შესრულებული ფრანგი შარდენის მიერ, რომელმაც თბილისში 1672-73 წლებში იმოგზაურა. თუ როგორ გამოიყურებოდა თბილისი მანამდე, შეიძლება დადგინდეს ისტორიული მასალებით, მაგრამ ზერელედ, რადგან არქიტექტურულ-გეგმარებითი საკითხები მათი მიხედვით ძნელი წარმოსადგენია.

VI—XVIII საუკუნეების თბილისი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი ციხეს, ხოლო მეორე საკუთრივ ქალაქს ეკავა.

ქალაქის ძირითად უბანს „ციხის" ან „სასახლის" უბანი წარმოადგენდა, რომელიც ფეოდალური და ქალაქის არისტოკრატიისათვის იყო განსაზღვრული, ხოლო მეორე უბანს ვაჭარ-ხელოსანთა რაიონი ქმნიდა. ბუნებრივია, თბილისი ხასიათდებოდა ქალაქის ცხოვრებისათვის ისეთი აუცილებელი ატრიბუტებით, როგორიცაა ბაზრები და მოედნები, რომლებიც მის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ქალაქის არქიტექტურულ სახეს ბევრად განსაზღვრავდა საცხოვრებელი სახლები, ეკრეთვე ფუნდუკები (ქარავანსები) და ქულბაქები (დუქნები).

შარდენის ნახატზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი გვაძლევს წარმოდგენას ქალაქის იმდროინდელ ფარგლებსა თუ ძირითად ნაწილებზე, ისევე როგორც ქრონოლოგიურად მის მომდევნო ტურნეფორის ნახატში, ბევრი ჩენთვის საინტერესო საკითხი ღიადაა დატოვებული.

ყველაზე საინტერესო და სანდო ისტორიულ სახეთს წარმოდგენს ვახუშტის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა, რომელიც XVIII საუკუნის 30-იანი წლების ქალაქის სახეს გვიჩვენებს. ეს რუკა თბილისის ვახუშტისეულსავე აღწერასთან ერთად კარგად გვიჩვენებს იმდროინდელი ქალაქის საზღვრებს, რაიონებსა და ქალაქის განვითარებას.

ვახუშტი ქალაქს სამ ძირითად ნაწილად ყოფს. „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი —

ტფილისი, კალა და ისნი: ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ტფილისს — ჩრდილოეთ და ისნს — დასავლეთ და სამხრეთ“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, გვ. 52).

ქალაქის უმთავრეს ნაწილს კალა წარმოადგენს, სადაც მეფისა თუ პატრონშვილის სასახლეებია, აქ არის ქარავსლები, მთავრები მოედნები, ეკლესიები, კოლეძრალი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობანი.

გალავანი, რომელიც სამხრეთიდან საზღვრავდა კალას, იწყებოდა ციხის ნანგრევებთან, რომელიც დღესაც შემორჩენილია და მისდევდა სალალაკის ქედს (კომკავშირის ხეივნის გასწვრივ). გალავანი მთავრდებოდა ციხით (მის ტატტი), რომლის შემდეგ იგი ქვევითაკენ უხვევდა და ჩრდილოეთისაკენ ჩადიოდა შ. დადიანისა და პუშკინის ქუჩით დიდმის კარისაკენ, რომელიც ბარათაშვილის ქუჩის კუთხესთან იყო. ამის შემდეგ ბარათაშვილის ხიდთან გალავანი ისევ სამხრეთისაკენ ბრუნდებოდა და მტკვის პარალელურად თათრის მოედანთან (მაშინ ციხის მოედანი) უერთდებოდა გალავანის მეოთხე კედელს, რომელიც მდ. დაბახანის გასწვრივ, ბოტანიკური ბაღისაკენ მიმავალი ქუჩით მიემართებოდა.

კალა აერთიანებდა იმდროინდელი ქალაქის უმთავრეს რაიონებს. სიონისა და ანჩისხატის შემაერთებელი ქუჩა ქმნიდა ქალაქის ერთერთ უმთავრეს მაგისტრალს — მეფის მოედანს (აწკამად ერეკლეს მოედანი). მოედანს წესიერი სწორკუთხა ფორმა ჰქონდა (მის ფართობზე წარმოდგენილ ვეკალევეს შარდენის ცნობა, რომელიც ამბობს, რომ მასზე 1.000 ცხენისანი დაეტბოდაო). ამ მოედანზეა მეფის სასახლეც.

ქალაქის მეორე ძირითადი შემადგენელი ნაწილი სეიდაბადია, რომელსაც კალას სამხრეთ-აღმოსავლეთით ახლანდელი ახაბრების და ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორია ეკავა. მტკვარის გასწვრივ ბაღები იყო გაშენებული, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავანი იყო შემოფარგული (ეს გალავანი ახლანდელ ბოგალოს ახაბნოს მიდამოებში გადიოდა). ამრიგად, სეიდაბადი მოქცეული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მტკვარს, ხოლო მის მოპირდაპირე მხრიდან თამრის კლიტეს შორის. ამ რაიონში „დის ცხელი წყალი კლდიდან და არს ახაბნოები“.

ისნი ქალაქის მესამე ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც მტკვარზე გადებული ერთადერთი ხიდით უკავშირდებოდა მეორე ნაპირს და მის არქიტექტურულ აქცენტს მეტეხის ტაძარი ჰქმნიდა.

ეს არის ის სამი ნაწილი, რომლებიც ვახუშტის ძირითადად აქვს წარმოდგენილი. ამასთან გარდა ამ ძირითადი ნაწილებისა, ვახუშტის გეგმაზე ნაჩვენებია ამ ნაწილებთან მდებარე ტერიტორიები, რომლებიც უკვე დასახლებულ უბნებს წარმოადგენდა. ამ უბნებში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია აღნიშნული, უმთავრესი ამ უბნთაგანი ე. წ. „გარეთუბანია“, რომელიც ქალაქის ზრდის მიმართულებით მტკვრის აღმა, ჩრდილოეთისაკენ მიმართებოდა და რომლის ტერიტორია გადაეპიფული იყო, ერთის მხრივ, მტკვარსა და მთაწმინდას, ხოლო, მეორეს მხრივ, — კალსა და „ისპარეზს“ (აწკამად კომუნარების ბაღი) შორის, ამ ტერატორიაზე, რომელიც უკვე მეჩიროდა განაშენიანებული საცხოვრებელი სახლებით, ვახუშტის მითითებული აქვს სხვადასხვა სასახლეები, ეკლესიები თუ სხვა ნაგებობანი.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ისნის ჩრდილოეთით არის უბანი ჩუღურეთი, რომელსაც დღეკანდელი მარქსისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის მდებარე მონაკვეთი ეკავა.

ვახუშტის გეგმა გვიჩვენებს ქალაქის ერთ, შემდგომში მნიშვნელოვან უბანს. ეს — კალს დასავლეთით, სოლოლაკის უბანია, რომლისკენაც მიემართება გზა, დღეკანდელი ენგელსის ქუჩის მიყოლებით მიმავალი.

ვახუშტისეულ გეგმაზე ნაჩვენებია აგრეთვე ბაღები, რომლებიც გარს ერტყმის ქალაქს, და შემდგომში მისი ზრდისა და გადაპროფილის ადგილებს წარმოადგენს. „გარემო ქალაქისა წალკოტები და სავარდნი მრავალნი, ყოველს ხილითა და ყვავილითა და ნადირითა“...

თუ როგორი იყო თვით შენობები, მათი არქიტექტურა, მოგზაურთა ჩანაწერებიდანაც ჩანს, რაც უბრალოდ ყოველსა, ხაზს უსვამს იმ დიფერენციაციას შენობათა შორის, რომელსაც მათი მფლობელების სოციალური მდგომარეობა განსაზღვრავდა. თუ საცხოვრებელი შენობების ძირითად მასას „ქვაღარახითა და გალესილი ბაჯიან“ ნაგები შენობები და ერთსართულიანი ბანიანი სახლები წარმოადგენდა, რომლებიც არასოლიდური და ნაჩქარევად აგებული იყო, მეფის სასახლე იყო „შვენიერი, მთლად სარკით და მოოქროვილი, დიდმხატვრულობით, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლით“. ასევეა მდიდარ მოჭალაქეთა „დარბაზები“, ქარავსლები, ბანიები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი თბილისი. არაერთი დარბევისა და ხელიდან ხელში გადასვლის გამო როდი ეფრქვოდა ადრინდელ, ეთქვათ XII—XIII საუკუნეების თბილისს. გარდა მოსახლეობის რიცხვის შემცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა, შემცირდა თვით ტერიტორიაც. თუ, ვთქვათ, ეახუჩისეულ გეგმაზე ქვაშეთი ან ლეონიანი მონასტერი ქალაქგარეთ მდებარეობდა, თამარის დროს ქალაქის ტერიტორიაში ხვდებოდა. ეახუჩის შემდეგ, საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ქალაქი ინარჩუნებდა თავის ძველს სახეს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ XVII ს. ბოლოს ქალაქის ტერიტორია 250 ჰექტარს უდრიდა. შედარებისათვის გავიხსენოთ: იმავად პოტანიკურ ბაღს 50 ჰა უკავია, ხოლო ვაკის პარკს — 120 ჰექტარი.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან იშლება ფეოდალური ქალაქის ზღუდეები. ფართოვდება საზღვრები, ჩნდება ახალი უბნები. ასეთია კალოუბანი (გარეუბანი), რომელსაც დღევანდელი პიონერთა სასახლის, საჯარო ბიბლიოთეკისა და კომუნარების ბაღის ტერიტორია ეკავა, ეს უბანი გაგდა არისტოკრატიის საცხოვრებელი ადგილი. ამიტომ იგი შედარებით მეტად კეთილმოწყობილი იყო. ამ უბანში მდებარე აგურის პრიმიტიული ქარხნები 1821 წელს გადაიტანეს მოსკოვის ხეივის (ამჟამად მოსკოვის ქუჩა) მიდამოებში და მათ ადგილას შეიქმნა მოედანი, რომლის ერთ ნაწილზე 1895 წელს გაიხსნა ქალაქის ბაღი.

უკვე სისტემატური განაშენიანება იწყო გოლოვინის (ტუსთაველის) პროსპექტმა.

ფართოვდებოდა თბილისის ძველი ტერიტორიაც. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს მიემატა სოფელი ბარფეხინი. 50-იან წლებში მტკვრის პარალელურად, ორთაჭალის მიმართულებით გაიქმნა ახალი ქუჩა, რომელიც სეიდაბადის ბაღებზე გადადიოდა. ამ ქუჩამ სწრაფი განაშენიანება იწყო.

1824 წელს ქალაქის მარცხენა მხარეს ოფიციალურად შეუერთდა კუკია და ჩუღურეთი, ხოლო 1853 წელს გახსნილმა ხიდმა (ამჟამად მარქსის სახელობისა) ეს ორი სოფელი მჭიდროდ დაუკავშირა ქალაქის ცენტრალურ რაიონებს.

60-იანი წლებიდან ქალაქის გაშენება გრძელდება დღევანდელი პლეხანოვის პროსპექტის, აგრეთვე კლარა ცეტკინისა და საბჭოს ქუჩის მიდამოებში.

70-იანი წლების დასაწყისში ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გახსნამ, ბუნებრივია, ხელი შეუწყო ქალაქის ზრდას სადგურისაკენ. ხოლო ვერის ხიდის აშენებამ (1884 წ.) და ვერის დიდმართისა და კირკოს ქუჩის გაშენებამ განსაკუთრებულად შეამჭიდროვა ქალაქის მტკვრის ორივე ნაპირას მდებარე ნაწილები და ამავე დროს ყველი პირობა შექმნა ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტის მიდამოების ინტენსიურად განაშენიანებისათვის.

მალე ქალაქის ტერიტორია რკინიგზის სადგურის იქითაც გადავიდა, რაც გამოწვეული იყო აქ დაარსებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებით (1883 წ.). ასე შეიქმნა ქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ნამალადევი (ოქტომბრის ქუჩა) ეწოდა.

XIX საუკუნეში ქალაქი უკვე გარკვეული გეგმის მიხედვით განაგრძობდა ზრდას. შეიქმნა ორი ძირითადი მაგისტრალი ქალაქის ორივე მხარეს და ცენტრმა სწორედ მთავენ გადმოინაცვლა.

გოლოვინის პროსპექტის შექმნა სავსებით კანონზომიერი იყო ქალაქის განვითარებისათვის, რადგან აქ იწყებოდა დარიალის ხეობით რუსეთში მიმავალი ერთადერთი გზა, რომელმაც ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა მიიღო. ქალაქის ეს უბანი (გარეუბანი) განსაკუთრებით ინტენსიურად XIX-საუკ. 30-იანი წლებიდან შენდება. იგი გაგდა ქალაქის არისტოკრატიის საცხოვრებელი ადგილი, გაშენდა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი.

ქალაქის მეორე ძირითადი მაგისტრალი, რომელიც აგრეთვე მტკვრის პარალელურად მიემართება, პლეხანოვის პროსპექტია, რომელიც 40-იანი წლებისთვის უკვე გზატკეცილად იქცა. ორივე მხარეს დაირივა ალეის ხეები, დაიგო ტროტუარი — ე. ი. ქუჩა ნამდვილ ქალაქური მაგისტრალად წარმოადგენდა.

XIX საუკუნეში ქალაქის ზრდა წინასწარ დაგეგმილ უბნებში წარმოებს. ქუჩები შენდება შემუშავებული პროექტით. ჩნდება სწორი, ერთმანეთის პარალელური თუ პერპენდიკულარული ქუჩები. იწყება კომუნალური კეთილმოწყობა, თუმცა ჯერ კიდევ ელიმენტარული.

მაგრამ, მიუხედავად ამ წინგადადგმული ნაბიჯისა, ქალაქის შენებლობას მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, რადგან ერთიანი გეგმა არ არსებობდა. უფრო სწორად, არ არსებობდა ქალაქის განვითარების ხუროთმოძღვრული იდეა. ამიტომ ქალაქის მაშინდელმა ზრდამ არ მოგვცა მხატვრულად სანატერესო არქიტექტურული ანსამბლები.

XIX საუკუნეში ოფიციალური შენებლობა მიდის იმავე გზით, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში. არქიტექტურის განმსაზღვრელ სტილისტურ ნიშნებს ქმნის „ბ. წ. რუსული კლასიციზმი.

მაგრამ თუ ოფიციალურ შენებლობაში რუსეთიდან გადმონერგილმა არქიტექტურულმა სტილმა „რუსულმა კლასიციზმმა" თითქმის მთლიანად შთანთქა ადგილობრივი ეროვნული

ტრადიციები, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში ადგილი ჰქონდა მის ჰარმონიულ სინთეზს ადგილობრივ, საუკუნეების განმავლობაში შექმნილ ტრადიციებთან. ადგილობრივ შემუშავებული ფუნქციური გადაწყვეტა საცხოვრებელი სახლისა, ფართო განიერი აივნებითა თუ ტერასებით, ორგანულ კავშირს პოულობს კლასიკური, ორდერული არქიტექტურის ცალკეულ დამახასიათებელ ფორმებთან და ელემენტებთან.

XIX საუკ. დასაწყისში, დაახლოებით 30-იან წლებამდეკ. განსაკუთრებით იგრძნობა ჯერ კიდევ ძველი ტიპის საცხოვრებელი სახლების უპირატესი არსებობა. ხოლო ოცდაათიანი წლებიდან კი საბოლოოდ მუშავდება საცხოვრებელი სახლის ტიპი, რომელშიც კლასიციზმის ელემენტები ორგანულად უკავშირდება ადგილობრივს.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში, რუსი მოგზაურის ცნობით, „თბილისი არა მარტო თავისი გარეგნობით, არამედ ცხოვრების ხასიათითაც, ეკუთვნოდა თვითმყოფადი აზიური ტიპის ქალაქებს, თუ არ ჩავთვლით ახალი მშენებლობის რამდენიმე სახლს“ და მხოლოდ ორმოციან წლებში „ევროპულ“ ყაიდაზე აშენებული სახლებით თავის ორიგინალურ პირველად სახეს კარგავს“.

საცხოვრებელი სახლის ახალი, „თბილისური“ ტიპის გაჩენისმე, ქალაქი მოფენილი იყო დაბალი, ერთსართულიანი სახლებით, რომელთაც მიწით გაკეტილნი, ბრტყელი სახურავი ჰქონდათ. ეს ბანაანი სახლები რელიეფის გამო იარუსებად იყო გადაქმიფული ისე, რომ ქვედა სახლების სახურავი ზედასათვის ეზოს წარმოადგენდა.

ასეთი ბანაანი სახლების არსებობა თბილისში აღნიშნულია ჯერ კიდევ XVII საუკუნეში.

გარდა სახლებისა, რომელთაც სარქმლები ჩვეულებრივ კედლებში ჰქონდა, იყო სახლები სარქმლით ჭერში და სწორედ ასეთი „დარბაზული“ ტიპის სახლები უნდა ყოფილიყო ძირითადად გავრცელებული.

გარდა ბანაანი და დარბაზული სახლებისა, ქალაქში იყო ერთ-ორსართულიანი ბეგრით ნაშენი სახლები, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული სახის შექმნაში.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული საცხოვრებელი სახლი საგრძნობ ეეოლუციას განიცდის. ოცდაათიანი წლებიდან საბოლოოდ მკვიდრდება „თბილისური“ საცხოვრებელი სახლის ტიპი.

საცხოვრებელ სახლს მარტივი გეგმა აქვს. ყველაზე გავრცელებულ ტიპს ოთახთა ანფილადურად განლაგებული გეგმა წარმოადგენს. კიბეები შენობას გარედან ედგმის, ან ... შესასვლელი ეწყობა აივნიდან. ღია აივნები თუ შუშაბანდები სახლის აუცილებელი ერთერთი უმთავრესი კომპონენტი ხდება. მათი ფართობი ზშირად ოთახების ფართობსაც უთანხლოდ. აივნები და ტერასები, რომლებიც ღია გადასასვლელებს ქმნის, შენობის გეგმას კომპაქტურს ხდის და ამავე დროს ფასადს გარკვეულ ცხოველსაცქერთას ანიჭებს.

ამ ტიპის ჩამოყალიბებისას დიდ როლს ასრულებს ორდერული საწყისები, რომლებიც განსაზღვრავს ნაგებობის მასშტაბს. ფასადის არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტაში ძირითად აქცენტს აივნები სკამს. დიდი გემოვნებით და მკაფიო ნახატით შედგენილი ხის მოხარატებული მოაჯირები, სვეტისთავები და აივნის კარნიზები აძლიერებს ყურადღებას. შუშაბანდებში ზშირად სხვადასხვა ფერის მინას ხმარობენ, რასაც ფერადოვნება შეაქვს ფასადის არქიტექტურაში.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლებიდან ქალაქის ბურჟუაზია ფეშენებელურ სახლებს აშენებს, საცხოვრებელი სახლები მეტად ინდივიდუალურ ნაშენებს იძენს. გეგმები თითქმის ყოველ შემთხვევაში თავისებურად წყდება. თუ ფწინ ქუჩის აივანი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო საცხოვრებლისა, ახლა იგი ამ ფნშენებლობის კარგავს. აივნები კეთდება ღია. რკინისა; ხის ელემენტი სრულიად განდევნილია. ძველი აივნის დანაშნულება თავის ადგილს პოულობს ეზოს ბნარეს, სადაც უმეტეს წილად შუშაბანდები კეთდება. დიდი ყურადღება ექცევა სადარბაზო შესასვლელებს, ვესტიბიულებს, მათ შიდა მოპირკეთებას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეკლექტიზმის ტალღა თბილისურ საცხოვრებელ სახლსაც შეეხო. თანდათანობით მატყლობს შენობები, რომლებიც სხვადასხვა „სტილის“ ნიშნებს ატარებს. 50-იანი წლებიდან შენობათა არქიტექტურაში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება გოთური ფორმებისა და ელემენტების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის არქიტექტურაში თანდათან შემოჭრილი ეკლექტიზმი საგრძნობლად მოეფინ საცხოვრებელ სახლს, შენობის გეგმა დიდხანს ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ სახეს.

ამრიგად თბილისური საცხოვრებელი სახლი XIX საუკუნის მანძილზე განეთარების რთულ გზას გადის, მაგრამ ძირითადად იგი მაინც ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ ტრადიციულ ელემენტებს, რომლებიც ოცდაათიან — ორმოციან წლებში სავსებით ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ახლები მეტად კოლორიტული ძველი თბილისისათვის და ახლაც, პიუზედადად მრავალი გადაკეთებისა (გადაუკეთებლად თითქმის არცერთი სახლი არ შემორჩენილა), დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

XIX საუკ. 60-ანი წლებიდან თბილისის არქიტექტურა თანდათან კარგავს ეროვნულ ტრადიციებთან კავშირს და მიპყვება ეკლექტიზმის ტალღას. აშენებენ ცრუ-რენესანსულ (პიოლეთა სასახლე, 1865 წ.) ცრუ-გოთურ (ბიზეელის საავადმყოფო, 1865), ცრუ-ბაროკულ (ოპერის თეატრი, 1896, ქალაქის საბჭოს შენობა), ფსევდო-რუსულ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1902 — 1905 წ.) სახლებს. საუკუნის ბოლოს თბილისსაც, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა დიდ ქალაქს, „მოდერნი" მოეკო (ფინანსთა სამინისტრო, მარკაანიშვილის თეატრი).

ამრიგად ქალაქის არქიტექტურაში სტილისტურ სიჭრელეს ვხედავთ. თბილისის არქიტექტურა იმ დროისათვის გაორების კვალს ატარებდა და ეს გაორება ყოფაცხოვრებიდან გამომდინარეობდა.

ევროპა და აზია თბილისში — იმდროინდელ მოგზაურთა ერთერთი ყველაზე სასიტყვისო თემა იყო. ყოფის ევროპიზაცია ძველ წესებსა და ჩვეულებებს ეფარებოდა და ეს თავის გამოხატულებას არქიტექტურაშიც პოულობდა.

ქალაქის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს რელიეფი. **განსაკუთრებით მომგებიანია მთაწმინდიან** დაგირგვინებული და აშფოთატად გადაშლილი ნაწილი ქალაქისა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ქალაქის საერთო არქიტექტურულ-მხატვრულ სახეში თავისი წამყვანი როლი დაიკავა შამადაევთის მთამ, როდესაც ფუნქციონალური იქნა გაყვანილი. მთა ჩაება ქალაქის ცხოვრებაში და მარტო ფონს აღარ ქმნიდა. ფუნქციონალურმა ზედა სადგურთან დომინანტის მნიშვნელობა მიიღო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გარეთულნის გაშენების დროს უკვე აღარ იცავდნენ „ძველი ქალაქის" სილუეტის ყველაზე სპეციფიკურ მხარეს: ვერტიკალურად მაღალ ატყორცნილი, მაგრამ დაბალი საცხოვრებელი სახლების მხატვრულ კონტრასტს. ეს გასაგებიც იყო, რადგან შეიცვალა შენობათა ბასოლუტური ზომები, რაც ძველებური მასშტაბის დაცვის შესაძლებლობას აღარ იძლეოდა.

ქალაქმა გეგმაზომიერი განვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. პირველსავე დღეებიდან ტარდება მუშათა თბილისის კეთილმოწყობისა და ეკონომიკურ-ტექნიკის საკითხებზე.

ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე. წ. შუაბაზრის (ლენინის ქ.) რეკონსტრუქციას, რამაც შუასაუკუნეობრივი ვიწრო ქუჩა თანამედროვე ქალაქისათვის მეტად საჭირო მაგისტრალად გადაქცია. ითითა ძველი ქალაქი ახალ რაიონებს დაუკავშირა.

დიდი მუშაობა ჩატარდა ეუნონ ელემენტარულ კეთილმოწყობას მოკლებულ შუშათა რაიონებში (ფაგ. ნანალადეები). საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ქალაქი უმთავრესად ვითარდება დასავლეთისაკენ— ვაკისაკენ, რომელიც თანდათან ქალაქის ერთერთ ინიშნებელოვან რაიონად იქცა.

1934 წელს შედგა ქალაქის განვითარების გენერალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის მაგისტრალებისა და ქუჩების უკვე შექმნილ სისტემას და მის შემდგომ ზრდა-განვითარებას.

მოკლე ხანში ჩატარდა დიდმნიშვნელოვანი **სარეკონსტრუქციო** სამუშაოები. გაფართოდა მრავალი ქუჩა და მოედანი.

მტკვრის სანაპიროთა გაყვანა-კეთილმოწყობამ დიდად შეუწყო ხელი სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და სრულიად შეცვალა ქალაქის გარეგნული სახე.

საქართველოს სამხედრო **გზის დასაწყისში** შეიქმნა ახალი მოედანი, აშენდა ჩელუსკინელთა სახელობის ხიდი და ახლად გაჭრილი ქუჩით დაუკავშირდა ამ მოედანს. პატარა ძველი მოედნის ნაცვლად შეიქმნა ლენინის სახელობის ფართო მოედანი. გაფართოვდა რუსთაველის პროსპექტის დასაწყისი, ბარათაშვილისა და ელბაქიძის აღმართები, ვაჟნაღის მოედანი, ჭავჭავაძის პროსპექტი - ვაკეში, სახ-ბჭოს ქუჩა ნაძალადევში, შაუმიანის ქუჩა აეროპორტში და სხვ.

მთაწმინდის პუტოზე დიდი პარკი გაშენდა, დაიწყო მთაწმინდის ფერდობის გაწმენდა. დიდი ყურადღება მიექცა ქალაქში მწვანე მასივის შექმნას.

თბილისმა მიიღო სასეანთ ჩამოყალიბებული ქალაქთმშენებლობითი საწყისები. რომლებიც ჩასახული იყო ჯერ კიდევ XIX-საუკუნეში, მაგრამ თავისი განვითარება ვერ ერ ჰპოვა: მტკვრის ორივე ნაპირის მიმწუდველი ქალაქი მხოლოდ მის სიგრძივ მიმართულებით უნდა გაშენებულიყო და ამ სიგრძეზე გაეჭიმეთ ქალაქში ცენტრს რაიმე ერთი მოედანი კი არ ქმნიდა, არამედ ორი პარალელური მაგისტრალი მტკვრის ორივე მხარეს. ამათგან წამყვანი როლი რუსთაველის პროსპექტს ენიჭებოდა, რომელიც გაშენებულია ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი, საადმინისტრაციო-საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები.

ერთმანეთთან ძველი თუ ახლად შექმნილი ქუჩების, მოედნებისა და ხიდების საშუალებით დაკავშირებული ეს ორი მაგისტრალი, მიმდინარე ქუჩებისა და კვარტალების რთული სისტემით ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა.

მშენებლობამ ფართო მასშტაბი მიიღო ომისშემდგომ პერიოდში, როდესაც ქალაქს მრავალი ახალი მაგისტრალი თუ ნაგებობა შეემატა. ინტენსიურად შენდება ვაკე და საბურთალო. შეიქმნა შესანიშნავი პარკი ვაკეში, ქალაქის მცხოვრებლების დასვენების საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ხელოვნური წყალსაცავის — „თბილისის ზღვის“ ნაპირებზე გაშლილი პარკი.

თბილისის ომისშემდგომ მშენებლობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საცხოვრებელი სახლების მშენებლობამ. გამომუშავდა საცხოვრებელი სახლის სექციის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა, რომელიც ეფარდება ჩვენი ყოფისა და კლიმატურ პირობებს.

როგორია თბილისის შენობათა არქიტექტურა?

ეროვნული ფორმის ძიებამ თანამედროვე არქიტექტურაში განვითარების მეტად რთული სურათი განვლო. ტრამვაელთა სახლების არქიტექტურიდან დაწყებული, რომელიც ერთ-ერთი პირველი ცდა იყო ეროვნული ფორმების გამოყენებისა, საქართველოს მთავრობის სახლის არქიტექტურამდე, სადაც ეს პრობლემა თავის დროისთვის ყველაზე სრულყოფილად ითქა გადაწყვეტილი, ჩანს ახალი შინაარსის შესაფერი ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმის ძიების რთული გზა. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე (ეს ეტაპები თბილისის მაგალითზე შესანიშნავად ჩანს) არქიტექტორები სხვადასხვაგვარად უდგებოდნენ ამ საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ აეტორები ხშირად სწორ გზაზე არ დგებენ, ქალაქმა მიიღო ინდივიდუალური, ორიგინალური სახე და ამაში წამყვან როლს სწორედ ეროვნული ფორმების შექმნის ცდა ასრულებდა.

დღეს, მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისა და ტიპიური პროექტირების ფართო გაგანების დროს, ეროვნული არქიტექტურის პრობლემა განსაკუთრებული სიმახვილით ისმება, იგი ახალ საფეხურზე ავიდა. უწინ ეროვნული არქიტექტურის ფორმას ხშირად მხოლოდ დეკორატიულ სამკაულებში ხედავდნენ, ახლა უფრო ღრმად იხსნება მისი არსი. ეროვნული ფორმა არქიტექტურაში, ეს უპირველესად ყოველისა, ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატურ-ეკონომიფიული და ყოფითი პირობების გათვალისწინებაა, რა თქმა უნდა, საეკონომიკო მანძილზე შემოშავებული მასტერული ტრადიციების ათვისებასთან ერთად.

უწინ ზოგიერთი არქიტექტორი წინასწარ არნეულ ფასადთა სქემას უმორჩილებდა ფუნქციურ-ტექნიკურ-ტექნიკურ გადაწყვეტას, რაც საერთოდ ეწინააღმდეგება არქიტექტურის სპეციფიკას, მის არსს.

ჩვენი ქალაქის არქიტექტურაში მნახველი ყოველთვის აჩჩენედა ერთ სერიოზულ ნაკლს. ეს იყო მონუმენტური ქანდაკების როლის შეუფასებლობა ქალაქის საერთო განაშენიანებაში, მის იდეურ-მხატვრულ გადაწყვეტაში. ახლა კი ჩვენი ქალაქმშენებლები ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. უახლოეს ხანში თბილისში დაიდგა და დაიდგმება ილიასა და აკაკის, ვახტანგ გორგასალისა და სხვათა ძეგლები.

რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის ეტაპის რუსთაველის ქანდაკებასაც უნდა მოეძებნოს ადგილი. ამჟამად „საქმაზნორის“ კომპერმის ნაწილმა მიჩქმალა ქანდაკება მოედანზე და ნაცვლად მკვეთრად გამოხატული აქცენტისა, მივიღეთ ყურადღების გაორება ან ყურადღება მხოლოდ კომპზე. მათი ინსამბლური თანაარსებობა გამორიცხული აღმოჩნდა.

მოედანზე კოშკის ვერტიკალი ქალაქმშენებლობითი თვალსაზრისით არ არის მოკლებული გამართლებას. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ კოშკი ქანდაკებისაკენ ყოფილიყო, მისთვის შეექმნა ფონი, რაც მოედანზე ერთ მკვეთრ დომინანტს შექმნიდა.

ეს მაგალითი იმიტომ მოგვყავს, რომ მონუმენტის დადგმა ერთ-ერთი უარფილესი საკითხია და ყველი დიდი ოსტატი ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამის ნათელი ილუსტრაციაა დღეიდგ შემონახული მეტად საინტერესო დოკუმენტი 1504 წელს ფლორენციელ მხატვართა შეკრებულობის შესახებ, პიაცა დელა სნიორიიზე დავითის დადგმის გამო, რამაც გამოწვინო ხუროთმოძღვართა თუ მოქანდაკეთა დიდი კამათი გამოიწვია.

საბჭოთა მშენებელთა ძირითადი საზრუნავი მშრომელთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინებით. თბილისის განვითარების გენერალური პროექტში საბინაო მშენებლობას უმთავრესი ყურადღება ექცევა.

ამჟამად შედგენილია ახალი დიდი საცხოვრებელი რაიონების დაგეგმარება-განაშენიანების პროექტები. ეს არის 26 კომისრის სახ. რაიონისა და საბურთალოს ახალი საცხოვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი რაიონის პროექტები. პროექტები საცხოვრებელ კვარტალთა მეტად მოხერხებულ გადაწყვეტას იძლევა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მაგალითად. საბურთალოს ახალი საცხოვრებელი რაიონი ოთხას ათას კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ათვისებას გულისხმობს, სადაც ორმოცდაჯეფი ათასი კაცი იცხოვრებს.

ქალაქის ზრდა უახლოეს ხანში გლდანის, ლილოსა და დიღმის ტერიტორიის შემოერთებით ისაზღვრება. ეს რაიონები ძირითადად საცხოვრებელი სახლებით იქნება განაშენიანებული.

დიღმის დაგეგმარების პროექტი ამჟამად სამუშაო პროცესშია, მაგრამ უკვე იპყრობა ყურადღებას თავისი რაციონალური დაგეგმარებით. ამ რაიონში 200.000 კაცი იცხოვრებს და უმთავრესად მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით იქნება გაშენებული. მაგრამ, გარდა ამისა, აქ გეგმარდება კინო-ქალაქი თბილისის სტუდიისათვის, პიოლეგროდომბინაკი, სასოფლო-სამეურნეო აკადემია, სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი და სხვა.

მტკვრის ნაპირას გაშენდება სანაპირო, რომელიც საქართველოს სამხედრო გზას განტვირთავს სატრანზიტო ტრანსპორტისაგან. ამჟამად ქალაქისკენ მომავალი გზა ქეჩარ გადაკეცვისას შექმნის 120 მეტრის სიგანის მაგისტრალს.

არქიტექტორები სათუთად მოეკვნენ არსებულ მშენაგ ნარგავებს, ხელუხლებელი რჩება სანერგე. ყოველივე ეს დიღმის რაიონს ნამდვილ „მწვანე ქალაქად“ აქცევს.

ქალაქის გამწვანებას ამჟამად და მომავალი მშენებლობის პროექტებშიაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საერთოდ გამწვანება თანამედროვე არქიტექტურაში პირველხარისხოვან ამოცანადაა დასმული და საკმაოდ მართალია ფრანგი არქიტექტორი გიუტონი, როცა მწვანე ნარგავებს საცხოვრებელი სახლის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ქალაქთმშენებლობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი საცხოვრებელი სახლების მასიური მშენებლობაა. არქიტექტორები მუშაობენ ბინების კიდევ უფრო მოხერხებულ და ეკონომიურ დაგეგმარებაზე. თანამედროვე არქიტექტურაში დიდი ყურადღება ექცევა ჩაშენებულ ავეჯს. ამ მხრივ ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

საცხოვრებელი ინტერიერი სადა და მომხიბვლელი უნდა იყოს. ეი სად არის ასპარეზი დეკორატელი ხელოვნების გამოყენებისათვის. მხატვრული ქსოვილები, გამანათებელი არმატურა, შპალერი — უდიდესი მხატვრული ტაქტითა და გემოვნებით უნდა იყოს გაფორმებული.

უცხოეთში დიდი ყურადღება ენიჭება საბინაო ნივთების ისეთი „პროზაული“ ნიმუშების მხატვრულად დამუშავებას, როგორიცაა, ეთქვათ, ფეთა ან ტელეფონი. ეს თითქოს წვრილმანია. მაგრამ წვრილმანი, რომელიც ტონუსს უმაღლებს ადამიანს, დიდი ყურადღების ღირსია.

ქალაქის მომავალ არქიტექტურაში თავის სიტყვას იტყვის მხატვრული გამოსახვის ისეთი საშუალება, როგორიცაა ფერი, რომელიც ჯერჯერობით მეტად ზანტად ინერგება ჩვენთან. განა მოსაწყენი არ არის ქეჩაზე ჩამწკრივებული შენობები ერთი და იგივე ფერის შელესილი ფასადებით! განა სამხრეთის ქალაქს არ უნდა გამოირჩეოდეს თავის, შენობათა ფერადოვნებით! აქ ჩვენ აღარაფერს ვამბობთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერს ინტერიერში, რომ ქარხნებში საამქროების კედლების, მანქანებისა და პროდუქციის ფერი საგრძნობლად მოქმედებს შრომის წარმადობის აშაღლებაზე. შემთხვევითი როდია, რომ, მაგალითად, საფრანგეთში არსებობს „საინფორმაციო ცენტრი“, რომელიც ფერის საკითხებს წყვეტს.

კიდევ ბევრი საკითხი დგას ჩვენი არქიტექტორების წინაშე. და მათი უკანასკნელი ხანის ნამუშევრები აშკარად მეტყველებს, რომ ისინი ითვალისწინებენ ყველა დეტალს, რათა შექმნან არქიტექტურული ნაგებობანი, სადაც ადამიანს დასვენებისა თუ შრომის ყველა პირობა ექნება.

ჩვენი დედაქალაქი, რომელიც თავისი არსებობის თხუთმეტ სახელოვან საუკუნეს ითვლის, კიდევ უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელი იქნება. საამაყოა ჩვენი თბილისის წარსული და აწმყო, კიდევ უფრო ბრწყინვალე იქნება მისი მომავალი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჯინორია

ახალგაზრდა თომას მანი — გურჭუაზიული ესთეტიზმის კრიტიკოსი

ხელოვნების რაობა და ხელოვნის ბედი თომას მანის შემოქმედების ცენტრალური პრობლემაა, რომელშიც თავს იყრის და აისახება XX საუკუნის ამ უდიდესი გერმანელი მწერლის მსოფლმხედველობრივ-იდეური და მხატვრულ-ესთეტიკური განვითარების მთელი კანონზომიერება. ეს იმდენად თომას მანის შემოქმედებითი პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებით კი არ აიხსნება, რამდენადაც იმ საერთო ფაქტორებით არის განსაზღვრული, რომელნიც განაპირობებენ კაპიტალიზმის ბატონობის ხანის კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურის საერთო ხასიათს.

კაპიტალისტური წარმოების წესისა და მის საფუძველზე აღმოცენებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეთარებაში გარდუვალ აუცილებლობად იქცევა ადამიანის გაუკაცურება და, ამასთან ერთად, ხელოვნების დაკნინება. კაპიტალისტური წარმოება, რომლის მიზანს მხოლოდ საცვლელი მატერიალური ღირებულების პროდუქცია შეადგენს, და ბურჟუაზიული საზოგადოება, სადაც ყოველივე, თავად ადამიანიც, მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის საგნად იქცევა, მარქსის თქმისამებრ, „მტრულადაა მიმართული სულიერი წარმოების ზოგიერთი დარგისადმი, როგორიცაა ხელოვნება და პოეზია“.

ხოლო ამ ფაქტიდან ორი ძირითადი დასკვნა უნდა იქნას გამოტანილი, საჭიროებრ:

რომ, ერთი მხრით, ხელოვნება, რომელიც თავისი იდეური შინაარსით ისევე ჰუმანისტურია, როგორც თავისი ესთეტიკური რაობით რეალისტური, მხოლოდ იმდენად ხდება შესაძლებელი ანტიჰუმანისტურ და ანტიესთეტიკურ კაპიტალისტურ სინამდვილეში, რამდენადაც ეწინააღმდეგება ამ სინამდვილეს;

და რომ, მეორე მხრით, ხელოვნება, — სწორედ თავისი ჰუმანისტურ-ესთეტიკური ბუნების ძალით, — იქცევა კაპიტალისტური სინამდვილის მანკიერებათა ილუზიური დაძლევისა და პასიური პროტესტის საშუალებად იმ ხელოვანთათვის, რომელთაც არ ძალუძთ აქტიური, პრაქტიკულად ქმედითი, ნამდვილად რევოლუციური ბრძოლა, რომელნიც ილტვიან სინამდვილისაგან და ხელოვნებაში ეძიებენ თავშესაფარს.

არაადამიანურ ბურჟუაზიულ ურთიერთობათაგან ხელოვნების წიაღში ლტოლვა-ჩაკეტვით „ემანსიპაციის“ პასიურსტური და ამაო ცდები განსაკუთრებით იჩენს თავს XIX საუკუნის უკანასკნელ და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, როდესაც იმპერიალიზმის სტადიაში შესული კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი სირთულისა და სიმწვავის უმაღლეს ხარისხს აღწევენ. თანაც, ამგვარი ესთეტიზმი ჩვეულებრივ ახასიათებთ წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიით შებოჭილ ხელოვანთ, რომელნიც უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში ვერც ოლეგარქიული ბურჟუაზიის ნიღაბადილ მტაცებლობას შეურიგდნენ და ვერც სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციური პრაქტიკა მიიღეს. ასეთ ხელოვანთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი და უთვალსაჩინოესი ფიგურა იყო **გუსტავ ფლობერი,** რომელსაც საბოლოოდ ხელოვნების ცადაწყდილ და დაბუნ „სპილოს ძვლის კოშკში“ უნდოდა ეპოვნა ხსნა „ისეთი სამრცხვინო და უაზრო ფარისანგან, როგორიცაა ქვეყანა და ისტორია“.

მაგრამ ამგვარ ხელოვანთა შორის ისეთნიც არიან, რომლებიც ხედავენ, თუ რა ამაოა წარმავალ ბურჟუაზიისა და აღმავალ პროლეტარიატს შორის „მესამე გზის“ ძიება. ისინი თავს ვერ აღწევენ ამ „გზას“, მაგრამ ტრაგიკულად განიცდიან ამ გარემოებას — კიდევაც ესწრაფვიან „სპილოს ძვლის კოშკს“ და კიდევაც წარმოვიდგენენ ამ კოშკში ჩაკეტილი ესთეტინდივიდუალისტის განწირულებას. სწორედ ამ ხელოვანთა რიგში დგას **თომას მანიც.**

მიუხედავად იმისა, რომ თომას მანმა ვერ

დაიღმა თავი ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ზეგავლენებს, მთელი მისი შემოქმედება ღრმა რეალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი და თავიდან ბოლომდე, თავისი ევოლუციის კრიტიკულ ეტაპებზედაც კი, იგი ბევრნაირად, როგორც გოეთეს, ბალზაკისა და ტოლსტოის მემკვიდრეობის მიმღებელი და გამგრძელებელი. თომას მანის შემოქმედების ძირითადი თემა ადამიანის გაორება — ადამიანში სულსა და მატერიის, აზრსა და საქმეს, ხელოვნებასა და ცხოვრების შორის შეურიგებელი განხეთქილების წარმოქმნა. ეს თემა საერთოდ კაპიტალიტური საზოგადოებაში ადამიანის ტრაგიკულ ბედს ასახავს, მაგრამ გერმანელი ლიტერატურისათვის, ამ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიულად მანკიერი ხასიათის შესაბამისად, ჯერ კიდევ გოეთეს დროიდან გახდა სპეციფიკურად ნიშანდობლივი.

გოეთეს მსგავსად, თომას მანიც ეძებს აღნიშნული წინააღმდეგობის გადაწყვეტის გზებს, მაგრამ სულ სხვა მიმართულებითა და შედეგით. გოეთე, — ბურჟუაზიული კულტურის უმაღლესი საფეხური, საფრანგეთის დიდი რეოლუციის დროინდელი ადამიანი, — ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტას ცდილობს სინთეზის გზით, რომელიც კაპიტალისტური სინამდვილის მიღმა მდებარე მომავალში უნდა ჰქონდეს ადგილი, ხოლო თომას მანი, — ბურჟუაზიული კულტურის ლუბის დროინდელი ადამიანი, — წარსულის, სწორედ გოეთეს დროისაკენ მიბრუნებაში ხედავს ამ სინთეზის განხორციელებას, მაგრამ მის პრაქტიკულად განუხორციელებაში დარწმუნებული, იმით შემოიფარგლება, რომ ხელოვნების მკვდარ, ცოცხალი შინაარსისგან დაცლილ ფორმებში ჩაკეტილი „ბიურგერული სულის“ კედონის ფაქტს ადასტურებს, მის პასიურ კონსტატაციას ახდენს.

თომას მანს თავიდანვე ეტყოფა, რომ თავისი შემოქმედების მთავარ პრობლემას პოზიტიურად ვერ ვაფიქსირებს. არ ძალუძს რა პროლეტარიატის პოზიციებზე დადგომა, ჰუმანისტურ სულისკვეთებათა მატარებლად მეზრძოლი შრომელის წარმოდგენა, თომას მანს „ეიშშარიტ ადამიანად“ ბიურგერი მიაჩნია, იმის ნაცვლად, რომ ამ იდეალის სრულქმნილად და განმხორციელებად წარმოადგინოს პროლეტარიატის წარმომადგენელი, რომელსაც კონკრეტული და ქმედითი, გორკის თქმით, „სწორსზაზარივი რევოლუციური ჰუმანიზმი“ აშოძრავებს.

მაგრამ რევოლუციური პროლეტარიატისგან გამიჯვენის შედეგად თომას მანი ძალაუნებურად ექცევა იმავე იმპერიალისტური სინამდვილისა და რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, რომელთაც ბიურგერული პოზიციებიდან აკრიტიკებს. საერთოდ კაპიტალისტურ სინამდვილეში, მეტადრე კი იმპერიალიზმის დროს, ბიურგერობის დაძაბულ[illegible] მტკივნეული განცდა მასში ბადებს [illegible] ერისეული პესიმისტურ განწყობილებებს; ეა, ამავე დროს, ვერ პოულობს რა ამ სინამდვილეში სხვა აქტიურ, ქმედით ძალას, თომას მანი იხიბლება იმპერიალისტური ბურჟუაზიის „აქტივიზმით“, „საქმისა“ და „ცხოვრების უნარიანობით“ და ხარკს უხდის „ზეკაცის“, იგივე სიფილი ინდივიდუალიზმის ნიეშეანურ კულტს.

თანაც, რაკი „ადამიანი“ წარმოიდგენია მხოლოდ ბურჟუას სახით, თომას მანი კაპიტალისტური „პროგრესის“ პროცესში ადამიანის გაყოფას ორ არსებად, — სულიერ, მაგრამ უძალო, და ძლიერ, მაგრამ უსულო არსებად, — ისტორიულ ასპექტში სახავს, როგორც ბურჟუაზიის განშრეგებს, გაყოფას ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ძველ ბიურგერობად და ახალ ბურჟუაზიად. ხოლო აქედან — ბიურგერის უძალობისა და ბურჟუას უსულობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველზე, — თომას მანს გამოაყავს თავისი „პოზიტიური“ იდეალი, რომლითაც თავისებურად იმეორებს ბალზაკის ცნობილ ილუზიას: თუ კი ბალზაკს „პოზიტიური“ იდეალი ზნეობრივი არისტოკრატიზმისა და ბურჟუაზიული პრაქტიციზმის შერწყმის სახით წარმოედგინა, თომას მანის შემოქმედებაში არისტოკრატიული ელემენტის ადგილ „ბიურგერული“ ელემენტი იჭერს.

და დასასრულ, რამდენადაც ამ იდეუბური „იდეალის“ განხორციელებას პირი არ უჩანს, თომას მანი, — რომელიც თავის რომანტიკულ გატაცებაშიაც ინარჩუნებს რეალისტურ ალღოს, — იძულებელი ხდება უკან, XVIII საუკუნისაკენ მიიხედოს, სადაც მას „უდიდეს“, იდეალურ ბიურგერად გოეთე ესახება (რაც იმდენადვე ამცირებს „უდიდეს ბერმანელს“, რამდენადაც ადიდებს იმდროინდელ ბიურგერობას). გოეთეს უშუალო მემკვიდრის სახით ხატავს იგი თავის „იდეალურ“ გმირს — იოჰან ბუდენბროკ პირველს, „ჰარმონიულ ბურჟუას“; ძველი ჰანზის დროინდელი სავაჭრო ბურჟუაზიის შთამომავალი, იგი „თავისიუფლად აერთიანებს, როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ „სრულძალოვანებას“, ისე რომ თავის თავში არავითარ ტრაგიკულ კოლოზიის არ უტოვებს ადგილს, ხოლო მის შვილიშვილებს გარდეკვალად უწერიათ გადაშენება ახალ, სამრეწველო ბურჟუაზიის ეპოქაში.

თომას მანის შემოქმედების პრობლემატიკა უკვე მის პირველ დიდ ნაწარმოებში, — 1901 წელს გამოქვეყნებულ „ბუდენბროკებში“, — სრულად გაშლილი.

თავისი შინაარსითა და სიუჟეტურ-კომპოზიციური აღნაგობით „ბუდენბროკები“ არსებითად ნატურალისტური რომანია, რომლის გერმანულ პროტოტიპად შეიძლება **მაქს კრე-**

ცერის „ოსტატი ტომპუ“ იქნას მიჩნეული. კოტეცერი ტომპეთა ოჯახის სამი თაობის (პაპა გოტფრიდის, მამა ჰანსისა და შვილის ფრანცის) ცხოვრების მაგალითზე აჩვენებს მსხვილ-კაპიტალისტური წარმოების (ტომპეთა ანტაგონისტის ურბანის სახით) შემოტევის შედეგად ბიურგერობის ეკონომიურ დაცემასა და მორალურ დეგრადაციას, თომას მანი კი ოთხი თაობის, — იოჰან I და იოჰან II, თომასისა და ჰანოს ცხოვრებაში განასახიერებს ბუდენბროკთა ძველ-პატრიციული ბურჟუაზიის შთამომავალი ბიურგერული ოჯახის რღვევას.

მაგრამ „ბუდენბროკები“ უკვე აღარაა კოტეცერის რომანსავით „სრულად“, ტიპიურად ნატურალისტური ნაწარმოები. თუ კი კოტეცერი ბიურგერობის დაცემის ფიქსაციით შემოიფარგლა, ისე რომ სხვა არავითარი სუბიექტური თვალსაზრისი არ გააჩნია იმის გარდა, რომ „ძველი ფორ ახალს ჯობდა“, — თომას მანი იმით აფართოებს ნატურალისტური ობიექტივიზმის ჩარჩოებს, რომ ცდილობს გარკვეული „ჟანტური“ ტენდენციით გამსჭვალოს თავისი კლასის დაღუპვის ეპოპეა. სახელდობრ, თომას მანი იმით იმედოვნებს თავისი კლასის სრული განადგურებისაგან ხსნას, რომ ხელოვნებას უსახავს მას თავშესაფრად — იმ ჰუმანისტური იდეალის დასაცავად, რომელსაც, მისი აზრით, ძველი ბიურგერობა განასხიერებდა თავის პრაქტიკულს ყოფა-ცხოვრებაში და რომელსაც ადგილი არ ურჩება ახალი ბურჟუაზიის სამყაროში.

მაგრამ ეს რომანტიკული იმედი იმდენად უმწეოა და ილუზიური, რომ შესაძლებლობას არ აძლევს არსებითად რეალის მწვრალს მისი პრაქტიკულად განხორციელების საკითხი დასვას, თავისი დეკადენტი ბიურგერი წარმოდგენილ აღორძინებისთვის მებრძოლ გმირად. და სწორედ ამითაა განსაზღვრული მისი „პროგრამული“ რომანის ნატურალისტური ხასიათი.

თომას მანი აქ უძლურია პოზიტიურად გადაუწყვეტელი წინააღმდეგობის წინაშე: იგი ღრმა პატიოსანსითაა გამსჭვალული ბუდენბროკთა ოჯახის „საღი“ წინაპრისადმი, პირველ იოჰანისადმი და ზესტრფის მის შვილს, მეორე იოჰანს, და განსაკუთრებით კი შვილიშვილს, თომასს, რომელნიც ფიზიკურ-პრაქტიკული უნარიანობის დამბაზენის „ფასად თავიანთი ადამიანური არსების სულიერ-შემოქმედებით უნარს „ხვეწენ“; — მაგრამ ამავე დროს იგი მანც იძულებულია აღიაროს ამ დეკადენტთა განწირულება, რასაც განასახიერებს ბუდენბროკთა უკანასკნელი, პათოლოგიური შთამომავლის — ჰანოს „შემთხვევითი“ (ტიფით) სიკვდილი.

და სწორედ ამით შემოიფარგლა თომას მანის შემოქმედებითი განვითარების პირველი პერიოდის ძირითადი პრობლემა, რომელსაც ... კრიტიკოსმა კარგად უწოდა „ბიურგერის ძებნა“ (die Suche nach dem Bürger).

ის გარემოება, რომ თომას მანმა ხელოვნება მიიჩინა „თავშესაფარად“ ძველ-ბიურგერულ ჰუმანიზმს და ახალი დროის დეკადენტი ბიურგერი მიიჩნია ამ ხელოვნების სუბიექტად, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მანს უკვე „ეპოვნოს“ ბიურგერი, როგორც ეიფის პოზიტიური იდეალის რეალური მატარებელი თუ განმახორციელებელი. პირიქით, აღიარებს რა ამავე დროს დეკადენტ ჰანოს განწირულებას, იგი სწორედ აქედან იწყებს თავის „ძებნას“, ანუ იმ საშუალების ძიებას, რომელმაც მისი „გმირი“,—პათოლოგიური ბიურგერი, — ნამდვილ გმირად უნდა აქციოს, „განკურნოს“ და ქმედითი, ცოცხალი არსებობის უნარი დაუბრუნოს კვლავ. ასეთ „საშუალებად“, როგორც ზემოთ აღინიშნა, თომას მანს დაკნინებული ბიურგერობის მიერ ახალი ბურჟუაზიის „ენერგიულობის“ და „ძალის“ შეთვისებაღა ესახება. მაგრამ ამავე დროს, თომას მანს, წერილბერ-ჟუაზიულ ჰუმანისტს, ეუცხოვება ის ამორალური შინაარსი, რომლის გამოვლენის ფორმასაც ჰაგენშტრომთა უსულგულო „აქტივიზმი“ და „ძალა“ წარმოადგენს.

თომას მანის მიერ „ძველი“, ე. ი. კაპიტალიზმის გაფუჭრჭენის ხანისა, და „ახალი“, კაპიტალიზმის ბატონობის დროინდელი ბურჟუაზიის დაპირისპირება გარკვეულად მაძმილებელ ხასიათს ატარებდა, რაც თომას მანის შემოქმედებას რეალიზმს უნარჩუნებდა, მაგრამ ამგვარი რომანტიკულ-რეტროგრადული კრიტიკა, ცხადია, არსებითად რეაქციული იყო, და მას იმპერიალისტური სინამდვილის წინაშე მწერლის კაპიტულაცია, იმპერიალისტური იდეოლოგიისადმი დაქვემდებარება უნდა მოყოლოდა. და ამან განსაზღვრა კიდეც მისი განვითარების ნეგატიური, დაღმავალი მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური ტენდენცია.

განსაკუთრებით მკვეთრად ამ ტენდენციამ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ იჩინა თავი, — როდესაც მთელს ევროპას, კერძოდ გერმანიასაც, რეაქციის ტალღა მოედო, რომელიც პირველი მსოფლიო ომით დაგვირგვინდა.

ამ დროს თომას მანის, როგორც ჰუმანისტის დაქვეითება იმაში გამოიხატება, რომ იგი მით უფრო უხდის ხარკს იმპერიალისტურ მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას, რაც უფრო ეტრფის „ბორობე ბედის“ წინაშე უძლურ ბიურგერს, რაც უფრო ღრმად ეძიებს მისი „განკურნვის“ საშუალებებს. გოეთედან მომავალი გერმანიის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების „დიდი გზა“, მისი

წარმოდგენით, შოპენჰაუერისა და ნიცშეს გ

ოლაც მძიმე შემოქმედებითი გზით.

თომას მანი მეტად დაწერილებით, „ნატურალისტური“ ზედმეწყენლობით გეაცნობს აშენბახის შემოქმედით ეეოლუციას, რომელმაც მას საზოგადოების გარეგეულ ფენებში „საპატიო“ კარიერა შეუქმნა.

აშენბახი დასრულებული დეკადენტია, — შინგანი სიცალიერის მხატვარი, მორალური დაკნინების შემნიღბველი, სულიერი კედლის გამამშვენებელი და „ამმალველი“. მისი „ზრდა“, როგორც ეზოთერისა, მხოლოდ ფორმის სრულყოფაა, უშინაარსო, უსიცოცხლო სილამაზის დახვეწა, რაფინირება. სილამაზე მას აბსტრაქტულად, სპირიტუალისტურ-მისტიკურად ესმის, — ისევე რომანტიკულად, შოპენჰაუერისებურად, როგორც აქამდე იგი თვით მანს ესმოდა, — როგორც ადამიანისათვის ერთადერთი მისაწვდომი, მაგრამ ტრაგიკული, ფეზიკური არსებობის მსხვერპლად გაწირვის მთხოვნელი გზა სულისაკენ. მსგავსად თომას მანის სხვა დეკადენტი „გმირებისა“, აშენბახიც „შინაგანი“ სამყაროს, მჭვრეტელური სიცოცხლის, „სულიერი აქტიობის“ ადამიანია. მისი „გარეგანი“ ცხოვრება ღარიბია და ერთფეროვანი მისი ქალქითა, — გერმანელ დეკადენტთა ბუდით, მიუნჰენითა, — და კაბინეტით შემოფარგლული. სწორედ ეს განსაზღვრავს აშენბახის „იმანენტურ“, „შინაგან“ სულიერ რესურსთა სიმწირესა და ეუონრობას. იგი უფრო და უფრო ჰკარგავს ცოცხალი ხელოვნებისათვის აუცილებელ მგრძნობელობას, რაც სიყრმიდანვე მცირედ ჰქონდა მომადლებული. იგი ხდება ცივი, რეფლექსური ინტელექტუალიზმის მსხვერპლი, — „ქერუმი“ ზუსტი, მახვილი, მაგრამ უტემპერამენტო აზრისა, რომელიც თავის ხორცშესხმას ჰპოვებს შინაარსისადმი გულგრილ, ნატიფ და ბრწყინვალე, მაგრამ ცივსა და უსულო „წმინდა ფორმაში“.

და სწორედ უსიცოცხლობისაკენ, ფორმალიზმისაკენ მიმართულმა ევოლუციამ მოუპოვა აშენბახს, — თომას მანი ამას ხაზგასმით აღნიშნავს, — „წარჩინებული“, „დარბაისელი“ საზოგადოების პატივისცემა. რაც უფრო გაუარა მას ენებებმა, მით უფრო „წესიერი“, „ჯეროვანი“, დისციპლინირებული და ოფიციალური ხდებოდა აშენბახი, — როგორც შინაგანი ისე გარეგანი, ეკრძოდ, სახელმწიფოებრივი „წესრიგის“ მთხოვნელი. და ამ უკანასკნელი „პრინციპის“ დასაცავად წერს იგი, შემოქმედებითი „სიმწიფის მწვერვალზე“, ამოლოგეტურ რომანს პრუსიის მეფის ფრიდრიხ II შესახებ...

მაგრამ ამ რომანის წერისას მას შინაგანმა, **შინაარსობრივმა** შემოქმედებითმა კრიზისმა მოუსწრო. მისი მანამდელი „სრულქმა“ და „ზრდა“ მხოლოდ ფორმას, უფრო სწორად, სიტყვის ოსტატობის დახვეწას შეეხებოდა, რასაც იგი შინაარსისაგან, ცოცხალი გრძნობებისაგან გამიჯვნით აღწევდა, მაგრამ ეს „ამეწყვეტა“ ბუნებით ნამდვილი ხელოვანნი იყო და ამ გზით სულა მხოლოდ განუწყვეტელი თვითძიძღლების ფასად შეეძლო. სწორედ ამიტომაა, რომ იგი მოწამეობად მიიჩნევს მხატვრულ შემოქმედებას, ხელოვნებისადმი სამსახურს, და ამის გამოა, რომ „დიდოსტატობის“ მწვერვალზე ასულს უსაზღვრო დაღლილობა იპყრობს და კალამი უვარდება ხელიდან.

თავისი „ეპოქის“, ე. ი. თავისი საზოგადოების „კლასიკოსად“ დაქვეითებულ აშენბახს შემოქმედებითი პოტენციალის დაწრეტა იიძულებს დასტოვოს კაბინეტი და ქალაქი და სამოგზაუროდ გაეშუროს. — მას „უეც
რივ“ აიტანს ცოცხალ შთაბეჭდილებათა მიღების, შინაგანი განახლების, ხელახლად დამუტკბეის „ეინონ“. ამიტომ აშენბახი მუშაობას თავს ანებებს „ნაწარმოებზე, რომლისთვისაც ცხოვრობს“, რათა ალიდგინოს არსებობის ის ხალისი, სიცოცხლის ის სიხარული, შემოქმედების ის ტემპერამენტი, რომელიც მხოლოდ გარეგან სინამდვილესთან დაკავშირებით მოიპოვება და, მისივე ალიარებით, უფრო ძლიერია და აუცილებელი, ვიდრე „ყოველი შინაგანი შინაარსი“.

და იგი თითქოს კიდევაც აღწევს საწადელსი: ვენეციაში, ლიდოს სანაპიროზე წაწყდება მოაგარაკე პოლონელებს ოჯახს, რომლის მშვენიერი ყრმა **ტაძიო**, მის მოეკ დეკადენტურ არსებობას იპყრობს; ამ ბიჭის ჭვრეტა მის სნეულ, დაბერებულსა და გადაღლილ სულს ენთუზიაზმით აღავსებს და დიდი ხნის ჩაბჭრილ ენებთა ღელვას აღუძრავს.

მაგრამ სწორედ აქ მეღავნდება, რომ აშენბახი უკვე გაწყრიალია; მისი სული უკვე ისეა დასნეულებული, რომ ვერაფერს ითვისებს საღად და ტაძიოს ჭვრეტით მასში აღძრული ენთუზიაზმიც სრულიადაც არაა საღი გრძნობების აღტკინება, რომელსაც მისი დაკანკალული სულის განახლება ძალუძს. ერთხანს ძალზე ხანმოკლეა, თითქოსდა ასეც ხდება: ტაძიოს ყრმული უშუალოობითა და სიცოცხლით აღსავსე, თანაც ჭეშმარიტი შინაგანი კეთილშობილებაა გამომსახეული გრაციით ამაღლებული სილამაზე, — მსგავსად მზისა, — განარიდებს ხანდაზმულ ხელოვანს „ინტელექტუალურისაგან“ და „გრძნობადობისაკენ“ მიაპყრობს; და მის ჩაფრენილი სულ კიდევაც ეუფლება მშვენიერებისადმი თაყვანებისა და მსახურების ახალი პათოსი, — მთორბელი, მაგრამ ცოცხალი, მღელვარე, მაგრამ ჯანსაღი, მტანჯველი, მაგრამ იმედის, ცხოვრების ენერგიის მომნიჭებელი.

მაგრამ აშენბახი მალე „ამჩნევს“, რომ ტაძიო „ავადმყოფურია“, და მას უმალვე გაუელვებს აზრი: საეჭვოა, რომ ტაძიომ სიბერეს მიაღწიოს.. და ეს უჭვი ყრმისადმი „მზრუნველობის“

გრძნობითა და ავრეთვე „აღფრთოვანებული ქმაყოფილებითაც“ აღავსებს ბს...

ასე შეეცალება დეკადენტ ესთეტს სიცოცხლის პათოსი სიკვდილის პათოსით. ესაა ერთადერთი ვნება, რომლის განცდის უნარი მას შერჩენია, და ამ ვნებით უყვარს აშენბახს ტაძიო, მშვენიერება, სიცოცხლე და ხელოვნებაც.

აშენბახი თავისებურად, დეკადენტურად აღიქვამს და განიცდის თავის დამჭკნარ სულში შეჭრილ სიკოცხლეს, — პათოლოგიურად, განწირულის სიხარბით, საბედისწერო თრობით. ეს სიყვარული განმზოლოვებულია, ინდივიდულისტური, ეგოისტური; იგი არ აზიარებს მას ადამიანებთან, არ აკავშირებს, არ აერთიანებს ცხოვრებასთან, სიცოცხლის წყაროდ არ ეპყრება; იგი მის ცარიელ, გამოფიტულ გულში იფერფლება, მასთან ერთად კვდება.

ეს სიყვარული, რომლის უნარიც მას შერჩენია, კი არ აახლებს, კი არ აცოცხლებს აშენბახის შემოქმედებით უნარს, არამედ საბოლოოდ კლავს მას, როგორც ხელოვანს. ამ სიყვარულის „ნაყოფი“ ერთია: საბოლოო ხელისაღება ხელოვნების ადამიანურ, ჰუმანისტურ-განმანათლებლურ ფუნქციაზე. ხელოვანის ჩახშობა ესთეტის სნეულ, მანკიერ, სიკვდილით დადასმულ „მე“-ში.

ასე რომ აშენბახის „შემოხვევითი“ ფიზიკური მოსპობა მისი სულიერი სიკვდილისათვის თომას მანის მიერ დასმული „წერტილია“ მხოლოდ და უკვე ამდენად — გამართლებული, აუცილებელიცაა. მით უფრო, რომ სინამდვილეში ის არც თავისთავადაა შემთხვევითი: აშენბახის ძაბვნი, ცხოვრების სუსს შეუგუებელი სხეული ისევე ადვილად, უბრძოლველად ტყდება „გარეგანნ“ სინამდვილის“ შტეკვისაგან, როგორც მისი ლიტერატურული პროტოტიპისაც, „უდღეური გენიოსის“ — ჰანოსი, ბუდენბროკისა, რომლის პათოლოგიურ არსებობას ტიფმა მოუღო ბოლო.

ასე ამხელს თომას მანი აშენბახის სახით თავის ძირითად ილუზიას, — რწმენას დეკადენტი მიუჩვეული ხელოვნისადმი, როგორც ახალ-ბურჟუაზიულ სამყაროში ძველ-ბიურგერული ჰუმანიზმის დამცველ-შემნახველისადმი. აქ უკვე ჩანასახობრივად წარმოდგენილია თავისი უკანასკნელი, ბიურგერულ-ბურჟუაზიული კულტურის ტრაგიკული ფინალის ამსახველი ქმნილების, „დოქტორ ფაუსტუსის“, — ძირითადი იდეაც.

აშენბახი მწერლის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ავტობიოგრაფიული პერსონაჟია. მაგრამ თომას მანი ისევე არ აიგივებებს მასთან თავის თავს, როგორც, მაგალითად, გოეთე არ გატოლებია თავის ვერთერს. იგი მასზე ამაღლებას, მის დაძლევას ცდილობს, და ამ ცდის პირველ ნაყოფს „ტონიო კროეგერი“ წარმოადგენს.

აქ თომას მანის თვითკრიტიკა ორ ასპექტად წარმოჩართება: ერთის მხრივ, „სულსა“ — „ძალას“ შორის იმ „სინთეზის“ ფიქციისაგან განთავისუფლების მიმართულებით, რომელზედაც ოცვნა ჯერ კიდევ „ბუდენბროკებში“ ეუფლება მწერალს და შემდეგ „ტრისტანის“ ტრაგიკულ კოლიზიას გამსჭვალავს; და მეორეს მხრივ, ხელოვნების დეკადენტურ-ესთეტური კონცეპციის გაღრმავებული ხხილვის მიმართულებით, რომელიც ნოველის ბმრის, ტონიოს, შემოქმედებითი განაბრების რეალურ პირსპექტივას უსახავს.

პირველი თემატიკური ასპექტი ნოველაში გაშლილია ორი სიყრმის მეგობრის დაპირისპირებით. ესენი არიან: ავადმყოფურად მგრძნობიარე, დახვეწილი, „უცნაური“, პასიური ხასიათის მქონე, შინაგანად დაფლეთილი და ფიზიკურად სუსტი „შემოქმედი“, „ხელოვანი“ **ტონიო** და ინტელექტუალურად ღარბი, სულიერად მარტივი და ტლანქი, მაგრამ მთლიანი, ძლიერი და აქტიური პიროვნება, **პრაქტიკული** ცხოვრების „ბმარი“ **ჰანს ჰანზენი.** პირველის ხვედრი ვნებითი განცდა და მწუხვე დაუკმაყოფილებლობა, წამება, ხოლო მეორისა — სიამოვნება, უდარდელი კმაყოფილება და ზეიმი.

„ტრისტანის“ პათოლოგიური „ბმირის“, „ეკადენტ **დეიოლეგ სპინელის** მსგავსად, ტონიოც ავადმყოფურად შერტფის თავის ინტაგონისტს, იხიბლება ჰანს ჰანზენის ძლიერებით და შურით იმსჭვალება მისი წარმატებისა და ბედნიერების მაცქერალი. მაგრამ უკვე არსებითი განსხვავებაცაა სპინელსა და ტონიოს შორის. თუ კი პირველი ავადმყოფურად შენატრის თავისი მოქიშპის, **კლეტერიანის,** უდარდეგნელ არსებობას, მარტივ ბედნიერებას, ტანჯავს თავისი უძლურება და ამიტომ ფანატიკურად სძულს იგი, ტონიოს უკვე აღარა აქვს თავის „დახვეწილ“ პიროვნებაში თავისი სულიერებისა და ჰანსის ძლიერების „სინთეზირების“ პრეტენზია; მასში უკვე ჩაშქრალია საამისო ენინ, ენებიანობა, ღრმადაა გამჯდარი იმის შეგრძნება, რომ „ეს შეუძლებელია“. მასაც სურს, რომ ისევე უყვარდეს ყველის, როგორც ჰანსი უყვართ, და განსაკუთრებით კი — ინგა ჰოლმის სიყვარული სწყურია, რომელიც „ესოდენ ლამაზია და მხიარული“. მაგრამ მან კარგად იცის, რომ „ასეთი რამ ქვეყნად არ ხდება“, ამიტომაც იგი არც კი ცდილობს ქალთან დაახლოებას, რითაც თუმცა მტკივნეულად, მაგრამ პასიურად ნებდება, აღიარებს თავის უმწეობას. თუმცა ამ სინთეზის თავისთვის შეუძლებლობის აღიარება, — რომელიც ლეიტმოტივად გასდევს მთელს ნოველას, — სპინელის სპარისპირიდან გარკვეულ ტრაგიკულ ამაღლებულობას ხძენს ტონიოს სახეს: თუ კი სპინელს საცოდავს,

უბადრუკს ხდიდა ბედნიერებისაკენ, დაკმაყოფილებისაკენ ნისლ სწრაფვას უმწეო სიშმაგე, ტონიოს ღირსეულად ამაღლებს საკუთარი სიესთეტის თუმცა მტკივნეული, მაგრამ შეგნებული აღიარება.

ტონიოც ტიპიური დეკადენტია, ოსკარ უაილდისდაგვარი ცხოვრებისგან გაქცეული ესთეტი, რომლისათვისაც ხელოვნების არსს **ხელოვნურობა, ტკბილი** წარმოადგენს, რომელიც შთაგონების წყაროს თუ წარმოსახვის იმპულსს ყოველივე ცოცხალს, ნამდვილს უარყოფაში, ყოველივე ბუნებრივის, ჯანსაღისა და ადამიანური ჩახშობაში პოულობს. გრძნობა თბილი, გულთბილი გრძნობა, — ამბობს იგი, — მუდამ ბანალურია და გამოუსადეგარი. ხელოვნებისეული (Künstlerisih) არიან მხოლოდ ჩვენი წამხდარი, ჩვენი არტისტული ნერვიული სისტემის გაღიზიანებანი და ცივი ენერგიზები, სადაც საჭიროა განსაკუთრებული და არაადამიანური, იქ უნდა გამოიჩინონ ადამიანურისადმი სათვად შორეული და გულგრილი დამოკიდებულება, რომ შესძლო, ან საერთოდ სცადო ითამაშო თამაშისათვის, წარმოადგინო ქმედითად და გემოვნებით. ხელოვანი უმალეე თავდება, როგორც კი ადამიანი ხდება და განცდას იწყებს.

მსგავსად აშენბახის, ტონიოსაც მძაფრ წინააღმდეგობათა და შეუსაბამობათა ტვირთი აწევს. „გარეგანი ცხოვრების“ ადამიანთაგან განსხვავებით, რომლებიც გარემოსთან არავითარ დისონანსს არ გრძნობენ, რადგან მთლიანად მასში არიან, მის მიერ არიან განსაზღვრულნი და „საკუთარი მე“, „თვითარსობა“ არ გააჩნიათ, — ტონიოს „შინაგანი სამყარო“ და „შინაგანი ცხოვრება“, საკუთარი მეობა, ინდივიდუალობა ამაღია, რომლის ხვედრიც „ყოველივე გარემომცველთან განხეთქილებაა“; იგი, ცხოვრების გზაზე „თავისთვის“ მიმავალი „ჯარიბი“ „უცხოა სხვებს შორის“. ამავე დროს, ტონიო „თავის თავშია“, თავის „მე“-შიც დისონანსური არსებაა: იგი როგორც ჯვარს, ისე ზიდავს თავის ესთეტურ „ბუნებას“. მას ამძიმებს და სტანჯავს საკუთარი სირთულე, „დახვეწილობა“ და „სიღრმე“. თუ კი „ცხოვრების კაცი“ იმ ზედაპირს, იმ გარეგნობას უტკბილის, რომელთაც საგნები „ბარტივნი და მხიარულნი“ ჩანან, ტონიო „საგანთა შიგნით, იმ სიღრმეში იცქირება, სადაც საგნები რთულნი და მწუხარენი ხდებიან“.

მაგრამ ტონიო არაა აშენბახის ორეული. მართალია, იგი დეკადენტია, მაგრამ ისეთი თვისებებითაცაა აღჭურვილი, რომელნიც მას აშენბახისაგან არსებითად განასხვავებენ და უფრო მაღლ აყენებენ. მართალია, ხელოვნება მას მხოლოდ დეკადენტურ-ესთეტური ფორმით მიაჩნია შესაძლებლად, მაგრამ ამავე დროს იგი შეგნებულად, პრინციპულად **არ ეთანხმება, უარყოფს** ასეთ ხელოვნებას. საქმე, ჩანს, ისაა, ცხოვრებისაგან გაუცხოვებულობის, თავის სუბიექტურ „მე“-ში ჩაკეტილობის მიუხედავად, სწორედ ამ „მე“-ში მდგომი, ჯერ კიდევ მთლიანად აღმოუფხვრელი ადამიანური არსების ძალნი, იგი არა ერთხელ ეტრფის ცხოვრებას, არამედ ცხოვრებისაგან, ცოცხალი სინამდვილისაგან ნაძალადევად გაუცხოვებულ, მკვდარ ხელოვნებაზე მაღლაც კი აყენებს მას.

თავისი ადამიანური არსებით, რომელიც ბოლომდე ვერ შეურყვნია და ვერ მოუშხამავს დეკადენტურ ესთეტიზმს, ტონიო ჰუმანისტია მართალია პრაქტიკულ განსაკრში მისი ჰუმანიზმი ვიწროდ ბიურგერულ, აშკარად ფილისტერულ ხასიათს ატარებს: დეკადენტი ხელოვანის მძიმე ხვედრით დაუკმაყოფილებელს, მას წუხარი, სინ&ემენტალურად მყუდრო, ბანალურად სვებედნიერი, მცირედით დაკმაყოფილებული არსებობა სწყუტია, მაგრამ როგორც პოეტი, — და აქ ისევ-ისე იჩენს თავს ბიურგერობისათვის პრაქტიკასა და თეორიას შორის ძველთაგანვე დამახასიათებელი წინააღმდეგობა, — იგი კიდევ უფრო მეტად შეტრფის ქაბუკსა და სად, ძლიერ და ნორმალურად მგრძნობელ ადამიანს, რომელსაც ალტყინებისა და ვნებათაღელვის, მგზნებარე, გულწრფელი აღფოთოვანების უნარი შესწევს; საწინააღმდეგოდ იმთავითვე გულცივი, რეფლექტური აშენბახისა, ტონიო ტემპერამენტული, თუმცა **დასნეულებული,** მაგრამ **არსებითად** ჯანსაღი ხასიათის პატრონია. მისი დაუკმაყოფილებლობის მთავარი წყარო სწორედ ესაა: ყველაზე მტკივნეულად იგი იმას განიცდის, რომ დეკადენტი ხელოვანი მასში ადამიანს რაკნის და კლავს.

ამიტომაც სულიერი და შემოქმედებითი კრიზისი, რომელსაც ტონიო განიცდის, არსებითად განსხვავდება, პირადაპირ ეწინააღმდეგება აშენბახის კრიზისს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ წყვეტს წერას, როდესაც ძალა ეკლება, ხოლო, ვიდრე ენერგია შესწევს, პპთოლოგიურად, ნარკოტიკის მსგავსად, კიდევაც ტკბება თავისი „ხვედრით“. თავისი დაუკმაყოფილებლობით, სათნოებად, „ბოროტების ყვავილად“ აქცევს თავის დეკადენტობას; ტონიო კი — ჯერ კიდევ **მაშინ, როდესაც** შემოქმედებითი ძალა მთლიანად არ დაშრეტია, — საკუთარი ნებით, ცნობიერად (მართალია ჯერ კიდევ მხოლოდ პრინციპულად და არა პრაქტიკულად) ემიჯნება თავის „ხელოვანს“. ტონიოს ზიზღს გვრის, მორალურ დანაშაულად მიაჩნია, როგორც იგი ამას თავის მეგობარ, რუს მხატვარ ქალ **ლიზავეტა ივანოვნასთან** საუბარში აღიარებს, ისეთი „ხელოვნების“ სამსახური, რომელსაც მშვენიერების მხოლოდ ცივი, ესიოფიზლო ფორმების სახით **განსახიერება** ძალუძს და რომელიც შინაარსად მხოლოდ „ქვეყნის სიწამხდრეს“ ითვისებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაოცარია, თუ როგორ ზუსტად წვდება თომას მანი, თავად ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების გაკვლენაში მოქცეული მხატვარი, — ნეგატიურ, ანტირეალისტურ და ანტიჰუმანისტურ არსს ამ ხელოვნებისა, ე. წ. „მოდერნიზმისა“, რომელიც მანკიერში — ბოროტსა და მახინჯში — ეძებს ხოლმე ესთეტიკურს და რომლის თანამდროვე მესვეურები, — ზშირად მარქსიზმის ნიღაბსაც ამოფარებულნი, — იმას უსახავენ დანაშაულად სოციალისტურ-რეალისტურ ხელოვნებას, რომ იგი დადებითისკენ, მათი თქმით — „ცხოვრების შელამაზებისაკენ“ ირეხს მიდრეკილებას.

საკუთარი დეკადენტობისადმი ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება უქმნის ტონიოს შემოქმედებით კრიზისიდან გამოსვლის, ნამდვილი, ცოცხალი ხელოვნებისაკენ მოქცევის შესაძლებლობას.

საამისოდ მას არსებით დახმარებას უწევს იგივე ლიზაველტა ივანოვნა, დიდი რუსული ლიტერატურის სულით გამსჭვალული ხელოვნები. იგი მიეთითებს ტონიოს, რომელმაც ხელოვნების ერთიდა სახეობა იცის, რომელიც მახინჯ შინაარსს ლამაზი ფორმებით მოსავს, — რომ „არის სხვა თვალსაზრისიც“. ამ თვალსაზრისის თანახმად, ლიტერატურას ეკისრება უფრო მაღალი, უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ქვეყნის სიწუმხრის ესთეტიზირება, — ეს არის ამ სიწუმხრის წინააღმდეგ ბრძოლა, სრულყოფილი ადამიანობის დაპირისპირება. ხოლო როდესაც ტონიო აღიარებს, რომ საამისო ძალა არ შესწევს, ლიზაველტა ამ სისუტისს მთავარ წყაროს, თუ მიზეზს მიეთითებს: იგი „ᲖᲐᲮᲝᲕᲜᲘᲗᲘ ᲑᲘᲣᲠᲖᲘᲡ“ (verirrter Bürger) უწოდებს თავის მეგობარს.

ტონიოს არასოდეს ცნობია ნამდვილი ადამიანი, იგი არასოდეს დაკავშირებია „უბრალო“ ხალხს; აქამდე ტონიოს-დეკადენტს „იდეური მოკავშირეთა“ სახით, — მას ესტრადებზე რომ უკრავდნენ ტაშს, — ჰყავდა მხოლოდ „ინტელიგენტი“ ბიურგერები, რომელთაც „მოუქნელი სხეულები და გაწვრილებული სულები აქვთ, რომლებიც, ასე ეთქვათ, მუდამ ეცემიანო“, ხოლო ტონიო-ადამიანი მიისწრაფოდა „ცისფერთვალება“ და ᲭᲘᲠᲗᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ, „რომელთაც სულიერი არ სჭირდებთ“... ლიზაველტა ივანოვნა კი სწორედ ხალხისაკენ მიუთითებს ტონიოს.

მაგრამ ვიდრე იგი, უძალო ბიურგერი ინტელიგენტი, უსულო ბურჟუა პრაქტიკოსით იქნება მოხიბლული, ტონიო კროეგერი ამ გზას ვერ დადგება, და იგი ჯერ კიდე არც ადგება მას. თომას მანი ჯერ კიდე მხოლოდ „განაყოფს“ თავის ვმირს საამისოდ. იგი კიდე ერთხელ, — მრავალი წლის უნახაობის შემდეგ, — ახვედრებს ტონიოს ჰანს ჰანზენთან და ინგა ჰოლმანთან, რომლებიც უკვე ერთად არიან, კიდევ ერთხელ განაცდევინებს იმას, რომ „ეს შეუძლებელია“ და „არასოდეს არ ხდება ასეთი ამბავი“.

და ამ განცდის განახლებული სიმწყვავე უკვე უშუალოდ აიწმენდს მას ლიზაველტა ივანოვნას სიმპრიალეზე. მისთვის სამოწოლოდ ცხადი ხდება იმ გაორებული მდგომარეობის სიყალბე, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა. მას უკვე ეოტა რომ აკავშირებს თავის დეკადენტურ შეთოქმედებით წარსულთან, რომელიც სხვა არაფერი ყოფილა თუ არა ერთიანი „ბაშვეზა, ფდაბნო, ყინული და... ინტელექტი“. მას ჰანსიცა და ინგაც დაჰკარგეია საძუდამდ. „მე ვიმყოფები ორ სამყაროს შუა, — წერს იგი ლიზაველტას, — და არც ერთში არ ვგრძნობ თავს შინ, და ამიტომაც მომიძახ ცოტაოი“. მართალია, ტონიის „უღიმესი და ყველაზე დაფარული სიყვარული“ ისევ ჰანს-ინგასებერ „ცოცხალია“ და „ბედნიერთადმი“ რჩება მიძღვნილი, მაგრამ მის ამ აღიარებს ლიზაველტასადმი მიმართულ წერილში, რომლითაც ნოველა თავდება, შემდეგი სტრიქონები უსწრებს:

— „რაც მე გავაკეთე — არაფერია, ეოტა, თითქმის არაფერი. მე უკეთესს შეეძენი, ლიზაველტა, — ასეთია პირობა. ამას რომ ეწერ, ჩემამდე ზღვის ზღაური აღწევს, და მე თვალს ვხუჭავ. მე ვიცქირები დაუბადებელ და მოჩენებრივ საყვარელში, რომელიც მოწესერიგებასა და ჩაბოყალებებს მოითხოვს, შეეკერეთ ადამიანთა ლანდების ოერზოერს. ისინი ხელს მიეწევენ, — ხორცშესმასა და ვანთავისუფლებას მთხოვენ, — ტრაგიკული და კომიკური ფიგურები და ისეთნიე, ერთიც რომ არიან და მეორეც...“

ჯერ კიდევ „დაუბადებელ“ და „მოწესრიგებისა“ და „ჩაბოყალებების“ მთხოვნელ სამყაროსაკენ მაკერეალ ტონიოს ეს პირობა, — რომ „უკეთესს შეეძნის“, — თავად თომას მანის შემოქმედებითი განცახადი აღმოჩნდა, პირობა, რომელიც დიდმა გერმანელმა ბელეტრისტმა შემდგომ ბრწყინვალედ შესრულა.

მართალია, თომას მანს არ უფიქრია, რომ ეს ახალი სამყარო სოციალისტურმა რევოლუციამ უნდა წარმოქმნას და არც შემდეგ დაუნახავს ცხოვრება ამ რევოლუციის თვალით: საამისოდ იგი ბოლომდე ძველი კლასობრივ-იდეოლოგიური ჩაჩნოებით შებოჭილ ადამიანად დარჩა. მაგრამ მისი შემოქმედი პიროვნების პოზიტიური, ჰუმანისტური არსი მაინც, თუნდაც ამ ჩაჩნოების ფარგლებში, საოცრად ძლიერი და ქმედითი აღმოჩნდა: მან მისცა თომას მანს უნარი თავის სიმწიფისდროინდელ, „დოქტორ ფაუსტით“ დაგვიგვიანებულ ქმნილებებში ისე ღრმად ეჩვენებინა ძველი კულტურული სამყაროს დაწრეცა და ხრწნა, ამ სამყაროს „სულით“ გამსჭვალული ადამიანის შინაგანი გამოფიტულობა და განწირულობა, როგორც ეს ვერც ერთმა სხვა კრიტიკულმა რეალისტმა ვერ შესძლო.

ალექსანდრე კალანდია

ივანე ვაზოვის უცნობი ავტოგრაფის გამო

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში აღმოჩნდა ბულგარეთის სახალხო მწერლის, ახალი ბულგარული ლიტერატურის ფუძემდებლისა და რეგოლუციონერის ივანე ვაზოვის (1850 — 1921) ავტოგრაფი — ბარათი რაფიელ ისარლიშვილისადმი.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ივანე ვაზოვს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან. იგი დაინტერესებული იყო ქართველი ხალხის ისტორიით, კულტურით, ლიტერატურითა და თანამედროვე მდგომარეობით. წერილი რაფიელ ისარლიშვილისადმი დღესდღეობით ერთადერთი გადარჩენილი ბარათია იმ მიწერ-მოწერიდან, რომელსაც დიდი ბულგარელი მწერალი ქართველ მწერლებთან აწარმოებდა.

ეს პატარა ბარათი დაკავშირებულია ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდთან.

ივანე ვაზოვის წერილის ადრესატი რაფიელ ისარლიშვილი (1841 — 1912) ჩვენს მწერლობაში საკმაოდ ცნობილი პირია. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იგი აქტიურ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა; 1868 წელს საკუთარი სახსრებით გამოსცა ქართული სინოპტიკური კალენდარი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

1873 წ. მშობლელი ახალგაზრდობისათვის რაფ. ისარლიშვილმა დაარსა უფასო სახალხო სკოლა. ამის გამო „დროება“ აღტაცებით წერდა იმავე წლის შვიდი სექტემბრის ნომერში, კარგი იქნებოდა ჩვენს ახალგაზრდობას რაფ. ისარლიშვილისაგან აეღო საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაგალითი.

1875 წ. რაფ. ისარლიშვილმა გამოაქვეყნა „პირველი წიგნი წერა-კითხვის სასწავლებლად შედგენილი სასოფლო შკოლებისათვის სურათებით“.

1878 წ. რაფ. ისარლიშვილი პარიზს მიემგზავრება; ოქტომბრი აგვისტოს ნომერში „დროება“ იუწყებოდა: „თბილისიდან სახზეკარგარეთ გამემგზავრა ორი ახალგაზრდა ქართველი ყმაწვილი კაცი. ერთი უ. ბერიძე, იტალიაში, მხატვრობის შესასწავლად და მეორე უ. რ. ისარლიები, პარიზში, სადაც მან წაიღო აქედან რამდენიმე ქართველი სურათი დასაბეჭდავად“. ამის შემდეგ რაფიელ ისარლიშვილი აქტიურ ეროვნულ საქმიანობას ეწეოდა საზღვარგარეთ, მეგობრობდა ქართველ მწერლებთან, კერძოდ, ი. ჭავჭავაძესთან, თანამშრომლობდა „ევროპაში“ და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე რუსულ და უცხოურ გამოცემებში. იგი ეროვნულად ემსახურებოდა დიდი ილიას მიერ სულჩადგმულ საქმეს — უცხოეთში ქართული კულტურისა და ლიტერატურის პროპაგანდას, პროგრესულ რუს, უცხოელ და სხვა ხალხთა მოღვაწეებთან კავშირის განმტკიცებას.

გასული საუკუნის ბოლოს მთელი მსოფლიო გამალებული ემზადებოდა პარიზის საერთაშორისო გამოფენისათვის. ყველა ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მიმზიდველად და სრულად აესახა თავისი ქვეყნის ცხოვრება. ილია ჭავჭავაძე სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ საქმეს და გაზ. „ივერიაც“ საკმაო ადგილს უთმობდა გამოფენის საამბოხოს. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ საქმის ორგანიზაცია მიანდო რაფიელ ისარლიშვილს, რომელიც პარიზის 1900 წ. მსოფლიო გამოფენაზე ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების მოწესმფლობელთა მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

პარიზის გამოფენა უმთავრესად ქვეყნების ბუნებისა და მეურნეობის ჩვენებას თავაღლიწინებდა, მაგრამ ქართველმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს შეძლებისამებრ გაეფართოვებინათ ეს ჩარჩოები და უცხოელებისათვის, რომლებსაც იმ დროს მეტად ბუნდოვანნ წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე, ეჩვე-

ნებინათ საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ამსახველი საინტერესო ენციკლოპედია.

რაც. ისარლიშვილის პირად არქივში დაცული წერილები გვიჩვენებს, რომ ქართველი მოღვაწეების ამ გულმოდგინე მეშაობამ სასიხარულო ნაყოფი გამოიღო. პროფ. ალ. ხახანაშვილი „ივერიაში“ წერდა: „ქართველს მკითხველს მოეხსენება, რომ წელს პარიკის მსოფლიო გამოფენაზე მიიღო მონაწილეობა ქართველმა საზოგადოებამაც. როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პარიზში 1900 წელს იმართება გამოფენაო, ჩვენი საზოგადოების ერომბა წევრმა ბ-ნ რაფიელ პეტრეს ძე ისარლიშვილმა ითავა და როგორც გაზეთის საშუალებით, აგრეთვე ცალკე ნაბეჭდის მოწოდებით განმარტა, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენს ერისათვის ამ გამოფენაში ჯეროვანი მონაწილეობის მიღებას. საკირო-ება ამგვარად ქართველთა სახელს გამოქვეყნებისა შეეწყოს იქმნა ბ-ნი ისარლიშვილის თაოსნობით. შედეგ პატარა კომიტეტი ამ საქმის მოსაწყობად, გაიხსნა ბიური, ბანკები დაგვეხმარნენ და ქართული ენციკლოპედიის თეზერეალში გიგეზავნა პარიზში. თან ამათ მიპაყვა მარტის დამდეგს ბ-ნ ისარლიოვი, როგორც ქართველთა წარმომადგენელი. გამოფენა მოეწყო ტროკადეროში. მხატვრულად გაფორმა ენობილია მხატვარმა კოროვინმა. გამოფენილია სურათებისა „ეეფფის ტაფოსანი“, ი. გოგებაშვილის წიგნები და სხვ... ბ-ნი ისარლიშვილი ცდილობს ეს ჩვენი მონაწილეობა გამოფენაში დაგვირგვინოს ფრანგულ ენაზედ გამოცემულის „ენობათა კრებულით საქართველოს შესახებ“. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ისარლიშვილი, რომ მან მცირე სახსრით და დიდი თავდადებით ჩაადგმევინა ფეხი ჩვენს საზოგადოებას მსოფლიო გამოფენაზი“[1].

მართლაც, ეს მშვენივრად ორგანიზებული საქმე დაგვირგვინა სპეციალურად პარიზს გამოფენისათვის ფრანგულ ენაზე დაბეჭდილმა წიგნმა „საქართველოს ისტორია“. კავკასიის ენციკლოპედიის სტენდებზე განლაგებული, დიდი გემოვნებით გამოცემული წიგნი ასათასობით უცხოელს ყურადღებას იქცევდა. სულ მალე წიგნი ადარ იშოვებოდა და ბევრი სახელმოხვეჭილი მწერალი და მეცნიერი სთხოვდა რაფ. ისარლიშვილს ამ მშვენერი თხზულების ეგზემპლარს.

ეს წიგნი პროფ. ალ. ხახანაშვილმა შეადგინა რუსულად, ხოლო რაფ. ისარლიშვილმა იგი შეავსო ახალი მასალით, გადათარგმნა და დაბეჭდა პარიზში 1900 წ.; წიგნი გამოიცა ერთი ფრანგული ფირმისა და ქ. შ. ფ.-ქ. გამგრეცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის სახელით. ამავე საზოგადოების გადაწყვეტილებითა და ილია ჭავჭავაძის რჩევით წიგნი უფასოდ დაეგზავნა რუსეთისა და მსოფლიოს ყველა ცნობილ მწერალს, მეცნიერსა თუ საზოგადო მოღვაწეს. საქმის ცოდნით დაწერილება ნაშრომმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

რაფ. ისარლიშვილმა მის მიერ გამოცემული წიგნი მაშინვე გაუგზავნა ივანე ვაზოვს სოფიაში. როგორც ირკვევა, ისინი დიდი ხნის მეგობრები ყოფილან. წიგნთან ერთად რაფ. ისარლიშვილს გაუგზავნია ერეცელი და განსაკუთრებით გულთბილი წერილი. ეს შემთხვევითი როდია, — ამ დროს ივანე ვაზოვის შემოქმედება ქართველი მკითხველისათვის უკვე კარგად იყო ცნობილი.

რაფ. ისარლიშვილი მეგობარმა თეოდო სახოკიამ 1890-იან წლებში ქართულად გადმოთარგმნა ივანე ვაზოვის რომანი „დამონებულნი“, რომელიც მალე ცალკე წიგნად გამოვიდა. ამ გამოცემის ძვირფას ყდაში ჩასმული, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი საგანგებო ეგზემპლარი თეოდო სახოკიამ გაუგზავნა ივანე ვაზოვს. ეს დაემთხვა იმ დროს, როდესაც რაფ. ისარლიშვილმაც „საქართველოს ისტორია“ გაუგზავნა ბულგარელ მწერალს.

თეოდო სახოკია გადმოგვცემს: „ივ. ვაზოვის რომანმა ქართველ მკითხველთა წრეში ღრმა ინტერესი გამოიწვია. ამ რომანის კითხვის დროს მკითხველს თვალწინ უდგებოდა თვით თავისი ქვეყანა, — ფეხქვეშ გთელილი თვითმპყრობელობის მიერ... ვაზოვს შეეატყობინე, თუ რა აღტაცებით კითხულობდა ქართველი მკითხველი მის წიგნს, რა მადლობით იხსენიებდა ავტორს ასეთი მანუგეშებელი და იმედიანი მომავლის გრძნობის აღმძვრელი წიგნისათვის. ივანე ვაზოვმა ამაზე მადლობის წერილი გამომიგზავნა და თან ჩვენს ერს წარმატება უსურვა. ჩემდა სამწუხაროდ, სხვა წერილებთან ერთად, პარიზში დამეკარგა ეს ძვირფასი წერილი ბულგარელთა სათაყვანო მწერლისა“[1].

ზუსტად ამავე ხანებში მოუწერია ივ. ვაზოვს რაფ. ისარლიშვილისათვის შემდეგი ბარათი (ფრანგულად):

---

1 „ივერია“, 1900 წ., № 161.

1 „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ., № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Sofia. 21 ნოემბერი, 1900 წელი.

ძვირფასო ბატონო!

მივიღე თქვენი ფრიად საამო წერილი. უსაზღვროდ გმადლობთ თქვენი საინტერესო თხზულებისათვის, „**საქართველოს ისტორია**“, რომლის გამოგზავნაც ჩემთვის განებებიათ და რომელიც მე უაღრესად დიდი სიამოვნებით წავიკითხე.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, ჩემო ბატონო, რომ მე ღრმად ვაფასებ თქვენს უურადღებას. მერწმუნეთ ჩემს უსაზღვრო პატივისცემაში.

ი. ვაზოი.

რაფ. ისარლიშვილის წერილსა და წიგნს მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია ბულგარელ მწერალზე. ამ აღტაცების შედეგია ივ. ვაზოვის შესანიშნავი სტატია „მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიული ცხოვრებისა“, რომელიც „ბულგარული კრებულის“ 1901 წ. მესამე ნომერში დაიბეჭდა (გამოდიოდა სოფიაში, სტ. ბობჩევის რედაქტორობით).

ალ. ხახანაშვილი-ისარლიშვილის შინაარსიანმა წიგნმა ივ. ვაზოვს შესაძლებლობა მისცა საფუძვლიანად გასცნობოდა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურასა და ისტორიას, ძმურად ეგრძნო ქართველი ხალხის ტკივილები და იმედები. მის წერილს ცხადად ამჩნევია ამ ცოცხალი, უშუალო შთაბეჭდილებების ბეჭედი. მას გულით უწადია თბილისში ჩამოსვლა, საქართველოს ახლოს გაცნობა, ქართველ მეგობრებთან გულთბილი შეხვედრა. ი. ვაზოვი აღნიშნავს: „ერთი საუცხოო წიგნი „საქართველოს ისტორია“ ბ-ნის ისარლიშვილის მიერ შარშან ფრანგულ ენაზე გამოცემული, სავსე ყოვლდის ინტერესითა, სამუალებას გვაძლევს საზოგადოდ გავაცნოთ ჩვენთა თანამემამულეთა ისტორიული სვეტები ამ საინტერესო ხალხისა, რომელიც ჩვენზე დიდი ხნით ადრე ვამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე“.

ვაზოვი საქართველოზე წერს, როგორც საკუთარ სამშობლოზე. მას ანცეფრებს მტრების გაუთავებელი იერიშები ორ სამყაროს შუა ბურჯად ამართულ პატარა ქვეყანაზე. მწერალი აღტაცებულია ქართული ლიტერატურული პირველად გაიცნო თავის თანამემამულეებს რუსთაველი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ბარათაშვილი.

ქართველთაგან მიძღვნილი წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებას ვაზოვი ასე გადმოგვცემს: „საკმარისია თუნდაც ერთი თვალის გადავლება საქართველოს ისტორიისა, რომ მკითხველი გაოცოს ამ პატარა ერის დაუღალობამ და მხნეობამ.

რომ წარმოიდგენთ ქართველი ერის ამ დაუღალობას და გულგაუტეხლობას, მის დაუსრულებელ ბრძოლას, გული გეშვით მისთვის, პატივს სცემთ ამ ხალხს ისე, როგორც პატივსა სცემთ და სიმპატიით ეკიდებით ზოლმე ყოველ ერს — სიკოცხლითა და სულიერი სიძლიერით სავსეს; გიკვირთ, ეს ერი, მტკიცე, ვით სალი კლდე კავკასიონისა, სადაც ისტორიამ ის დამაკვიდრა, როგორ გადაურჩა აზიის უთვალავ ურდოთა სიმხეცეს და ულმობელობას, გიკვირთ, მას შემდეგ როგორ მოაბერხა კიდევ ცოცხალი დარჩენილიყო“[1].

შემდეგში ვაზოვი უფრო დაუახლოვდა საქართველოს, თვალყურს ადევნებდა მის ცხოვრებას, მშობელ ერს ჩვენი ხალხისადმი ძმურ სიყვარულს უნერგავდა. ეგი მხურვალედ მიესალმა ბულგარეთის სეკენაზე ხუმბათაშვილის „ლალატის“ დადგმას და სპეციალური წერილი მიუძღვნა საქართველოს ეროვნული წარსულის ამსახველ სპექტაკლს.

ქართველი ხალხი ულრმესი სიყვარულითაა გამსჭვალული დიდი ბულგარელი მწერლისადმი. საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულად გამოიცა ი. ვაზოვის მთელი რიგი თხზულებანი.

ქართველ მწერლებთან ივანე ვაზოვის მეგობრული კავშირი ბულგარულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის ნათელი ფურცელია.

---

[1] „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. 6 აპრილი, თარგ. თ. სახოკიასი.

კორა ნეკრეთელი

მაია წყნეთელი

რატომ გაუწია გულმა რეკვაზ ჩხეიძეს ისტორიულ-პიროვნული ჟანრისაკენ? ამ კითხვას ძალიან უნებურად თავის თავს ყველა, ვინც იცნობს ამ ნიჭიერი, მრავლისაღმფენელი რეჟისორის შემოქმედებას. თავისი პირველი ფილმებით რეკვაზ ჩხეიძე ხომ თითქმის უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ფაქიზი ფსიქოლოგიური ნახატის ოსტატი, რომელიც ისწრაფვის რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს და შეისწავლოს თავისი გმირები. ის ღალად და ძალდატანებლად გრძნობს თავს ისეთ ჟანრში, როგორიცაა ყოფითი დრამა, სადაც შესაძლებლობა ეძლევა ჩაუფიქრდეს, ჩაბედოს სულში თავის გმირებს. მიაგნოს და გვიჩვენოს ის წინააღმდეგობები, მათ რომ აწუხებთ. რეკვაზ ჩხეიძე დღესდე სწორედ ასეთი რიგის ოსტატად წარმოგვედგინა. და, ცოდვა გამოტეხილი სჯობია, ცნობამ — ახალგაზრდა რეჟისორმა მონუმენტურ ჟანრს მოჰკიდა ხელი, ერთგვარი ეშვიე კი აღძრა: შესძლებს თუ არა ახალი ფილმი უპასუხოს იმ მაღალ მოთხოვნებს, რომელთა წაყენებასაც ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამ ახალგაზრდა რეჟისორისთვის?

ფილმზე მუშაობის პროცესში რეჟისორმა თქვა:

— ჩვენ არ ვფიქრობთ ისტორიული ფილმის შექმნას ამ ჟანრის ტრადიციული გაგებით. მაყურებელი ნახავს ტრაგიკომედიას, სადაც კომედიური ხასიათის სცენებს დრამატიული ეპიზოდები ცვლის. ეს არის მაიას ყმაწვილური სეფა თავის ქალაშვილურ ბუნებაზე, რასაც იგი გულის სიღრმეში იკლავს, რადგან ასეთია მკაცრი გარემოება. ბოლოს ნამდვილ ტრაგიკულ სიმაღლემდე უნდა აეყვანდეს ფინალი — მაიას დაღუპვა ბრძოლის ველზე. მაია იღუპება ისე, რომ თან მოაქვს თავისი ოცნება — ეზიარის ჭეშმარიტ სიყვარულს და კვლავ ჩაიკვეს ქართველი ქალის კაბა.

მაგრამ მაიას თავგადასავალი ლეგენდაა, რომელიც უმთავრესად თავისი პატრიოტული ეროვნულობის წყალობით შემოგვრჩა. უბრალო ქართველი ქალაშვილის მაიას ბედნიერ ბედ-ბედ ბედ-ბედ ბედ-ბედ

ნალბია ფილმის ცენტრალური სახე. იმთავითვე ეახარებმ ის გაგებულება, როგორითაც ჩაუფიქრებია რეჟისორს თავისი გმირი. მაიას სახის გადაწყვეტა გამომდინარეობს რეჟისორის იმ მანერიდან, რომელზეც ზევით მოგახსენეთ: თავისი ისიც, რომ გულმოდგინე და ზოგჯერ [illegible] ვარჯიშის შედეგად მსახიობმა შეისწავლა [illegible] რიკაობა, ცხენზე ჯდომა, სროლა და სხვ.

რა ხერხებს მიმართავენ რეჟისორი და მსახიობი თავისი გმირის მდიდარი და წინააღ-

სიყვარულით მოეკიდა მაიას სახის შექმნას ჩვენი შესანიშნავი კინომსახიობი ლილა აბაშიძე.

გმირების ფსიქიკის ფაქიზი ანალიზის უნარმა აფიქრებინა მას შეექმნა ტრაგედია ქალიშვილისა, რომელიც მხედრის უნაგირ ტანსაცმელს შეუბოჭია, თავის ქალურობას დასტირის და ტრფობა ვერ გაუმხელია. რა ცხოვრებისეულად, გულში ჩამწვდომად და, რაც მთავარია, რა მართლდაა გადმოცემული ყოველივე ეს! საცსებით მიზეარი, ყოველი ქალური სისუსტით დაჯილდოებული მაიას გმირობა ამით კიდევ უფრო დიდი ხდება.

იქნებ ამიტომაც მოეკიდა ასეთი სიყვარულით ამ სახის შექმნას ჩვენი შესანიშნავი კინომსახიობი ლილა აბაშიძე.

თუ დღემდე ამ ახალგაზრდა მსახიობის ნიჭიერებაში უწინარეს ყოვლისა ბაზგასმული იყო **ხოლმე შესრულების გულწრფელობა** და **უშუალობა, მისი ეს უკანასკნელი როლი უკვე** ნამდვილი, **მომწიფებული** ოსტატობით **გამორჩევა. ესაა ოსტატური** ნამუშევარი, **რომელშიც, დიდი** ნიჭის გარდა, ჩაქსოვილია **დიდი ცოდნაც** და ძალაც. მშვენივრადაა **მიგნებული** გმირი ქალის გარეგნული სახე. **მაყურებელს უკვე მოყირჭდა მამაკაცის ტანსაცმელ**ში გამოწყობილი ქალები, **რომლებსაც** ძუძუთა **ბაუშვიც კი** მიუხვდება — **გადაცმულიაო.**

მაია წყნეთელი ნამდვილი ბიჭია და ჩვენც ფილმის ბოლოამდე გვეგონა, რომ ვერავინ მიუხვდებოდა საიდუმლოს. ამას ხელს უწყობს მდეგობრივი შინაგანი სამყაროს გასახსნელად? გიახსენეთ მაიას საუბარი მეფე ერეკლესთან, როცა მას ენინაღმ წამოსცდება თავისი საიდუმლო. რა შეშფოთება ეხატება მაიას სახეზე, რომელსაც მსხვილი პლანით გვიჩვენებენ! წუთით მისი სახის ლამაზი, ბიჭური ნაკვთები ნაზი და ქალური ხდება. მაყურებლის თვალწინაა აფორიაქებული და უბედური ქალიშვილი. მაგრამ იგი იმ წამსვე მოიერევა თავს. რა ტემპერამენტით, რა ცეცხლით ატარებს მაია ეშვეიონობის სცენებს. აქ ჩანს არა მარტო სასოწარკვეთილება ქალისა, რომელიც ჰაარგავს სატრფოს, არამედ მის მიერ შეძენილი მამაკაცური თავშეკავებაც. და რა საუცხოოდ იფეთქებს მისი ეშვეიონობა იმ სცენაში, როცა სასოწარკვეთილი, სუსტი და უმწეო მაია დაჰქვითინებს კაბას, დასტირის თავის ქალობას. ეს ფილმის საუკეთესო სცენაა.

მოსაწონია, რომ თავისი გმირი ქალის დრამის დასახატავად რეჟისორი სხვადასხვა ფერებს იყენებს. მათ შორისაა მისი საყვარელი რბილი და ლირიკული იუმორი, რომელიც ზაგან კომიზმში გადადის, ძირითადში ეს სცენები ძალიან კარგია. მაგრამ, თუმცა ნაკლზე ბოლოს ლაპარაკობენ ხოლმე, აქვე ვიტყვიო, რომ აბანოს სცენა ამოვარდნილია ძირითადში დიდი ტემპით გაკეთებული საერთო პლანიდან. აქ სცენარისტმა და რეჟისორმა ხელი მოჰკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს იმას, რაც ხელში მოპყავთ. მართლაც, თუ კაცი მოინდომებს ჩვენი გმირის კომიკურ მდგომარეობაში ჩაყენებას, — იმაზე მარკვევს ყურაღღებას, მოიგონებს, რომ მამაკაცებთან ერთად გაგზავნოს ბბანოში. ამიტომ ბბანოს სცენა თუმცა ერთი შეხედვით ეფექტურია, მაგრამ საკმაოდ იაფფასიანია.

მშვენერია სცენა, როცა შუა მდინარეში შეცურებენ, თავის დარდთან მარტოდ დარჩენილი მაია მიმართავს ღვთისმშობელს და სასოწარკვეთილი სთხოვს პასუხს: „წმიდაო დედაო... ძალიან მიმძიმს... ძალიან მიმძიმს... შენც ხომ ქალი ხარ? ბიბის ჩოხაში, მიპასუხე, გაძლებ?.. მიპასუხე, გაძლებ?.. მიპასუხე, გაძლებ?..“ ეკოს შორს მიაქვს ძმისა სიტყვები და ეს გამოძახილი ისმის, როგორც დაკარგული ქალშვილობისა და სიყვარულის უფლების დაბრუნების ვედრება.

ფილმის ფინალი ნამდვილი ტრაგედიის ჟღერადობას იძენს. ნელ-ნელა ეშვება ბინდი ველებზე, რომელზეც მაია თავგანწირვით ებერეგის მრავალრიცხოვან მტრებს. და აი, მოჩანს მზოლოდ პირქუში სილუეტები მტრებისა, რომლებიც გაფთრებით გმირავენ ძაიას. ეს — ფილმის დასასრულია, ნამდვილი დასასრული. მანუჩას სარული ბრძოლის ველზე, მათე-ბიბის ძებნა და მაიას აღსარება მზოლოდ აჭიანურებს და ასუსტებს ფილმის ტრაგიკულ ჟღერადობას. ვფიქრობთ, არ ღირდა ამის გაკეთება მზოლოდ იმის გულისთვის, რომ საბოლოოდ ძაიას საიდუმლო გახსნილიყო; ამის მიღწევა სხვა გზითაც შეიძლებოდა.

ფილმში სხვაც ბევრია საინტერესო ამტიორული ნამუშევარი.

კალორიტულ სახეს ქმნის ალაკი კვანტალიანი ბერიკას როლში. მზოლოდ როლის ყველა დეტალზე და, სამწუხაროდ, ღარის ტექსტუალურ მასალაზე სერიოზული. დაფიქრებული მუშაობით შესძლო მსახიობმა შეექმნა გულუბრალო მებრძოლის, ოხუნჯი და მხიარული გლეხის პარმონიულად შერწყმული სახე. მსახიობის თამაში გამოირჩევა ზომიერების საუცხოო გრძნობითა და ეშმაკრიტი ხალხურობით, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ ხელოვნურობას დარბაზიდან ტაციას.

მომზიბვლელია გოჩა ალაშვილის მიერ შექმნილი მანუჩა. ეს ნამდვილი მამაკაცია — ბრძოლის ველზე გულადი და ქალიშვილებთან ალერსიანი და ნაზი. მასში ვგრძნობთ იმ ჯანსაღ ძალას, რაც ასე უხვადაა ხალხში. დასანანი ისაა, რომ მსახიობს ხელვეს უბორკავს სცენარი, რომელშიაც მანუჩას ძალზე მცირე აქვს სალაპარაკო ტექსტი.

მზოლოდ რეჟისორისა და ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობის წყალობაა, რომ ამ სახეს სული ჩაედგა.

მაგრამ თუ მოხერხდა მანუჩასათვის „სულის

შესანიშნავად შეასრულა ქერიმ-ალაზ როლი ნიჭიერმა მსახიობმა ნოდარ ჩხეიძემ.

ჩადგმა“, სამაგიეროდ ყოველი ცდა, რომ შეექმნათ მეფე ერეკლეს ნათელი და საინტერესო სახე, სრული მარცხით დაგვირგვინდა.

ამ მარცხის პირველწყარო, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, სცენარია. გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი სცენარის ავტორმა საკმაოდ უხვ ცნობებს ამ გამოჩენილი ადამიანის შესახებ, რაც ისტორიამ შემოგვინახა. მეფე

ერეკლე ერთადერთი პერსონაჟია, რომლის შექმნისას ავტორს შეეძლო დაყრდნობოდა და უნდა დაყრდნობოდა კიდეც უტყუარ ისტორიულ ფაქტებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ერეკლე იყო არა მხოლოდ ბრძენი მეზღარდრთთავარი, არამედ ლეგენდარული მებრძოლიც.

ჩანს თუ არა ეს ფილმში? არა. უმალ პირიქითაა. მნახველს აოცებს ერეკლეს უმწეობა და გაუბედაობა ბრძოლის ველზე. ცნობილია, აგრეთვე, რომ ერეკლე ბრძენი ადამიანი იყო. პირდაპირ ვიტყვით — ერეკლეს დიალოგი მთაბიბეთან, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, მიამიტური. არც ერთი ქართველი მეფე არ მჯდარა ამ მინის ხუფს ქვეშ, რომლის ქვეშაც დასვეს ერეკლე ფილმის აფიტრებზე. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად დატკბილული დიალოგებისა მთაბიბეთან, რომელიც მეფეს რატომღაც ხალხთან შუამავად აფრჩევია, ერეკლე მშრალი და უინტერესო გამოვიდა; რაც განსაკუთრებით გულსატკენია — იგი სულაც არ ტოვებს ჭკვიანი მეფის შთაბეჭდილებას. გული გვტკივა ამ როლის შემსრულებელი ნიჭიერი მსახიობის ტყაბლაძის გამოც.

შესანიშნავად შეასრულა ქერიმ-აღას როლი ნიჭიერმა მსახიობმა ნოდარ ჩხეიძემ. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის კადრები, სადაც ერთმანეთს სწრაფად ენაცვლება ქართველთა ლაშქრის ზეიმი, მტრის უკანდახეული ჯარი და მისკენ განწირული კრუნჩხვითა და ხოხვით მიმავალი ქერიმ-აღა. ამ ეპიზოდების მონაცვლეობის ნერვიული რიტმი ქმნის დაძაბულობისა და დრამატიზმის იმ ფეროვნობას, რომელიც სულ უფრო და უფრო შეეტყება ფინალში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექსტიალური მასალა, რომელიც ხელთ ჰქონდათ მსახიობებს და რეჟისორს, ვერაა მაინცდამაინც ყოველმხრივ მართლაც, ფილმის დიალოგები ვერ დაიკვეხნიან ბრწყინვალეებით. თუმცა ეს კია, რომ დიალოგები ცოტაა. მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ძველ დიალოგს ორჯერ მეტი აზრობრივი დატვირთვა აქვს. ასეთი დიალოგი გაცილებით უფრო ძნელი დასაძლევია, ვიდრე ერეკლეი და სატყვაჭარბი დიალოგი.

სერიოზულ შენიშვნებს იწვევს ფილმის მონტაჟი. აქ ბევრია ბრწყინვალედ გაკეთებული ადგილი, რომლებიც ცუდადაა შეერული და ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ, უდავო მხატვრულ ღირსებათა მიუხედავად, ფილმი ადვილი საყურებელი არაა. ძალზე გაჭიანურებულია ბატალური სცენები. ამავე დროს დანანებით გვახსენდება ის ეპიზოდები, რომლებიც ამოვარდა ფილმის დამონტაჟების დროს, ბევრს მოიგებდა ფილმი, თუ, მაგალითად, დარჩებოდა მაიას ქალიშვილობის, მისი ბატონთან შებრძოლების, ბატონის მოკვლის სცენები, სცენა ურემზე, — ამ სცენას საინტერესო ლირიული ფერები შეჰქონდა ცენტრალური გმირების მიისა და მანუჩის სახეებში. ეპიზოდების ერთმანეთში გადასვლა არაა მწყობრი და ეფექტური.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ოპერატორი გიორგი ჭელიძე, მისი პეიზაჟები გრაფიკული ხელოვნების ნაწარმოებებია. აქ ყველაფერი ახალია და უჩვეულო.

კარგი და მეოლდიერია სულხან ცინცაძის მუსიკა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ბერიკაობისა“ და გუნდისთვის დაწერილი მუსიკა.

მიუხედავად ჩამოთვლილი ნაკლოვანებებისა, ფილმის შემქმნელმა კოლექტივმა კარგად გაართვა საქმეს თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

სტუდენტების მანიფესტი

სტუდენტთა მეორე რესპუბლიკური დღის ზეიმის დღეებში ავსტრიელმა სტუდენტებმა მიიღეს მანიფესტი, რომელშიც აღწერენ თავის კატასტროფულ მდგომარეობას და მოითხოვენ, რომ 1960 წლის ბიუჯეტში მთავრობამ მეტი თანხა გამოიყოს სტუდენტთა საჭიროებისათვის, უწინარეს ყოვლისა კი საექიმო მომსახურებისათვის (ავსტრიელ სტუდენტებს არა აქვთ უფასო საავადმყოფო და საექიმო დახმარება). მანიფესტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თუ 1960 წლის ბიუჯეტი უუფარდღეებად დატოვებს სტუდენტთა მოთხოვნას, მაშინ ისინი საყოველთაო გაფიცვას გამოცხადებენ და არ დაესწრებიან ლექციებს, ვიდრე მთავრობა არ დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნებს.

აშშ

„ბერიკაცი და ზღვა“ დამპარცხდა

ჰოლივუდის ფილმი „ბერიკაცი და ზღვა“, რომელიც ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობის მიხედვით გადაიღეს, 5 მილიონი დოლარი დაჯდა. ფილმის გადაღებამ დიდხანს გახტანა. მოეწყო უზარმაზარი ხელოვნური ტბა, ჩამოზიდეს ათასობით ცოცხალი და ხელოვნური თევზები... და, როგორც იუწყებიან, ამდენმა შრომამ და დრომ ფუჭად ჩაიარა. კრიტიკოსთა ერთხულოვანი აზრით, ფილმი უვარგისი გამოდგა. სპენსერ ტრეი მეტად „ინტელიგენტურად“ თამაშობს მთავარ როლს, ხოლო მოთხრობის საერთო ატმოსფერო და განსაკუთრებული მომხიბვლელობა თითქმის სულ აღარაა.

ისევ ხურნელოვანი კინოს თაობაზე

განთქმული ამერიკელ რეჟისორ მაიკლ ტოდს, რომელიც შარშან ავიკატასტროფის მსხვერპლი შეიქმნა, დარჩა ვაჟი მაიკლ ტოდ-უმცროსი, რომელიც განაგრძობს მამამისის—სანსაციური ფილმების შემქმნელის—ტრადიციებს. მან საფრანგეთის საწარმო ოუზინ დიუ რონისგან შეისყიდა ახალი გამოგონება, რომელის მეოხებითაც კინოფილმებს თან ახლავს შესაბამისი სურნელება. პირველ ასეთ ფილმს ეწოდება „მიმზიდველი სურნელება“. ეს არცთუ მთლად დიდი სიახლეა, რადგან ამას წინათ ასეთივე ფილმების ჩვენება სცადეს შვეიცარიაშიც (ჰანს ლაუბე?), თუმცა, მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს მიაღწიეს.

ულტრახმეები სარეცხსა-თვის

ნიუ-იორკის ფირმები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის ბოლოსდე ბაზარზე გამოუშვებენ თავის ახალ პროდუქციას — ეს იქნება სარეცხი მაქანები, რომლებიც ულტრახმეების მეოხებით გარეცხავენ სარეცხს.

40 წლის მერე ელირსა

რიო დე-ჟანეიროში დაიდგა განთქმული ბრაზილიელი კომპოზიტორის ეიტორ ვილა-ლობოსის ოპერა „იზაიტ“. ამ პიჩინის ყაიდაზე დაწერილი ოპერის დადგმას 40 წელი ელოდნენ. მაყურებელმა ოპერა ძალიან გულთბილად მიიღო.

გერმანია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ეისლერის სიმფონია

ამას წინათ ოპერის თეატრში პირველად შეასრულეს გერმანელი კომპოზიტორის ჰანს ეისლერის „გერმანული სიმფონია“. ეისლერმა ეს ნაწარმოები ჯერ კიდევ ომამდე შექმნა დოდეკაფონური (თორმეტტონიანი) ტექნიკით ბერთოლდ ბრეტის ტექსტზე. პირველი ვარიანტი 1935 წელს შეიქმნა. 1948 წ. სტალინგრადთან ბრძოლების დროს ბრეტმა და ეისლერმა სიმფონიას მიუმატეს ეპილოგი. ბრეტის იმ ლექსებს შორის, რომლებზეც შეითხზა მუსიკა, არის ცნობილი „სიმღერა კლასობრივ მტერზე“ და „საკონცენტრაციო ბანაკების მებრძოლთა“. სიმფონია დაწერილია ორკესტრის, ბუნდის, სოპრანოს, ბარიტონის, ბასისა და ორი დეკლამატორისთვის. „გერმანულმა სიმფონიამ“ — გერმანული ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმართულმა ამ საბრალდებელო აქტმა, რომელიც უდიდეს მოვლენად იქცა გდრ-ს კულტურულ ცხოვრებაში, დასავლეთ გერმანიის პრესაშიც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ექსპედიცია სამხრეთ აფრიკაში

კულტურის სამინისტროსა და ბერლინის ზოოპარკის მუშაკთა სამეცნიერო ექსპედიცია კინომუშაკებთან ერთად გაემგზავრა სამხრეთ აფრიკაში.

ექსპედიციის მონაწილეებს განზრახული აქვთ გაეცნონ სამხრეთ აფრიკის ცხოველთა სამყაროს, შეიხვალონ ეკეთური ზანგი ტომების ცხოვრება. გათვალისწინებულია ამ მასალების საფუძველზე ფერადი ფილმის შექმნა და ილუსტრირებული წიგნების გამოშვება. ექსპედიცია ჩაატარებს ბიოლოგიურ და ანთროპოლოგიურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, გარდა ამისა ბერლინის ზოოპარკისთვის ჩამოიყვანს აფრიკის ცხოველებს.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ

მაიდელბერგის სტუდენტებისთვის ყველაზე მძიმე პრობლემაა ბინის ზოგნა. ქალაქი სავსეა მათი ამგვარი ხასიათის განცხადებებით: „ხიამოვნებთ მოგუელი ბავშვებს, გავწმენდ ფეხსაცმელებს, შეგასრულებ ყოველგვარ საოჯახო საქმეს. ამის სანაცვლოდ მაიდელბერგელ სახლის პატრონებს ვთხოვ მხოლოდ ერთ პაწია ოთახს".

„ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ" ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ

ჰამბურგის ერთ-ერთ კინოთეატრში აჩვენებენ ამერიკულ ფილმს „მაკბრ", რაც ნიშნავს „ხაზრელს". ამ ფილმის რეკლამები, რომელზეც გამოსახულია თავმოკვეთილი ადამიანი და ჯალათი, იუწყება: „ვინაც გული არ უფარავა და სუსტი ნერვები აქვს, ნუ ნახავს ამ ფილმს!". იადგან მშვენივრად იცით, რომ მაყურებელი მაინც ამყვება ცდუნებას და ნახავს ამ სურათს, რეკლამა შემდეგ დამამშვიდებლად დაურთავს: „ყოველ მაყურებელს სენსაციის განმავლობაში ეაზღვევთ 1000 დოლარით, თუ ვინაიცობაა გული გაუსკდა და მოკვდა".

„ᲑᲔᲚᲘᲡᲚᲘ ᲓᲐᲒᲘᲠᲐ ᲣᲨᲐᲠᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ"

დასავლეთ გერმანელმა ალპინისტმა, ბუნებისმეტყველმა და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების რეჟისორმა ერტლმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში პირველ გიმეზაზოვის ამაზონას გაუვალ ტყეებში, რათა დაიმორის 10-15 მეტრის სიგრძის გველი ანაკონდა. ერტლს განზრახული აქვს გამოიყოლის ეს გველი და ამით ოზოოს ახალი სამეცნიერო ფილმის გადასაღები სახსრები. „საქმე ისაა, — უთხრა ერტლმა ჟურნალისტებს, — რომ ანაკონდას დაჭერა უფრო ადვილია, ვიდრე ფედერაციული მთავრობისგან კულტურულ-საგანმანათლებლო ფილმისთვის საჭირო ნუსხიდიის მიღება".

ᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲕᲝᲚᲤᲡᲒᲐᲜᲓ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ალტენბურგის თეატრი საკასტროლოდ ეწვია დასავლეთ გერმანიის ქალაქ პისენს. თეატრმა მაყურებელს უჩვენა ცნობილი დრამატურგის ფრიდრიხ ვოლფის პიესა „პროფესორი მამლო�d". ადგილობრივმა თეატრმა თავის პროგრამაში ვოლფის პიესას „ძალზე აქტუალური ნაწარმოები" უწოდა.

ყოველკვირეული ჟურნალი „დი ანდერე ცეიტუნგი" სვამს კითხვას: „განა ბევრი დასავლეთგერმანელი იცნობს გამოჩენილი დრამატურგს?"

თავის დროზე გერმანელმა ფაშისტებმა ამ გამოჩენილი ანტიფაშისტი დრამატურგის ნაწარმოებები სხვა პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად ცეცხლში დაწვეს. 1958 წ. ქ. ჰამბურგის წიგნების გამოფენაზე, რომელიც მოეწყო ამ ბარბაროსული ანგარიშწორების 25 წლისთავის აღსანიშნავად, სხვა პროგრესულ მწერალთა ნაწარმოებების გვერდით ფრიდრიხ ვოლფის წიგნებიც ელაგა.

„გამოფენის მომწყობთ დაავიგინდათ, — აღნიშნავს „დი ანდერე ცეიტუნგი", — 1958 წელს ფრიდრიხ ვოლფი ცოცხალი აღარ იყო".

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

შტუტგარტის გამომცემლობამ თავის მკითხველთა აცნობა, რომ ჟურნალი „ᲕᲔᲦᲘ ᲪᲣᲪᲘᲜᲐᲓᲔᲠᲘ" წყვეტს თავის არსებობას. „ახეთი ძმიმე გადაწყვეტილება მიგვაღებინა სულ უფრო და უფრო მწარედ მატერიალურმა გაჭირვებამ", — აღნიშნავს გამომცემლობა. ჟურნალის უკანასკნელი ნომერი მშვიდობისა და ურთიერთგაგების საკითხებს მიეძღვნა.

ამ ჟურნალის დახურვასთან ერთად ცნობილი გახდა, რომ ჰოტგაგენში გამოსვლას იწყებს ჟურნალი „დას ნოიე რეიხი", სადაც გაუქმებული იქნება კულტურისა და პოლიტიკის საკითხები.

გაზეთი „ნაციონალ-ცეიტუნგი" მიუთითებს, რომ ამ ახალი ჟურნალის დარგმელ დარგზმულ ლიტერატორთა მიზანია ჰეიდელსაისეული ჟურნალ „**რეიხს" ტრადიციათა გაგრძელება**. ორივე ფაქტიდან ერთი საკმაოდ მეკვირეტყველური დასკვნის გამოტანა შეიძლება.

ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ

ამას წინათ კოპენჰაგენში წარმოადგინეს დანიელი ექიმის ბალეტი — „პენიცილინი". ქორეოგრაფიული საშუალებებით განხორციელებული ეს სამედიცინო ნაწარმოები ახახავს ბრძოლას, რომელიც წარმოებს ადამიანის ორგანიზმში ძმიმე დაავადების დროს. ბალეტის მუსიკაც აგებულია ფაზოოლოგიურ თემებზე, მაგალითად, გადასცემ გულის ცემის სხვადასხვაგვარ სახეობას. ბალეტში „ლეიკოციტები" თავს ესხმიან „ბაქტერიებს", მაგრამ დასასრულ საკვდილს სძლევს პენიცილინი. თავის მხრივ დეკორაციებიც ორგანიზმის ქსოვილის მსგავსია: ინ-

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ „ᲭᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ“ ᲰᲐᲠᲔᲜᲘᲡ ᲤᲘᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲖᲘᲠᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘᲐ.

ᲔᲠᲐᲧᲘᲗ

ᲐᲠᲐᲒᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲐᲧᲘᲗ ᲒᲐᲬᲔᲠᲗᲘᲡᲐ „ᲐᲚᲘᲐᲜᲑᲘᲚᲐᲜᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲭᲘᲠᲐ ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲒ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲨᲘ. ᲒᲐᲬᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲝᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲒ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲨᲔᲫᲘᲜᲐᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲑᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲭᲔᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲒᲐᲛᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲭᲔᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲒᲐᲛᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲭᲔᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲒᲐᲬᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲝᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ, ᲨᲔᲫᲘᲜᲐᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲭᲔᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲒᲐᲬᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲣᲗᲛᲝᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲞᲔᲠᲔᲓᲘᲡᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲒᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲐᲑ ᲐᲠᲐᲑᲣᲚ ᲭᲔᲛᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ. ᲒᲐᲛᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დეგ ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ხუთრეტ მოემმა თავი ანება წერას, გიქცა ნასლიან ლონდონს და გადასახლდა ხაფრანგეთის რივიერაში, სადაც იდღეასაწყოდა თავისი 85 წლის თვალი.

პრესის წარმომადგენლებს მოემმა განუცხადა, რომ უახლოეს დროში განწარახული აქვს მოინახულოს ყველი ის ადგილი, რომლებიც ვამოკენებულია მის ძირითად ნაწარმოებებში.

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐ

გამომცემლობამ „ლოურენს ენდ უოშარტ“ გამოსცა ვალენტინ კატაევის წიგნი — „ᲑᲣᲢᲐᲠᲘ ᲡᲢᲔᲞᲘᲡᲐᲨᲘ“. ᲣᲣᲠᲚᲔᲡ „ᲣᲝᲠᲓ ᲜᲘᲣᲗᲝᲜᲘᲡ“ ᲐᲠᲘᲡᲗᲝᲜ ᲔᲚᲐᲐ „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲬᲘᲒᲜᲘ ᲘᲛᲘᲗᲗᲕᲘᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲒᲘ“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲙᲘᲜᲝᲡ ᲜᲘᲐᲑᲚᲘ

მილანის ᲰᲐᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡ გამოუნაწარ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲐ ახალი იტალიური გამოგონება — „ᲜᲘᲜᲔᲑᲝᲚᲘᲡ“. ესაა კინორადიოლას მსგავსი რამ, სადაც გრამფირფიტის ადგილი უკავია კოჭზე დახვეულ კინოფირს. ᲐᲮᲐᲠᲘᲐᲜ, რომელსაც ახლავს სატელევიზიო ეკრანი, ერთდროულად ᲒᲐᲒᲔᲓᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡ, ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲒᲠᲐᲒ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲬᲔᲑᲐᲡ. თვით ᲐᲮᲐᲠᲘᲐᲜ უთუოდ ᲩᲕᲣᲔᲚᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲘᲛᲔᲠᲘᲔᲑᲗᲐ ᲫᲕᲠᲘᲐ ᲐᲠ ᲔᲚᲔᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲬᲧᲓᲒᲛᲘᲐ ᲘᲛᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲠᲐᲤᲘᲤᲘᲤᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ „ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ“ 40 ᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲚᲘᲠᲘᲡᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲚᲘ ᲒᲠᲐᲛᲤᲘᲠᲤᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ. ᲤᲘᲠᲤᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲘᲤᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ თანდათანობითი განვითარების ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ, ᲛᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲔᲠ X ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲜᲘᲡᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲠᲔᲕᲘᲗᲐᲜ.

ᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 10 ᲒᲠᲐᲛᲤᲘᲠᲤᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲪᲐᲡ ᲫᲕᲘᲠᲗᲐᲓ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ; ᲐᲫᲔᲓᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲠᲘᲗᲝᲜᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲢᲠᲔᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲖᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲐᲜᲓᲠᲔᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲙᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲖᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲒᲔᲠᲨᲘᲜᲘᲡ, ᲛᲐᲠᲙᲝᲜᲘᲡ, ᲛᲐᲠᲙᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲚᲚᲘᲡ, ᲞᲣᲠᲪᲔᲚᲘᲡ, ᲛᲐᲡᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ 30 ᲤᲘᲠᲤᲘᲪᲐᲗᲐ ᲘᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲔᲠᲓᲘ, ᲒᲔᲠᲨᲘᲜᲘᲡ, ᲤᲠᲘᲚᲘᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲠᲙᲐᲡᲘᲡ, ᲩᲐᲠᲚᲘᲡ, ᲕᲘᲕᲐᲚᲓᲘᲡ, ᲨᲐᲒᲐᲚᲘᲡ, ᲞᲣᲠᲘᲜᲘᲡ, ᲛᲐᲡᲙᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ.

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲛᲐᲚᲕᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲠᲩᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲬᲚᲘᲗᲒᲐᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲬᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲗᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲓᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲘᲧᲝ ᲤᲘᲠᲤᲘᲪᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲣᲐᲮᲚᲐᲡᲬᲚᲘᲡᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲐᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲣᲠᲑᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ, ᲔᲡ ᲐᲠᲐᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲛᲝᲑᲘᲗ. ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲓᲐᲜ 1910 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲐᲛᲓᲔ.

„ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, — ᲬᲔᲠᲡ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘ, — ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐᲬᲠᲘᲚ ᲛᲐᲜᲡᲘᲡᲛᲔᲠᲮᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, ᲐᲠᲪ ᲛᲔ ᲕᲘᲪᲘ, ᲗᲣ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲣ ᲧᲣᲐᲡᲬᲚᲘᲡᲙᲜᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲠᲐᲛ ᲗᲣᲚᲘᲡᲐ — ᲡᲐᲮᲚᲘᲗᲛᲝᲜᲐᲠᲘ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲡᲘᲗᲜᲔᲚᲘᲐ ᲠᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲘᲗ ᲐᲪᲒᲐᲪᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲘᲒᲠᲫᲝᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲠᲝᲪᲐ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲡᲢᲔᲚᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲠᲐᲓ

ᲛᲔᲫᲙᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲘᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲮᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსების წიგნები ესპანურ ენაზე. გამომცემლობამ „გრიალბო“ ამას წინათ გამოსცა ნ. ოსტროვსკის „ქარიშხლით შობილნი“, ხოლო გამომცემლობა „ატლანტიდ“ ალ. ტოლსტოის „წამების გზაზე“ და მ. შოლოხოვის „გაღებული ყამირი“.

დიდად პოპულარული აგრეთვე საბჭოთა მწერლების წიგნები პაუწეططბისა და ახალგაზრდებისათვის. თარგმნილია ნ. დუბოვის „ჩირაღდნები მდინარეზე“, ლ. კახილის „ჩერეოიმიში. გმირის ძმა“, ნ. ნოსოვის „ცხიერული ოჯახი“ და სხვ.

პოლონეთი

ს. ჩიქოვანის ლექსები პოლონურად

მრავალი საბჭოთა მწერლის წიგნი გამოიდგა პოლონეთში. მათ შორისაა ქართველი პოეტის ს. ჩიქოვანის ლექსების კრებულიც.

ჟურნალი „ᲨᲘᲠᲘᲜᲐᲨᲘ“, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ორგანო, წერს: „სიმონ ჩიქოვანი დაიბადა 1903 წელს დასავლეთ საქართველოში. პატარობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა პოეზიისადმი და მხურვალე ენთუზიასტი იყო ქართველი კლასიკოსების ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შემოქმედებისა.

წერა ადრე დაიწყო. მან ფეხით მოიარა თითქმის მთელი საქართველო და სხვა რესპუბლიკები. ამიტომაცაა, რომ პოეტს უმთავრესი და მუდმივი თემაა „მოგზაურობა“ და „გზა“.

„ᲞᲐᲜ ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ“ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔᲘ

პოლონურ კინემატოგრაფიაში კომედიას შედარებით მცირე ადგილი ეთმობა. ამიტომაცაა, რომ მაყურებლები ენთუზიაზმით შეხვდნენ პან ანატოლის (ტადეუშ ფიეკსკის) დაბრუნებას (ფილმი „პან ანატოლის ქუდი“).

რეჟისორმა იან რიბკოვსკიმ გადაიღო ახალი ფილმი — „პან ანატოლის მილიონი“. პან ანატოლი ფილმში თამაშობს თავის განუყრელ მეუღლესთან მანუსიასთან (ჰელენა მაკოვსკაია) ერთად, რომელიც ცხოვრებაშიც მისი მეუღლეა.

პან ანატოლი მოლარეა, ფულს ურიგებს იმათ, ვინც მოიგებს პოპულარულ სპორტულ თამაშში „ტოტო-ლოტოკ“. მისი თავგადასავლების მონაწილეე ხდება უმაწვილი ქალი ივონკა — ცნობილი კინოსახიობი ბარბარა კვიაკოვსკაია. ფილმში გამოყვანილნი არიან აგრეთვე ბანდიტები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოგებებს და იტაცებენ ივონკას. ფილმი სავსეა გონებამახვილური სიტუაციებით. სცენარის ავტორები არიან ცნობილი პოლონელი სატირიკოსი ანგეი ნოვიცკი და კინოკრიტიკოსი - ფელეტონისტი კშშტოფ ტეპლიცი.

ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲗᲐ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ამას წინათ ვარშავაში ჩატარდა „კინოფესტივალთა ფესტივალი“ — გამმარჯვებლთ განხილვა იქ ფილმებისა, რომლებმაც შარშან პრემია მიიღეს ევროპის კინოფესტივალებზე. 1958 წლის ფესტივალების ლაურეატთა შორის ეროვნულ საიუბილეო ფილმად სცენა ბრიუსელის გამოფენაზე პრემიერებული ჩეხოსლოვაკური ფილმი „დამლუპველი გამოგონება“ (რეჟისორი კარელ ზემანი); საუკეთესო რეჟისორად აღიარა ფრანგი ჟაკ ტატი ფილმისთვის „ბიძაჩემი“; საუკეთესო ოპერატორად — სერგეი ურუსევსკი ფილმისთვის „მიფრინავენ წეროები“. კინოსახიობ ქალთა შორის გაიმარჯვა ტატიანა სამოილოვამ ფილმში „მიფრინავენ წეროები“.

ᲩᲐᲠᲚᲔᲜ ᲩᲐᲙᲚᲘᲜᲘᲡ ᲔᲘᲖᲔᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ

პოლონური ჟურნალის „ეკრანის“ კორესპონდენტმა, ჟურნალისტმა ლეონარდ მენდელბერგ-ეფეფონით ინტერვიუ მიიღო ჩარლი ჩაპლინისაგან. კითხვაზე თუ ვის თვლის იგი თანამედროვე საუკეთესო კინორეჟისორად, ჩაპლინმა ასე უპასუხა:

„ჩემი აზრი იგივე დარჩა, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ. უნიჭიერეს, უდიდეს კინორეჟისორად, ფილმის ფილოსოფოსად და ჰუმანური რეალიზმის საუკეთესო რეჟისორად ჩემი მეგობარი სერგი მიხეილის ძე ეიზენშტეინი მიმაჩნია. სამწუხაროა, ასე უდროოდ რომ გამოგვეცალა ხელიდან.

მისმა ფილმმა „ᲯᲯᲐᲕᲨᲜᲘᲡᲐᲜ ᲞᲝᲢᲔᲛᲙᲘᲜᲘ“ ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს კინოთეატრები. არ დარჩენილა მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა, ეს არარეგულარული ფილმი რომ არ ენახოს. ზმირად შემოკლებით. ზოგჯერ უტეკსტოდ. მაგრამ „ᲯᲯᲐᲕᲨᲜᲘᲡᲐᲜ“ მაინც ვადიოდა და მსოფლიოს ყველა კუთხის მაყურებელი ოვაციებით ხვდებოდა.

ასევე ამალელეა ეიზენშტეინის მეორე ფილმმა — „ივანე მრისხანეს“ პირველმა ნაწილმა. მსახიობმა ნიკოლოზ ჩერკასოვმა შემძძრწუნებელი სინამდვილე წარმოაჩენდანა და ძნელია წარმოიდგინოთ სხვა უფრო სრული განსახიერება ამ სახისა. ჩერკასოვი უდავოდ დიდი ხელოვანია“.

რუმინეთი

ᲩᲐᲘᲙᲝᲤᲡᲙᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ

ბუკარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მეორედ დადგა ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ (პირველად დაიდგა 1938 წლის მარტში).

ოპერა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ლიუპესკუმ, მთავარ როლებს ძირითადად ახალგაზრდა მსახიობები ასრულებენ.

88 წლის მწერლის ახალი რომანი

ცნობილმა რუმინელმა მწერალმა დიულა ხალასმა, მრავალი მხატვრული ნაწარმოებისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა, 88 წლის ასაკში კვლავ გაამდიდრა ლიტერატურა ახალი სანიტერესო ნაწარმოებით — ესაა „ინტერნაციონალის“ ტექსტის ავტორის, ფრანგი რევოლუციონერი პოეტის ეჟენ პოტიეს ცხოვრების ბიოგრაფიული რომანი.

საერთაშორისო კონფერენცია

12-17 აგვისტოს რუმინეთში ჩატარდა ხალხური მუსიკის საერთაშორისო საბჭოს XII კონფერენცია. რუმინელმა ფოლკლორისტებმა ამ დღეებისთვის უცხოელ სტუმრებს მოუმზადეს მდიდარი პროგრამა, რომელშიც შედის ორდღიანი ფოლკლორული ექსპედიცია სოფლებში და ბუქარესტის ფოლკლორისტების ინსტიტუტის დათვალიერება — ეს ინსტიტუტი ამ სახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა მსოფლიოში.

საშვრანგეთი

ორორლიანი ფილმი

ფრანგი კინორეჟისორი რობენ ოსეინი ილებს ფილმს — „ჯაშუშთა ღამე“. ფილმში თამაშობს მხოლოდ ორი ადამიანი, მოკმედება იწარმოებს ერთსა და იმავე დეკორაციებში. სცენარი თვითონ ოსეინმა დაწერა, მამაკაცის როლსაც თვითონ შეასრულებს, ხოლო მისი პარტნიორი ქალი იქნება მარინა ვლადი.

უნგრეთი

საბჭოთა კიბეები უნგრეთის თეატრებში

უნგრეთის მდიდარ თეატრალურ ცხოვრებაში (27 თეატრი) მნიშვნელოვან როლს თამაშობს საბჭოთა დრამატურგია. წელს ბუდაპეშტში ეროვნულმა თეატრმა დადგა მაიაკოვსკის „ბალნიჩნყი“, ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“, ხარჩატურიანის ბალეტი „გაიანე“, პეტეფის სახ. თეატრმა ილფისა და პეტროვის „12 სკამი“ (იშტვან ტაბის ინსცენირება), ბეკეშჩაბის იოკის სახ. თეატრმა დადგა ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ირეე მადაჩის სახ. თეატრმა ხოლოვოვის „ალმაფოთოებელი სიმშვიდე“, აბელა იოფეფის სახ. თეატრმა არბუზოვის „ტანიო“.

ზღაპრების თეატრი

ქ. სეგედში შეიქმნა ზღაპრების თეატრი ბავშვებისთვის. მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ზღაპრების ინსცენირებაში, სეგედის ეროვნული თეატრის მსახიობებთან ერთად, მონაწილეობენ ბავშვები, რომლებიც ზღაპრული გმირების როლებს ასრულებენ და სპექტაკლებს ახალისებენ.

შვედეთი

კოსმიური სიუჟეტის ოპერა

შვედმა კომპოზიტორმა კარლ ბირგერ-ბლომდალმა დაწერა ოპერა „ანარა“, ეს ოპერა ამტკიცებს იმას, რომ ოპერის სიუჟეტებიც მოდერნისტული ხდება, შორდება კლასიკურ ბიბლიურ, ისტორიულ ან რომანტიკულ თემებს და თანამედროვე სინამდვილისკენ იბრუნებს პირს — ბირგერის ნაწარმოები, რომელიც დაიდგა სტოკჰოლმის სამეფო ოპერაში, აგებულია სპალნენტთაშორისო მოგზაურობის იდეაზე.

ჩეხოსლოვაკია

მსოფლიოში უდიდესი

კრნოს საორღანო ფაბრიკაში მოსკოვის ჩაიკოვსკის სახ. სკონცერტო დარბაზისთვის ამზადებენ მსოფლიოში უდიდეს ორღანს. ამ გიგანტურ მუსიკალურ ინსტრუმენტს აქვნია 9.000 საკვირი და 80 მეტრ რეგისტრი. მისი სიმაღლეა 9 მ.

უდიდესი მინღვევა

კანის წელთაანდელ კინოფესტივალზე ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენა იყო ფართო ეკრანისთვის გადაღებული სრულეტრაჟიანი ფერადი ფილმი — „ზაფხულის ღამის სიზმარი“, რომელშიც მონაწილეობენ თოჯინები და რომელსაც ერთდროულად ათი აპარატი აჩვენებენ. ეს ფილმი, რომელიც შექმნა თოჯინების ფილმების განთქმულმა ჩეხმა რეჟისორმა ირი ტრნკამ, ჩეხური კინემატოგრაფიის უდიდესი მიღწევაა.

ჩინეთი

ყველაზე დიდი წიგნი

ყველაზე დიდი მოცულობის წიგნი მსოფლიოში არის 1600 წლის შედგენილი ჩინური ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 5020 ტომს, ხოლო თითოეულ ტომში 170 გვერდია.

ჰოლანდია

ელექტრონული ოპერა

ხენგ ბადინგხი, ჰოლანდიელი კომპოზიტორი, ქარხანა ფილიფსის ელექტროლაბორატორიაში წერს მსოფლიოში პირველ „ელექტრონულ ოპერას“. ოპერის მუსიკას ასრულებენ არა მუსიკალური ინსტრუმენტები, არამედ ელექტროგენერატორები. ოპერაში იქნება ხუთი მოქმედი პირი. რომელთა როლებს ჰოლანდიელი მომღერლები შეასრულებენ. ოპერის ლიბრეტო, რომლის ავტორია ჰოლანდიელი მწერალი ბელ კამპო, მოგვითხრობს, თუ როგორ ეძებდა ერთი სწავლული სიცოცხლის ელექსირს ლაბორატორიაში. ოპერა დაიდგმება ზალცბურგში სალცელეფნო ოპერების ფესტივალზე.

668/185

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 6 მან.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»